



АКАКИЙ ШАНИДЗЕ

ГРАММАТИКА  
ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

ТБИЛИСИ 1976

ბაკი შანიძე

# ქველი ქართული ენის გრამატიკა

10421-1

თბილისი 1976

4Г  
499.962.1 — 53  
შ. 214

გამოჩენილი მეცნიერის აკაკი შანიძის ამ წიგნში მოცემულია ძველი ქართული ენის მოკლე გრამატიკა, რაც პირველად იბეჭდება. მასში შესწავლილია ძველი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხები.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა და ფილოლოგთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ი. იმნაიშვილი

## შ ი ნ ა რ ს ი

<p><b>წინასიტყვაობა</b> . . . . . 7</p> <p><b>შესავალი</b> . . . . . 9</p> <p>ქართული ანბანი . . . . . —</p> <p>ბგერათა კლასიფიკაცია . . . . . 14</p> <p>ორთოგრაფიული მოვლენები . . . . . 18</p> <p><b>უმთავრესი ფონეტიკური მოვლენები</b> . . . . . 20</p> <p style="text-align: center;"><b>მორფოლოგია</b></p> <p>სახელები . . . . . 30</p> <p>ბრუნება . . . . . —</p> <p>განსაზღვრული სახელები . . . . . 42</p> <p>ნაცვალსახელები . . . . . 46</p> <p>წარმოქმნა . . . . . 49</p> <p>თხზვა . . . . . 56</p> <p>ზმნები . . . . . 58</p> <p>უღლების კატეგორიები . . . . . 59</p> <p>პირი და რიცხვი . . . . . —</p> <p>    სუბიექტური ნიშნები . . . . . 61</p> <p>    ობიექტური ნიშნები . . . . . 64</p> <p>დრო და კილო . . . . . 67</p> <p>ასპექტი . . . . . 68</p> <p>აქტი . . . . . —</p> <p>გზისობა . . . . . —</p> <p>თანამდევრობა . . . . . —</p> <p>მწკრივი . . . . . —</p> <p>წარმოქმნის კატეგორიები</p> <p>გეზი და ორიენტაცია . . . . . 71</p> <p>გვარი . . . . . —</p> <p>    მოქმედებითი გვარი . . . . . 74</p> <p>    ენებითი გვარი . . . . . —</p> <p>        დინამიკური ვნებითი . . . . . 75</p> <p>        სტატიკური ვნებითი . . . . . 78</p> <p>    საშუალი გვარი . . . . . 79</p> <p>ქცევა . . . . . 80</p> <p>კონტაქტი . . . . . 83</p> <p>უღლება</p>	<p>მოქმედებითი გვარი . . . . . 84</p> <p>    თემა . . . . . —</p> <p>    სავრცობი . . . . . 89</p> <p>    ვნებითი გვარი . . . . . 108</p> <p>        დინამიკური ვნებითი . . . . . —</p> <p>        პრეფიქსიანი ვნებითი . . . . . —</p> <p>        სუფიქსიანი ვნებითი . . . . . 114</p> <p>        უნიშნო ვნებითი . . . . . 118</p> <p>        სტატიკური ვნებითი . . . . . 120</p> <p>    საშუალი გვარი . . . . . 123</p> <p>    რთული ზმნები . . . . . 125</p> <p>    მონაცვლეობა</p> <p>        მონაცვლეობა რიცხვთა მიხედვით . . . . . 130</p> <p>        მონაცვლეობა მწკრივთა მიხედვით . . . . . 132</p> <p>        მონაცვლეობა ქცევათა მიხედვით . . . . . 134</p> <p>    უნდაობითი ფორმები . . . . . 135</p> <p>    სახელზმნა . . . . . —</p> <p>        საწყისი . . . . . 136</p> <p>        მიმღობა . . . . . 137</p> <p>    უღებები</p> <p>        ზმნიზედა . . . . . 141</p> <p>        თანდებული . . . . . —</p> <p>        კავშირი . . . . . 144</p> <p>        ნაწილაკი . . . . . 146</p> <p style="text-align: center;"><b>სინტაქსი</b></p> <p>სუბიექტი და ობიექტი . . . . . 150</p> <p>ბრუნევთა ფუნქციები საზოგადოდ . . . . . 153</p> <p>უფროობითი ხარისხის ფორმათა სინტაქსური ძალა . . . . . 157</p> <p>შეთანხმების საკითხები . . . . . —</p> <p>    შეთანხმება რიცხვში . . . . . 158</p> <p>მსაზღვრელ-საზღვრული . . . . . 162</p> <p>სხვადასხვა . . . . . 165</p> <p>ლექსიკა . . . . . 170</p> <p>შემოკლებანი . . . . . 176</p> <p>გრამატიკული ტერმინების საძიებელი . . . . . 178</p> <p>ლიტერატურა . . . . . 182</p>
---	---

## წინასიტყვაობა

ძველი ქართული ენა საკმაოდ რთული აგებულების მქონე ენაა. აღრინდელი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებს ხანმეტობა და ჰაემეტობა ახასიათებს, რომლებიც ადრე (მე-9 საუკუნემდე) გადავარდა, მაგრამ ენა არსებითად იგივე დარჩა. სირთულეს ქმნის როგორც სახელთა ბრუნება, ისე ზმნათა უღლება, განსაკუთრებით უკანასკნელი.

სახელებში ყურადღებას იპყრობს ორმაგი და სამმაგი ბრუნება; ზმნათა უღლების სისტემა ხომ სავეთა თავისებური მოვლენებით. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ზმნათა მრავალ-პირიანობისაგან წარმომდგარი სიძნელეები, ორპირიან და სამპირიან ზმნათა ფორმები, სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები, კერძოდ მე-2 სუბიექტური პირის ნიშნისა და მე-3 ობიექტური პირის ნიშნის ცვალება მომდევნო ბგერის რაობის მიხედვით, დიდი რაოდენობა მწკრივებისა (მათ შორის ხოლმეობითები), უღლების ფორმათა დაყოფა სამსერიად, ინვერსიული წყობა III სერიის მწკრივებში, ორ-ორი ფორმა გარდამავალ ზმნათა II სერიის მწკრივებში (ერთი პირდაპირი ობიექტის მხოლოებითში შეწყობისას, მეორე მრავლობითში შეწყობისას), ზმნისწინიან და უზმნისწინო ზმნათა უღლების თავისებურება I სერიის მწკრივებში, ავ და ამ-იან ზმნათა უღლების თავისებურებანი, ოდ-სავრცობიან ზმნათა უღლების თავისებურება I სერიის მწკრივებში, სტატიკური ზმნები, რიცხვ- და მწკრივ-მონაცვლე ზმნები და სხვა; სინტაქსში ბრუნვა-ცვალებადობა გარდამავალი ზმნის სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტისა, მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილი წინადადებაში, სხვადასხვა სინტაქსური ძალა ნ-პირიანი და ებ-იანი მრავლობითისა, მცა, ნაწილაკის სინტაქსური ძალა და სხვ. ყველა ეს დიდად აძნელებს, რომ ძველი ქართული ენის გრამატიკული სისტემა ადვილ გასაგებად იყოს გადმოცემული. ავტორი ეცადა მაინც, გრამატიკული მასალა რაც შეიძლება მოკლედ და მარტივად ყოფილიყო გადმოცემული. რამდენად შეეძელი ეს, ამის შესახებ მკითხველისთვის მიგვინდვია მსჯავრის დადება.

მოკლე კურსში ყველაფრის თქმა შეუძლებელია, მაგრამ მგონია, რომ, რაც მთავარია და არსებითი, იმის შესახებ მკითხველი იპოვის შიგ სათანადო პასუხს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ძველი ქართული ენის ვრცელ გრამატიკას ამზადებს პროფესორი ი. იმნაიშვილი.

დიდი ხანია განზრახული მქონდა, რომ ჩემი „ძველი ქართული ენის“ მოკლე მიმოხილვა, რომელიც წლების მანძილზე იბეჭდებოდა „ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის“ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში<sup>1</sup>, იმდენად გამეგრცო, რომ უმადლესი სკოლებისთვის გამომდგარიყო. ამას რომ ვაპირებდი და ხელიც მივჭყავ განზრახული საქმის შესრულებას, მოუნებენის უნივერსიტეტის პროფესორმა იულიუს ასფალგმა (Prof. Dr. Julius Assfalg), რომელთანაც სტუდენტები სწავლობენ ძველ ქართულ ენას და რომელიც რამდენჯერმე სტუმრად იყო თბილისში, მთხოვა, ეგების დაგვეხმაროთ და მოგვაწოდოთ ძველი ქართული ენის გრამატიკა, რომელიც ძალიან გვეკირდებაო. მე შევპირდი, შევადგენ ძველი ქართულის Elementarbuch-ს-მეთქი. ეს „ელემენტარული წიგნი“ გულისხმობს გრამატიკულ მიმოხილვას, ქრესტომათიას და ლექსიკონს. გრამატიკულ მიმოხილვად წინამდებარე წიგნი ივარაუდება. იგი ითარგმნება გერმანულად და დაერთვის მას ქრესტომათია ლექსიკონითურთ.

დასასრულ, მადლობას მოვახსენებ პროფ. ი. იმანიშვილს და დოც. ლ. კიკნაძეს, რომელთაც წიგნი გადამიკითხეს და თავისი შენიშვნები გამიზიარეს.

ა. შანიძე

7.IX.1975.

<sup>1</sup> ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა (ქრესტომათია საშუალო სკოლის IX კლასისათვის). პირველი გამოცემა 1934 წ., მე-13 გამოცემა 1954 წ. აქედან გადაბეჭდილი ენის მოკლე მიმოხილვა ცალკე წიგნაკადაც გამოვიდა: ა. შანიძე. ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა). თბილისი, 1975, 43 გვ. (როტოპრინტი).

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. **ძველი ქართული ენა.** ძველი ქართული ეწოდება ენას, რომელიც წარმოდგენილია უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, რომლებიც გადარჩენილია და ჩვენამდე მოუღწევია მე-5 საუკუნიდან მე-11 საუკუნემდე. ამათგან მე-11 საუკუნის ძეგლებიც ძველი ქართული ენით არის დაწერილი, მაგრამ მათ საკმაოდ მოეპოვება ლექსიკურ-გრამატიკული მოვლენები, რომლებიც მათ ენას საშუალ ქართულთან ანათესავენ. ამიტომ მე-11 საუკუნის ენა გარდამავალი საფეხურის ენაა, რომელშიც სჭარბობს ძველი და რომელსაც საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც მოეპოვება.

2. **ხანმეტობა.** ძველი ქართულის ფარგლებში გამოიყოფა უძველესი ძეგლები მე-5—მე-7 საუკუნეებისა, რომლების ენას ხანმეტობა ახასიათებს, ე. ი. **ჰ-ან ასოს „ზედმეტად“** ხმარება ისეთ ფორმებში, როგორცაა ხ-იყო, ხ-ეტყოდა, ხ-უჩუნა, ხ-იხილო, ხ-უმჯობესი და მისთ. ეს ხანები ზედმეტია მე-9—მე-11 საუკუნეთა სალიტერატურო ენის მიხედვით, თორემ თავის დროს ისინი საჭირონი იყვნენ.

ზოგიერთ ძეგლს ხანმეტობის ნაცვლად ჰემეტობა ახასიათებს, რაც უფრო მოგვიანო ხანის მოვლენაა (დაახლოებით მე-7—მე-8 საუკუნისა). ხანმეტობა-ჰემეტობის კვალი გადმონაშთის სახით შეიძლება მე-9—მე-10 საუკუნეთა ძეგლებშიც შეგვხვდეს, მაგ., ადიშის სახარებაში (897 წ.).

## ქართული ანბანი

3. **მრგლოვანი.** ძველი ქართული მწერლობის ნიშნები, რომლებითაც დაწერილია ეტრატზე ან ამოკვეთილია ქვაზე უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები (ხელნაწერები, წარწერები) მე-5—მე-9 საუკუნეებში, დამოუკიდებელი ქართული ეროვნული ანბანის ასოებია. სიტყვები იწერება მარცხნიდან მარჯვნივ.

თავდაპირველად ასოები ერთი ზომისა იყო სიმაღლით — ყველა ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდებოდა, მაგრამ შემდეგ ზოგ მათგანს ჩამოუგრძელდა ვერტიკალური ხაზი. ეს ასოებია: **ჟ ჟ ჟ ჟ ჟ**. ამას გარდა, ასოები სწორად იდგნენ და ზოგ მათგანს უძველეს წარწერებში (ხანმეტობის ხანისაში) თავი

შეკრული ჰქონდა (4 4 4 4), მაგრამ შემდეგ თანდათანობით გაეხსნათ. საერთო შესახედაობის გამო უძველესი ძეგლების დაწერილობას **მრგლოვანი** ანუ **მრგლოვანი** დაერქვა.

4. **კუთხოვანი**. მრგლოვნისაგან მე-9 საუკუნეში განვითარდა კუთხოვანი წერა, რომელშიც ოთხი სხვადასხვა სიმაღლის ასოთა ჯგუფი შემუშავდა. ორი ხაზის ნაცვლად რომ ოთხი პარალელური ხაზი გავავლოთ ჰორიზონტალურად და მათ შორის ახლად შემუშავებული ასოები ჩავწეროთ, ვნახავთ, რომ

ა) ერთი ჯგუფის ასოები ორ შუა ხაზს შორის არის მოქცეული: **ა ბ გ დ** ეს არის შუა ასოები.

ბ) მეორე ჯგუფის ასოებს თავი ზემო ხაზზე ეწყება და ტანი შუა პარალელურ ხაზებში აქვს მოქცეული: **ჟ ზ ძ ნ** და სხვ. ეს არის ზედა ასოები.

გ) მესამე ჯგუფის ასოებს თავი ორ შუა პარალელურ ხაზს შორის აქვს გაკეთებული და ბოლოები ძირამდე ეშვება: **ყ უ რ** და სხვ. ეს არის ქვედა ასოები.

დ) მეოთხე ჯგუფის ასოებს მთელი სიმაღლე უჭირავთ, პირველი ხაზიდან მეოთხემდე: **ჩ კ ქ**. ეს არის მაღალი ასოები.

ორ შუა პარალელს შორის მოქცეული კუთხოვანი დაწერილობის ასოები (ან ასოთა ნაწილები) დახრილია მარჯვნიდან მარცხნივ და ხაზების გადაკვეთის ადგილას კუთხეები კეთდება. ამ ასოებს შესახედაობა კურსივისა აქვთ და კუთხეების გამო კუთხოვანს ვეძახით. ძველად კი უფრო ნუსხურს ეძახდნენ. მრგლოვანი და კუთხოვანი (ნუსხური) — ორივე ძველი ქართული ძეგლების ასოებია: მრგლოვანი პირვანდელია, კუთხოვანი — მერმინდელი. კუთხოვნით დაწერილ ძეგლებში მრგლოვანიც იხმარება, მაგრამ სათაურებში და ინიციალებად. ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც მე-10—მე-11 საუკუნეს განეკუთვნება, კუთხოვანი ასოებით არის დაწერილი. პირველად ასეთი ასოები გვხვდება ანდერძში, რომელიც ახლავს 864 წ. გადაწერილ სინურ მრავალთავს. ეს წიგნი თავიდან ბოლომდის მრგლოვნით არის დაწერილი, მაგრამ მისი ანდერძის ნაწილი, რომელიც ხელნაწერის ბოლოს არის მოთავსებული, კუთხოვანი ასოებით არის შესრულებული.

5. **მხედრული**. კუთხოვანი წერისაგან მე-11 საუკუნეში წარმოიშვა ახალი სახის ასოები, რომელთაც გადმოჰყვა ოთხ ჯგუფად დაყოფის საფუძველი, თანაც კუთხოვანი ასოების კუთხიანი ნაწილები დამრგვალდა და ასოები საერთოდ გასწორდა. ძველი წერა (მრგლოვანი და კუთხოვანი) ეკლესიას დარჩა სახმარებლად, ხოლო საერო საქმეებისთვის იყენებდნენ ახალს, რომელსაც **მხედრული**

დაერქვა. პირველ ხანებში მხედრულის ასოები ჯერ კიდევ რამდენადმე ჰგვანდნენ კუთხოვნისას, მაგრამ თანდათან შორდებოდნენ მათ, ასე რომ მე-13 საუკუნეში მხედრული წერა საბოლოოდ დასცილდა მას.

მხედრულ წერას, ხუცურისაგან განსხვავებით, თავიდანვე აკლდა სამი ასო: **ქ** **ა** **ჭ**, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამათი შესატყვისი, მაგრამ შემდეგ ამათთვისაც შემუშავდა მხედრული სახეები: **ჭ**, **ა**, **ჭ** (შესაბამისად).

მხედრულის განვითარებისა და განმტკიცების შემდეგ ძველ წერას (მრგლოვანს, ნუსხურს) დაერქვა **ხუცური**, რადგანაც მას ხუცები იყენებდნენ ეკლესიის საჭიროებისთვის, ხოლო ცალკე მრგლოვანს **ასომთავრულის** სახელით აღნიშნავდნენ.

6. **პარალელური ხმარება.** მრგლოვანი წერა არ შეწყვეტილა მე-9 საუკუნეში, როცა მისგან წარმოიშვა კუთხოვანი (ნუსხური), და არც ეს უკანასკნელი გადავარდნილა მე-11 ს.-ში, როცა მისგან განვითარდა წერის ახალი სახე — მხედრული. სხვადასხვა სახის ქართული ასოები შემდეგაც იხმარებოდა, მაგრამ ისე, რომ საეკლესიო წიგნებს წერდნენ ძველი ასოებით (მრგლოვანით ან მისგან წარმომდგარი კუთხოვნით, რომელშიც მრგლოვანიც იყო გარეული), ხოლო მეფეთა ბრძანებანი, სასამართლოს დადგენილებანი და საერო ხასიათის სხვა დოკუმენტები თუ წიგნები (პოემები, მოთხრობები და სხვა) იწერებოდა მხედრულად. მე-9—მე-10 საუკუნის სახარებანი, საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლეები, დავითნი, ლექციონარები და მრავალთავები მრგლოვანი ხელით არის ნაწერი. „მამათა სწავლანი“ (დაწერილია 943 წლამდის), იოანე ოქროპირის ცხოვრება (968 წ.), ოშკის ანუ ათონის ბიბლია (978 წ.), იერუსალიმური წინასწარმეტყველები (მე-11 ს.), იერუსალიმური ლექციონარი (მე-10—მე-11 ს.) და ბევრი სხვა კუთხოვანი ასოებით (ნუსხა-ხუცურით) არის დაწერილი. მე-10 საუკუნის შატბერდის კრებულის ერთი ნაწილი მრგლოვანით არის დაწერილი, მეორე ნაწილი კი — კუთხოვნით (ნუსხა-ხუცურით). ასეთივე ვითარებაა აგრეთვე 1050 წ. გადაწერილს მარტვილის სახარებაში. შემდეგ და შემდეგ ნუსხა-ხუცურმა თანდათანობით გაიკაფა გზა: თითქმის ყოველგვარი საეკლესიო წიგნი, მათ შორის ახლისა და ძველი აღთქმის წიგნებიც, ნუსხა-ხუცურით იწერებოდა.

7. **ასოთა სახელები და რიგი.** კარგად ცნობილია ახალ ქართულში ხმარებული ასოების სახელები, რაც ტრადიციით ძველთაგან არის გადმოცემული. რაც შეეხება ხმარებიდან გადავარდნილ ასოებს, მათი სახელები ეს არის: **ჭ** ჰე, **ა** დე, **ჟ** უიე, **კ** კარ, **ჭ** ოპ. უკანასკნელი ასოს სახელი **ოპ** ძველის-ძველია. შემდეგში მას უწოდეს **ჰოე**.

მოიყვანოთ მთელი ანბანი და ასოებს ქვეშ მივუწეროთ თავ-თავისი სახელი.

ჯ ან	ღ ბან	ღ გან	შ ღონ	რ ენ	ზ ვინ	ზ ზენ	ჩ ჰე	ც თან
რ ინ	კ კან	ზ ლას	შ მან	ნ ნარ	ვ ვე	ღ ონ	ს პარ	ყ ჟან
ქ რაე	ს სან	ღ ტარ	ყ ჟიე	ფ ფარ	ქ ქან	ი ღან	ც ყარ	ყ შინ
ხ ჩინ	ც ცან	ძ ძილ	წ წილ	ს ჭარ	ღ ხან	ყ კარ	ჯ ჯან	ზ ჰაე
ჭ ოპ(პოე)								

8. ასოთა რიცხობრივი მნიშვნელობა. წნიდან ქანამდე (ე. ი. პირველი ასოდან 24-მდე) ასოები ისეა დალაგებული ქართულში, რომ საცხებით შესატყვისება ბერძნული ანბანის რიგს, გარდა ორი შემთხვევისა: ნარის შემდეგ ბერძნულში მოდის ქსი (Ξ) და სარის შემდეგ კი ე (ϰ)¹, რომელთა შესატყვისი ბგერები ქართულს აკლია. სამაგიეროდ მათ აღვიღას ჩაუსვამთ ნარის შემდეგ ჯ და სარის შემდეგ ყ. ამის გამო ერთნაირი გამოთქმის მქონე ასოები ორსავე ანბანში (ბერძნულსა და ქართულში) ერთსა და იმავე რიცხვს აღნიშნავენ; მაგ., ბერძნული K A M N და ქართ. ხ ზ შ ნ გამოხატავენ შემდეგ რიცხვებს შესაბამისად: 20-ს, 30-ს, 40-ს, 50-ს.

ქართულ ანბანს ოპი (ანუ პოე) ამთავრებს (ჭ), რაც ბერძნული ომეგის შესატყვისია. ბერძნულ ანბანში X და Ω-ს შორის ერთი ასოა: X Ψ Ω. ქართულში კი ქანსა და ჭ-ს შორის მოთავსებულია 12 ასო, რომლებიც ქართულის დამახასიათებელ ბგერებს გადმოსცემენ: ქ ი ყ ყ ხ ც ძ წ ს ღ ყ ჯ ზ ჭ. რიცხვების აღსანიშნავად განსაკუთრებული ნიშნები არ გვექონდა. მართალია, ბაგრატის ტაძარზე ქუთაისში იატაკის გამტკიცების ქრონიკონი 223 (რაც 1003 წელს უდრის) ინდური ციფრებით არის გამოყვანილი (რომელთაც არაბულის სახელით იცნობენ ევროპაში, რადგანაც ისინი არაბებმა გააფრცქლეს), მაგრამ ციფრების ხმარებამ ფეხი ვერ მოიკიდა და რიცხვების გამოსახატავად ისევ

¹ ე ასოს ხმარება საერთოდ გადაეარდა, მაგრამ რიცხვის გადმოსაცემად დარჩა ბერძნულ ანბანში. სამაგიეროდ მისი აღვილი მკვიდრია ლათინურში სწორედ პარის შემდეგ: O P Q R S T,

ასოების ხმარებას განაგრძობდნენ. ასოებით რიცხვების გამოხატვის პრინციპი იმაზე იყო დამყარებული, რომ პირველი ცხრა ასო ერთეულებს გამოხატავდა, მეორე ცხრა — ათეულებს, მესამე ცხრა — ასეულებს, მეოთხე ცხრა — ათასეულებს; რჩებოდა უკანასკნელი ასო **ჟ** ოპ, რომელიც ბევრს (ე. ი. ათი-ათასს) აღნიშნავდა<sup>1</sup>.

ერთეულები (1-9)	1	2	3	4	5	6	7	8	9
ათეულები (10-90)	10	20	30	40	50	60	70	80	90
ასეულები (100-900)	100	200	300	400	500	600	700	800	900
ათასეულები (1000-9000)	1000	2000	3000	4000	5000	6000	7000	8000	9000
ბევრი (10000)	<b>ჟ</b> 10000	ასოების რიცხობრივი მნიშვნელობა							

ამ სისტემით იწერებოდა მხოლოდ ის, რაც ითქმოდა. ამიტომ, თუ რიცხვში არ ერია ასეული, ათეული, თუ ერთეული, იგი არც იწერებოდა; მაგ., 620 **ქხ**, 1701 **ხრც**, 5039 **წზძ**. სხვა მაგალითები: **ხც** 29, **ქხრ** 138. **ყყ** 492, **ყრც** 859, **ხყც** 1099, **ხყც** 1972, **ჟწყრც** 15551 (ერთ ბევრ ხუთ ათას ხუთას ერგასის და ერთი) და მისთ..

9. **ქართული ანბანის ნაკლი.** ძველი ქართული ანბანი საკმაოდ სრულყოფილი ანბანი იყო, მაგრამ ნაკლი მაინც ჰქონდა.

ა) **უ** ბევრის გამოსახატავად, ბერძნულის მსგავსად, ორი ნიშანი იწერებოდა: **ღ**. ეს ორი ნიშანი კუთხოვან წერაშიც ცალ-ცალკე იწერებოდა (**აყ**), მაგრამ თანდათან გაერთიანდა და ერთი ნიშანი მივიღეთ (**ყ**), რამაც მხედრულ წერაშიც ერთი ნიშანი მოგვცა (**უ**). რაც შეეხება მრგლოვანს, აქ **უ**-ს გამოსახატავად **ღ** ასოს ზემოთ ახრილი კავი ქვემოთ ჩამოუბრუნეს და ამით განსხვავება დამყარდა ორ ხმოვანს შორის: **ღ=ო**, **ღ=უ**. ეს ამბები მე-12 საუკუნისთვის დამთავრდა. **უ** ბევრისთვის საკუთარი ნიშანი რომ შეიქმნა, ამით გამოსწორდა ქართული ანბანის ერთი დიდი ნაკლი. **უ**-ნმა მხედრულ ანბანში 4 ასოს ადგილი დაიკავა და 400 აღნიშნა.

ბ) ცალკე აღებული 4 ჩვეულებრივ დიფთონგს გამოხატავდა და იქ იწერებოდა, სადაც მოსალოდნელი იყო **უი**, რომელთაგანაც **უი** უმარცვლო იყო,

<sup>1</sup> ძველი ქართველების გაგებით „ბევრი“ გარკვეულ რიცხვს (ათიათასს) აღნიშნავდა და არა გაურკვეველს, მრავალს, როგორც დღეს.



# ტაბულა

(კველი ძველი ასოები, მათი მხედრული შესატყვისები,  
სახელები და რიცხვითი მნიშვნელობა).

რიცხვი	ძველი		ახალი	სახელი	რიცხვითი მნიშვნელობა	რიცხვი	ძველი		ახალი	სახელი	რიცხვითი მნიშვნელობა
	მრგ.	კუთ.					მრგ.	კუთ.			
1	Ⴀ	Ⴁ	ა	ან	1	20	Ⴂ	Ⴃ	ს	სან	200
2	Ⴃ	Ⴃ	ბ	ბან	2	21	Ⴅ	Ⴆ	ტ	ტარ	300
3	Ⴅ	Ⴆ	გ	გან	3	22	Ⴇ	Ⴈ	ჰ	ჰე	400
4	Ⴆ	Ⴆ	დ	დონ	4	23	Ⴉ	Ⴊ	უ	უნ	—
5	Ⴇ	Ⴇ	ე	ენ	5	24	Ⴋ	Ⴌ	ფ	ფარ	500
6	Ⴈ	Ⴉ	ვ	ვინ	6	25	Ⴍ	Ⴍ	ქ	ქან	600
7	Ⴉ	Ⴉ	ზ	ზენ	7	26	Ⴎ	Ⴏ	ღ	ღან	700
8	Ⴊ	Ⴋ	ც	ჰე	8	27	Ⴐ	Ⴑ	ყ	ყარ	800
9	Ⴋ	Ⴌ	თ	თან	9	28	Ⴒ	Ⴓ	შ	შინ	900
10	Ⴌ	Ⴌ	ი	ინ	10	29	Ⴔ	Ⴕ	ჩ	ჩინ	1000
11	Ⴍ	Ⴍ	კ	კან	20	30	Ⴗ	Ⴘ	ც	ცან	2000
12	Ⴎ	Ⴏ	ლ	ლას	30	31	Ⴙ	Ⴚ	ძ	ძილ	3000
13	Ⴏ	Ⴐ	მ	მან	40	32	Ⴛ	Ⴜ	წ	წილ	4000
14	Ⴐ	Ⴑ	ნ	ნარ	50	33	Ⴝ	Ⴞ	ჭ	ჭარ	5000
15	Ⴑ	Ⴒ	ჯ	დე	60	34	Ⴟ	Ⴘ	ხ	ხან	6000
16	Ⴒ	Ⴓ	ო	ონ	70	35	Ⴚ	Ⴛ	ჯ	ჯარ	7000
17	Ⴓ	Ⴔ	პ	პარ	80	36	Ⴜ	Ⴝ	ჯ	ჯან	8000
18	Ⴔ	Ⴕ	ყ	ყან	90	37	Ⴟ	Ⴘ	პ	პაე	9000
19	Ⴕ	Ⴖ	რ	რაე	100	38	Ⴚ	Ⴛ	ჭ	ოპ(ჭე)	10000

თანხმოვნები:

**ბ, ფ, პ, მ.** ეს არის ბაგისმიერი (ლაბიალი) ბგერები. უფრო ზუსტად ესენია წყვილბაგისმიერი (ბილაბიალი) ბგერები.

**ვ.** ეს არის კბილ-ბაგისმიერი (დენტოლაბიალი) ნაპრალოვანი ბგერა.

**ღ, თ, ტ.** ესენი კბილისმიერი (დენტალი) ბგერებია.

**ნ.** ეს არის ნუნისმიერი (ალვეოლარი) ბგერა.

**ლ.** ესეც ნუნისმიერი (ალვეოლარი) ბგერაა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ხშულიც არის (ენა მიბჯენილია ნუნებზე) და ნაპრალოვანიც (ენის გვერდებზე ნაპრალეზია). ამის გამო იგი გვერდითი (ლატერალი) ბგერაა.

**რ.** იგია ნუნისმიერი მთრთოლარე (ვიბრანტი) ბგერა. **ლ** და **რ** ბგერებს საერთოდ ნ ა რ ნ ა რ ა (ლიკვიდ) ბგერებს უწოდებენ. მათვე უერთებენ ზოგჯერ **ნ** ბგერასაც.

**ძ, ც, წ.** ესენია წინა ნუნისმიერი (წინა ალვეოლარი) ბგერები.

**წ, ს.** ესენია წინა ნუნისმიერი (წინა ალვეოლარი) ნაპრალოვანი ბგერები (სპირანტები). ორივე სახის წინა ნუნისმიერ ბგერებს (ხშულსა და ნაპრალოვანს: **ძ, ც, წ, ჯ, ს**) სისინა ბგერებს უწოდებენ.

**ჯ, ჩ, ჰ.** ესენია უკანა ნუნისმიერი (უკანა ალვეოლარი) ბგერები.

**შ, შ.** ესენია უკანა ნუნისმიერი (უკანა ალვეოლარი) ნაპრალოვანი ბგერები. ორივე სახის უკანა ნუნისმიერ ბგერებს (ხშულსა და ნაპრალოვანს: **ჯ, ჩ, ჰ, შ, შ**) შიშინა ბგერებს უწოდებენ.

**გ, ქ, კ.** ესენია უკანა სასისმიერი (ველარი) ხშული ბგერები.

**ღ, ხ.** ესენია უკანა სასისმიერი (ველარი) ნაპრალოვანი ბგერები. ამათი წარმოთქმის ადგილი უფრო უკან არის გადაწეული, ვიდრე ხშული **გ, ქ, კ** ბგერებისა.

**ყ, ჯ.** ესენია ხახისმიერი (ფარინგალური) ხშული ბგერები.

**პ.** ეს არის ხორხისმიერი (ლარინგალი) ნაპრალოვანი ბგერა.

**12. ხამეულეები.** თანხმოვან ბგერებში ვარჩევთ მყლერებსა და ყრუებს. მყლერი თანხმოვნებია: **მ, ბ, ვ, ნ, დ, ძ, ჯ, ლ, ჯ, უ, რ, გ, ღ.**

ყრუ ბგერებში ვარჩევთ ფშვინვიერებსა და აბრუპტივებს (მკვეთრებს).

ფშვინვიერები ია: **ფ, თ, ც, ს, ჩ, შ, ქ, ხ, პ.**

აბრუპტივები ია: **პ, ტ, კ, წ, ჰ, ყ.**

ერთსა და იმავე ადგილას შეიძლება წარმოითქვას ერთი მყლერი და ორი ყრუ (ფშვინვიერი და აბრუპტივი). ასეთი სამეული ხუთია ქართულში: **ბ, ფ, პ; ღ, თ, ტ; გ, ქ, კ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჰ.**

**13. ენის მონაწილეობა თანხმოვნების გამოთქმაში.** თუ თანხმოვნებს დავალაგებთ ენის მოქმედი ნაწილების მიხედვით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ თანხმოვანთა უმეტესობის წარმოთქმაში, მივიღებთ შემდეგ ცხრილს (ცხრილი მოყვანილია გ. ახვლედიანის მიხედვით).



14. **მახვილი ძველ ქართულში.** დღევანდელ ქართულში ორ-მარცვლიან სიტყვას ოდნავი ხმის გაძლიერება მოუღის პირველ მარცვალზე (ბოლოდან მეორეზე), მაგ., დედა, ფეხი, ათი, ვაშლი, მრდის, ნახა, უთხრა და მისთ., სამ-მარცვლიან სიტყვასაც პირველ მარცვალზე (ე. ი. ბოლოდან მესამეზე) მოუღის ოდნავი ხმის გაძლიერება, მაგ., სწყყალი, ობოლი, ქათამი, წავიდა, შეშინდა და მისთ..

სამზე მეტ-მარცვლიან სიტყვას ოდნავი ხმის გაძლიერება მოუღის მესამეზე ბოლოდან; მაგ., პარასკევი, მოჭრავი, ინდაური, მასწავლებელი, გოგებშვილი, გადაატანინა და მისთ. ვფიქრობთ, რომ ასეთივე ვითარება იყო ძველ ქართულშიც.

გამონაკლისი იყო ის შემთხვევები, როდესაც წინადადებაში გარეული იყო კითხვითი ნაწილაკი ა, რომელსაც მახვილი არ ჰქონდა, მაგრამ რომელ სიტყვასაც დაერთოდა, იმ სიტყვის მახვილს გადასწევდა თავის წინ: მაგ., არას მრუგებ, მაგრამ არას მიუგება? არა გესმის, მაგრამ არა გესმისა? მრვიდა, მაგრამ: მოვიდა? მოძღუარმან თქუენმან არა მოგუტყესა ხარკი? (მ. 17, 24); არა აღმოგიკითხვსა შჯულსა (მ. 12, 5) და მისთ..

### ორთოგრაფიული მოვლინები

15. **ჰ ბგერა.** ა) ჰ ბგერა ქართული ფუძის სიტყვებში არ გვხვდება, როგორც ფუძის შემადგენელი ნაწილი<sup>1</sup>, მაგრამ იგი გვხვდება ზმნის ფორმებში პირის ნიშნად (ამაზე მორფოლოგიაში).

ბ) ნასესხებ სიტყვებში კი ჰ ხშირად გვხვდება. ასეთებია, მაგ., ჰამბავი, ჰასაკი, ჰებრაელი, ჰურია, ჰელენე, ჰეროდე, აბრაჰამ, აპრონ და სხვ..

გ) ხშირია, რომ ჰ იკარგებოდეს: ასაკი, ებრაელი, ელენე, ეროდე და მისთ.

16. **ო და უ-ს მონაცვლეობა.** ძველი ქართულის ორთოგრაფია საზოგადოდ ძალიან კარგია, მაგრამ ზოგჯერ წერაში ო და უ ენაცვლება ერთმანეთს: მოსალოდნელია ო და დაწერილია უ, ან პირუტყუ: მოსალოდნელია უ და სწერია ო-მაგალითები სინური მრავალთავიდან:

ა) ო-ს ნაცვლად უ: უწუდიან 58, 17 (უწოდიან); ბურცუსა 68, 31 (ბორცუსა), თუმა 172, 20 (თომა).

ბ) უ-ს ნაცვლად ო: სოფევაჲ 138, 2 (სუფევაჲ); მოჭლნი 141, 13 (მუჭლნი). ღრობელთა 138, 14 (ღრუბელთა); ძოძოჲს 144, 18 (ძუძუჲს); ობრალო (250, 29) (უბრალო) და მისთ..

17. **4 ასოს ორთოგრაფია.** როგორც ვთქვით, 4 ჩვეულებრივ უი ჯგუფს გამოხატავს, მაგრამ

ა) ხშირია, რომ ვ უმარცვლო უნს გადმოსცემდეს: ტყვეობადმდე (მ. 1, 17); ტყვენიეთან (იქვე), თვალი (მ. 5, 29); წინაჲსწარმეტყველისა (მ. 2, 5) და მისთ..

<sup>1</sup> შეიძლება გამონაკლისი იყოს ჰარ ფუძე, რომლისაგან ნაწარმოებია ვი-ჰარ-ები („ვიტან-ჯები“), რომელიც ჩვეულებრივ ვ ი ა რ ე ბ ი-ს ფორმით გვხვდება.

განსაკუთრებით ხშირია ასეთი ორთოგრაფია ზოგ ხელნაწერში, მაგ., მარტვილის ოთხთავში (1050 წ.).

ბ) არის ამის საწინააღმდეგო შემთხვევები, რომ უ იყოს დაწერილი ვ-ს ნაცვლად: ეგუბტით, მ. 2, 15 (ეგუბტით); თუსი, მ. 3, 12; 7, 9 (თუსი); გუვის მ. 3, 9 (გუვის); სიტყუთა, მ. 4, 4 (სიტყუთა); შენთუს, მ. 5, 23 (შენთუს); ამის-თუს, მ. 6, 25 (ამისთუს); წუმამ მ. 7, 25; 7, 26 (წუმამ) და მისთ.

გ) აღსანიშნავია, რომ იერუსალიმური სკოლის მწერლები ორ ხმოვანს, რომელთაც დიფთონგური გამოთქმა ჰქონდათ, ხშირად მათი შემადგენელი ნაწილების მიხედვით წერდნენ: **ჟ**-ს ნაცვლად **ეა**-ს და **ჟ**-ს ნაცვლად **ჟი**-ს (სადაც **უ** უმარცვლოა). მაგალითები ჭილ-ეტრატის იადგრიდან (მე-10 ს.):

**ეა**: სიმდიდრეა, სიმძიმეა, მეზუერეა და მისთ.

**ჟი**: -თუის (დღისათუის, რომლისათუის), მშუიღობაა, მკუიღრნი, გუიღრ-გუინი, გუიქსნენ ჩუენ და მისთ.

18. **ორი ერთნაირი ბგერა ზედიზედ.** ორი ერთნაირი ბგერა (ხმოვანი თუ თანხმოვანი) ქართული სიტყვის ფუძეში საზოგადოდ არ გვხვდება, მაგრამ ჩვეულებრივია, რომ ერთად იყოს ორი ერთნაირი ბგერა, რომელთაგანაც ერთი მაწარმოებელია ან ნაწილია ზმნისწინისა თუ თანდებულისა; მაგალითები: დაავდო, დაამტკიცა, დაავიწყდა, შეეწყალა, შეეხო და მისთ. მამანი ჩუენნი, წიგნნი შენნი, სახლსა მისსა, ძესა იოსებისსა, ძეთა მათთა, ძმათა მათთუს, შევევარდი, ნურას გგლიან, მმარხველი და მისთ.

გამონაკლისის სახით ორი ერთნაირი თანხმოვანი გვხვდება თთუე-სა და ჩჩვლ-ში (აქედან: სიჩჩოა).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზედიზედ მოსული ორი ასოს ნაცვლად ზოგჯერ ერთი იყოს დაწერილი: სნეულებათაგან მათა (ლ. 6, 18=სნეულებათაგან მათთა); ნაყოფთაგან მათა (ლ. 8, 3=ნაყოფთაგან მათთა); მათებრ (მ. 23, 3=მათთებრ); მტერნი შენი (მრ. 12, 36=მტერნი შენნი) და მისთ.

## უძთარესი ფონეტიკური მოვლენები

### 19. უმარცვლო ი და მისი ხმარების შემთხვევები.

ა) უმარცვლო ი-ს ძველ ქართულში თავისი ნიშანი ჰქონდა (ა), რომელიც მოდიოდა დიფთონგის მეორე ნაწილად, მარცვლის ბოლოს. იგი ჩვეულებრივ გვხვდება სახელთა ფორმებში, მაგ., ხმოვანზე ფუძე-გათავებული სახელის სახელობით ბრუნვაში: მამამ, საქმემ (საქმე), კალომ, ცრუმ, აგრეთვე სიტყვის შუაში: რამთა, წყალობითა ღმრთისამთა და შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თევდორეასითა (ბეთლემის წარწ.), შევედით იურომსაგან ბქისა. დედამ იესუმსი და მისთ.

ბ) უმარცვლო ი დიფთონგის პირველ ნაწილად ჩვეულებრივ არ გვხვდება. თავიკდური ი, რომელსაც ხმოვანი მოსდევს, სრული ხმოვანია, მარცვლიანი. სადაც კი უნდა შეგვხვდეს ია, იე, იო და იუ (სიტყვის თავში იქნება, შუაში თუ ბოლოში), ყველგან ორ ხმოვანთან გვაქვს საქმე, რომელთაგანაც თვითეული მარცვალს ქმნის: იაკობ, იავარ-ყო, იესე, იერემია, იოჰანე (ან იოვანე), იოსებ, იუდა და მისთ.

გამონაკლისის სახით მ შეიძლება სიტყვის თავშიც შეგვხვდეს, მაგ., აესე, მაგრამ ჩვეულებრივია სრული ხმოვანი (იესე).

გ) თუ ი მაწარმოებელია ზმნაში (სათავისო ქვეყის ი, ვნებითი გვარის ი), იგი ი-დვე რჩება, მაშინაც კი, თუ წინიდან ზმნისწინის ხმოვანი დაუდგა: შეიწყალე, აღმოიღე, აღმოიკითხა, დაიწერა და მისთ..

იდუმალ სიტყვისაგან ნაწარმოებ საიდუმლოში ი ი-დვე რჩება. იშვიათია, რომ იგი მ-დ გადაკეთდეს (საიდუმლომ).

### 20. უმარცვლო უ და მისი ხმარების შემთხვევები.

ა) უმარცვლო უ-ს თავისი ნიშანი არ ჰქონდა ანბანში ძველად და ისე იწერებოდა, როგორც მარცვლიანი უ, მაგრამ ზუსტად შეგვიძლია დავადგინოთ, რომელია მარცვლიანი უ და რომელი უმარცვლო უ. ამაში გვშველის ზოგჯერ ახალი სალიტერატურო ქართული, სადაც ძველი უმარცვლო უ ვ-დ არის წარმოდგენილი.

ბ) უმარცვლო უ (უ) არ გვხვდება სიტყვის თავში, იგი მოსდევს რომელიმე თანხმოვანს და შეიძლება შეგვხვდეს სიტყვის შუაში და ბოლოში. სიტყვის შუაში იგი გვხვდება თანხმოვნის შემდეგ და ხმოვნის წინ ან თანხმოვნებს შორის, სიტყვის ბოლოში კი გვხვდება თანხმოვნის შემდეგ. მაგალითები:

თანხმოვნის შემდეგ და ხმოვნის წინ: გუარი, თული, წუერი, გუერდი, ტუინი (ტუნი), წუიმს (წუჰს) და მისთ.

თანხმოვნებს შორის: გურიტი, ვარსკულავი, ნაძუთა, მოძღურისა და მისთ.. სიტყვის ბოლოს: ნაძუ, თავუ, მასუ, არქუ და მისთ.

ვ) თუ ფუძე შეიკუმშა და უმარცვლო უ-ს მომდევნო ხმოვანი ამოღებულ იქნა, უმარცვლო უ მაინც უმარცვლოდ დარჩება, თუ ამას ხელს არ უშლის ფონეტიკური ვარემო; მაგ., გვაქვს ზმნის ფორმები: მოვ-კუედ, მოჰ-კუედ, მაგრამ მო-კულ-ა, მ-კულ-არი, მო-კულ-ავი, უ-კულ-ავი. ოთხი უკანასკნელი სიტყვა შეკუმშულია, რადგანაც ამოღებულია ხმოვანი ე, რომელიც მოვკუედ და მოჰკუედ ფორმაში ჩანს, მოკულ-ა-სა, მკულარ-სა, მოკულად-სა და უკულად-ში ე-ს წინ მდგომი ხმოვანი უ უმარცვლო იყო და უმარცვლოდვე დარჩა სიტყვის შეკუმშვის შემდეგ. ასეთივე მაგალითებია: ღუაწლი, იღუაწა, მაგრამ იღუწის, ღუწოლა.

გოდოლ, ობოლ, გოდორ და ჰოროლ სახელების შეკუმშვის შედეგად უნდა მიგვედო უმარცვლო უ მეორე ო-ს ადგილას, მაგრამ იგი იკარგება ბაგისმიერი ბგერების მეზობლობაში (გოდლისა, ობლისა, გოდრისა, ჰორლისა): გოდოლსა, გოდორსა და ჰოროლში ხმოვანი უ იკარგება ო-ს გამო; ხოლო ობოლში უმარცვლო უ-ს დაკარგვაში ო-ს გარდა ბ-ც იღებს მონაწილეობას.

ღ) უმარცვლო უ შეიძლება დაიკარგოს თანხმოვნებს შორის მომდევნო ბაგისმიერი თანხმოვნის გავლენით; მაგ., გვაქვს: თქუა, თქუმა, თქუმული, სათქუმელი, მაგრამ აგრეთვე: თქმული, სადაც უმარცვლო უ დაკარგულია მომდევნო მ-ს გავლენით; გვაქვს ჭუარს-ცუმული-ცა და მისგან მიღებული ჭუარს-ცმული-ც, სადაც იგივე მოვლენაა, რაც თქმულ-ის შემთხვევაში. ასეთივეა აგრეთვე იკუმევის და იკმევის; შუერ ფუძისაგან გვაქვს: დავშუერ: შურების, შურომაა, მაგრამ აგრეთვე შრომაა (აქ წინამავალი უ, უბრჯუდ ქცეული, დაიკარგა მომდევნო ო-ს გავლენით).

ე) ჩვეულებრივია უმარცვლო უ-ს დაკარგვა მომდევნო ო-ს წინ, მაგ., ვიტყუი (ვიტყუ), მაგრამ ვიტყოდე; წარუძღუა წარჰძღუე, მაგრამ წარძღოლა; ლედუი (ლელუ), მაგრამ ლელოვანი, მოგუ-საგან გვაქვს: მოგუება-ცა და მოგობა-ც; აქ პირველ (მოგუება) შემთხვევაში შენახულია უმარცვლო უ, ხოლო მეორე შემთხვევაში (მოგობა) იგი დაკარგულია მომდევნო ო-ს გამო.

ვ) უმარცვლო უ მომდევნო ი-სთან შეერთებით ჯ-ს გვაძლევს: ნაძუ, მაგრამ ნაძვ, ნაძუსა, ნაძუთა; სიტყუაა, მაგრამ სიტყუსა, სიტყუთა და მისთ.. ჯ-ს ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს უი: ნაძუისა, ნაძუითა, სიტყუისა, სიტყუითა, ამისთვის და მისთ., რაც უფრო იერუსალიმურსა და სინას მთის ხელნაწერებში გვხვდება.

ზ) უმარცვლო უ შეიძლება სრული ხმოვანი გახდეს და მარცვლიანობა შეიძინოს, თუ მას არ ახლავს ხმოვანი და მარტო დარჩა ერთ-მარცვლიან სიტყვაში. მაგ., მასუ მე წყალი (ი. 4, 7). აქ უ უმარცვლოა, მარცვალს ქმნის წინამავალი ა; უმარცვლოა იგი მასუ ა-სა და სუ ა-შიც, სადაც მარცვალს მომდევნო ა ქმნის. „მასუ“ ბრძანებითა, ბრძანებითა აგრეთვე „სუ“ ამ წინადადებაში: განისუენე, ჰამე, სუ და იხარებდ (ლ. 12, 19), ოღონდ ამ „სუ“-ში უ მარცვლი-

ანია. იგივეა ამ ფორმის მრავლობით რიცხვშიც: ს უ თ ამისგანი თქუენ ყოველთა (მ. 26, 27). სხვა მაგალითი: გვაქვს თქუა, თქუეს, მიქუმელი, სადაც უ უმარცვლოა ყველგან. მაგრამ ამით გვერდით მოგვეპოვება აგრეთვე „თქუ“ და „თქუთ“, სადაც უ მარცვლიანია: თქუ, რაათა ქვანი ესე პურ იქმნენ (მ. 4, 3 C); მოიკითხეთ იგი და თქუთ (მ. 10, 12).

შ) უმარცვლო უ ჩვეულებრივ არ გვხვდება დიფთონგის მეორე ნაწილად. ბერძნულ-ლათინურიდან ნასესხებ სიტყვებში au eu iu დიფთონგების ნაცვლად გვაქვს შესაბამისად ავ, ევ, ივ: პავლე, სავლე, ევსტათი, ევსებიოს, ივლიანე, ივლით. ასეთივე მაგალითია რავდენი, რომელიც მიღებულია რაუდენ-ისაგან, ეს კი რაოდენ-ისაგან (დასუსტების გამო ო უბრჯგულ იქცა, ამას კი შეენაცვლა ვ).

თ) გამონაკლისის სახით შეიძლება ავ შეგვხვდეს თითო-ორიოლა სიტყვაში, როგორცაა: თავყანის-სცეს (ბოლნისის წარწ.), ხშორაჲს (ხანმ. ლექც.), წარაჲ-ლინნეს (იქვე), პავლჲსი (იქვე).

### 21. ვ ბერის ცვლილებანი.

ა) თუ ვ ბგერა ყ, ხ, ჰ ბგერების შემდეგ აღმოჩნდა და მოსდევს ხმოვანი, იგი უმარცვლო უ-დ გადაიქცევა: მოვალს, მაგრამ მოხუალ; მოვედ (ბრძან. კილოს ფორმა), მაგრამ მოხუედ (თხრობითი კილოს ფორმა); მოვიდეს, მაგრამ მოხუიდეს (მოხვდეს) და მისთ.

ბ) თუ 1-ლი სუბ. პირის ნიშანი ვ გადაისვა მე-3 ობიექტური პირის ნიშნის შემდეგ (ე. ი. ჰ ან ხ-ს შემდეგ), იგი უმარცვლო უ-დ გადაიქცევა. მაგალითად, გვაქვს: დარღვეთ ტაძარი ეგე და მესამესა დღესა აღჰჰმართო ეგე (ი. 2, 19 C), სადაც 1-ლი სუბიექტური პირის ნიშანი არ არის გადასმული. მაგრამ ამის პირისპირ მოიბოვება იმავე აღმართვა ზმნის აღჰჰმართო ფორმაც: ესე ჭუარი ქრისტჲსი მე კოსტანტი აღჰჰმართო ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა (წყისის წარწ.), სადაც სუბ. ნიშანი ვ გადასმის შედეგად უმარცვლო უ-დ არის ქცეული. ასეთივე მაგალითებია: მე თათვარაჲ აღხუმართე ესე ჭუარი (უკანგორის წარწ.); მე ფარნ... და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი (ბოლნისის წარწ.); აღხუაგზენ ცეცხლი (იერ. 17, 27 ხანმ.).

მსგავსი ვითარებაა ახუსება-ში, რომელიც ხანმეტ ლექციონარში გვხვდება: დღესა ახუსებასა მწუხრი. უნდა ყოფილიყო: დღესა აღვსებასა, მაგრამ მომდევნო ს-ანის გავლენით დ დაყრუვდა და ხ-დ იქცა, ხოლო ვ ხ-ანის შემდეგ უმარცვლო უ-დ გადაკეთდა.

რთულ თავყანის-ცემა ზმნაში ვ უმეტესად გადასმულია ყ-ს შემდეგ და უმარცვლო უ-დ არის ქცეული: თავყანის-სცემდა მას და ეტყოდა (მ. 8, 2). არის შერეული ფორმაც: თავყანის-სცემდა და ითხოვდა რასმე (მ. 20, 20 C).

გ) 1-ლი სუბ. პირის ნიშანი იკარგება ყოველთვის ვალს ზმნაში: ვალ, ხუალ, ვალს, მაგ., ვიცი, ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ (ი. 8, 14).

ეგვე 1-ლი პირის სუბ. ნიშანი ვ შეიძლება დაიკარგოს ვინით დაწყებული სხუა ზმნების წინაც: მაგ., განვლეთ ჩუენ ცეცხლი და წყალი (ფს. 65, 12; მოსალოდნელი იყო განვლეთ).

დ) 1-ლი სუბ. პირის ნიშანი ვ იკარგება ზმნაში უ-ს წინ, იქნება ეს უ ფუძი-

სეული თუ სასხვისო ქცევის მაწარმოებელი; მაგ., არა ვიცი, არცა უწყი, არასა-ეგე იტყვ შენ (მრ. 14, 68). აქ უწყი ფორმაში უ ფუძისეულია. სამაგიეროდ ქვემოთ მოყვანილ ფორმებში უ სასხვისო ქცევის ნიშანია: ყამსა მკისასა უბრძანო მომკალთა (მ. 13, 30); მამასა უყუარ მე (ი. 10, 17); ვითარცა ჩუენ მიუტევებთ (მ. 6, 12).

ე) ავ და ევიან ზმნებს ეკარგებათ ვ მომდევნო უ-ს გამო ვნებითი გვარის მიმღობაში: დამარხვაჲ — დამარხული (დამარხვულის ნაცვლად), დახატვაჲ — დახატული, დამალვაჲ — დამალული, კურთხევაჲ — კურთხეული და მისთ..

გვაქვს სწავლაჲ, სწავებაჲ, მაგრამ აგრეთვე სასწაული, სადაც ვ დაკარგულია მომდევნო უ-ს გამო.

ვ) ავ, ევ, ივ და ივიან ზმნებს შეიძლება დაეკარგოს ვ მომდევნო ო-ს გავლენით: ზუეჲ: ჰზუაობჲ; თხოვ — თხოოთ, ითხოონ, პოვ — პოოს, პოონ; ტევ — განუტეო, დაუტეოს; რევ: ვერევი, მაგრამ ვერეოდე (ვერევოდეს ნაცვლად); ყივ — ყიოდა; ტკივ — სტკიოდა; ცრემლოვ — ცრემლოოდა და მისთ.. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად გვხვდება ფორმები, სადაც ვ თავის ადგილზეა: ითხოვოს, პოვოს და მისთ..

ზ) გვაქვს ცხოველი, ცხოვარი და ცხოვრებაჲ, მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვეულებრივია აგრეთვე ცხოვრებაჲ, სადაც ვ დაკარგულია წინამავალი ო-ს გავლენით.

შ) წინამავალი ო-ს გავლენით დაკარგულია ვ აგრეთვე მაჯსოს ფორმაში (ამის ნაცვლად: „მაჯსოვ“, რომელიც გვხვდება აგრეთვე). მსგავსად ამისა, გვაქვს მაჯსოთ და მაჯსოვთ (ფილიბ. 1, 7).

თ) ვ ბგერა იკარგება მომდევნო ო-ს გავლენით: ვშევ, ჰშევ, შვა, მაგრამ შობაჲ (<შეობაჲ); წევს, წვა, მაგრამ წოლაჲ (<წვოლაჲ); მყავს, მაგრამ ყოლაჲ.

ი) რიცხვითი სახელი რვაჲ ყოველთვის ვ-ინით იწერება, მაგრამ ათ-რვა-მეტ-ში ვ შეიძლება გადმოისვას. ამის შედეგად თავს იყრის სამი თანხმოვანი თვრ და ვ-ინი შეიძლება უმარცვლო უ-ნად გადაკეთდეს: ათურამეტი.

ია) ვიყავ, იყავ, მაგრამ იყო (<იყვა). ამ ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმა მე-3 პირისა არის იყვენეს. მაგრამ ზოგჯერ (უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებში) იყუნეს ფორმაც გვხვდება, რაც იმით აიხსნება, რომ ვ ორ თანხმოვანს შორის მოხვდა, რომელთაგანაც პირველი ყ-

## 22. ვ ბგერა თანხმოვნის შემდეგ.

ა) თუ ვ ფუძისეული ბგერაჲ და ეს ფუძე შეიკუმშა და ვ თანხმოვნის შემდეგ აღმოჩნდა, იგი ვ-დვე დარჩება; მაგ., გვაქვს: ვშევ, ჰშევ, შვა, შვეს, შვილი; აქ შვ კომპლექსი შევ ფუძის შეკუმშვის შედეგია.

ბ) ავ-იან ზმნათა საწყისის ა წინამავალ ხმოვანს ამოიღებს და ზმნის ფუძეს შეკუმშავს, რის გამოც ვ უშუალოდ თანხმოვნის შემდეგ აღმოჩნდება, მაგრამ მას არა მოუვა რა: ვმაღავ — მაღვაჲ, ვხატავ — ხატვაჲ; ვპმარხავ — მარხვაჲ, ვსტანჯავ — ტანჯვაჲ და მისთ..

გ) მსგავსივე მოვლენა ავ-იან ზმნათა აწმყოს მე-3 სუბიექტური პირის მრ. რიცხვის ფორმაში: ვმაღავ — მალვენ; ვხატავ — ხატვენ, ვჰმარხავ — ჰმარხვენ, ვსტანჯავ — სტანჯვენ და მისთ..

დ) ვ ბგერა ხშირად იხმარება ძველ ქართულში, მაგრამ იშვიათია, რომ იგი თანხმოვნის შემდეგ უშუალოდ მოდიოდეს და თანაც სიტყვა შეუკუმშული იყოს. ჩვეულებრივ იგი მაშინ გვხვდება თანხმოვნის შემდეგ, თუ სიტყვა შეკუმშულია (მაგ. ვკლავ — მკლველი და მისთ.), მაგრამ მოიპოვება რამდენიმე სიტყვა, რომლებშიც ვ თანხმოვნის შემდეგ არის, მაგრამ არ ჩანს, რომ ეს შეკუმშვის შედეგი იყოს. ასეთი სიტყვებია: ადვილი, ზღვარი (საზღვარი); იანვარი, ფებერვალი, პირველი, რვაა, რვალი, საფუძველი, ქართველი, ქველი (ქველის საქმეა, ქველის მოქმედი), ყველი, ცვალება (ნაცვალად), წვალება (განწვალება), წყვილი, ხვალე, ჯინჰველი.

23. ასიმილაცია. ძველ ქართულში უმეტესად ნაწილობრივი ასიმილაცია გვხვდება, სრული იშვიათია.

ა) გვაქვს გონება, გონიერი, მაგრამ ამასთანავე ერთად უგუჟურიც, რომელიც მიღებულია უ-გონ-ურ-ისაგან (სრული ასიმილაცია).

ბ) შედ ზმნის ფუძისაგან შეკუმშვისას შედ გვაქვს, რომელიც და ზმნისწინით ხმარებისას და შედების ფორმას გვაძლევს (და გ შედების თქუენ სახლი თქუენი ოჯერი, მ. 23, 38 C). უმეტესად კი ნაწილობრივ მიმსგავსებას აქვს ადგილი: შ-ს გავლენით დ-დ იცვლება: დამთა იგი, დავთი მე.

გ) შე და და ზმნისწინებმა შეერთებით (შედა>) შედა უნდა მოგვეცეს, მაგრამ ამის ნაცვლად შთა გვხვდება, სადაც შ-ს გამო მომდევნო დ-დ არის ქცეული: შთაავლო, შთასადებელი, შთავიდა, შთავარდების, შთასახა, შთახედა, შთაჯდა და მისთ. შემდეგ და შემდეგ ეს შთა თანხმოვანთა შერწყმის გამო ჩა-ს გვაძლევს. მაგ., გ. მთაწმიდლის ენაში ძველი შთა-ც არის და ახალი ჩა-ც: შთამოვიდა, შთამაგდებენ, შთავიდა, შთავრდომად; ჩამოვიდა, ჩამოვიდით, ჩამოიტანა.

შერწყმის გზით ჩ-ს გვაძლევს აგრეთვე თშ „ხუთშაფათ“ სიტყვაში, რომლის ნაცვლად იერუსალიმის განჩინების ტექსტში ხშირად ხ უ ჩ ა თ ა თ ი იკითხება.

დ) შდობა ზმნისაგან II სერიის მწკრივთა ფორმები შე ზმნისწინით ასე კეთდება: შეაშდევს (მრ. 4, 7 C), შეაშდვის (მ. 13, 22 C). მაგრამ უმეტესად ამ ფუძის დ ნაწილობრივ ასიმილაციას განიცდის: შ-ს გავლენით იგი მქლერობას კარგავს და თ-დ იქცევა: შეაშთობდა (მ. 18, 28), შეაშთვის (მ. 13, 22 DE).

ე) რთულს „ღაღად-ყო“ ზმნაში ხშირად დ მომდევნო ყ-ს გავლენით ტ-დ იქცევა: ღაღატ-ყავ, ღაღატ-ყო (ამათ ნაცვლად: ღაღად-ყავ, ღაღად-ყო). რათქმა უნდა, უასიმილაციო ფორმებიც გვხვდება.

ვ) ესოდენ-ში თუ ი ამოღებულ იქნა, დ აღმოჩნდება ს-ს უშუალო მეზობლობაში, ნაწილობრივ მიემსგავსება მას და ეს თ ე ნ-ს მივიღებთ: ესთენ ეამ თქუენ თანა ვარ (ი. 14, 9 C).

ზ) ჩვეულებრივია, რომ საჯ ფუძისაგან შეკუმშვის შედეგად მივიღოთ ს ჯ ა,

ს ჯ უ ლ ი, დ ა ს ჯ ა, დ ა ს ჯ ი ლ ი, მაგრამ ამათ პარალელურად გვაქვს აგრეთვე ნაწილობრივი ასიმილაციით მიღებული ფორმები: შჯა, შჯული, დაშჯა, დაშჯილი, სადაც ჯ-ს გავლენით წინამავალი ს შ-დ იქცა; მაგალითი: ნუ შჯით, რაათა არა დაისაჯნეთ, რამეთუ რომლითა საშჯელითა შჯიდეთ, მითცა დაისაჯნეთ (მ. 7, 1 — 2); შჯიდ სოფლისა ამის მოსრულ ვარ (ი. 9, 39); უკუეთუ ვშჯიდე მე, საშჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს (ი. 8, 16).

შ) ამასთანავე ერთად ჩვეულებრივია, რომ საჯ ფუძის შეკუმშვისას წინამავალმა ს-მ დააყრუოს უშუალოდ მომდევნო ჯ და მივიღოთ ხჩ, რომელიც შემდგომი ფონეტიკური ცვალების გამო რჩ-ს მოგვცემს: რჩული, დარჩა, დარჩილი; დიდი რჩულის კანონი, გიორგი მერჩულე.

თ) ხდება აგრეთვე მე-2 სუბიექტური პირის ნიშნისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნის ნაწილობრივი მიმსგავსება მომდევნო ჰ, ჯ, ჩ ბგერებთან: შჰამთ და ჰსჰამთ (მრ. 2, 16); შჰამდეთ და ჰსჰამიდეთ (ლ. 22, 30); დაშჰრიდენ ჯრმლებსა მათსა საკნისებად (მიქია 4, 3); დაშჯედ; შჩან („ჩანხარ“); გა-მოშჩნდი.

24. დისიმილაცია. ა) ჩვეულებრივია, რომ, თუ ერთ სიტყვაში ორი რ არის, ერთი მათგანი ლ-დ იქცეს. ამას ადგილი აქვს როგორც საკუთრივ ქართულ სიტყვებში, ისე სხვა ენათაგან ნასესხებ სიტყვებში: მარგალიტი (μαργαριτης), მარტული (μαρτυα, -ρια) და სხვა. გვაქვს იერ-ზე გათავებული სახელები: მშიერ-ი, ძლიერ-ი, მაგრამ ამასთანავე ჯორციელ-ი, წყურიელ-ი; გვაქვს მცონარე-ა, მდინარე-ა, მაგრამ ამასთანავე მკურვალე-ა, მბრწყინვალე-ა; გვაქვს მხატვარ-ი, მთესვარ-ი, მაგრამ ამასთანავე მკურნალი-ი; გვაქვს უჯუნურ-ი, მაგრამ ამასთანავე უფსკრულ-ი და მისთ..

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ დისიმილაციას განიცდის მეორე რ: \*მარგარიტი-ი > მარგალიტი-ი; \*ჯორციერ-ი > ჯორციელ-ი; \*მკურვარე-ა > მკურვალე-ა; \*მკურნარ-ი > მკურნალ-ი; \*უ-ფსკრ-ურ-ი > უფსკრულ-ი (ფსკერის უქონელი) და მისთ..

ბ) მოიპოვება მაგალითები, სადაც პირველი თანხმოვანი იცვლის სახეს: სულნელ-იც გვხვდება და სურნელი-ც (აქედან სურნელება); წულილ-ის ნაცვლად ძველი ქართულის მოგვიანო ხანის ხელნაწერებში გვხვდება წულილი. სადაც პირველი ლ არის შეცვლილი. პირველი ლ არის ქცეული რ-დ მოსრულშიც, რომელიც მიღებულია მოსლ(ვ)ულ-ისაგან.

25. დისიმილაციური გამჟღერება. თუ სიტყვაში ორი ყრუ მკვეთრი ბგერა არის, შეიძლება ერთი მათგანი გამჟღერდეს. მჟღერდება ჩვეულებრივ პირველი. ამის მაგალითებია: ებისტოლე-ა (ეპისტოლეა), ებისკოპოსი (ეპისკოპოსი), კაბარჭი (კაპარჭი). რაც შეეხება ჭაბუქს (ჭაბუქის პარალელურ ფორმას), იგი შეიძლება სპარსული ენის ისტორიული განვითარების შედეგი იყოს.

26. **გადასმა.** ა) ჩვეულებრივია ნესტუ-ი (ნესტვ), მაგრამ გვხვდება აგრეთვე ნესტუ-ი, სადაც უ უმარცვლოა: ნესტსა დაეცით თავსა თთუეთასა (უღაბნოს მრ.), ტარსუნელისა მის ნესუტისა (პეტრიწ. ტიპიკ.).

ბ) ქმარსა და ძმარ-ში შეკუმშვისას ზოგჯერ გადასმულია რ: ქრმისა, ქრმი-თა; ძრმისა, ძრმი-თა; რ ზოგჯერ გადასმულია აგრეთვე კრმალ სიტყვაში, როცა ის შეკუმშულია: რქმლები.

გ) ჩვეულებრივია დადგრომა-ე, მაგრამ ხშირად რ-აეს გადასმას აქვს ადგილი: დადრგომა-ე. ასეთია აგრეთვე ნაცვლად ძლიერისა ძრიელი, სადაც ერთიმეორის ადგილას გადასმულია ლ და რ. ასევეა უძრული (ნაცვლად უძლური-სა) და უძრულდება.

დ) გადასმული ჩანს ე ღმერთ სიტყვისაგან ნაწარმოებ ღმრთებერ-სა და ღმრთებება-ში.

ე) გვხვდება გადასმა მე-2 სუბ. პირის ნიშნისა: მიპრბიოდე-ს ნაცვლად მიპრპბიოდე. „მდაბალ“ სიტყვისაგან გვაქვს ნასახელარი ზმნა, რომლის წყვეტილში მეორე სუბიექტური პირის ფორმა იქნება დ ა მ ს და ბ ღ დ ი (ნაცვლად ამისა: დაჰმდაბლდი). რაკი პირის ნიშანი გადაისვა, ჰ-აეს ნაცვლად ს გაჩნდა, რომელსაც მოითხოვს დ-ონით დაწყებული ზმნის ფუძე.

ვ) ახ. ქართულში ჩვეულებრივია, რომ ლ, ნ და რ-ზე გათავებულ კუმშვად ფუძეში გადაისვას ავ-იან ზმნათა ვ: ვკლავ, — კვლა, ვხნავ — ხვნა, შევკრავ — შეკვრა და მისთ.. ძველმა ქართულმა ამნაირი რამ არ იცის, იქ გადასმა არ ხდება. მაგალითები: ვკნავ — კვნავ, მკნველი; მოვკლავ — კაცის კლავ, კაცის მკლველი; შევკრავ — შეკრავა, შემკრველი და მისთ.

ზ) ჩვეულებრივია ვინის გადასმა თავყანის-ცემაში (თაყუანის ცემა, § 21 ბ), აგრეთვე გადასმა 1-ლი პირის სუბ. ნიშნისა მე-3 ობ. ნიშნის შემდეგ: \*შევხაბთ (>შეხუბათ); აღვპმართე > აღჰუმართე და მისთ. (§ 21 ბ); გადასმულია რ ათურამეტში (§ 21 ი).

თ) რაც შეეხება სლვა-ს, აქ ს — ა პრეფიქს-სუფიქსი ძველი საწყისის ნიშნებია (როგორც ს-რბ-ა-ში). რჩება ლვ, სადაც ვ გადასმულია ავ-იან ზმნათა ანალოგიით.

იშვიათად სულა-ც გვხვდება (მოსულა-ე), სადაც ვ უმარცვლო უნად არის ქცეული ორ თანხმოვანს შორის და სადაც თანხმოვანთა პირვანდელი რიგია აღდგენილი (სგლა>სულა). მ ო-ს რ უ ლ-ი მიღებულია მოსლულ-ისაგან, სადაც ვ დაიკარგა უნის წინ, ხოლო ლ—ლ დისიმილაციის ძალით რ—ლ-დ იქცა.

27. **დაკარგვა.** იკარგება ლ ილ-ზე გათავებულ სახელების ვითარებით ბრუნვაში: იწყო ტირილდ > იწყო ტირიდ, ადგილი — ადგიდ და მისთ..

იკარგება ნ მომდევნო ს-სთან თანხმოვანთა თავმოყრის გამო: აქუნს > აქუს; მიჩნს > მიჩს.

იკარგება იგივე ნ ქ მ ნ ა ზმნის აწმყოში: ექმენ, ჰქმენ, ქმნა, მაგრამ ექმ, იქმ, იქმს. ნ დაიკარგა თანხმოვანთა თავმოყრის გამო; იგი არ ჩანს აგრეთვე სსა-ქმე-ში და სა-ქმ-არ-ში.

იკარგება 1-ლი პირის ობ. ნიშანი მ, თუ ზმნა იწყება მ-თი და ორი მ არის მოსალოდნელი ზედწოდ: მოირტყენ და მსახურებდ მე (ლ. 17, 8); გმშის, მაგრამ: მშოილა და არა მეციოთ მეჭამადი (მ. 25, 42).

უმარცვლო უ-ს დაკარგვის შემთხვევები ნ. § 20 გ — მ.

28. განვითარება. ა) ხშირია ვ ბგერის განვითარება ო-ს შემდეგ ება სუფიქსის წინ: სათნოებამა, სარწმუნოებამა, სიწორფოებამა, იწროებამა, უცხოვებამა და მისთ.. ვ-ჩაურთველი ფორმებიც ჩვეულებრივია.

ბ) შეიძლება ვ განვითარდეს ორ ო-ს შორის: უღმრთოვო, უშეულოვო, ან უ-ს შემდეგ ე-ს წინ: სიცრუევამ.

გ) შეიძლება ვ განვითარდეს აგრეთვე უკვეცელი უ-ს შემდეგ და სახელი გადავიდეს თანხმოვან-ფუძიანთა რიგებში: ძუმა>ძუვი (ლომისა ძუვისამ), ყრუმა>ყრუვი.

დ) ოვა ჯგუფი ხშირად ოა-დ არის ქცეული: მთოვარემა>მთოარემა, მკცოვანი>მკცოანი და მისთ.. ამათ მიხედვით ბერძნულიდან ნასესხებ სტოა-ში ზოგჯერ ვ არის განვითარებული: სტოვამა.

ე) შეიძლება რ განვითარდეს ბჟე-სა და ბჟობა-ში: ბრჟემა, ბრჟობამა.

ვ) თ არის განვითარებული ზოგჯერ მუნქუესევე-ში: მუნთქუესევე.

29. შერწყმა. ა) აუ კომპლექსი ო-დ არის ქცეული დედოფალ-ში (დედაუ-ფალი>დედოფალი). გვხვდება დედუფალი-ც.

ბ) შთ კომპლექსი შერწყმის შედეგად ჩ-ს გვაძლევს: შთავიდა>ჩავიდა (ეს ხდება მოგვიანო ხანის ძეგლებში).

გ) ძს რომ ც-დ იქცევა, ესეც შერწყმის მაგალითია: თანა-მაც (<თანა მამს), ზედა-მაც (<ზედა მამს), ძალ-მიც (<ძალ-მიძს) და მისთ..

დ) უა ჯგუფი ძველ ქართულში საზოგადოდ არ განიცდის შერწყმას. გა-მონაკლისია მქონან, რომელიც მიღებულია \*მქუნან ფორმისაგან.

30. კუმშვა. ძველ ქართულში ჩვეულებრივია სიტყვის შეკუმშვა, რაც ხმოვნის ამოღების გამო ხდება. ხმოვანთაგან შეიძლება ამოღებულ იქნეს ა ან ე და სიტყვა ერთი მარცვლით შემცირდეს (სინკოპე): მართალი — მართლ-ისა; სოფელი — სოფლ-ისა; სენ-ი — სნე-ულ-ი და მისთ.. მაგრამ, თუ ამოღებულ იქნა ო ან უ, მათ ადვილას უმარცვლო უ გაჩნდება: ნიგოზი — ნიგუზისა. მაგრამ ეს უმარცვლო უ დაიკარგება, თუ მას უსწრებს ან მოსდევს ბავისმიერი ბგერა (ხმოვანი ან თანხმოვანი): ობოლი — ობლისა, გოდოლი — გოდლისა, ჰოროლი — ჰორლისა, შურდული — შურდლისა.

კუმშვის შედეგად რაოდენი რავდენად კეთდება. ეს იმიტომ, რომ უნდა ყოფილიყო რაუდენი (უმარცვლო უ-თი), მაგრამ უმარცვლო უ-ს ასეთ ვითარებაში ყოველთვის ე ვენაცვლება (მაგ., პაულე>პავლე).

ესოდენი კი შეკუმშვის შედეგად ესთენს გვაძლევს (უნდა მოეცა ესუდენი, მაგრამ უმარცვლო უ დაიკარგა და ს-მ დააყრუა უშუალოდ მომდევნო დ).

31. **კუმშვის მიზეზი.** ხმოვნის დასუსტება და მისი უმარცვლოდ ქცევა ან მისი სრული ამოღება (სინკოპე) მაშინ ხდება, როცა ფუძეს ბოლოდან ერთვის ისეთი ელემენტი, რომელიც ხმოვანია ან ხმოვნით იწყება. დასუსტდება (ან სრულიად ამოიღება) მხოლოდ ის ხმოვანი, რომელიც უახლოესია ამ დართულ ელემენტთან, ე. ი. ფუძის უკანასკნელი ხმოვანი. მაგალითისთვის ავიღოთ **ტაძარ** სიტყვა და ვნახოთ, რა შემთხვევაში იკუმშება იგი.

იანხმოვნით დაწყებული სუფიქსები (ფუძე შეუკუმშავია):	ხმოვნით დაწყებული სუფიქსები (ფუძე შეკუმშულია):	სუფიქსის დასაწყისი ხმოვანი
ტაძარ	ტაძრ-ად	ა
ტაძარ-მან	ტაძრ-ებ-ი	ე
ტაძარ-სა	ტაძრ-ისა	ი
ტაძარ-ნი	ტაძრ-ითა	ი
ტაძარ-თა	ტაძრ-ობაჲ	ო

აქედან ჩანს, რომ, როცა სიტყვის ფუძეს თანხმოვნით დაწყებული სუფიქსი ერთვის, მაშინ ფუძე არ იკუმშება, მაგრამ, როცა ხმოვნით დაწყებული სუფიქსი ერთვის, მაშინ შეიკუმშება. შეკუმშვისას ყოველთვის ფუძის უკანასკნელი ხმოვანია ამოღებული ან დასუსტებული.

შეკუმშვის ძალა არ შესწევს ორი ბრუნვის ნიშანს, სახელობითის **ი-ს** და წოდებითის **ო-ს**: ტაძარ-ი, ტაძარ-ო. ეს იმით აიხსნება, რომ ეს ნიშნები დართულია მას შემდეგ, რაც დამთავრდა სიტყვათა შეკუმშვის წესების შემუშავება ძველის-ძველ ქართულში.

კუმშვა ხდება სახელებშიც და ზმნებშიც. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სახელებში კუმშვას იწვევს მხოლოდ სუფიქსი, ზმნებში კი — სუფიქსიცა და პრეფიქსიც. მაგალითები: სენ-ი — სნულ-ი, ბრძენ-ი — ბრძნისა, სთესავს — სთესვენ, ესავს — ესვენ; ჯამს — მიკმს, გიკმს, უკმს; დგას — მიდგს, გიდგს, უდგს, მადგს; ძეს — \*მიძს, \*გიძს, \*უძს, \*მამძს, რომელთა ნაცვლად შერწყმის გზით მიღებულია: მიც, გიც, უც, მაც (ძალ-მიც, ძალ-გიც, ძალ-უც), მაც (თანა-მაც, თანა-გაც, თანა-აც); ჩანს — მიჩნს, სათნო-მიჩნს, **ნ-არის** ამოღების შემდეგ მიჩს (სათნო-მიჩს; II კორ. 12, 10); მაქუს (<მაქუანს), მაქუნდა.

სდგ (ბრძ. დგე), მაგრამ შეუდგ (კეთილთა მოძღურებითა, რომელსა შეუდგ, I ტიმოთ. 4, 10). მაგრამ: შეუდგე, I ტიმოთ. 6, 11 (ბრძან.). ნუუყუე სახლებ არა გიდგს ჭამად და სუმაღ? (I კორ. 11, 22); არა მიკმ შენ (I კორ. 12, 21). შეკუმშვას არ უშლის ხელს სავრცობი **ღ**: ჯამ-ს, მაგრამ ჯმ-და; ჩანს, მაგრამ ჩნდა. შეკუმშვას ფართო გამოყენება აქვს ზმნის ფორმებში.

32. **კვეცა.** კვეცას ვეძახით, როცა სახელის ფუძის ბოლო ხმოვანი იკარგება მომდევნო სუფიქსის გამო: დედაჲ — დედისა, საქმეჲ (საქმე) — საქმისა, ღვწოჲ — ღვწისა და მისთ..

33. **ბგერათა მონაცვლეობა.** გვაქვს ქორწილ-ი, მაგრამ ამასთან ერთად ქორწინ-ი, ქორწინებაჲ, საქორწინე-ჲ; შუენ-იერი და უ-შუერ-ი; კშირი და ყშირი, დაეკსა და დაეკშა, სი-ზმარი-ი და ზმან-ებაჲ (ნუ ისმენთ სიზმართა თქუენთა, რომელ თქუენ გეზმანებიან, იერ. 29, 8).

34. **პარალელური ფორმები.** მოიპოვება პარალელური ფორმები: იწრაფა და ისწრაფა (აქედან მწრაფლ და მსწრაფლ), მარჯუნაჲ და მარჯუნეჲ, მარცხენაჲ და მარცხენეჲ, ყულროჲ და მყულროჲ, ქვშაჲ და მქვშაჲ, კრწნაჲ და ზრწნაჲ (უკრწნელი და უზრწნელი), ურთიერთას (უძველეს ძეგლებში) და ურთიერთარს (მოგვიანო ხანისაში). ზმნის ფუძეა **ფუც**, სახელისა კი — **ფიც**: ფიცით, რომელ ეფუცა აბრაჰამსა, მამასა ჩუენსა, მოცემად ჩუენდა (ლ. 1, 73).

35. **ბერძნულ ბგერათა გადმოცემისათვის:** ა) ბერძნული η ბგერის შემცველი სიტყვები პირველ ხანებში ე-ს გვიჩვენებენ (ამენ, დემეტრე)<sup>1</sup>, შემდეგ კი (განსაკუთრებით X საუკუნიდან) — ი-ს (ამინ, დიმიტრი), თანახმად თვით ბერძნულში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებისა.

ბ) ბერძნული ან ბერძნული გზით შემოსული ომეგიანი სიტყვები ქართულში ზოგჯერ **ოვ-ს** გვიჩვენებენ ომეგის ადგილას, რაც შეიძლება დამკვიდრდეს და ორიგინალურ ძეგლებშიც შეგვხვდეს: ქალაქსა შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა (პაბო).

გ) ბერძნული ანბანის მეორე ასო β ძველად ნათარგმნ წიგნებში ბ-დ არის გადმოცემული, მერმინდლებში კი ვ-დ; ბასილი — ვასილი.

დ) ბერძ. χ ასო ძველად ნათარგმნ ძეგლებში ქ-დ არის გადმოსული (ქრისტე, მიქაელ და მისთ), მაგრამ მერმინდლებში თავს იჩენს ხ: მიხაელ, ხარლამპი, პროხორე და მისთ.

ე) ბერძნული ანბანის მესამე ასო γ უძველეს ძეგლებში გ-ანად არის გადმოცემული. მერმინდლებში კი ფართო ხმოვნების წინ (მე-10—მე-11 საუკუნიდან) ღ-ანად, თანახმად თვით ბერძნულში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებისა: მაგ., „მოციქულთა საქმის“ ძველ რედაქციებში იკითხება აგაბოს (11, 28; 21, 10) და აგრიბა (25, 13; 25,22), მერმინდელ რედაქციებში კი — ალაბოს და აღრიბა.

ვ) ბერძნული ან ბერძნული გზით შემოსული სიტყვები, რომლებიც დ ასოთი იწყება, ქართულში ჰრ-ს გვიჩვენებენ: პრომე, პრომაელი; კმაჲ ჰრამაჲთ ისმა გოდებისაჲ და ტირილისაჲ და ლაღადებისაჲ მრავალი; ჰრაქელ სტიროლა შეილთა თჳსთა (მ. 2, 18 C).

ზ) აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბერძნულ სახელთა იც დაბოლოება ხან ოხ-ად არის გადმოღებული, ხან კი ოზ-ად: ეპისკოპოს-ი, ფილოსოფოს-ი; ანგელოზ-ი, კათალიკოზ-ი, მარკოზ.

<sup>1</sup> უკანასკნელი ე ამ სახელში წინამავალი ე-ნების გავლენით არის მიღებული ი-საგან: დემეტრი > დემეტრე).

## მ ო რ უ ო ლ ო გ ი ა

### ს ა ხ ე ლ ე ბ ი

#### ბ რ უ ნ ე ბ ა

36. (სახელებს ძველ ქართულში მოეპოვებათ ორი გრამატიკული კატეგორია: ბრუნვა და რიცხვი.) სახელთა ცვალებას ბრუნვათა მიხედვით ბრუნებას ვეძახით.

(არსებით სახელებში ვარჩევთ, ერთი მხრით, საკუთარია იგი თუ საზოგადო, მეორე მხრით კი, თუ სახელი საზოგადოა, განსაზღვრულია იგი ნაწევრით თუ სხვა სახელით.) მსაზღვრელი სახელი შეიძლება იყოს არსებითი, ზედსართავი ან მიმღობა, რიცხვითი ან ნაცვალსახელი.

37. **ნაწევარი.** ძველ ქართულს, ახლისაგან განსხვავებით, მოეპოვებოდა ნაწევარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სახელი, რომელსაც ის ახლავს, განსაზღვრულია, ცნობილია, გარკვეულია; მაგალითი: სახლი იგი. თუ სახელი განუსაზღვრელია, იგი გვიჩვენებს, რომ ეს სახელი არ არის ცნობილი, გაურკვეველია, პირველად არის საუბარი მასზე; მაგალითი: სახლი. განუსაზღვრელ სახელს ძველ ქართულში შეიძლება დაერთოს „ერთი“ ან „ვინმე“ („ვინმე“ მაშინ, თუ აღამიანზეა საუბარი). განსაზღვრა შეიძლება არა ყოველგვარი სახელისა, არამედ საზოგადოსი. საკუთარი სახელი (პირისა, აგრეთვე გეოგრაფიულიც) თავისთავად განსაზღვრულად ითვლება. ამიტომ მასთან ნაწევარი არ იხმარება.

ნაწევრად ძველ ქართულში იხმარებოდა სამი სიტყვა, წარმოშობით სამივე ჩვენებითი ნაცვალსახელი: **ესე, ეგე, იგი**, რომელთა დანიშნულება იყო: ა) გაურკვეველი გაერკვიათ და ბ) აღენიშნათ მისი მიმართება რომელიმე პირისადმი: პირველისადმი (**ესე**), მეორისადმი (**ეგე**) თუ მესამისადმი (**იგი**): სახლი ესე, სახლი ეგე, სახლი იგი. პირისადმი მიმართება — ეს დამახასიათებელია ქართული ნაწევრისათვის (და აგრეთვე ძველი სომხური ნაწევრისათვის), ხოლო სხვა ენათა ნაწევარი (მაგ., ბერძნულისა, გერმანულისა, ფრანგულისა) მოკლებულია პირის მიმართებას. სამაგიეროდ მათ მოეპოვებათ ე. წ. „სქესი“: მამრი, მდედრი და საშუალი (ფრანგულს მხოლოდ მამრი და მდედრი). ნაწევრიანი სახელი ბრუნვა-ნაკლი სახელია, მას არ მოეპოვება წრფელობითი და წოდებითი.)

38. **რიცხვი.** ძველ ქართულში ორი რიცხვია, მხოლოდითი და მრავლობითი. ამათგან მრავლობითი ორი სახით არის წარმოდგენილი, რომელთაგანაც ერთია უფრო გავრცელებული, მეორე კი — ნაკლებ გავრცელებული. მაწარმოებელი სუფიქსების მიხედვით ერთია **ნარ-თანინი**, მეორე — **ებ-იანი**. ძველ ქართულში **ნარ-თანინი** მრავლობითი რიცხვი ჩვეულებრივია და ფრიად გავრცელებული, **ებ-იანი** კი უფრო იშვიათია. ახალ ქართულში ვითარება პირიქე არის.

ზოგიერთი ძველი გამორჩევა **ებ-იანი** მრავლობითის ხშირი ხმარებით; მაგ., ეზეკიელის წიგნში (ოშკის ხელნაწერის მიხედვით) გვხვდება: აქლემებსა და ვერძებსა და ტარიგებსა 27, 21; ბავინები 6, 6; ბჰეები 48, 31; დაბნებმან 38, 13; დანაკის კულები 40, 16; ეტლები და ეტლის თუალები 23, 24; ეტლის თუალები 27, 19; შორის თესლებსა 16, 18; თესლებსა შორის 29, 12; სიმრავლენი თესლებისანი 31, 6; თესლებისაგან 36, 13; თესლებმან 39, 23; კაპარჭები 27, 11; კარები 38, 12; კაცებსა ჰამდა 19, 6; კერპები 8, 10; კრეტსაბმელები 40, 17; კუერთებებსა 39, 9; ლახურები 26, 9; ლახურებსა 39, 9; მსხუერპლები 20, 28; ნიშებსა 12, 11; პირები 10, 22; სარკუმლები 40, 16; სარკუმლებადმდე 41, 16; საკველები 40, 41; საკველებსა 44, 11; საყოფლები 16, 24; სახლები 11, 3; 28, 26; სოფლებსა შორის 20, 23; 29, 12; სოფლებისაგან 19, 8; 20, 34; სუეტები 40, 17; 42, 3; 42, 6; სნეულები 23, 20; სტოვაები 40, 18; სტოები 42, 5; ტარიგებსა 27, 21; ქალაქები მათი 19, 7; ქერობინები 41, 18; ქუაბებსა 33, 27; ფარები და ჩაფხუტები 27, 10. ფარებსა, ჰორლებსა... კუერთებსა და ლახურებსა 39, 9; ცხენები 17, 15; ცხენები და მკედრები 38, 4; ძელები 41, 25; ძუალები 37, 3; 37, 11; ძუალებსა 37, 4; ხეები 47, 7; კევნები 32, 6; კევნებსა 31, 12;

ჩვეულებრივია **ებ-იანი** მრავლობითის ხმარება წრფელობითში, სადაც: **ნ-არიან** მრავლობითი აკლია საკუთარი ფორმები, და ერთობ ხშირია მოქმედებითში, სადაც **თ-ანიანი** მრავლობითი ნათლად ვერ გამოხატავს მოქმ. ბრუნვის ფუნქციას. აღნიშნულ ძეგლში წრფელობითის ფორმით ნახმარია: ძეებ და ასულებ 23, 4; ხოლო მოქმედებითის ფორმით გვხვდება: ეტლებითა და ეტლის თუალებითა 23, 25; სავსე იყვნეს თუალებითა 10, 12; კერპებითა 37, 29; მკუდრებითა 9, 7; ნავებითა 27, 24; საბლებითა 27, 24; ჩაფხუტებითა 17, 15; ფარებითა და ჩაფხუტებითა 38, 4; ცხენებითა და ეტლებითა და მკედრებითა 26, 7; ჰუნებითა 38, 15.

39. **ბრუნვები.** ძველ ქართულში ცხრა ბრუნვა იყო: წრფელობითი, სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მიმართულებითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი. ამათგან წრფელობითი უნიშნო იყო და უდრიდა სახელის ფუძეს. ყველა დანარჩენს თავ-თავისი ნიშანი ჰქონდა მხოლოდით რიცხვსა და **ებ-იან** მრავლობითში. რაც შეეხება **ნარ-თანინ** მრავლობითს, მას სამი ფორმა ჰქონდა: ერთი სახელობითისთვის (კაცნი), მეორე წოდებითისთვის (კაცნო), მესამე — ყველა დანარჩენათვის (კაცთა), გარდა წრფელობითისა, რომელიც მას აკლდა.

40. **სავრცობი ხმოვანი.** სამი ბრუნვის ფორმა მხოლოდითსა და ებ-იან მრავლობითში შეიძლება გავრცობილ იქნეს ა ხმოვნით, რომელიც წარმოშობით ნაწევრის ნაშთი უნდა იყოს. იგი იხმარება მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში, აგრეთვე თ-ანიან მრავლობათში, მაგრამ მხოლოდ საზოგადო სახელებთან. საკუთარ სახელებს და ზოგიერთ ნაცვალსახელს ეს ხმოვანი არ სჭირდება.)

**შენიშვნა 1.** შეიძლება ითქვას, რომ ნარ-თანინი მრავლობითი წარმოშობით ორობითია, რომელმაც დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, მრავლობითად იქცა და თანდათან მოიპოვა უპირატესობა ებიანთან შედარებით. საყურადღებო ფაქტია, რომ ნარ-თანინი წარმოება ამჟამად ხევსურულ კილოში რამდენადმე ორობითისთვისაა განკუთვნილი, რაც ერთგვარი გადმონაშთი უნდა იყოს ძველის-ძველი ვითარებისა: გამარჯვება, ოჟო! (მისალმება ერთ ვაჟს, ერთ კაცს), გამარჯვება, ოჟნო! (მისალმება ორ კაცს), გამარჯვება, ოჟებო! (მისალმება ორზე მეტს). მაგრამ ეს ვითარება ამჟამად ხევსურულში მტკიცედ და საყოველთაოდ გატარებული ფაქტი არ არის და გადავარდნის გზაზე დგას. ორობითი რიცხვის მქონე ენებს (მაგ., ბერძნულს, ძველ ბულგარულს, არაბულს) ორობითში ნაკლები ფორმები აქვთ, მხოლოდითთან და მრავლობითთან შედარებით, ძველი ქართულის ნარ-თანინი მრავლობითში (წარმოშობით ორობითი) იმავე ნაკლებობას გვიჩვენებს.

**შენიშვნა 2.** ძველი ქართულის მიმართულებითი ბრუნვა საზოგადო სახელებში არ განსხვავდებოდა გავრცობილი ნათესაობითისაგან, მაგრამ საკუთარ სახელებში იგი განსხვავებული იყო მათგან ა-ს დართვით: მიავლინა უ ფ ლ ი ს ა, მაგრამ მიავლინა დ ა ვ ი თ ი ს ა. მსგავსად ამისა, მიმართულებითი გვაქვს მე-3 პირის ნაცვალსახელებშიც: მიავლინა მ ი ს ა, მიავლინა მ ა თ ა. მაგ.: მიავლინა იგი (იესუ) ანა კრული კ ა ი ა ფ ა ძ ა ს ა მღდელთ მოძღურისა (ი. 18, 24); მიავლინა მ ი ს ა ორნი მოწაფენი (მ. 11, 12); მერმე კუალად მიავლინა მ ა თ ა სხუად მონად (მრ. 12, 4); ექმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მ ო ს ე ს ა და ერთი ე ლ ი ა ძ ს ა (მ. 17, 4).

#### 41. ბრუნვათა ნიშნები.

	მხ. რ.		მრავლ. რ.
წრფ.	—	—	(ებ)
სახ.	ი	(ბ)-ი	(ებ)-ი
მოთ.	-მან	თ(ა)	(ებ)-მან
მიც.	-ს(ა)	"	(ებ)-ს(ა)
ნათ.	-ის(ა)	"	(ებ)-ის(ა)
მიმ.	-ისა	"	(ებ)-ისა
მოქ.	ით(ა)	"	(ებ)-ით(ა)
ვით.	-ად, დ	"	(ებ)-ად
წოდ.	-ო	(ბ)ო	(ებ)-ო

ვითარებითი ორი ნიშანია ნაჩვენები, რომელთაგანაც ად მოუღის თანხმო-  
ვანზე ფუძე-გათავებულ სახელებს (კაც-ად), დ კი — ხმოვანზე ფუძე-გათავე-  
ბულებს (ცა-დ).

მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოება მან წარმოშობით არის ჩვენებითი ნაც-  
ვალსახელის ფორმა ამავე ბრუნვაში: მა-ნ. აქედან ჩანს, რომ მოთხ. ბრუნვის  
 ნიშანი ძველის-ძველად **ნ** იყო. *ცა-დ*

42. თანხმოვანზე ფუძე-გათავებული საზოგადო სახელები. (თანხმოვანზე  
 ფუძე-გათავებულ საზოგადო სახელებში ზოგი იკუმშება, ზოგი კი — არა. კუმშ-  
 ვა ხდება მხოლოდითის ოთხ ბრუნვაში (ნათესაობითში, მიმართულებითში,  
 მოქმედებითსა და ვითარებითში) და მთელ ებ-იან მრავლობითში.

ფუძე-უკუმშველი სახელები. ფუძე-უკუმშველ სახელთა ბრუნების მაგა-  
 ლითი: კაც-ი.

	მხ.	მრ.	მრ.
წრფ.	კაც	—	კაც-ებ
სახ.	კაც-ი	კაც-ნ-ი	კაც-ებ-ი
მოთ.	კაც-მან	კაც-თ(ა)	კაც-ებ-მან
მიც.	კაც-ს(ა)	„	კაც-ებ-ს(ა)
ნათ.	კაც-ის(ა)	„	კაც-ებ-ის(ა)
მიმ.	კაც-ისა	„	კაც-ებ-ისა
მოქ.	კაც-ით(ა)	„	კაც-ებ-ით(ა)
ვიფ.	კაც-ად	„	კაც-ებ-ად
წოდ.	კაც-ო	კაც-ნ-ო	კაც-ებ-ო

წოდებითის ფორმა შეიძლება გაძლიერებულ იქნეს **ჰ-ს** დაყენებით სახე-  
 ლის წინ: **ჰ** კაცო, **ჰ** დედოფალო, **ჰ** ქალწულო და მისთ..

ამგვარად იბრუნვის ფუძე-უკუმშველი სახელები: ბეჭი, გლახაკ-ი, გულ-ი,  
 გურიტი-ი, დანაკ-ი, ველ-ი, თავ-ი, თით-ი, თუალ-ი, კაპრაულ-ი, კბილ-ი,  
 კულ-ი, მკლავ-ი, მუტლ-ი, ნავ-ი, პურ-ი, სადგურ-ი, სახლ-ი, ფერკ-ი, ქალაქ-ი,  
 ქალწულ-ი, ქარ-ი, ღორ-ი, ყურ-ი, ცეცხლ-ი, ცოლ-ი, წარ-ბი, ჯელ-ი, ჯორცი-  
 და სხვ..

**ილ-**ზე ფუძე-გათავებული სახელები (წარმოშობით საწყისები) ვითარებით  
 ბრუნვას აწარმოებენ დონის უშუალოდ დართვით: \*ხაღილდ, \*ტირილდ,  
 \*მო-სიკუდილდ, მგრამ ამასთანავე ერთად **ლ** იკარგება და გვაქვს: ხაღბდ,  
 ტირილდ, მოსიკუდილდ.

**შენიშვნა.** „სახლ“-ის ძველის-ძველი ფორმა იყო „სახელი“<sup>1</sup>, რომელიც

<sup>1</sup> ეს ფორმა აქა-იქ შემონახულია ძველი ქართული ენის ძეგლებში, მაგ.: ღმერთმან დაამ-  
 კვდრნის ერთ-სახენი სახელსა (ფს. 67, 7. ვარიანტია: სახლსა); მოხაქუნდეს ქებად სა-  
 ხელსა უფლისასა (იერ. 17, 26. ვარიანტად აქაც „სახლსა“ იკითხება). ამ ფორმისაგან მო-  
 ღის სახე, რომელიც იკითხება ქსნის ოთხთავში: სახესა მამისა ჩემისასა ჯერ-არს ჩემ-  
 ყოფაჲ (ლ. 2, 49. აღიშნის ოთხთავში ამ ადგილას „სახლსა“ იკითხება). ი. იმნიშვილი, სახელ-  
 თა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 39.

აირია „სახელ“-თან, რაიც იცვალა და ესეც „სახელი“ გახდა (მდრ. სვ. უახე „სახელი“, მეგ. ვკოხო „მქეია“, „მეძახიან“). პირველი „სახელი“ (ДОМ) შეიკუმშა და „სახლი“ გახდა, რითაც განსხვავება დამყარდა ამ ორ სიტყვას შორის. ძველ „სახელს“ ვითარებითში „სახელდ“ და „სახლად“ ჰქონდა, რომელთაგანაც „სახელდ“, ლ-ასის ამოღების გზით, „სახედ“ ფორმად იქცა და მხოლოდ მიმართულებებით ბრუნვის მნიშვნელობა განიკუთვნა: წარვიდა სახედ თვსა („წავიდათავის შინ“). ეს „სახედ“ შემდეგ, ილ-ზე ფუძე-გათავებულ სახელთა გავლენით, „სახიდ“ ფორმად გაკეთდა და წარმოდგა პარალელური ფორმები: ძველი „სახედ“ და მერმინდელი „სახიდ“. ვითარებითის მნიშვნელობით „სახლად“ დარჩა-

43. ფუძე-კუმშვადი სახელები (ფუძე-კუმშვად სახელებში შეიძლება უკვალოდ ამოღებულ იქნეს ხმოვანი ა და ე ხოლო, თუ ამოღებულ იქნება ო ან უ მათ უნდა დატოვონ კვალი უმარცვლო უ-ს სახით.

მაგალითები:

ა) ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა ა.

	მს.	მრ.	მრ.
წრფ.	ტაძარ	—	ტაძრ-ებ
სახ.	ტაძარ-ი	ტაძარ-ნ-ი	ტაძრ-ებ-ი
მოთ.	ტაძარ-მან	ტაძარ-თა	ტაძრ-ებ-მან
მიც.	ტაძარ-ს(ა)	„	ტაძრ-ებ-ს(ა)
ნათ.	ტაძრ-ის(ა)	„	ტაძრ-ებ-ის(ა)
მიმ.	ტაძრ-ისა	„	ტაძრ-ებ-ისა
მოქ.	ტაძრ-ით(ა)	„	ტაძრ-ებ-ით(ა)
ვით.	ტაძრ-ად	„	ტაძრ-ებ-ად
წოდ.	ტაძარ-ო	ტაძარ-ნ-ო	ტაძრებ-ო

ამგვარადვე იბრუნვის: ბარკალ-ი, დრაჰკან-ი, ეკალ-ი, კარავ-ი, კეისარ-ი, მკალ-ი, მწერალ-ი, მწიგნობარ-ი, მჩუარ-ი, მქარ-ი, მარცულ-ი, მაყუალ-ი, მეგობარ-ი, მოყუას-ი, მსტოვარ-ი, ნაცარ-ი, საჭმარ-ი, უფალ-ი, ფიცარ-ი, ფუტკარ-ი, ქათამ-ი, ქმარ-ი, ძმარ-ი, ჯრმალ-ი და მისთ..

აღსანიშნავია, რომ შეიძლება სიტყვა არ იკუმშებოდეს, მაგრამ, თუ იგი კომპოზიტში შედის მის მეორე ნაწილად, შეიძლება შეიკუმშოს. ასეთია, მაგ., „თავი“ და „კარ-ი“, რომლებიც, ცალკე თუ ვაბრუნებთ, არ იკუმშებიან (თავისა, კარისა; თავები, კარები), მაგრამ ერისთავ-ი და ცისკარ-ი იკუმშება: ცოლი ერისთვისად, ცისკრისა ქამსა.)

ბ) ამოდებულთა ე.

მხ.	მრ.	მრ.
წრფ. ღრუბელ	—	ღრუბლ-ებ
სახ. ღრუბელ-ი	ღრუბელ-ნი	ღრუბლ-ებ-ი
მოთ. ღრუბელ-მან	ღრუბელ-თა	ღრუბლ-ებ-მან
მიც. ღრუბელ-ს(ა)	„	ღრუბლ-ებ-ს(ა)
ნათ. ღრუბლ-ის(ა)	„	ღრუბლ-ებ-ის(ა)
მიმ. ღრუბლ-ისა	„	ღრუბლ-ებ-ისა
მოქ. ღრუბლ-ით(ა)	„	ღრუბლ-ებ-ით(ა)
ვით. ღრუბლ-ად	„	ღრუბლ-ებ-ად
წოდ. ღრუბელ-ო	ღრუბელ-ნი-ო	ღრუბლ-ებ-ო

ხელნაწილები:  
 ხეცე-ნი  
 ხეცე-ნი  
 ხეცე-მან  
 ხეცე-ს(ა)  
 ხეცე-ის(ა)  
 ხეცე-ისა  
 ხეცე-ით(ა)  
 ხეცე-ად  
 ხეცე-ო

ამგვარადვე იბრუნვის: ბეჭედ-ი, კედელ-ი, ნათელი-ი, საბელ-ი, სანთელი-ი, სარტყელ-ი, სასყიდელ-ი, საკმელ-ი, სოფელი-ი, უღელ-ი, ფურცელ-ი, ჯინჯველი-ი და სხვ..

გ) ამოდებულთა ო, რომელიც კვალს ტოვებს უმარცვლო უ-ს სახით.

მხ.	მრ.	მრ.
წრფ. ნიგოზ	—	ნიგუზ-ებ
სახ. ნიგოზ-ი	ნიგოზ-ნი	ნიგუზ-ებ-ი
მოთ. ნიგოზ-მან	ნიგოზ-თა	ნიგუზ-ებ-მან
მიც. ნიგოზ-ს(ა)	„	ნიგუზ-ებ-ს(ა)
ნათ. ნიგუზ-ის(ა)	„	ნიგუზ-ებ-ის(ა)
მიმ. ნიგუზ-ისა	„	ნიგუზ-ებ-ისა
მოქ. ნიგუზ-ით(ა)	„	ნიგუზ-ებ-ით(ა)
ვით. ნიგუზ-ად	„	ნიგუზ-ებ-ად
წოდ. ნიგოზ-ო	ნიგოზ-ნი-ო	ნიგუზ-ებ-ო

ამგვარადვე იბრუნვის: მონაზონი (მონაზუნისა, მონაზუნები). არსებითად ამგვარადვე იბრუნვის აგრეთვე შემდეგი სახელები: გოდოლ-ი, გოდორ-ი, ობოლ-ი, ჰოროლ-ი და შურდული, მაგრამ ამ სახელთა ფუძეების შეკუმშვისას მოსალოდნელი უმარცვლო უ იკარგება ბაგისმიერი ბგერების გავლენით: გოდოლ (გოდლ-ისა). გოდოლსა, გოდორსა და ჰოროლში გავლენიანი ბგერაა ო (გოდლისა, გოდრისა, ჰოდრისა), ობოლ-ში აგრეთვე ო, რომელსაც ემატება ბ-ანის გავლენა (ობლისა), ხოლო შურდულში გავლენიანი ბგერაა წინამავალი უ (შურდლისა).

ბრუნების მაგალითი:

	მხ.	მრ.	მრ.
წრფ.	ობოლ	—	ობლ-ებ
სახ.	ობოლ-ი	ობოლ-ნი	ობლ-ებ-ი
მოთ.	ობოლ-მან	ობოლ-თა	ობლ-ებ-მან
მიც.	ობოლ-ს(ა)	„	ობლ-ებ-ს(ა)
ნათ.	ობლ-ის(ა)	„	ობლ-ებ-ის(ა)
მიმ.	ობლ-ისა	„	ობლ-ებ-ისა
მოქ.	ობლ-ით(ა)	„	ობლ-ებ-ით(ა)
იით.	ობლ-ად	„	ობლ-ებ-ად
წოდ.	ობოლ-ო	ობოლ-ნ-ო	ობლ-ებ-ო

44. **გამონაკლისი.** თანხმოვანზე ფუძე-გათავებულებს შორის ფუძე-კუმშვადი სახელები ხუცეს-ი, მოძღუარ-ი და მაცხოვარ-ი თავისებურებას გვიჩვენებენ წოდებითში: **ო-**ს არ დაირთავენ ბოლოში. ამათი წოდებითის ფორმა იქნება: ხუცეს, მოძღუარ, მაცხოვარ. მაგრამ, თუ მათ განსაზღვრება ახლავთ, მაშინ **ო-ც** დაერთვის: მაცხოვარო ჩუენო, მოძღუარო კეთილო, ხუცესო კდნიერო. მათ ემატება ფუძე-უკუმშველი სახიერ-ი, რომელიც წოდებითში ითქმის **ხ ი ე რ. ზოგჯერ ე ვ ი ს კ ო პ ო ს ი ც** არ მიიღებს წოდებითის **ო-**ს: ების-კობოს.

„ხუცესს“ კიდევ ის თავისებურება ახლავს, რომ შეკუმშვისას: **ც** და **ხ** ერთად იყრის თავს (ხუცისისა) და, რადგანაც მათი ერთად გამოთქმა ძნელია, იკარგება **ხ**: ხუცეს-ისა > ხუცისა, ხუცესები > ხუცები.

ს ა ნ ა ხ ე ბ ი მხოლოდ **ებ-**იან მრავლობითში იხმარება (მხოლობითის ფორმა არ მოეპოვება).

45. **ხმოვანზე ფუძე-გათავებული სახელები.** ხმოვანზე ფუძე-გათავებულ საზოგადო სახელებში ვარჩევთ, ერთი მხრით, სახელებს, რომელთაც ფუძე ეკვეცებათ, და, მეორე მხრით, სახელებს, რომელთაც ფუძე არ ეკვეცებათ. ფუძე ეკვეცებათ სახელებს, რომელთაც ფუძის ბოლოს აქვთ **ა** და **ე** ხოლო არ ეკვეცებათ იმათ, რომელთაც ფუძის ბოლოს აქვთ **ო** და **უ**. **ი-**ზე ფუძე-გათავებული საზოგადო სახელები არ გვხვდება.

განსხვავება ხმოვან-ფუძიანისა და თანხმოვან-ფუძიანი სახელების ბრუნებას შორის ის არის, რომ ხმოვან-ფუძიანებს სახელობითში **ი-**ს ნაცვლად მისი დასუსტებული სახე **ა** მოუღდის, რომელიც წინამავალ ხმოვანთან ერთად დიდფონგს ქმნის: დედა-ა, სახე-ა, კბო-ა, ყრუ-ა. ამას გარდა, ფუძე-უკვეცებელ სახელებს ნათესაობითში, მიმართულებითსა და მოქმედებითში **ისა** და **ითა** დაბოლოებათა ნაცვლად **ახა** და **ათა** აქვთ, რადგანაც ფუძის ბოლო ხმოვანი არ იკვეცება და სამაგიეროდ მომდევნო ხმოვანი სუსტდება და მარცვლიანობას კარგავს. ამ შემთხვევაშიც დიდფონგია წარმოქმნილი: ო-ახა, უ-ახა.

ხმოვანზე ფუძე-გათავებულ სახელებს, თანხმოვანზე ფუძე-გათავებულთაგან განსხვავებით, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად აქვთ დ.

46. ა-ზე ფუძე-გათავებული სახელები. ბრუნების მაგალითი: დედა-

	მხ.	მრ.	მრ.
წრფ.	დედა	—	დედ-ებ
სახ.	დედა-მ	დედა-ნი	დედ-ებ-ი
მოთ.	დედა-მან	დედა-თა	დედ-ებ-მან
მიც.	დედა-ს(ა)	„	დედ-ებ-ს(ა)
ნათ.	დედ-ის(ა)	„	დედ-ებ-ის(ა)
მიმ.	დედ-ისა	„	დედ-ებ-ისა
მოქ.	დედ-ით(ა)	„	დედ-ებ-ით(ა)
ვით.	დედა <u>(დ)</u>	„	დედ-ებ-ად
წოდ.	დედა-ო	დედა-ნო	დედ-ებ-ო

ამგვარად იბრუნვის: ბაგა-მ, გზა-მ, და-მ, თივა-მ, ლოცვა-მ, მამა-მ, მთა-მ, მონა-მ, ტაბლა-მ, ქვა-მ, ქუეყანა-მ, ქვშა-მ, ყრმა-მ, ცოდვა-მ, ძმა-მ, ცმა-მ და სხვ..

ბ) სახელები ზ დ უ ა მ, ს ი ტ ყ უ ა მ და ნაცვალსახელი ს ხ უ ა მ თავი-სებურებას იჩენენ ნათესაობითსა და მოქმედებითში იმ მხრივ, რომ, ა-ს ჩამოკვეცის შემდეგ, უმარცვლო უ-ს უშუალოდ ხვდება ბრუნვათა ნიშნების ი, რის გამოც წარმოდგება უი, რომელიც ჩვეულებრივ უ ნიშნით გადმოიციმა: ზღვსა, სიტყვსა, სხვსა; ზღვთა, სიტყვთა, სხვთა.

გ) „დაბაჲ“ უმთავრესად ებ-იან მრავლობითში იხმარება, სადაც აღდგება მხოლოდობითი დაკარგული ნ (დაბნები). ეს ნ შემონახულია უდაბნო-ში.

დ) ა-ზე ფუძე-გათავებულ სახელთაგან ე კ ლ ე ს ი ა მ და ჰ უ რ ი ა მ უძველეს ძეგლებში არ იკვეცენ ხმოვანს (ეკლესიასა, ჰურიასა), მაგრამ მოგვიანო ხანის ძეგლებში იკვეცენ: ეკლესიისა, ჰურიისა. ასეთივეა აგრეთვე გ ე ჰ ე ნ ი ა მ. მღრ. ამის ე კ ლ ე ს ი ა მ ს ა მ (ბოლნისის წარწ.) და ე კ ლ ე ს ი ის ა სა-ფუძეელი დადვა (მოქც.).

ე) დროშაჲ და სტავრაჲ, რომლებიც მიღებულია დროშაკ-ისა და სტავრაკ-ისაგან, არ იკვეცენ ხმოვანს: დროშაისა, დროშაითა; სტავრაისა, სტავრაითა.

47. ე-ზე ფუძე-გათავებული სახელები. ე-ზე ფუძე-გათავებული საზოგადო სახელები იკვეცენ ფუძის ბოლოკიდურს ნათ.-ბითში, მიმართულებითსა და მოქმედებითში. რაც შეეხება ებ-იან მრ. რიცხვს, აქ სახელი შეიძლება შეიკვეცოს და შეიძლება არა. ამას გარდა, უნდა გვახსოვდეს, რომ სახელობითში ე და მ-ს შერთება (ეჲ) ჩვეულებრივ გვაძლევს (მ-ს) ბრუნების მაგალითი: მეფე-მ.

	მხ.	მრ.	მრ.
წრფ.	მეფე	—	მეფე-ებ
სახ.	მეფე-ა, მეფე	მეფე-ნი	მეფე-ებ-ი
მოთ.	მეფე-მან	მეფე-თა	მეფე-ებ-მან
მიც.	მეფე-ს(ა)	„	მეფე-ებ-ს(ა)
ნათ.	მეფ-ის(ა)	„	მეფე-ებ-ის(ა)
მიმ.	მეფ-ისა	„	მეფე-ებ-ისა
მოქ.	მეფ-ით(ა)	„	მეფე-ებ-ით(ა)
ვით.	მეფე-დ	„	მეფე-ებ-ად
წოდ.	მეფე-ო	მეფე-ნ-ო	მეფე-ებ-ო

ამგვარად იბრუნვის: ბაგე-ა (ბაგე) ბჰე-ა (ბჰე), დღე-ა (დღე); თორნე-ა (თორნე), კლდე-ა (კლდე), მეუფე-ა (მეუფე), მნე-ა (მნე), მოწაფე-ა (მოწაფე), (სავენაჟე-ა (სავენაჟე), საზუერე-ა (საზუერე), სამარე-ა (სამარე), საუნჯე-ა (საუნჯე), საფასე-ა (საფასე), საქმე-ა (საქმე), ღამე-ა (ღამე), ძე-ა (ძე), კელმწიფე-ა (კელმწიფე) და სხვ..

ა) ორ- და მეტ- მარცვლიანი ფუძეების მქონე სახელებს ებ-იან მრავლობითში ხშირად ფუძის ბოლოკიდური ე ეკვეცებათ: მეფეები (მეფეები), ჰუნები (ჰუნეები), ღამები (ღამეები) და მისთ..

ბ) ტყუე-ა (ტყუე) და თთუე-ა (თთუე) ნათესაობითში, მიმართულებითსა და მოქმედებითში თავისებურებას იჩენენ: ე-ს მოკვეცის შემდეგ უმარცვლო უ უშუალოდ ხვდება ბრუნვათა ნიშნების ხმოვანს ი-ს და უი ერთად გვაძლევს ჯ-ს: ტყჯსა, ტყჯთა; თთჯსა, თთჯთა.

გ) „მოწაფეა“ იმ მხრივ იჩენს თავისებურებას, რომ, ბოლოკიდურის მოკვეცასთან ერთად, შეიძლება შეიკუმშოს: მოწაფისა და მოწფისა. შეუკუმშავი ფორმები უფრო ხშირია.

48. ბოლო-უკვეცილი სახელები. ბოლო-უკვეცილ სახელებს განეკუთვნება ის სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოს მოუღის (ო) და მარცვლიანი (უ) ამ სახელთა ბრუნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ნათესაობითში, მიმართულებითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნის ხმოვანი სუსტდება, მარცვლიანობას კარგავს: წყაროჲსა, წყაროჲთა; ძუძუჲსა, ძუძუჲთა.

ბრუნების მაგალითი: წყაროჲ.

	მხ.	მრ.	მრ.
წრფ.	წყარო	—	წყარო-ებ
სახ.	წყარო-ა	წყარო-ნი	წყარო-ებ-ი
მოთ.	წყარო-მან	წყარო-თა	წყარო-ებ-მან
მიც.	წყარო-ს(ა)	„	წყარო-ებ-ს(ა)
ნათ.	წყარო-ჲს(ა)	„	წყარო-ებ-ის(ა)

	მხ.	მრ.	მრ.
მიმ.	წყარო-მსა	„	წყარო-ებ-ისა
მოქ.	წყარო-მთ(ა)	„	წყარო-ებ-ით(ა)
ვით.	წყარო-დ	„	წყარო-ებ-ად
წოდ.	წყარო-ო	წყარო-ნ-ო	წყარო-ებ-ო

ამგვარად იბრუნვის: აყირო-მ, ბაბილო-მ, გემო-მ, ეზო-მ, ერ-დო-მ, კალო-მ, კურო-მ, ოქრო-მ, რტო-მ, სამეუფო-მ, სამნო-მ, სამყა-რო-მ, სამწყსო-მ, სიტფო-მ, სიჭმო-მ, ტილო-მ, უდაბნო-მ, უღმრთო-მ, უშ-ჯულო-მ, ჩრდილო-მ, ხურო-მ, კბო-მ და სხვ.

გამონაკლისს შეადგენს ღვწო, რომელსაც ნათესაობითში, მიმართულე-ბითსა და ვითარებითში ეკვეცება ფუძის ბოლოკიდური: ღვწისა, ღვწითა.

შესაძლებელია წოდებითში ვ განვითარდეს ორ ონს შორის: უღმრთოვო, უშჯულოვო.

ბრუნების მაგალითი: ყრუ-მ.

	მხ.	მრ.	მრ.
წრფ.	ყრუ	—	ყრუ-ებ
სახ.	ყრუ-მ	ყრუ-ნ-ი	ყრუ-ებ-ი
მოთ.	ყრუ-მან	ყრუ-თა	ყრუ-ებ-მან
მიც.	ყრუ-ს(ა)	„	ყრუ-ებ-ს(ა)
ნათ.	ყრუ-მს(ა)	„	ყრუ-ებ-ის(ა)
მიმ.	ყრუ-ისა	„	ყრუ-ებ-ისა
მოქ.	ყრუ-მთ(ა)	„	ყრუ-ებ-ით(ა)
ვით.	ყრუ-დ	„	ყრუ-ებ-ად
წოდ.	ყრუ-ო	ყრუ-ნ-ო	ყრუ-ებ-ო

**შენიშვნა.** უ-ზე გათავებულ ერთ-მარცვლიან სახელებს ზოგჯერ ვ უვითარ-დებთ უ-ს შემდეგ და თანხმოვნიან სახელთა ჯგუფში გადადიან: ბუე-ი, კუე-ი, ძუე-ი, ყრუე-ი და მისთ.: ბუეისათჳს, ლომისა ძუეისა და მისთ..

49. უმარცვლო უ-ზე ფუძე-გათავებული საზოგადო სახელები, სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად მოუღის უმარცვლო უ, თავისებურებას გვიჩვენებენ იმ ბრუნვებში, რომელთაც ნიშნად აქვთ ი, ისა, ითა, ე. ი. სახელო-ბითში, ნათესაობითში, მიმართულებითსა და მოქმედებითში. თავისებურება წარმოიჭება იმისგან, რომ უმარცვლო უ მომდევნო ი-სთან შეერთებით გვაძ-ლევს ვ-ს. ბრუნების მაგალითი: ნაძვ.

	მხ.	მრ.	მრ.
წრფ.	ნაძუ	—	ნაძუ-ებ
√სახ.	ნაძუ-ი, ნაძვ	ნაძუ-ნი	ნაძუ-ები
მოთ.	ნაძუ-მან	ნაძუ-თა	ნაძუ-ებ-მან
მიც.	ნაძუ-ს(ა)	„	ნაძუ-ებ-ს(ა)
√ნათ.	ნაძუ-ის(ა), ნაძვს(ა)	„	ნაძუ-ებ-ის(ა)
√მიმ.	ნაძუ-ისა, ნაძვსა	„	ნაძუ-ებ-ისა
√მოქ.	ნაძუ-ით(ა), ნაძვთ(ა)	„	ნაძუ-ებ-ით(ა)
ვით.	ნაძუ-ად	„	ნაძუ-ებ-ად
წოდ.	ნაძუ-ო	ნაძუ-ნ-ო	ნაძუ-ებ-ო

მოყვანილ ფორმებში უ ყველგან უმარცვლოა.

ამგვარადვე იბრუნვის: ბორცვ, დათვ, თავვ, იხვ, კიცვ, ლევვ, ლედვ-მლოგვ, მოგვ, ნესტვ, რიცხვ, ფესვ, ფიჩვ, დაწვ, შაშვ, ცერცვ, ძარღვ, ჯაჭვ და სხვ..

ასეთ სახელებს წოდებითში შეიძლება დაეკარგოს ფუძისეული ბოლოკი-დური: მოგვ — მოგო, ლევვ — ლეკო (ამათ ნაცვლად: მოგუო, ლეკუო).

**50. კოლექტიურ სახელთა ბრუნება.** მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება რაიმე გაერთიანების აღმნიშვნელი სახელები (მაგ., პავლეეთნი — პავლეს მიმდევარნი, პავლესანი) და უ-და-კავშიროდ შეერთებული სახელები (მაგ., ცოლ-ქმარნი).

სახ.	პავლეეთნი	ცოლ-ქმარნი	მამა-დედანი
მოთ.	პავლეეთთა	ცოლ-ქმართა	მამა-დედათა
მიც.	„	„	„
ნათ.	„	„	„
მოქ.	„	„	„
ვით.	„	„	„
წოდ.	პავლეეთნო	ცოლ-ქმარნო	მამა-დედანო

არა შვილნი მამა-დედათა უუნჯებენ, არამედ მამა-დედანი შვილთა (II კორ. 12, 14).

**51. გამოსვლითი თ-ანიან მრავლობითში.** რადგანაც თა დაბოლოებიანი სახელი მკვეთრად ვერ გამოხატავს მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციას, ამიტომ ძველ ქართულში დაწყებულა, რომ -ით დაბოლოება დართოდა მას გამოსვლითი ბრუნვის ფუნქციის გამოსახატავად: არასადა ან გ ე ლ ო ზ თ ა ე თ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო (ებრ. 2, 16); ასეთივეა აგრეთვე: მფრინველთაჲთ(გან) ვიდრე საცხოვართადმდე (ლევიტ. 7, 16); ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პ ა პ თ ა ე თ (გ ა ნ) დიდებუ-

ლი და წარჩინებული (იოვ. და ეფთ.). მსგავსი ფორმები საკმაოდ მოიპოვება ვეფხის ტყაოსანში: თ უ ა ლ თ ა (ა) თ ცრემლი გისეტყვია (129, 3) და სხვ.

52. **საკუთარ სახელთა ბრუნება.** ადამიანთა სახელებს რამდენიმე თავისებურება ახასიათებს:

ა) სამ ბრუნვაში არავითარ ნიშანს არ მიიღებენ. ეს ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი, რომლებშიც სახელები ფუძის სანიით არის წარმოდგენილი.

ბ) სავრცობილად დაერთვის მიცემითში, ნათესაობითში და მოქმედებითში.

გ) მრავლობითი რიცხვი არ მოეპოვებათ.

ბრუნების მაგალითები:

წრფ.	დავით	მართა	პელენე
სახ.	"	"	"
მოთ.	"	"	"
მიც.	დავით-ს	მართა-ს	პელენე-ს
ნათ.	დავით-ის	მართა-მს	პელენე <sup>მს</sup>
მიმ.	დავით-ისა	მართა-მსა	პელენე <sup>მსა</sup>
მოქ.	დავით-ით	მართა-მთ	პელენე <sup>მთ</sup>
ვით.	დავით-ად	მართა-დ	პელენე-დ
წოდ.	დავით	მართა	პელენე

წრფ.	ჰაბო	იესუ	გიორგი
სახ.	"	"	"
მოთ.	"	"	"
მიც.	ჰაბო-ს	იესუ-ს	გიორგი-ს
ნათ.	ჰაბო-მს	იესუ-მს	გიორგი-ს
მიმ.	ჰაბო-მსა	იესუ-მსა	გიორგისა
მოქ.	ჰაბო-მთ	იესუ-მთ	გიორგით
ვით.	ჰაბო-დ	იესუ-დ	გიორგიდ
წოდ.	ჰაბო	იესუ	გიორგი

დავითის მსგავსად იბრუნვის: ჯოჯიკ, იაკობ, აბრაჰამ, ვახტანგ, იოსებ, სიმონ, სოლომონ, ელისაბედ, მარიამ და სხვ..

მართას მსგავსად იბრუნვის: ელია, ესაია, იერემია, ზაქარია, იუდა და სხვ..

პელენეს მსგავსად იბრუნვის: იოჰანე (იოვანე), მოსე, პეტრე, პავლე, ჰეროდე, ლაზარე, მათე და სხვ..

გიორგის მსგავსად: აკაკი, ბასილი.

ჰაბოს მსგავსად: ნინო.

„ქრისტე“ ნაწილობრივ ისე იბრუნვის, როგორც საკუთარი სახელი, და ნაწილობრივ ისე, როგორც საზოგადო: ქრისტე (სახ., წოდ.), ქრისტემან.

(მოთხ.), ქრისტესა (მიც. და მიმ.), ქრისტჳს ან ქრისტეს (ნათ.), ქრისტჳთ (მოქმ.), ქრისტედ (ვით).

თუ საკუთარ სახელს ახლდა დანართი, იბრუნვოდა ორივე (საკუთარი სახელიცა და დანართიც), მაგრამ მერმე და მერმე — მხოლოდ დანართი: დავით მეფჳ (სახ.), დავით მეფემან (მოთხ.), დავითს მეფესა (მიც.), დავითის მეფისა (ნათ.), დავითისა მეფისა (მიმ.); მოიწია მოციქული იგი იობისი დავითისა მეფისა (II მეფ. 11, 22); დღეთა ჰეროდეს მეფისათა (მ. 2, 1); მისცეს იგი პილატეს მთავარსა (მ. 27, 2) და მისთ..

საკუთარ სახელებს ადრე დაეწყო ბრუნვის ნიშნების მიღება სახელობითსა და მოთხრობითში; ამისი მაგალითია: აბრაჰამ შვა ისაკი, ისაკმან შვა იაკობი, იაკობ შვა იულა და ძმანი მისნი (მ. 1, 2 C).

### 53. თავისებურებანი.

ა) როცა საკუთარი სახელი უნდა დასმულიყო მოქმედებით ბრუნვაში ან ვითარებითში (ამ მნიშვნელობით: საიდან ან საანამდის), მის მაგივრად ხშირად იხმარებოდა სათანადო კუთვნილებითი ფორმა (ნათესაობითი ბრუნვის ფორმა), რომელიც გამოხატავდა დროს: ყოველი ნათესავი აბრაამითგან ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ და დავითისითგან ვიდრე ტყუეობადმდე ბაბილონისა ნათესავი ათოთხმეტ და ტყუენვითგან ბაბილონისათ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ (მ. 1, 17 C). აქ „დავითისი“ და „ქრისტესი“ გულისხმობს დავითის დროს და ქრისტეს დროს. ამგვარივეა: იწყო მოსესითგან და ყოველთა წინაწარმეტყუელთა (ლ. 24, 27); მსგავსი მოვლენა აქაც: და მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით ტაძრად (ი. 18, 28), ოღონდ აქ იგულისხმება არა დრო, არამედ ადგილი (სახლი, ეზო). C-ში პირდაპირ არის აღნიშნული: და მოჰყვანდა იესუ სახლით კაიაფაჲსით.

ბ) ა-ზე გათავებული უცხოური წარმოშობის გეოგრაფიული სახელები ადრინდელ ძეგლებში არ იკვეცენ ფუძის ბოლოკიდურს, ხოლო შემდეგ შეიძლება მოიკვეცონ: ასიაჲ — ასიაჲსა (უფრო გვიან ასიისა); ანტიოქიაჲთ და იკონიაჲთ (საქმე 14, 19), ანტიოქიაჲთ, პრემით და ალექსანდრიაჲთ (მოქც.); მისაზღვრამდე ქალდიაჲსა (ჰაბო) და მისთ. *ქრისტეს ნათესაობითი — 433*

გ) ეს სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელებს მიმართულებითში აქვთ ა: წარვიდეს საბერძნეთა, შემოვიდეს სივნიეთა. ამგვარივე აგრეთვე ჯოჯოხეთი: შთაჲდა ჯოჯოხეთა. შეიძლება ასეთი თავისებურება გავრცელდეს პალესტინის ქალაქ ნაზარეთ-ზედაც: წარვიდეს გალილეად, ქალაქად თჳსა ნაზარეთა (ლ. 2, 39).

### ბანსაზღვრული სახელები

ძველ ქართულში სახელი შეიძლება განისაზღვროს ნაწევრით, ატრიბუტული სახელითა და მართული სახელით.

54. **ნაწევრიანი სახელის ბრუნვა.** ნაწევრიანი სახელი ბრუნვა-ნაკლი სახელია: მას არ მოეპოვება წრფელობითი და წოდებითი, თეორიულად შესაძლებელია.

ლია იხმარებოდეს ვითარებითშიც, მაგრამ იშვიათია. ნაწევარი ჩვეულებრივ მოსდევს სახელს.

	მხ.	მრ.	მრ.
<u>სახ.</u>	კაცი ესე	კაცი ესე	კაცები ესე
<u>მოთ.</u>	კაცმან ამან	კაცთა ამათ	კაცებმან ამან
<u>მიც.</u>	კაცსა ამას	" "	კაცებსა ამას
<u>ნათ.</u>	კაცისა ამის	" "	კაცებისა ამის
<u>მიმ.</u>	კაცისა ამისა	" "	კაცებისა ამისა
<u>მოქ.</u>	კაცითა ამით	" "	კაცებითა ამით

	მხ.	მრ.	მრ.
<u>სახ.</u>	კაცი ეგე	კაცი ეგე	კაცები ეგე
<u>მოთ.</u>	კაცმან მაგან	კაცთა მაგათ	კაცებმან მაგან
<u>მიც.</u>	კაცსა მაგას	" "	კაცებსა მაგას
<u>ნათ.</u>	კაცისა მაგის	" "	კაცებისა მაგის
<u>მიმ.</u>	კაცისა მაგისა	" "	კაცებისა მაგისა
<u>მოქ.</u>	კაცითა მაგით	" "	კაცებითა მაგით

	მხ.	მრ.	მრ.	
<u>სახ.</u>	კაცი იგი	კაცი იგი	კაცები იგი	4) ის იმან იმი იმი იმი
<u>მოთ.</u>	კაცმან მან	კაცთა მათ	კაცებმან მან	
<u>მიც.</u>	კაცსა მას	" "	კაცებსა მას	
<u>ნათ.</u>	კაცისა მის	" "	კაცებისა მის	
<u>მიმ.</u>	კაცისა მისა	" "	კაცებისა მისა	
<u>მოქ.</u>	კაცითა მით	" "	კაცებითა მით	

მოყვანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ ნაწევრის ფორმა მრავლობითი რიცხვის სახელობითში იგივეა, რაც მხოლობითის სახელობითში (ესე, ეგე, იგი), ხოლო ებ-იანი მრავლობითის სახელთა ბრუნვებში ნაწევარი იგივეა, რაც მხოლობითი რიცხვის სათანადო ბრუნვებში.

**ნაწევარი სახელის წინ.** ნაწევარი ჩვეულებრივ მოსდევს სახელს, მაგრამ, თუ სახელს მსაზღვრელი ახლავს წინიდან, ნაწევარიც წინ გადმოვა: ყოველი იგი კოლტი ღორებისაჲ, ყოველმან მან კოლტმან ღორებისამან, ყოველსა მას კოლტსა ღორებისასა და შემდგომი.

55. **ატრიბუტული მსაზღვრელი.** ატრიბუტულ მსაზღვრელად შეიძლება იყოს ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და მიმღეობა.

ეგე, იმი) - ზოდორა იყო ჭიჭიბით ნაყვარსები, და ნაყვარსები  
 შეკმაი ამის ნყ. ყოველივე მსაზღვრელი მის. ჭ. და  
 იხეიან. თუ იქნებოდა იხეიან ჭიჭიბითა, თუ მის

**ზედსართავი მსაზღვრელად.** მაგალითი: მთაჲ მაღალი

	მხ.	მრ.	მრ.
წრფ.	მთა მაღალ	— —	მთებ მაღლებ
სახ.	მთაჲ მაღალი	მთანნი მაღალნი	მი:ები მაღლები
მოთ.	მთამან მაღალმან	მთათა მაღალთა	მთებმან მაღლებმან
მიც.	მთასა მაღალსა	„ „	მთეზსა მაღლებსა
ნათ.	მთის(ა) მაღლის(ა)	„ „	მთების(ა) მაღლების(ა)
მიმ.	მთისა მაღლისა	„ „	მთებისა მაღლებისა
მოქ.	მთითა მაღლითა	„ „	მთებითა მაღლებითა
ვით.	მთად მაღლად	„ „	მთებად მაღლებად
წოდ.	მთაო მაღალო	მთანო მაღალნო	მთებო მაღლებო

56. **მართული მსაზღვრელი.** მსაზღვრელი სახელი ნათესაობითში დაისმის (მხოლოდით რიცხვში ან მრავლობითში) და შემდეგ შეუთანხმდება საზღვრულს ბრუნვაში. მივიღებთ მსაზღვრელის ორმაგ ბრუნებას: ნათესაობით-წრფელობითს, ნათესაობით-სახელობითს, ნათესაობით-მოთხრობითს, ნათესაობით-მიცემითს და სხვ..

	მხ.	მრ.	მრ.
წრფ.	სახლ ძელის(ა)	— —	სახლებ ძელის(ა)
სახ.	სახლი ძელისაჲ	სახლნი ძელისანი	სახლები ძელისაჲ
მოთ.	სახლმან ძელისამან	სახლთა ძელისათა	სახლებმან ძელისამან
მიც.	სახლსა ძელისასა	„ „	სახლებსა ძელისასა
ნათ.	სახლისა ძელისაჲსა	„ „	სახლებისა ძელისაჲსა
მიმ.	„ „	„ „	„ „
მოქ.	სახლითა ძელისაჲთა	„ „	სახლებითა ძელისაჲთა
ვით.	სახლად ძელისა	„ „	სახლებად ძელისა
წოდ.	სახლო ძელისაო	სახლნო ძელისანო	სახლებო ძელისაო

წრფელობითში ორგვარი ფორმაა შესაძლებელი: ძველის-ძველი (სახლ ძელის) და მერმინდელი (სახლ ძელისა).

ვითარებითში მართული სახელი საერთოდ არ უთანხმდება საზღვრულს, რადგანაც ვითარებითის დ წარმოშობით თანდებულია (და); თანდებული კი ერთი უნდა მსაზღვრელსა და საზღვრულს: ჟამი მკისაჲ, ჟამმან მკისამან, ჟამსა მკისასა, მაგრამ: ჟამადმდე მკისა.

სახ.	სახლნი ძმათა ჩემთანი
მოთ.	სახლთა „ ჩემთამან
მიც.	სახლთა „ ჩემთასა
ნათ.	სახლთა „ ჩემთაჲსა
წოდ.	სახლნო „ ჩემთანო

აქედან ჩანს, რომ, თუ მსაზღვრელი თ-ანიან მრავლობითშია და მას თავი-სი მსაზღვრელი ახლავს, ეს უკანასკნელი მიიღებს მხოლოდითი რიცხვის დაბოლოებას.

თუ მსაზღვრელს თავისი მსაზღვრელი ახლავს ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ეს უკანასკნელი თავის საზღვრულსაც გაუწევს ანგარიშს (მიიღებს ნათ. ბრუნვის ნიშანს) და პირველ საზღვრულსაც შეუთანხმდება ბრუნვასა და რიცხვში, ე. ი. მივიღებთ სამმაგ ბრუნვას. მაგალითი:

მხ. რ.

სახ.	სარტყელ-ი	ტყავ-ისა	აქლემ-ისა-მსა-მ
მოთ.	სარტყელ-მან	„	აქლემ-ისა-მსა-მან
მიც.	სარტყელ-სა	„	აქლემ-ისა-მსა-სა
ნათ.	სარტყელ-ისა	„	აქლემ-ისა-მსა-მსა
მოქ.	სარტყელ-ითა	„	აქლემ-ისა-მსა-მთა
წოდ.	სარტყელ-ო	„	აქლემ-ისა-მსა-ო

მრ. რ.

სახ.	სარტყელ-ნი-ი	ტყავ-ისა	აქლემ-ისა-მსა-ნი-ი
მოთ.	სარტყელ-თა	„	აქლემ-ისა-მსა-თა
მიც.	„	„	„
ნათ.	„	„	„
მოქ.	„	„	„
წოდ.	სარტყელ-ნი-ო	„	აქლემ-ისა-მსა-ნი-ო

57. **ზედსართავი სახელები.** ზედსართავი სახელი ბრუნების თვალსაზრისით არაფრით განსხვავდება არსებითი სახელისაგან. მაგრამ, არსებითისაგან განსხვავებით, მას მოეპოვება ხარისხის ფორმები (§ 80).

58. **რიცხვითი სახელები.** რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძე ყველა თანხმოვანზე თავდება, რვისა და ცხრის გარდა: ერთ-ი, ორ-ი, სამ-ი, ოთხ-ი, ხუთ-ი, ექუს-ი, შუდ-ი, რვა-მ, ცხრა-მ, ათ-ი; ათერთმეტი-ი, ათორმეტი-ი, ათსა(მ)მეტი-ი, ათოთხმეტი-ი, ათხუთმეტი-ი, ათექუსმეტი-ი, ათშუდმეტი-ი, ათრვა-მეტი-ი, ათცხრა-მეტი-ი, ოც-ი, ორმოც-ი, ერვასის-ი (ორმოცდაათ-ი), სამე-ოც-ი (სამეოცი), ოთხმეოც-ი, ას-ი, ას და ერთი, ას და ორი, ორას-ი, ათას-ი, ბევრ-ი (10.000).

რიგობითი სახელები: პირველი, მეორე, მესამე და შემდგომი. პირველი, მაგრამ მეოცდაერთე, ოცდამეერთე.

მეორის ნაცვლად ხშირად იხმარება „ერთი იგი“ ან „ერთი“: მან განირთხა (ქელი) და კულალდ მოეგო ვითარცა ერთი იგი (მ. 12, 13); ერთსა მას ნავსა (ლ. 5, 7) — მეორე ნავში. საზოგადოდ, როდესაც ორზეა საუბარი, და „ერთი“ (ან „ერთი იგი“) ორჯერ არის ნახმარი, პირველი „ერთი“ (ან „ერთი იგი“) აღნიშნავს ერთს, მეორე „ერთი“ (ან მეორე „ერთი იგი“) — მეორეს; არავინ მონამან შეუძლოს ორთა უფალთა მონებად, რამეთუ ერთი მოიძულოს და ერთი შეიყუაროს, ანუ ერთსა აღიღებდეს და ერთი შეურაცხ-ყოს

(ლ. 16, 13 C); ორნი ფქვიდნენ ფქვილსა: ერთი იგი წარიტაცოს და ერთი იგი დაშთეს (ლ. 17, 35 C).

„ზოგი“ და „კერძო“ აღნიშნავს ნახევარს: მიგვე შენ ვიდრე ზოგადმდე სამეუფოდას ჩემისა (მრ. 6, 23); ორ წყრთა და კერძო სივრცე მისი (= ორ წყრთა-ნახევარი მისი სივრცე).

ბრუნების თვალსაზრისით რიცხვითი სახელი არაფრით განსხვავდება არსებითი სახელისაგან.

### ნაცვალსახელები

59. პირის ნაცვალსახელები. მე, შენ, ჩუენ, თქუენ არ იბრუნვიან. ამათგან მე-ს ნათესაობითში ენაცვლება ჩემ: ჩემთჳს, ჩემგან. ამათგან ნაწარმოებია კუთვნილებითი სახელები: ჩემ-ი, შენ-ი, ჩუენ-ი, თქუენ-ი. როცა საჭიროა მე ნაცვალსახელის ბრუნება, მას ენაცვლება ჩემ: ჩემ უღირსისაგან, ჩემ უღირსსა ზედა; ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ (ჰაბო), იქმენ მორჩილ სრულიად სიტყუათა ჩემ გლასაკისათა (ხანძ.); უძლიერეა არს ჩემსა (მ. 3, 11); ჩემსა შემდგომად (მ. 3, 11).

მიმართულებითი: ჩემდა, შენდა, მისა (მისა მიმართ, I კორ. 13, 4) (მოგვიანო ხანის ძეგლებში: მისდა), ჩემდა მომართ, ჩუენდა მომართ, შენდა მიმართ, თქუენდა მიმართ, მათა მიმართ (მოგვიანო ხანის ძეგლებში: მათდა მიმართ).

კუთვნილებითი ფორმები ენაცვლება აგრეთვე სხვა პირის ნაცვალსახელებს: ვცხოვნდეთ მის თანა ძალისაგან ღმრთისა თქუენითურთ (II კორ. 13, 4); უწინარეს თქუენსა (მ. 5, 12); უფროას ამათსა სხუა მცნებაა არა არს (მრ. 12, 31).

60. ჩვენებითი ნაცვალსახელებია: ესე, ეგე, იგი, რომლებიც ორ ფუძეს გვიჩვენებენ, ერთს სახელობითისთვის, მეორეს დანარჩენი ბრუნვებისთვის. ჩვენებითი ნაცვალსახელებს აკლია წრფელობითი და წოდებითი.

### მხოლობითი

სახ.	ესე	ეგე	იგი
მოთ.	ამა-ნ	მაგა-ნ	მა-ნ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	მა-ს
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	მა-ის
მიმ.	ამ-ისა	მაგ-ისა	მა-ისა
მოქ.	ამ-ით	მაგ-ით	მა-ით
ვით.	ამა-დ	მაგა-დ	მა-დ

### მრავლობითი

სახ.	ესენ-ი	ეგენ-ი	იგინ-ი
მოთ.	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ
მიც.	„	„	„
ნათ.	„	„	„
მიმ.	ამა-თა	მაგა-თა	მა-თა

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **ნ**: ამა-ნ, მაგა-ნ, მა-ნ.

61. კითხვითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: ვინ, რაჲ, ვინმე, რაჲმე.

	მხ.	მრ.	მხ.	მრ.
სახ.	ვი-ნ	ვი-ნ	ვინმე	ვინმე
მოთ.	ვი-ნ	ვი-ეთ	ვინმე	ვითმე
მიც.	ვი-ს	ვი-ეთ	ვისმე	ვითმე
ნათ.	ვი-ს(გან)	ვი-ეთ(გან)	ვის(გან)მე	ვით(გან)მე
მიმ.	ვი-სა	ვი-ეთა	ვისამე	ვითამე

ვისა მსგავს არს (ლ. 13, 18).

**ნ** ბრუნვის ნიშანია მოთხრობითისა (ვი-ნ), მაგრამ იგი მოთხრობითიდან სახელობითშია გადასული.

**ვინ** და **ვინმე** მრ. რიცხვის სახელობითში იმავე ფორმას გვიჩვენებენ, რასაც მხოლობითში: ვინ არს, რომელმან გცა შენ (მ. 26, 68), ვინ არიან, რომელთა არა ჰრწმუნეს (ი. 6, 64 C); მო-ვინმე -უკდა მას კაცი ერთი (მ. 19, 16), მო-ვინმე -უკდეს იესუს ფარისევლნი (ლ. 13, 31).

ვინ-ის მსგავსად იბრუნვის: არავინ, ნუვინ. ვითმე-საგან ნაწარმოებია კუთვნილებითი ვითიმე: ჩუელეზაჲ არს ვითიმე (ებრ. 10, 25).

სახ.	რაჲ	რაჲმე
მოთ.	—	—
მიც.	რასა, რას	რასამე, რასმე
ნათ.	რაჲსა	რაჲსამე
მოქ.	რაჲთა, რაჲთ	რაჲთამე
ვით.	რად	რადმე

მოთხრობითი ბრუნვის ფორმები **რა**-ს არა აქვს. საჭიროების მიხედვით აქ მას ენაცვლება „რომელი“. **რა**-ს არც მრ. რიცხვის ფორმები აქვს.

ნათესაობითის ფორმა (**რაჲსა**) და ვითარებითისა (**რად**) იხმარება „რატომ“ სიტყვის მნიშვნელობით: დედაკაცო, რაჲსა სტირ (ი. 20, 13), დედაკაცო, რად სტირ (იქვე C). ამავე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე **რაჲსათჲს**.

მიმართებითი ფორმები: რაჲ-ესე ვყავ, რაჲ-ევე ჰყავ, რაჲ-იგი ყო; რასა-ესე ვიქმ, რასა-ევე იქმ, რასა-იგი იქმს.

მიმართებითია აგრეთვე რაჲცა და რაჲცა-იგი. „რაჲ“ აღნიშნავს „რამე“—საც: ნუვის რას უთხრობ (მრ. 1, 44).

რაჲ-ს მსგავსად იბრუნვის არარაჲ და ნურაჲ.

	მხ.	მრ.
წრფ.	რაოდენ (რავდენ)	— —
სახ.	რაოდენი (რავდენი)	რაოდენნი (რავდენნი)
მოთ.	რაოდენმან (რავდენმან)	რაოდენთა (რავდენთა)
მიც.	რაოდენსა (რავდენსა)	” ”
ნათ.	რაოდენისა (რავდენისა)	” ”
მოქ.	რაოდენითა (რავდენითა)	” ”
ვით.	რაოდენად (რავდენად)	” ”

	მხ.	მრ.	მხ.	მრ.
წრფ.	რომელ	—	—	—
სახ.	რომელი	რომელნი	რომელიმე	რომელნიმე
მოთ.	რომელმან	რომელთა	რომელმანმე	რომელთამე
მიც.	რომელსა	”	რომელსამე	”
ნათ.	რომლისა	”	რომლისამე	”
მიმ.	რომლისა	”	რომლისამე	”
მოქ.	რომლითა	”	რომლითამე	”
ვით.	რომლად	”	რომლადმე	”

რომელთამე სცეს, რომელნიმე მოწყვდნეს, რომელთამე ქვაჲ დაჰკრიბეს (მ. 21, 35).

## 62. მიმართებითი ნაცვალსახელები.

### მ ხ ო ლ ბ ი თ ი

სახ.	რომელი-ესე	რომელი-ეგე	რომელი-იგი
მოთ.	რომელმან-ესე	რომელმან-ეგე	რომელმან-იგი
მიც.	რომელსა-ესე	რომელსა-ეგე	რომელსა-იგი
ნათ.	რომლისა-ესე	რომლისა-ეგე	რომლისა-იგი
მოქ.	რომლითა-ესე	რომლითა-ეგე	რომლითა-იგი

### მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი

სახ.	რომელნი-ესე	რომელნი-ეგე	რომელნი-იგი
მოთ.	რომელთა-ესე	რომელთა-ეგე	რომელთა-იგი
მიც.	” ”	” ”	” ”
ნათ.	” ”	” ”	” ”
მოქ.	” ”	” ”	” ”

რომელთა-იგი სძინავნ, ღამე სძინავნ, და რომელნი-იგი დაითრენიან, ღამე დაითრენიან (I თეს. 5, 7); განიღვიძე რომელსა-ეგე გძინავს (ეფეს. 5, 14).

ეზე, ეგე, იგი ნაწილაკები შეიძლება დაერთოს და ნაწილაკიან სახელს: რომელ-ღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ელოს მას (მ. 13, 12C). ჩვეულებრივია, რომ იგი დაერთოს უკუდებულის სახელს: რომლისათვის-ესე (ებრ. 2, 1); რომლისათვის-იგი (მ. 3, 3; ი. 1, 15); რომელთათვის-იგი (II მეფ. 7, 15); რომლისა თანა-იგი (მრ. 5, 15); ქუეყანა ეგე, რომელსა შინა-ეგე გძინავს, შენ მიგცე (დაბ. 28, 13).

	მხ.	მრ.
წრფ.	რომელცა	—
სახ.	რომელიცა	რომელნიცა
მოთ.	რომელმანცა	რომელთაცა
მიც.	რომელსაცა	„
ნათ.	რომლისაცა	„
მიმ.	„	„
მოქ.	რომლითაცა	„
ვით.	რომლადცა	„

გვხვდება აგრეთვე ორმაგად გამოხატული მიმართებითი ფორმა: რომელიცა-იგი, რომელმანცა-იგი და შემდგომი.

ურთიერთას (მერმ. ძეგლებში ურთიერთარს) არ იბრუნვის.

ერთიერთ-ს სამი ბრუნვა მოეპოვება: მოთ. ერთმან-ერთი (ლექუთა ლომისათა დაუტევეს ერთმანერთი, იობ. 4, 11), ერთი-ერთსა (მიც.), ერთი-ერთისა (ნათ.); ურთიერთას ერთი-ერთისათვის ზრუნვიდენ (I კორ. 12, 25); ჯერ-არს ერთი-ერთისა მიმართ თავ-ყოფით ფერჯისა ბანაჲ (ხანმ. მრავ.); ამას ნუგეშინისცემისა სიტყუასა ურთიერთას ეტყოდეს და ერთი-ერთსა უბრძანებდეს (სინ. მრ. 120, 14); ლოცვაჲ მათი ერთი-ერთისათვის იყო (იქვე, 120, 18).

63. უკუქცევითი ნაცვალსახელი. უკუქცევითი ნაცვალსახელის როლს ასრულებს „თავი“ (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით): მკურნალო, განიკურნე თავი შენი (ლ. 4, 23); გამოუცხადო მას თავი ჩემი (ი. 14, 21); რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს (მ. 23, 12); ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ (მ. 5, 36); ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისა (მ. 6, 34). იხმარება მრ. რიცხვის ფორმითაც: დაიცივნით თავნი თქუენნი ყოვლისაგან ანგაპრებისა (ლ. 12, 15); რომელნი ესვენ თავთა თვსთა (ლ. 18, 9) და მისთ..

## წ ა რ მ ო ქ მ ნ ა

64. ბრუნვის ფორმათაგან ნაწარმოები სახელები. შეიძლება სახელის ბრუნვის რომელიმე ფორმა გამოყენებულ იქნეს ახალი სახელის საწარმოებლად. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივია ნათესაობითისა, მოქმედებითისა და ვითარებითის ფორმები.

**ნათესაობითი.** ნათესაობითის ფორმა (საზოგადო სახელებში გავრცობილი)

შეიძლება ახალი სახელის ფუძედ იქნეს გამოყენებული: ასეთია, მაგ., მსაზღვრელი, დაყენებული ნათ. ბრუნვაში: ტაძარ ძელი ს ა, ტაძარ ძელი ს ა მ, ტაძარ მან ძელი ს ა მ ა ნ, ტაძარ ს ა ძელი ს ა ს ა, ტაძარ ს ა ძელი ს ა მ ს ა, ტაძარ ი თ ა ძელი ს ა მ თ ა, ტაძარ ო ძელი ს ა ო (§ 56); სახლი ი ა კ ო ბ ი ს, სახლი ი ა კ ო ბ ი ს ი, სახლ მან ი ა კ ო ბ ი ს მ ა ნ, სახლ ს ა ი ა კ ო ბ ი ს ს ა და შემდგომი.

65. **მოქმედებითი.** ახალი სახელის საწარმოებლად გამოყენებულია გაუვრცობელი ფორმა; მაგ., „გულ“ სიტყვის გაუვრცობელი მოქმედებითი არის გულით. ეს „გულით“ გამოყენებულია ზედსართავის ფუძედ და ვითარებითშია დასმული: რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეთ (კოლას. 3, 23); არავინ მაქუს სხუაჲ ერთგული, რომელმანმცა თქუენთვის გულითად იზრუნა (ფილ. 2, 20).

„ბუნება“ სიტყვის მოქმ. ბრუნვის ფორმაა ბუნებით. ეს ფორმა გამოყენებულია ზედსართავის ფუძედ: ბუნებითი, ბუნებითმან, ბუნებითსა და სხვ.. რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შესაჲ შჭულსა (შუშ.); უკუეთუ ღმერთმან ბუნებითთა მათ რტოთა არა ჰრიდა, ნუ-უკუე შენცა არავე გრიდოს (პრომ. 11, 21).

ამგვარივეა აგრეთვე მარჯუენით-ი („მარჯუენით მყოფი“), მარცხენით-ი („მარცხენით მყოფი“): მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათ (მ. 25, 41).

66. **ვითარებითი.** „დიდ“-ი ვითარებითში იქნება „დიდად“. აი ეს „დიდად“ შეიძლება ახალი სახელის ფუძედ იქნეს გამოყენებული და მივიღოთ სახელობითში დიდად-ი: აჰა ესერა ვაწვმო ჟამსა ოდენ ამას ხვალე სეტყუაჲ დიდადი (გამოსლ. 9, 18); მრავალთა მდიდართა დადგეს დიდადი (მრ. 12, 41 C).

„თავ“ სიტყვისაგან ნაწარმოებია ნაცვალსახელი თავად-ი (თვითონ, იგი), რომელიც სამი ბრუნვის ფორმით გვხვდება: თავადი, თავადმან, თავადსა: ეგე თავადი არს ელია (მ. 11, 14C); თავადი მიექცა პეტრეს (მ. 16, 23); თავადმან მიუგო და ჰრქუა მას (მ. 4, 4); ხოლო თავადსა ეძინა (მ. 8, 24).

განსაკუთრებით ხშირია ასეთი წარმოება საწყისთაგან: აღორძინებად-ი (რაც უნდა აღორძინდეს), კლვად-ი (რაც უნდა დაიკლას), მოწვენად-ი, ყოფად-ი, შობად-ი, ჭამად-ი და სხვ.

67. **თანდებულიანი სახელები.** ჩვეულებრივია აგრეთვე, რომ თანდებუ-ლიანი სახელისაგან წარმოიქმნას ახალი სახელი. თანდებული უნდა იყოს უკუდებული. ეს უკუდებულებია:

**გან** — **გან**-ი: ჰპოთ კიცვ დაბმული, რომელსა კაცთაგანი არა დაჯლო-მილ არს (მრ. 11, 2 C); რომელი არს ქუეყანით, ქუეყანისაგანი არს და ქუეყანისასა იტყვს (ი. 3, 31); მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად (მ. 27, 27); მრავალთა მოწაფეთა მისგანთა, რომელთა ესმა ესე, იტყოდეს (ი. 6, 60); ერთი თქუენგანი ეშმაკი არს (ი. 6, 70); და იგი იყო ერთი მათგანი (ი. 7, 50 C);

და აპა ორნი მათგანნი მივიდოდეს დაბასა (ლ. 24, 13); ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, არა იყო მათთანა (ი. 20, 24); მი-ვინმე-ვიდეს ჩუენგანნი საფლავად (ლ. 24, 24) და მისთ..

**ებრ:** ებრაელ-ებრ-ი.

**თანა** — **თანა-ა:** ხოლო ხიყენეს მაგდანელი მარიამ და იოჰანა და მარიამ იაკობისი და სხუანი მათთანანი, ხუთხობდეს მოციქულთა ამას (ლ. 24, 10 ხანმ.); ოდეს-იგი შეემშია მას და მისთანათა მათ (მ. 12, 3).

მათთანანი=მათთან მყოფნი; მისთანათა მათ=მასთან მყოფთ.

**მიმართ** — **მიმართ-ი:** ხოლო იოვანე, ვითარცა უფლისა მოწამემან ღირსმან, თქუმულნი ესე მისა მიმართნი არად შეჰრაცხნა (ი. ოქროპირის „სიტყუაჲ ღმრთის გამოცხადებისათჳს“, ხელნაწ. A 19, გვ. 278 ა).

**მიერ**—**მიერ-ი:** და მოსეს მიერთა მათ წიგნთაცა კითხვად მოწრაფე იყო (ი. ოქროპირის „სიტყუაჲ ნათლისღებისათჳს“. ხანმ. მრავალთავი, ტ. უ. მ. VII, გვ. 129); მაჟუს მე ნიჭი ქრისტჳს მიერი (ჰაბო).

**შინა** — **შინა-ა:** და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი (აღდგომის საგალობელი). საფლავის შინაჲ=საფლავში მყოფი, საფლავების შინანი=საფლავებში მყოფნი, საფლავების შინათა=საფლავებში მყოფთათვის.

68. **ზმნიზედათაგან და ნაწილაკთაგან წარმოქმნილი სახელები.** შეიძლება ზმნიზედა ფუძედ იქნეს გამოყენებული და მისგან მივიღოთ ზედსართავი: მუნ—იქ, მუნ-ი — იქაური; აქა — აქ, აქაჲ — აქაური; წინა — წინ, წინა-ა — წინ მყოფი; უკუანა — უკან, უკუანა-ა — უკანა, უკან მყოფი; ა) ვინაჲ — საიდან; ბ) ვინა-ა — სადაური. მაგალითები: ვინანი ხართ და ვიდრე ხუალთ („სადაურები ხართ და სად მიდიხართ“); მრავალი იყვნენ წინანი უკუანა და უკუანანი წინა (მრ. 10, 31 C); იყო ხუცესი იგი მუნი მეგობარი ჩემი (ლიმ. 103, 5).

აგრეთვე შეიძლება ნაწილაკისაგან წარმოიქმნას არსებითი სახელი: იყავნ სიტყუაჲ თქვენი ჰჳ ჰე და არაჲ არა (მ. 5, 37). აქ „ჰჳ“ და „არაჲ“ — სახელობითში დგანან (ქვემდებარეებია), ხოლო „ჰე“ და „არა“ — წრფელობითში (შედგენილი შემასმენლის ნაწილებია).

69. **კნინობითი სახელები.** კნინობითი სახელის მაწარმოებელია აკ: სახლ-აკ-ი, წიგნ-აკ-ი, კნინ-აკ-ი, შვილ-აკ-ი, თხიერ-აკ-ი. აკ დაბოლოებიან სახელებს ადრე დაეწყო კ-ს შეკვეცა ბოლოში, დარჩა ა და ასეთი სახელები გადავიდა ხმოვანზე ფუძე-გათავებულთა რიგებში, ამის რიგისა „ქალაჲ ამ ადგილიდან: ქალა, შენ გეტყჳ, აღდეგ (მრ. 5, 41 C). „ქალა“ აქ წოდებითში დგას და სათანადო ბრუნვის ნიშანი აკლია (მოსალოდნელი იყო ქალაო).

70. **ქონების სახელები.** ქონების სახელთა მაწარმოებლებია სუფიქსები: **იან (იან), იერ, ოსან, ოვან, ედ.**

**ეან:** აღამ-ი — აღამ-ეან-ი (აღამ-იან-ი), აუგ-ი — აუგ-ეან-ი (აუგ-იან-ი), კაე-შან-ი — კაეშ-ეან-ი („სევედიანი“), მარილ-ი — მარილ-ეან-ი, ბაყლ-ი — ბაყლ-ეან-ი და მისთ..

**იერ:** ძალ-ი — ძლ-იერ-ი, გონ-ეზა-ჲ — გონ-იერ-ი, მატყლ-ი — მატყ-იერ-ი (მატყლიერი), ფას-ი — ფას-იერ-ი; აგრეთვე ზმნათა ფუძეებისაგან: მაქუს — მაქუს-იერ-ი, ჰ-მოსიეს — მოს-იერ-ი, სწადის — წად-იერ-ი (წადნ-იერ-ი), შუენის — შუენ-იერ-ი, მელმის, ლმობაჲ — ლმობ-იერ-ი, ჰ-მშისი — მშ-იერ-ი. რ ბგერიანი ფუძეებისაგან დისიმილაციით **იელ:** კორც-ი — კორციელი, სწყურის — წყურ-იელი.

**ოვან, ოან:** ვენაჲ-ი — ვენაჲ-ოვან-ი (ვენაჲოვანი), კეთრ-ი — კეთრ-ოვან-ი, კლდე — კლდ-ოვან-ი, მაყული — მაყულ-ოვან-ი (მაყლოანი), მკცე (ჭალა-რა თმა) — მკც-ოვან-ი, სახელ-ი — სახელ-ოვან-ი, კელ-ი — კელ-ოვან-ი და მისთ..

იმ სახელებს, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად უმარცვლო უ აქვთ, **ოვან** სუფიქსის დართვისას ჩვეულებრივ ეკარგებათ ეს უ: ლელუ-ი — ლელ-ოვან-ი. ნაძუ-ი — ნაძ-ოვან-ი, ნესუ-ი — ნეს-ოვან-ი და მისთ..

**ოსან:** აღნიშნავს მქონებელს, მატარებელს: მშუღლ-ი — მშუღლ-ოსან-ი, ფარ-ი — ფარ-ოსან-ი, ლახუარ-ი — ლახურ-ოსან-ი, ფიჩუ-ი (ბერის მოსასხამი) — ფიჩ-ოსან-ი, პატიე-ი — პატი(ე)-ოსან-ი, ტურთ-ი — ტურთ-ოსან-ი და მისთ.. კელ-ისაგან გვაქვს ნაწარმოები როგორც კელოვან-ი, ისე კელ-ოსან-ი. კ ე ლ ო ვ ა ნ ი აღნიშნავდა ოსტატს, რომელიმე პროფესიის მიმდევარს (მაგ., კალატოზს), ხოლო კ ე ლ ო ს ა ნ ი — რაიმე თანამდებობის პატრონს, მაგ., იკონომოსს მონასტერში.

**ედ:** ფესუ-ი (გრძელი სამოსლის ქვედა კიდე) — ფესუ-ედი, კარ-ი — კარ-ედი, ხატ-ი (სახე) — ხატ-ედი, ფრთე — ფრთე-ედი, ქორ-ი (ზედა სართული) — ქორ-ედი, ჯაჭუ-ი — ჯაჭუ-ედი, ათ-ეზოედ-ი (გამოსლ. 26, 1), ოქრო-აღვრ-ედი, ოთხკუთხ-ედი, პილოჲს ძუალ-ედი და მისთ..

ამგვარადვეა ნაწარმოები აგრეთვე შარავანდ-ედი („გვირგვინოსანი“, მე-ფე), ხოლო „შარავანდი“ (სპარსული წარმოშობის სიტყვა) ნიშნავს გვირგვინს: რავდენნი ძლიერნი და მეფენი, რომელთა ედგნეს შარავანდნი თავთა მათთა (სინ. მრ. 224, 3).

**71. უქონლობის სახელები.** უქონლობის სახელები ნაწარმოებია პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით; ესენია უ—ურ და უ—ო. ამათგან უფრო ძველი ჩანს უ—ურ, რომელიც რ-გამორიყული ფუძეებისაგან ნაწარმოებ სახელებში უ—ულ-ად იქცევა. სუფიქსები ურ და ო კუმშავს ან კვეცს სახელის ფუძეს.

**უ—ურ (უ—ულ):** ძალი — უ-ძლ-ურ-ი (საწინააღმდეგოა ძლ-იერ-ი), კამ-ლ-ი — უ-კამ-ურ-ი, სახე — უ-სახ-ურ-ი („ულამაზო“), წმიდა — უ-წმიდ-ურ-ი, გემო — უ-გემ-ურ-ი, გონ-ეზა-ჲ — უ-გუნ-ურ-ი (უგონურ-ისაგან, საწინა-აღმდეგოა გონ-იერ-ი), კაცი — უ-კაც-ურ-ი, კეთილ-ი — უ-კეთ-ურ-ი, ფსკერ-ი — უ-ფსკრ-ულ-ი, ფერ-ი — უ-ფერ-ულ-ი და მისთ.. ამგვარად-

ევა ნაწარმოები უ-რწყ-ულ-ი, მაგრამ მისი ფუძეა არა წყალი, არამედ \*რწყალ-ი (მდრ. მო-რწყ-ვა).

**უ-ო:** დედა-ა — უ-დედ-ო-ა, ბრალი — უ-ბრალ-ო-ა, ბიწი — უ-ბიწ-ო-ა, ჯორცი — უ-ჯორცი-ო-ა, ღმერთი — უ-ღმერთ-ო-ა (ვისაც ღმერთი არ სწამს), ნაყოფი — უ-ნაყოფ-ო-ა, პატივი — უ-პატი(ვ)-ო-ა, შვილი-ი — უ-შვილ-ო-ა, ეკალი — უ-ეკლ-ო-ა, ენა-ა — უ-ენ-ო-ა და მისთ.. ასეთი წარმოება უფრო გავრცელებულია.

მარტო უ პრეფიქსითაც არის ნაწარმოები ორიოდე უქონლობის სახელი: უ-რიცხუ-ი, უ-ღირს-ი.

ზმნათა ფუძეებისაგან ამგვარად ნაწარმოებია: უ-რჩ-ი, უ-ქმ-ი, უ-სმ-ი, უ-ტყუ-ი.

**72. წარმომავლობის სახელები.** წარმომავლობის სახელთა მაწარმოებელია ელ, რომელსაც შეუძლია შეკუმშოს ან შეკვეცოს სახელის ფუძე: მცხეთა — მცხეთ-ელ-ი, წილკანი — წილკნ-ელ-ი. ის და ეთ სუფიქსიან სახელებს ჩამოშორდება ეს ის და ეთ: ტფილ-ის-ი — ტფილ-ელ-ი, ქუთათ-ის-ი — ქუთათ-ელ-ი, მანგლ-ის-ი — მანგლ-ელ-ი, ურბნ-ის-ი — ურბნ-ელ-ი. ტბ-ეთ-ი — ტბ-ელ-ი და მისთ..

ზოგ ასეთ სახელს სუფიქსთან ერთად პრეფიქსიც აქვს. ეს პრეფიქსია მ (სუფიქსთან ერთად მ—ელი): არგუ-ეთ-ი — მ-არგუ-ელ-ი, არად-ეთ-ი (სოფელია ქართლში) — მ-არად-ელ-ი, ეგვბტე — მ-ეგვბტ-ელ-ი (ან მე-ეგვბტ-ელ-ი), ეგრ-ის-ი — მ-ეგრ-ელ-ი და მისთ.. ასეთი წარმოება ფრიად ძველია და რამდენიმე სახელშია შემორჩენილი.

ტბელის პარალელურად არსებობს მ—არ-ის საშუალებით ნაწარმოები მ-ტბევ-არ-ი (ფუძედ ივარაუდება \*ტბევ-ი).

**მ—ურ, მ—იურ:** დაბა („სოფელი“) — მ-დაბ-ურ-ი ან მ-დაბ-იურ-ი („სოფლე-ლი“). ითქმოდა აგრეთვე მდაბიო: იყო ვინმე კაცი მდაბიოა (ხანძ).

**-ურ** (დისიმილაციით ულ): სომხ-ურ-ი (ენა), ქართ-ულ-ი (ფუძეა \*ქართ-ნ-ი, რამაც „ქართლი“ მოგვცა). ბერძ-ენ-ი — ბერძ-ულ-ი.

**-ნიერ:** სმნიერ-ი (სამი წლისა, მაგ., დიაკეული). ნ-არი არ უშლის ხელს, რომ ფუძე სამ შეიკუმშოს მომდევნო ი-ს გამო (აქ იგივე მოვლენაა, რაც კამ-ს — კმ-და-ში).

**73. აბსტრაქტული სახელები.** აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელია სუფიქსები ება ან ობა და პრეფიქს-სუფიქსი სი—ე (სი—ო). ება და ობა რთული სუფიქსებია (ებ-ა, ობ-ა).

**-ება:** კაც-ება-ა (კაც-ობა-ა), ღმრთე-ება-ა, სიწორფო-ება-ა, სათნო-ება-ა, სარწმუნო-ება-ა, ძლიერ-ება-ა, საუცრ-ება-ა, მოქალაქ-ება-ა (მოქალაქობა), სიჩინო-ება-ა, მოციქულ-ება-ა (მოციქულობა), (მ)ყულრო-ება-ა, მკცოვან-ება-ა. ასეთი წარმოებისას ოგ-ს შორის შეიძლება ვ განვითარდეს (ოვე): სიწორფოვება, სიჩინოვება, სათნოვება და მისთ..

- ობა:** სერ-ობა-ა, მკეც-ობა-ა, მწიგნობრ-ობა-ა, მტერ-ობა-ა, მკედრ-ობა-ა (=მკედრები) და სხვ..
- სი—ე:** სუფიქსი ე კუმშავს ან კვეცს სახელს. სი-ბერ-ე-ა, სი-წითლ-ე-ა, სი-ბნელ-ე-ა, სი-ბოროტ-ე-ა, ბრმა-ა — სი-ბრმა-ე-ა, ბრძენ-ი — სი-ბრძენ-ე-ა, სი-გლახაკ-ე-ა, სი-გრილ-ე-ა, სი-ვერაგ-ე-ა, ვრც-ელი — სი-ვრც-ე-ა, სი-ლალ-ე-ა, მართალი — სი-მართლ-ე-ა, ღრმა-ა — სი-ღრმ-ე-ა, სი-ყრმ-ე-ა, სი-შავ-ე-ა, სიმდიდრე-ა, სიმტკიცე-ა, სი-მიმღე-ა, სი-ცივ-ე-ა, სი-ცოცხლ-ე-ა, ცხელ-ი — სი-ცხ-ე-ა, წმიდა-ა — სი-წმიდ-ე-ა. უძველეს ძეგლებში ეა-ს მაგივრად ჩვეულებრივია მ: სიმალმ, სივრ-ცმ და მისთ..
- სი—ო:** ესენი აწარმოებენ სახელებს ისეთი ფუძეებისაგან, რომელთაც ბოლოს აქვთ ბაგისმიერი ბგერები უ, ფ, ზ: ტფ-ილ-ი — სი-ტფ-ო-ა, ტკბ-ილ-ი — სი-ტკბ-ო-ა, მსხუ-ილ-ი — სი-მსხ-ო-ა, ჩჩუ-ილ-ი — სი-ჩჩ-ო-ა, ლბ-ილ-ი — სი-ლბ-ო-ა, წულ-ილ-ი — სი-წულ-ო-ა (სი-წლ-ო-ა); ზოგჯერ ისეთ ფუძეთაგანაც, რომელთაც ირ სუფიქსი აქვთ: კწ-ირ-ი — სი-კწ-ო-ა.

74. **დანიშნულების სახელები.** დანიშნულების სახელთა საწარმოებლად ძველ ქართულში გამოყენებულია პრეფიქს-სუფიქსი სა—ე, სა—ო და სა—ურ.
- სა—ე:** სა-ვა-ნე-ა, სა-ზეთ-ე-ა, სა-ზეურ-ე-ა, სა-ვენაჯ-ე-ა, წუენ-ი — სა-წუნ-ე-ა, სა-წიგნ-ე-ა, სა-წვე-ე-ა, სა-პურ-ე-ა, სა-კირ-ე-ა და მისთ.. ეა-ს ნაცვლად ჩვეულებრივ იწერებოდა მ: სავანმ, საზეთმ, საზეურმ და მისთ..
- სა—ო:** სა-ზამთრ-ო-ა, სა-ზაფხულ-ო-ა, სა-კელრ-ო-ა, სა-ტრაპეზ-ო-ა და მისთ..
- სა—ურ** (დისიმილაციით სა—ულ): ცეცხ-ლი — სა-ცეცხ-ურ-ი, განძ-ი — სა-განძ-ურ-ი, \*რწყ-ალი — სა-რწყ-ულ-ი და მისთ..

75. **ხელობის სახელები.** ხელობის სახელებს აწარმოებს პრეფიქს-სუფიქსი მე—ე და მე—ურ. სუფიქსს შეუძლია შეკვეცოს ან შეკუმშოს ძირითადი სახელის ფუძე: ნავ-ი — მე-ნავ-ე-ა, ზუერ-ი („ბაჟი“) — მე-ზუერ-ე-ა („ბაჟის ამლები“), კარ-ი — მე-კარ-ე-ა, კეც-ი (თიხის ჭურჭელი) — მე-კეც-ე-ა, მტილ-ი — მე-მტილ-ე-ა, სათხველ-ი („თევზის დასაპერი ბადე“) — მე-სათხველ-ე-ა („მეზა-დური“), სუეტ-ი — მე-სუეტ-ე-ა, მე-უდაბნო-ე-ა, მე-პურ-ე-ა, მე-ლორ-ე-ა და მისთ..

- ამგვარადვეა ნაწარმოები მე-უფ-ე-ა, რომელიც შემდეგში \* მე-უფედ უნ-და ქცეულიყო, ამან კი შემდეგი ცვლილებით მე-ფე მოგვცა. ფუძეა უფ, რომლისგანაც გვაქვს: უფ-ალი, ს-უფ-ევა-ა.
- მე—ურ** (დისიმილაციით მე—ულ). ამგვარად გვაქვს ნაწარმოები მე-თევზ-ურ-ი, მე-განძ-ურ-ი, მე-მახ-ურ-ი (მახის დამდგმელი ფრინველთა დასაჭერად), მე-რწყ-ულ-ი (წყლის მომტანი).

76. **რიგობითი და წილობითი სახელები.** რიგის აღსანიშნავად რაოდენობითს რიცხვით სახელს დაერთვის პრეფიქს-სუფიქსი მე—ე, რომელიც იგივეა, რაც

ზელობის სახელთა მსგავსივე მაწარმოებელი: მე-ორ-ე-ა, მე-სამ-ე-ა, მე-ოთხ-ე-ა, მე-ხუთ-ე-ა, მე-რვა-ე-ა, მე-ათ-ე-ა, მე-ათერთმეტ-ე-ა, მე-ათექუსმეტ-ე-ა, მე-ოც-ე-ა და მისთ.. არ ითქმის მე-ერთ-ე-ა, არამედ პირველი, მაგრამ და-თი შეერთებული რიცხვითი სახელებისაგან ითქმის მე-ერთ-ე-ც: ოც და მე-ერთ-ე-ა (მეოცდაერთეა), ორმოც და მე-ერთ-ე-ა და მისთ..

77. **წილობითი სახელები.** წილობითი სახელების მაწარმოებელია პრეფიქს-სუფიქსი **მე** — ელ: მე-სამ-ელ-ი, მე-ოთხ-ელ-ი, მე-ხუთ-ელ-ი და სხვ.. არ ითქმის მე-ორ-ელ-ი, არამედ ზოგი („ნახევარი“): ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა (ლ. 19, 8). წილობითია აგრეთვე **ნა**—ალ-ით ნაწარმოები ნა-სამ-ალ-ი („მესამედი“), ნა-ოთხ-ალ-ი („მეოთხედი“).

**-ეულ.** იგი აწარმოებს რაოდენობით რიცხვით სახელთაგან წილობითს: ათეუ-ლი („მეათედი“): ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა (ლ. 18, 12), ან აღნიშნავს, თუ რამდენჯერ მეტია რომელიმე საგანი ერთ-თან შედარებით: ნაყოფი გამოილიან ოცდაათეული და სამოცეული და ასეული (მრ. 4; 20).

78. **გეოგრაფიული სახელები.** გეოგრაფიულ სახელთა სპეციალური მაწარ-მოებელია სუფიქსი **ეთ**: სპარს-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი, სიენი-ეთ-ი, ოცს-ეთ-ი. შეიძლე-ბა ასეთ სახელს აგრეთვე **სა** პრეფიქსიც ჰქონდეს: სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-სარკინოზ-ეთ-ი („სირია“).

79. **მცენარეთა კრებულის სახელები.** მცენარეთა კრებულის სახელთა სა-წარმოებლად გამოყენებულია სუფიქსი **ნარ**: ეკალ-ი — ეკლ-ნარ-ი, ძეძუ (ძეძუ-ი) — ძეძუ-ნარ-ი, ფიჭუ-ი — ფიჭუ-ნარ-ი.

80. **ხარისხის სახელები.** ხარისხის სახელები ძველ ქართულში ორია: დადე-ბითი და უფროობითი. ძირეული სახელი დადებითად ითვლება, წარმოქმნილი კი — უფროობითად.

უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი პირველ ხანებში იყო პრეფიქს-სუფიქსი **უ—ჴს**, მერმე კი მისი გამარტივებული სახე **უ—ეხ**: მჯობ-ი — უ-მჯობ-ჴს-ი (უ-მჯობ-ეს-ი). სუფიქსს ძალა შესწევს შეკუმშოს ან შეკვეცოს ძირეული სახელის ფუძე: ახალ-ი — უ-ახლ-ჴს-ი (-ეს-ი), მოკლე — უ-მოკლ-ჴს-ი (-ეს-ი). ამას გარდა, ზოგი ელ და ილ სუფიქსიანი ფუძე უფროობითი ხარისხის წარმოე-ბისას კარგავს ამ სუფიქსებს; გრძ-ელ-ი — უ-გრძ-ჴს-ი (-ეს-ი), კეთ-ილ-ი — უ-კეთ-ჴს-ი (-ეს-ი); უ-ადვილ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-დიდ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-მდიდრ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-მცირ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-მაღლ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-მეტ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-ძვრ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-წმიდ-ჴს-ი (-ეს-ი) და მისთ.. ძალლი ცოცხალი უმჯობ-ჴს არს ლომისა მკუდრისა (ეკლ. 9, 4).

უფროობითი ხარისხი ჩვეულებრივ ზედსართავთაგან იწარმოება, მაგრამ ძველ ქართულში იგი შეიძლება მიმღობათაგანაც იწარმოოს: უ-მკუთეთელ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-მოსწრაფ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-მოლხინ-ჴს-ი (-ეს-ი), უ-საზარელ-ჴს-ი

(-ეს-ი), უ-საშინელ-შს-ი (-ეს-ი), უ-შეგინებულ-შს-ი (-ეს-ი), უ-საწყალობ-ელ-შს-ი (-ეს-ი), უ-სანატრელ-შს-ი (-ეს-ი) და მისთ..

ცხოველ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ და მწე და უმკუთეთელშს უფროჲს ყოვლი-სა მახვლისა ორ-პირისა (ებრ. 4, 12).

ზოგიერთ ფუძეთაგან უფრობითი ხარისხის მაწარმოებელია უ—ოას. ასე-თია: ტკბ-ილ-ი — უ-ტკბ-ოას-ი: თაფლისა უტკბოასსა და უსარგებლშსსა იტყო-და (სინ. მრ. 86, 7). (გვხვდება უტკბილშს-იც: უტკბილშს არიან იგინი უფროჲს თაფლისა მის გოლეულისა, ფს. 18, 11); მსხუ-ილ-ი (მსხული) — უ-მსხ-ო, უ-მსხ-ოას-ი (ნეკი ჩემი უ მ ს ხ ო არს წელთა მამისა ჩემისათა, III მეფ. 12, 10). ასეთსავე წარმოებას გულისხმობს აგრეთვე უ-ფრ-ოას-ი, მაგრამ არ ჩანს მისი ფუძე, რომლისგანაც ნაწარმოებია აგრეთვე ზმნიზედა ფრ-იაღ.

გვხვდება მოკლე ფორმა, ნაწარმოები უ—ე ან უ—ო პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით: უ-მოლხინ-ე, უ-ძლიერ-ე, უ-ხუც-ე, უ-მსხ-ო და მისთ. არა არს უმძიმე და უძნელე ტურთ, ვითარცა ცოდვამ და განდგომილებამ (სინ. მრ. 105, 9), მაგრამ უფრო ხშირად არის უ—შს-ით (უ—ეს-ით) ნაწარმოები ფორმები.

უძველეს დროს უფრობითი ხარისხის სახელებს წინ ერთოდა ხ (ხან-მეტობის დროს) ან ჰ (ჰამემეტობის დროს): ხუმჯობშსი (ჰუმჯობშსი). ეს ხ (ან ჰ) წარმოშობით არის მე-3 ობიექტური პირის ნიშანი: ხუმჯობშსი — მისი მჯობი. ამის გვერდით უნდა არსებულიყო მიმჯობშსი (ჩემი მჯობი) და გიმჯობშსი (შენი მჯობი), აგრეთვე გუიმჯობშსი და მიმჯობშსი (ჩვენი მჯობი), მაგრამ 1-ლისა და მე-2 პირის ფორმები ადრე გადავარდნილა და კენტად დარჩენილმა ხუმჯობშს-ჰუმჯობშს ფორმამ პირიანობის გაგება დაკარგა. ამ ძველი დროიდან არის მოღწეული დღევანდლამდის ხუცეს-ი (ხ-უ-ც-ეს-ი), რომელიც თავდაპირველად „უფროსს“ აღნიშნავდა (როგორც მეგრ. უჩაში), მერ-მე უფროს მღვდელს საეკლესიო პრაქტიკაში და შემდგომ — მღვდელს საზო-გადოდ.

უფრობითი ხარისხი შეიძლება ვაწარმოოთ აგრეთვე ზმნიზედათაგანაც: ზეშთა—უ-ზეშთა-შს (-ეს). \*ადრე—უ-არ-შს (-ეს), \*დარე—უ-დარ-შს (-ეს), წინარე — უ-წინარ-შს (-ეს), ქუემო — უ-ქუემო-შს (-ეს) და მისთ.. აქედან შემ-დეგ ზედსართავები გვაქვს: უზეშთაშსი, უარშსი, უწინარშსი და მისთ..

### თ ხ ზ ვ ა

81. **გაორკეცებული სახელები.** პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ისეთი გაორკეცება, როგორიცაა დიდ-დიდი და ძვრ-ძვრი (უკანასკნელი უფრო ვითარებითის ფორმით იხმარება). ასეთი გაორკეცება აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას: დიდ-დიდ-ი — ძალიან დიდი, ძვრ-ძვრად — მეტად სასტიკად. ვითარებითშია დასმული გაორკეცების ორივე წევრი: კაცად-კაცად-ი, პირად-პირად-ი, ფერად-ფერად-ი, გუარად-გუარად-ი. „კაცად-კაცადი“ ითქმის მხოლოდ ადამიანებზე და ნიშნავს „თვითუღს“, „ყოველს“, ხოლო პირად-პირადი, ფერად-ფერადი და გუარად-გუარადი აღნიშნავს ნაირ-ნაირს, სხვადასხვას. აღსავეს არს

ყოვლითა კეთილითა, ხილითა და ვენაჴებითა და მხლითა გუარად-გუარადითა (პეტრიწონის ტიპიკონი).

გაორკეცება შეიძლება ზმნიზედისაც: ადრე-ადრე. ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე თვს-თვს ან თვს-თვსად („ცალკ-ცალკე“) და, საზოგადოდ, გაორკეცებული სახელი ვითარებითში: ზვნად-ზვნად (გამოსლ. 8, 14); მწყობრად-მწყობრად (მრ. 6, 40), უამად-უამად და სხვ..

რაოდენობითი რიცხვითი სახელის გაორკეცება გვიჩვენებს, თუ რამდენი ერთეულისაგან არის შემდგარი ცალკეული ჯგუფები, რომლებზედაც საუბარია წინადადებაში: ორ-ორი, სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ათ-ათი, ოც-ოცი და მისთ.: და დასხნა მწყობრად-მწყობრად ას-ასი და ერგასის-ერგასისი (მრ. 6, 40); იყვნეს მუნ სარწყულნი ქვისანი მდგომარენი ექუსნი, რომელთა შთაასხიან საწყაული ორ-ორი გინა სამ-სამი (ი. 2, 6).

**82. გაორკეცება ხმოვნის შეცვლით.** ერთ-ის ხმოვან-შეცვლილი სახეა ურთი. ნაცვალსახელი „ურთიერთას“ (მოგვიანო ხანის ძეგლებში „ურთიერთას“) სწორედ ამ ურთ-ისა და ერთ-ის შეერთებით არის წარმომდგარი. იგი მიღებულია ურთიერთთა-საგან, რომელსაც ფორმის უკეთ გააზრების მიზნით დართვია მიცემითი ბრუნვის ნიშანი ხ. ოლონდ ორი თ-საგან ერთი დაკარგულია: ურთიერთთა (>ურთიერთას). შემდგომი მისი ცვლება რ-ს დართვით გამოიხატა (ურთიერთარს). ამ სიტყვაში ხმოვანი შეცვლილია რთული სიტყვის პირველ ნახევარში, სამაგიეროდ ძუელ-ძული (მამ. ცხ.) ხმოვნის შეცვლას გვიჩვენებს მეორე ნახევარში (ძუელ-ძუელი >ძუელ-ძული; უმარცვლო უ დაიკარგა უ ხმოვნის წინ).

გაორკეცების მაგალითია აგრეთვე ზმნიზედა რიქურ-რაქუს (და განთიად რიქურაქუს ოდენ ნიად აღდგა და გამოვიდა მიერ და განვიდა უდაბნოსა აღგილსა: მრ. 1, 35), ოლონდ აქ ი ხმოვნის შემცვლელია ა.

**83. არსებითი სახელი რთული სახელის პირველ ნაწილად.** არსებითი სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი და რთული სახელის ბრუნებაში არ იღებს მონაწილეობას: დედა-კაც-ი, დედა-კაც-მან, დედა-კაც-სა, დედა-კაც-ისა და შემგომი. ასეთივეა აგრეთვე მამაკაცი: რომელმან დაჰბაღნა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი (მ. 19, 4). „დედა“ და „მამა“ აქ ბუნებრივი სქესის აღსანიშნავად არის ნახმარი. ასეთივეა აგრეთვე მამა-მძუქე და დედა-მძუქე.

**84. ზედსართავი რთული სახელის პირველ ნაწილად:** დიდროა-ე, დიდძალი-ი. ამათგან დიდროაე („წყალდიდობა“) არსებითია, არსებითია აგრეთვე დიდფასი, დიდძალი-ი კი ზედსართავია: დიდროვაა რაე იყო, ეკუთვითა მდინარეჲ იგი სახლსა მას და ვერ შეუძლო შეძრვად (ლ. 6, 48); დიდფასისა საგებელი (მამ. ცხ.); და იყო მუნ კოლტი ღორთაე დიდძალი (მრ. 5, 11). ასეთივეა აგრეთვე შუველამე-ე. დავწერთ მის შემადგენელ ნაწილებს ცალკ-ცალკე თუ ერთად, მაინც ერთი სიტყვაა: მწუხრი ანუ შუველამეს ანუ ქათმისა კმასა ანუ განთიად (მრ. 13, 35).

85. **დღეთა სახელები.** დღეთა სახელებში რიცხვითი სახელი პირველ ადგილზეა წრფელობითი ბრუნვის ფორმით: ერთ-შაბათ-ი, ორ-შაბათ-ი, სამ-შაბათ-ი, ოთხ-შაბათ-ი, ხუთ-შაბათ-ი (ზოგჯერ ხუჩაბათი); ნიად განთიადსა მას ერთ-შაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა (მრ. 16, 2).

86. **შერწყმული სახელები.** შერწყმის ერთ-ერთი სახეა მამა-დედანი, რომელშიც შეერთებულია ორი სახელი და კავშირის გარეშე; ასეთია აგრეთვე: თავ-ფერტი, დაბა-ქალაქი, თესლ-ტომი, ვეშაბ-თევზ-ი, ვირ-კურო-ჲ, მშულდ-კაპარპ-ი, ურემ-კარი, მსუენ-ლომი, მწავ-ძალლ-ი, სირ-აქლემ-ი, აქლემ-ვეფხ-ი და მისთ..

87. **ზედსართავ- და მიმღეობა-დართული სახელები.** არსებითი სახელის ფუძეზე დართული ზედსართავი ან მიმღეობა გვიჩვენებს, თუ რა ნიშანი ახასიათებს რაიმე საგანს; თავ-გატეხილია ის, ვისაც თავი გატეხილი აქვს; რტო-წულილია ხე, რომელსაც წვილი რტოები აქვს. ამგვარი რთული სახელებია: დღე-გრძელი-ი, ენა-მძიმე, კმა-შუენიერ-ი, თმა-გარდატევებული-ი, თუალ-დაწუხვილი-ი, კარ-დაკშული-ი, მუკლ-მოდრეკილი-ი, ზღუდე-დარღუეული-ი, ყურ-კუთილი-ი (ან ყურ-წარკუთილი-ი) და მისთ..

## ზ მ ნ ე ბ ი

88. **ზმნის კატეგორიები.** ქართული ზმნის კატეგორიები ორ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფშია ის კატეგორიები, რომლებიც უღლებაში მონაწილეობენ და უღლების სისტემას ქმნიან ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებში. ესენია უღლების (კონიუგაციის) კატეგორიები. მეორე ჯგუფშია ის კატეგორიები, რომლებიც ახალ ზმნას აწარმოებენ და რომელთაც, ძირეულისაგან განსხვავებით, სხვა ლექსიკური მნიშვნელობა აქვთ. ესენია წარმოქმნის (ანუ დერიაციის) კატეგორიები.

89. ძველ ქართულ ენას მოეპოვება შემდეგი უღლები სკატეგორიები: პირი და რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, აქტი, გზისობა, თანამდევრობა და მწყრივი. ამათგან მწყრივი რთული კატეგორიაა, რომელიც აერთიანებს რამდენიმე უღლების კატეგორიას, სხვები კი — მარტივი. პირი და რიცხვი ცვალებადი კატეგორიაა თვითიული მწყრივის ფარგალში, დანარჩენები კი — უცვალებელი, რომლებიც მწყრივის ელემენტების სახელით არის ცნობილი.

წარმოქმნის კატეგორიები: გეზი და ორიენტაცია, გვარი, ქცევა, კონტაქტი.

ასპექტი ძველ ქართულში უღლების კატეგორია იყო, მაგრამ მისი გამოხატვის საშუალება თანდათან იცვალა დროთა განმავლობაში და ახალ ქართულში წარმოქმნის კატეგორიებში დიკავა ადგილი.

90. **გარდამავლობა.** ზოგი ზმნა გარდამავალია, ზოგი კი — გარდაუვალი. გარდამავალია ზმნა, თუ იგი პირდაპირ ობიექტს შეიწყობს. პირდაპირი ობიექტი ბრუნვა-ცვალებადია: პირველი სერიის მწკრივთა ფორმებთან იგი მიცემითში დგას, მეორე და მესამე სერიის მწკრივთა ფორმებთან კი — სახელობითში: აღიპყრობს კეღსა — აღიპყრა კელი — აღუპყრის კელი; მოჰკლავს ირემსა — მოკლა ირემი — მოუკლავს ირემი და მისთ..

გარდამავალი ზმნის სუბიექტიც ბრუნვა-ცვალებადია: I სერიის მწკრივთა ფორმებთან იგი სახელობითში დგას, II სერიის მწკრივთა ფორმებთან — მოთხრობითში, ხოლო III სერიის მწკრივთა ფორმებთან — მიცემითში; მაგ., კაც იღობ აღიპყრობს კეღსა, კაც მან აღიპყრა კელი, კაცსა აღუპყრის კელი. არის ზმნები, რომელთაც პირდ. ობიექტი არა აქვთ, მაგრამ სუბიექტის ბრუნვა-ცვალებადობა ახასიათებს. ასეთია, მაგალითად, ივნებს კაცი — ივნო კაც მან; დაიძინებს იგი — დაიძინა მან; იხარებს მამამ — იხარა მამამ და მისთ.. ასეთ ზმნებს შეიძლება პირობით ნახევრად გარდამავალი ვუწოდოთ. ნახევრად გარდამავალია ზოგი რთული ზმნა, მაგ., ნათელ-სცა (მან მას, ზმნა ორ-პირიანი), ნათელ-იღო (მან, ერთ-პირ.), თავ-უყო (მან მას 2-პირ.) და მისთ..

გარდაუვალია ზმნა, თუ მას პირდაპირი ობიექტი არ ეწყობა: ზის, მოკუდა, მოვიდა, დაჯდა, აღღვა, დავარდა, შეწუხნების, დაიწუხების, ემალების, განახლდების და მისთ..

გარდამავალი ზმნა ორ-პირიანი ან სამ-პირიანი, გარდაუვალი კი — ერთ-პირიანი ან ორ-პირიანი. ნახევრად გარდამავალიც ერთპირიანი ან ორ-პირიანი.

### უღლები კატეგორიები

#### პირი და რიცხვი

91. პირისა და რიცხვის კატეგორია ერთად არის განსახილველი, რადგანაც რიცხვი ზმნაში შეიძლება მხოლოდ პირს ჰქონდეს. პირის ფორმა კი, საზოგადოდ, შეიცავს რიცხვის ფორმასაც.

პირის ნიშნები იცვლება პირთა, რიცხვთა და მწკრივთა მიხედვით. ფონეტიკური გარემოს გამო პირის ნიშანი შეიძლება შეიცვალოს, გადაკეთდეს ან სულ დაიკარგოს.

რიცხვი ორი აქვს ძველ ქართულ ზმნას: მხოლობითი და მრავლობითი. მხოლობითი ერთი პირის მოქმედების გაგებას გვაძლევს, მრავლობითი კი — ერთზე მეტისას.

პირი ორგვარია: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტურია პირი, რომელიც მოქმედად არის წარმოდგენილი; ობიექტურია პირი, რომელიც უმოქმედოა და მასზე მოქმედებენ ან მისთვის მოქმედებენ.

სუბიექტური პირი სამია ძველ ქართულში, როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში: 1-ლი, მე-2, მე-3. ობიექტური პირი კი სამია მხოლობითში (1-ლი, მე-2, მე-3) და ოთხი მრავლობითში (1-ლი ინკლუზიური, 1-ლი ექსკლუზიური, მე-2 და მე-3 (§ 105).

92. პირდაპირი და ირიბი. ობიექტური პირი ორგვარია, პირდაპირი და ირიბი.

პირდაპირ-ობიექტური პირი, რომელსაც პირდაპირი ობიექტი ეწეობა, ე. ი. სახელი, რომელიც ბრუნვა-ცვალებადია: I სერიის ფორმებთან მიცემითში დგას, II სერიის ფორმებთან კი — სახელობითში: ჰამს პურსა, ჰამა პური, მოჰკლავს ირემსა — მოკლა ირემი და მისთ..

ირიბ-ობიექტურია პირი, რომელსაც ირიბი ობიექტი ეწეობა. ირიბი ობიექტი ეწოდება ობიექტს, რომელიც ბრუნვა-უცვალებელია: I სერიის ფორმებთანავე მიცემითშია და II სერიის ფორმებთანავე: ესმის დედასა კმაჲ ყრმისაჲ, ესმა დედასა კმაჲ ყრმისაჲ.

პირდაპირ-ობიექტურ პირსა და ირიბ-ობიექტურს განსხვავებული ფორმები ზმნაში მხოლოდ მე-3 პირში აქვთ, სადაც ირიბ-ობიექტურ პირს ყოველთვის აქვს ნიშანი, თუ იგი ფონეტიკური ვითარების გამო დაკარგული არ არის. პირდაპირ-ობიექტურ პირს კი პირის ნიშანი ზმნაში II სერიის ფორმებთან არა აქვს, I სერიის ფორმებთან კი გარკვეულ შემთხვევაში აქვს, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი (§§ 163, 164). სამაგიეროდ პირდაპირ-ობიექტურ პირს II სერიის ფორმებში რიცხვის ნიშანი აქვს ზმნაში იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირ ობიექტად წარმოდგენილი სახელი ნ-არიან მრავლობითში დგას (ამაზედაც ქვემოთ, §§ 171, 172).

93. პირთა რაოდენობა. ქართული ზმნის ფორმა შეიძლება იყოს ერთ-პირიანი, ორ-პირიანი და სამ-პირიანი. რამდენი პირია ზმნაში, ამას ვარკვევთ იმის მიხედვით, თუ რამდენი შეეწეობა მას ამ ცხრა სიტყვათაგან: **მე, შენ, იგი, მან, მას, ჩუენ, თქუენ, იგინი, მათ**, რომელთაც საგუებლებს ვეძახით. ერთ-პირიანია ზმნა, რომელსაც ერთი საგუებელი შეეწეობა: ეს პირი არის ჩვეულებრივ სუბიექტური პირი: ვზი (მე), დავჯედ (მე), სდგა (შენ), ძეს (იგი), წარვალთ (ჩუენ), მოხუედით (თქუენ), მოიქცეს (იგინი).

ორ-პირიანია ზმნა, რომელშიც ორი პირია გამოხატული და საგუებელიც ორი შეეწეობა: ამ პირთაგან ერთი სუბიექტურია, მეორე — ობიექტური. ეს ობიექტური პირი შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი. პირდაპირია, თუ ზმნა გარდამავალია; ირიბია, თუ ზმნა გარდაუვალია. მაგალითები (საგუებლებში ჯერ სუბიექტია დასახელებული, შემდეგ ობიექტი):

ა) ზმნა გარდამავალია, ობიექტური პირი — პირდაპირი: ვიხილე (მე იგი), წარგიყვანა (მან შენ), თქუეს (მათ იგი), დამალნა (მან იგინი), შემკრიბენით (თქუენ ჩუენ) და მისთ..

სამ-პირიან ფორმაში ერთი პირი სუბიექტურია, ორი კი — ობიექტური. ამ ობიექტურ პირთაგან ერთი პირდაპირია, მეორე — ირიბი. მაგალითები (მაგალითებში ჯერ სუბ. პირის საგუებელია მოყვანილი, მერმე — ირიბ-ობიექტურისა, უკანასკნელად კი — პირდაპირ-ობიექტურისა): მრქუა (მან მე იგი), შეხუაბთ (ჩუენ მას იგი), შევჰვედრეთ (ჩუენ მას იგი) და მისთ..

ბ) ზმნა გარდაუვალია, ობიექტური პირი — ირიბი; მაგალითები: მოუტდეს (იგინი მას); ესმა (კმაჲ მას), ეჩუენა (იგი მას) და მისთ..

სუბიექტური ნიშნები

94. **სუბიექტური პირი.** სუბიექტური პირი ყოველგვარი ზმნის ფორმაში არის. თუ ზმნა უპირობა (ე. ი. იმპერსონალური), სუბიექტური პირი მაინც იქნება შიგ წარმოდგენილი: ელავს, ქუხს.

1-ლსა და მე-2 პირს სუბიექტური ნიშნები წინ მოუდის, პრეფიქსებია, მე-3 პირს კი ბოლოში მოუდის, სუფიქსებია. ზმნის ფუძესა და 1-ლისა და მე-2 პირის ნიშნებს შორის შეიძლება იყოს ქვევის ნიშანი (ა, ი), ან გვარის ნიშანი (ო, ე), სულ წინ კი — ზმნისწინი.

95. **პირველი სუბიექტური პირის ნიშანი.** 1-ლი სუბიექტური პირის ნიშანია ვ, რომელიც უ ხმოვნის წინ იკარგება. იგი საერთოა ორივე რიცხვისთვის, მრ. რიცხვის გამოსახატავად მხოლობითის ფორმას ემატება ბოლოში თ და მრავლობითი რიცხვის ფორმა მზად არის. მაგალითები: ვ-არ, ვ-არ-თ; ვ-დგა, ვ-დგა-თ; ვ-იხილე, ვ-იხილე-თ; (ე)უწყი, (ე)უწყი-თ და მისთ.

ვ იკარგება აგრეთვე ვ-ინით დაწყებული ვალ-ვედ-ვიდ ზმნის წინ: მი-ვალ (მი-ვეალ-ის ნაცვლად); ვინით დაწყებული სხვა ზმნების წინ ვ შეიძლება დაიკარგოს და შეიძლება არაც: დავვარდი (ან დავარდი).

96. **მეორე სუბიექტური პირის ნიშანი.** მეორე სუბიექტურა პირის ნიშანია ჰ, რომელიც მომდევნო ბგერის გავლენას განიცდის: ხმოვნების წინ იკარგება, ცხრა თანხმოვნის წინ (ე. ი. კბილისა და ნუნისმიერი თანხმოვნების წინ) იქცევა ს-დ. ეს ბგერებია: კბილისმიერი ტ დ თ, წინა ნუნისმიერები წ ძ ც და უკანა ნუნისმიერი ჭ ქ ჩ ზ. მრავლობითი რიცხვი აქაც თ-ს დართვით იწარმოება; მაგალითები: შე-ჰ-კარ, შე-ჰ-კარ-თ; გან-ჰ-ყიდე, გან-ჰ-ყიდე-თ; ხმოვნის წინ ჰ იკარგება (დაკარგული ჰ აქ ფრჩხილებშია ჩასმული): (ჰ)უწყი, (ჰ)უწყით; (ჰ)იხილე, (ჰ)იხილეთ. კბილისა და ნუნისმიერი ბგერის წინ ჰ ს-დ არის ქვეული: ს-ტირ, ს-ტირ-თ; ს-დგა, ს-დგა-თ; და-ს-წერო, და-ს-წერო-თ; გან-ს-ძლიერდი, გან-ს-ძლიერდი-თ; ს-ცან, ს-ცან-თ; ს-ჰამე, ს-ჰამე-თ; და-ს-ჯედ; ს-ჩან, ს-ჩან-თ.

შეშინა ბგერების წინ ს ხშირად შ-დ არის ქვეული: შჰამე, შჰამეთ; დაშჯედ; შჩან, შჩანთ.

ხშირია ჰაეს დაკარგვა ზოგიერთი თანხმოვნის წინაც, როგორცაა: ს, ზ, ხ. ორიოდ მაგალითი: ნუ ზრუნავთ (მ. 6, 25); (ნუ ჰზრუნავთ მ. 6, 34); რაჲ შჰამოთ და რაჲ ჰსუათ (ლ. 12, 29); რაჲ შჰამოთ და რაჲ სუათ (მ. 6, 25 E).

ჰ ბგერის შეგუება მომდევნო ბგერასთან თანდათანობით ხდებოდა. ძველ ხელნაწერებში ჰ შეიძლება თანხმოვნების წინაც შეგვხვდეს, უფრო მეტად კბილისმიერისა და ნუნისმიერი ბგერების წინ, სადაც ს არის მოსალოდნელი, მაგ., ჰტირთ (მრ. 5, 39). ხშირია ამ თანხმოვნების წინ ორი ასოს დაწერაც, ეს ორი ასოა ჰს. ორივე ერთად ერთ რთულ ბგერას გამოხატავდა, რომლითაც გადმობრძნეოდა გარდამავალი საფეხურის ბგერა ჰაედან ხანისკენ. განსაკუთრებით ხშირია ასეთი მოვლენა ზოგიერთ ხელნაწერში, მაგ., ჯრუჰის ოთხთავში (936 წ.), რომელსაც პარხლის ოთხთავი (973 წ.) უპირისპირდება: იმაში რომ ჰს (ჰშ) არის,

ნიშნები  
 (უ-1 ნიშნის დაწყება) ვალ-ვედ ბრ ხ ... — თ  
 2. ს-ს — თ

ამაშია მხოლოდ **ხ (შ)**. მაგალითები მარკოზის თავიდან: რომელი ჰსწყევე (მრ. 11, 21 D, რომელი სწყევე E); რაჟამს ჰსდგეთ ლოცვასა (მრ. 11, 25 D, სდგეთ E); ჰეშმარიტად ჰსთქუ (მრ. 12, 7 D, სთქუ E); რაათა ჰშჰამოთ (მრ. 14, 12 D, შჰამოთ E); შენ ჰსთქუ (მრ. 15, 2 D, შენ სთქუ E).

97. **ხანმეტი ტექსტების ჩვენება.** ხანმეტი ძეგლებში მე-2 სუბ. პირის ნიშანი ყველგან **ხ** არის, ხმოვნების წინაც და თანხმოვნების წინაც: ხ-იხილე, ხ-იხილე-თ; ხ-ტირ, ხ-ტირ-თ; ხ-დგა, ხ-დგა-თ; და-ხ-წერო, და-ხ-წერო-თ; გან-ხ-ძლიერდი, გან-ხ-ძლიერდი-თ; ხ-ცან, ხ-ცან-თ; ხ-ჰამე, ხ-ჰამე-თ; და-ხ-ჯედ; ხ-ჩან, ხ-ჩან-თ; ხ-ზრუნავ, ხ-ზრუნავ-თ; ნუ ხზრუნავთ, რაა ხჰამოთ და რაა ხსუათ და მისთ..

ეს **ხ** მე-2 პირის ნიშნად საყოველთაოდ ორ ზმნაშია შემორჩენილი: ხარ, ხუალ. უფალო, ვიდრე ხუალ (ი. 13, 36). ზმნისწინთა დართვით იქნება: მოხუალ, მოხუედ, მოხუდე; წარხუალ, წარხუედ, წარხუდე და სხვ.. ეს **ხ**, რა თქმა უნდა, მრავლობითი რიცხვის ფორმაც არის: ხართ; მოხუალთ, მოხუედით, მოხუდეთ.

98. **პირის ნიშანი ბრძანებითში.** ბრძანებითი კილო ორ-ნაირია: წართქმითი და უკუთქმითი (ანუ აკრძალვითი). წართქმით ბრძანებითს საკუთარი მწკრივები ჰქონდა ძველ ქართულში მე-2-ისა და მე-3 პირისთვის. 1-ლ პირს მხ.-ში საზოგადოდ ბრძანებითი არა აქვს, მრავლ. რიცხვში კი ამ მიზნით გამოყენებული იყო კავშირებითის მწკრივი.

აკრძალვითს (უკუთქმით ბრძანებითს) თავისი საკუთარი მწკრივი არ ჰქონდა და იყენებდა აწმყოს ფორმას (ნუ ნაწილაკთან), ან მეორე კავშირებითისას (არა ნაწილაკთან). აკრძალვითს პირის ნიშანი უნდა: იგი გამოყენებულ ფორმებთან ერთად არის გადმოსული: მო-კალ! მაგრამ: ნუ მოჰკლავ, არა მოჰკლა; დაწერე, მაგრამ: ნუ დასწერ, არა დასწერო; დადე, მაგრამ: ნუ დასდე, არა დასდე; აღდე, მაგრამ ნუ აღსდეგები, არა აღსდეგე; დაჯედ, მაგრამ ნუ დასჯდე, არა დასჯდე და მისთ.. აქ მხოლოდითი რიცხვის ფორმები იყო მოყვანილი. თუ იმავე ფორმას თ-ს დავუერთავთ, მივიღებთ მრავლობითის ფორმას: ნუ დასწერთ, არა დასწერთ; ნუ მოჰკლავთ, არა მოჰკლავთ; ნუ აღსდეგებით, არა აღსდეგეთ; დაჯედო მ ა ზმნას მრავლობითი რიცხვში შეენაცვლება და სხ-დო მ ა: ნუ დაჰსხდებით, არა დაჰსხდეთ.

99. **მესამე სუბიექტური პირის ნიშნები.** მე-3 სუბიექტური პირის ნიშნები ყველა ბოლოში ერთვის ზმნას, სუფიქსებია. მხოლ. რიცხვში ერთი ნიშანია, მრავლობითში კი სხვა. ამას გარდა, განსხვავებაა მწკრივთა მიხედვითაც.

**მე-3 სუბიექტური პირის ნიშნები მხოლოდით რიცხვში.** მე-3 სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდითში ოთხია: **ხ ნ ა ო**. ყველაზე მეტად მე-3 პირის სუბიექტურ ნიშნად მხოლოდითში იხმარება **ხ**; იგი იხმარება აწმყოში (აქებ-ს), უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითში: აქებდი-ს, აქი-ს; I-სა და II კავშირებითში (ანუ მყოფადში): აქებდე-ს, აქო-ს და მისთ..

**ხ** იხმარება ა) აწმყოს ხოლმეობითში: არ-ნ, ვალ-ნ, ადიდე-ნ.

ბ) წართქმითი ბრძანებითის მე-3 სუბ. პირში: იყავ-ნ, მოვედი-ნ.

**ა** იხმარება ა) უწყვეტელში: აქებდ-ა, ეძიებდ-ა, იქმოდ-ა, კმობდ-ა და მისთ..

ბ) წყვეტილში: დაშთ-ა, დაჯდ-ა, დადგ-ა, დამალ-ა, წარიყვან-ა, აღაშენ-ა და მისთ..

**ი** იხმარება წყვეტილში გარკვეულ ზმნებთან, პირველ ყოვლისა ერთ-თანხმოვნიან ფუძეებთან, როგორც არის: გ-ება (აღაგ-ო, განაგ-ო, და-აგ-ო, მიუგ-ო, წარაგ-ო, მოიგ-ო და მისთ.); პ-ება: განაპ-ო, დაიპ-ო; ქ-ება; აქო; ღ-ება: აღაღ-ო, აღიღ-ო, შეიღ-ო, მოიღ-ო, წარუღ-ო და სხვ.; ძ-ება: განაძ-ო; წ-ება: დააწ-ო; ხ-ება: შეახ-ო.

გამონაკლისია **ბ-მა** და **ც-ემა**, რომელთაც ა მოუღის: შეაბ-ა; მი-სც-ა, და-სც-ა და სხვ..

**ი** მოუღის აგრეთვე ორ-თანხმოვნიან ზმნებს, როგორცაა: აღმოავსო, და-ათრო, დაალტო, შეამკო, განატფო, ვ-ყავ, ჰ-ყავ, ყო (\*ყყა), ღანყო, შე-ყო, და-ყო და მისთ., განაძღო, სცხო, იწყო, მიუწყო და სხვ..

ეს **ი** იმ შემთხვევაში აქვს ზმნებს, თუ პირდ. ობიექტი მხოლოდითშია ან **ებ**-იან მრავლობითში. მაგრამ, თუ პირდ. ობიექტი **ნ**-არიან მრავლობითშია, მაშინ ზმნას ობიექტის სიმრავლის ნიშანიც დაერთვის და **ი** ა-დ გადაკეთდება: ყო იგი, მაგრამ ყვნა ივინი; აღაგო იგი, მაგრამ აღაგნა ივინი და მისთ..

100. **მესამე სუბიექტური პირის ნიშნები მრავლობით რიცხვში.** მე-3 სუბიექტური პირის ნიშანი მრ. რიცხვში არის: **ენ, ან, ნ, ეხ, ედ**, რომლებიც აგრეთვე ბოლოს დაერთვის ზმნას და გარკვეული წესით იხმარება: მწკრივს ან მწკრივების ერთ ჯგუფს ერთი მათგანი აქვს, სხვა მწკრივებს კი — სხვა. თვითელი მათგანის ხმარება ასეთ სურათს გვაძლევს:

**ენ**. ეს არის ნიშანი გარდამავალ ზმნათა უმეტესობისათვის აწმყოში: კმობ-ენ, აქებ-ენ, აღიდებ-ენ, ჰამ-ენ, ისმენ-ენ, დაარღუევ-ენ, მოავლინებ-ენ და მისთ..

**ან**. იგი მოუღის იმ ზმნებს, რომელთაც პირის ნიშნის წინ აქვთ **ი**, იქნება ეს **ი** თემის ნიშანი თუ მწკრივის ნიშანი: ყოვნი-ან, იცინი-ან, არი-ან, მო-რბი-ან; კმობდი-ან, დაარღუედი-ან და მისთ.. II ხოლმეობითის ნიშანი არის **ი**. ამიტომ მის შემდეგ მესამე პირის სუბ. ნიშანი მრ. რ-ში იქნება **ან**: დამალი-ან, შეწირი-ან, შეაგბი-ან და მისთ.. **ოდ** საერთოობიან ზმნებს I კავშირებითში (I მყოფადში) მწკრივის ნიშნად **ი** აქვთ. მაშასადამე, ამ მწკრივში ასეთ ზმნებს მე-3 სუბ. პირის ნიშნად ექნებათ **ან**: იქმოდ-ან, იტყოდი-ან, იცინოდ-ან და მისთ.

**ნ**. იგი მოუღის ზმნებს ორსავე კავშირებითში: ჰყოფდ-ენ, აქებდ-ენ, აღიდებდ-ენ; თქუ-ან, დაკლა-ან, მისცე-ან, მოიღო-ან, მიუგო-ან და მისთ.. იგულისხმება, რომ აქ **ენ** დაბოლოება შეკვეცილია.

**ეხ**. ეს დაბოლოება მოუღის ყოველგვარ ზმნას უწყვეტელსა და წყვეტილში: იმღერდ-ეს, კმობდ-ეს, სცემდ-ეს; იხილ-ეს, მოიღ-ეს, დაკლ-ეს, თქუ-ეს და მისთ..

**შენიშვნა 1.** **ოდ** საერთოობიან ზმნებს მწკრივის ნიშნად უწყვეტელში აქვთ **ე** (ეიქმოდე), რომელიც მე-3 პირის ფორმაში იკვეცება ა-ს წინ: იქმოდ-ა. ამიტომ გვგონია, რომ იგი მრავლობითშიც იკვეცება: იქმოდ-ეს.

**შენიშვნა 2.** ზოგ შემთხვევაში ხდება დამთხვევა მე-3 პირის ფორმისა სხვადასხვა მწკრივის მხოლობითსა და მრავლობითში: აღიდებდეს (იგინი მას), ფორმა მრავლობითია, მწკრივი უწყვეტელი, და აღიდებდეს (იგი მას, მათ), ფორმა მხოლობითია, მწკრივი I კავშირებითი (I მყოფადი).

**ელ.** იგი მოუღის ზმნებს აწმყოს ხოლმეობითსა და ორსავე პრძანებითში: აღიდებ-ელ, აღიდებდ-ელ; იყენ-ელ, მოვიდ-ელ.

### 101. მე-3 სუბიექტური პირის ნიშნები ერთად ორსავე რიცხვში.

მხ. მრ.	მაგალითები
<b>ს ენ</b>	აღიდებ-ს, აღიდებ-ენ
<b>ს ან</b>	აღიდებდი-ს, აღიდებდი-ან ყოვნი-ს, ყოვნი-ან იქმოდი-ს, იქმოდი-ან ღგა-ს, ღგან-ან; მიყუარ-ს, მიყუარ-ან
<b>ს ნ</b>	აღიდებდე-ს, აღიდებდე-ნ აღიდო-ს, აღიდო-ნ თქუა-ს, თქუ-ან აღმალდე-ს, აღმალდე-ნ აღიდნე-ს აღიდნე-ნ
<b>ნ ელ</b>	აღიდებ-ნ, აღიდებ-ელ
<b>ა ეს</b>	იხილ-ა, იხილ-ეს; თქუ-ა, თქუ-ეს დაწერ-ა, დაწერ-ეს
<b>ო ეს</b>	აღალ-ო, აღალ-ეს; იყო-ო, იყენ-ეს

### ობიექტური ნიშნები

**102. ობიექტურ პირთა ნიშნები და მათი ადგილი.** ობიექტური პირის ნიშანი შეიძლება გარდამავალ ზმნასაც ჰქონდეს და გარდაუვალსაც. ყოველგვარი ზმნის ობიექტური ნიშნები წინ დაესმის ზმნის ფუძეს, პრეფიქსებია. ობიექტური ნიშნები ან უშუალოდ ერთვის ზმნის ფუძეს წინიდან, ან ერთვის მას **ე ა ი უ** ხმოვნების მეშვეობით, რომელთაგანაც **ა** და **უ** ქცევის ნიშნებია, **ი** შეიძლება ქცევის ნიშანიც იყოს და ვნებითი გვარისაც, **ე** კი ვნებითი გვარის ნიშანია.

ობიექტური პირი ორნაირია: პირდაპირი და ირიბი. მათი ნიშნები 1-ლსა და მე-2 პირში ერთნაირია, და განსხვავებული — მე-3 პირში.

**1-ლი ობ. პირის ნიშანია** მხოლობითში **მ** პირდაპირი მიმართებისასაც და ირიბისასაც; მრავლობითში კი იგივე **მ** ან **გუ**, სადაც **უ** უმარცვლოა.

**მე-2 ობ. პირის ნიშანია** **გ**, აგრეთვე ორივე მიმართების დროს, თანაც როგორც მხოლობით რიცხვში, ისე მრავლობითშიც.

103. მე-8 პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანი. გარდამავალი ზმნის პირდაპირ-ობიექტურ პირს II სერიის ფორმებში ნიშანი არა აქვს, სამაგიეროდ მას ამ სერიაში აქვს მრავლობითი რიცხვის ნიშანი იმ შემთხვევაში, თუ პირდ. ობიექტად ნახმარია ნ-არიან მრავლობითში დაყენებული სახელი (რახუნდაც ქვე-მით იქნება საუბარი, § 171). I სერიაში კი პირდაპირ-ობიექტურ პირს შეიძლება ნიშანი ჰქონდეს გარკვეულ შემთხვევებში (ამაზე ქვემოთ, § 163).

გარდაუვალ ორ-პირიან ზმნას ერთი პირი ირიბი ობიექტისა აქვს. ამ პირს ობიექტური ნიშანი უნდა.

104. მე-8 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი არის ჰ ან მისი ბგერინაცვალი, ე. ი. ხმოვნების წინ არაფერი (რადგანაც აქ ჰ დაკარგულია), კბილისმიერისა და ნუნისმიერი თანხმოვნების წინ არის ს, მიღებული ჰ-საგან. ეს თანხმოვნებია: ტ დ თ; წ ძ ც; ჰ ჯ ჩ. მასასადაამე, მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი იგივე ყოფილა, რაც მე-2 პირის სუბიექტური ნიშანი და მსგავს ფონეტიკურ პირობებში მასაც იგივე ცვალება მოსდის, რაც მე-2 სუბიექტურს (მაგ., ხ იცვლება ზ-დ შიშინა ბგერებთან). რაც შეეხება ხანმეტ ძეგლებს, მათში მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი ყოველგვარ ვითარებაში ხ არის.

მაგალითები: მ-კითხა, გ-კითხა, ჰკითხა (ხანმ. ზკითხა), გუ-კითხა ან მ-კითხა; მ-თხოვა, გ-თხოვა, ს-თხოვა (ხანმ. ხ-თხოვა, ჰემ. ჰ-თხოვა), გუ-თხოვა ან მ-თხოვა; მო-მ-ცა, მო-გ-ცა, მი-ს-ცა (ხანმ. მი-ხ-ცა, ჰემ. მი-ჰ-ცა), მო-გუ-ცა ან მო-მ-ცა; მ-ი-ყო, გ-ი-ყო, (ჰ)უყო (ხანმ. ხ-უყო, ჰემ. ჰ-უყო), გუ-იყო (გყყო) ან მ-იყო; მ-აჩუნა, გ-აჩუნა, აჩუნა (ხანმ. ხ-აჩუნა, ჰემ. ჰ-აჩუნა), გუ-აჩუნა ან მ-აჩუნა.

შენიშვნა. ზოგ ხელნაწერში მე-3 ობიექტური პირის ნიშნად ხშირია ჰს (ან ჰშ), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჰ-ს გადაქცევა ს-დ (ან შ-დ) არ არის დასრულებული.

105. ინკლუზია და ექსკლუზია. 1-ლი ობიექტური პირის ფორმას მრავლობითში ჩუენ ეწყობა, მაგრამ ეს ჩუენ ორ-ნაირია: ერთია ის „ჩუენ“, რომელშიც მე და შენ, ან მე და თქუენ იგულისხმება, ე. ი. მოუბართან ერთად მე-2 პირი. ეს არის ინკლუზიური ფორმა; მეორეა ის „ჩუენ“, რომელშიც იგულისხმება მე და იგი, მე და მან, მე და მას, ან კიდევ მე და იგინი, მე და მათ, ე. ი. ფორმა, რომლიდანაც ამორთულია მე-2 პირი და ჩართულია მე-3. ეს არის ექსკლუზიური ფორმა. მასასადაამე, ინკლუზიურ ფორმაში ჩართულია მე-2 პირი და ამორთულია მე-3, ხოლო ექსკლუზიურში ჩართულია მე-3 პირი და ამორთულია მე-2.

არის იმის ნიშნები, რომ სალიტერატურო ქართულში უძველეს დროს გარჩეული იყო ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმები I-ლი ობიექტური პირისთვის მრავლობით რიცხვში: გუ უნდა ყოფილიყო ინკლუზიური პირის ნიშანი, მ კი — ექსკლუზიურისა. ამისი მაჩვენებელია შემდეგი ადგილი „მამათ ჩუენო“-ში: პური ესე ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი... და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიქსნენ ჩუენ ბოროტისაგან (მ. 6, 11—13).

მოყვანილ ნაწყვეტში ყველგან ექსკლუზიური ფორმებია: ორი მათგანი პირდაპირი მიმართებისა: ნუ შემოყვანებ ჩუენ, მიცხნენ ჩუენ, ორიც ირიბი მიმართებისა: მომეც ჩუენ, მომიტევენ ჩუენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მოღწეულ ტექსტებში საზოგადოდ ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმები მკაცრად გარჩეული არ არის.)

106. პირდაპირ-ობიექტური პირის გამოხატვა მრავლობით რიცხვში. (პირდაპირ-ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი ასახულია ზმნაში იმ შემთხვევაში, თუ ზმნა II სერიის მწყრივში დგას და მასთან შეწყობილი პირდ. ობიექტი ნ-არიან მრავლობითშია; მისი ნიშანია ენ ან ნ, მიღებული ე ხმოვნის ამოღებით. მაგალითი:

	პირდ. ობ. მხ.-შია (იგი)	პირდ. ობ. მრ.-შია (იგინი)	
მხ. 1.3 ვიხილე		ვიხილენ	3.1 მიხილა
2.3 იხილე		იხილენ	3.2 ვიხილა
3.3 იხილა		იხილნა	3.3 იხილა
მრ. 1.3 ვიხილეთ		ვიხილენ(ი)თ	3.1 გუხილნა
2.3 იხილეთ		იხილენ(ი)თ	3.1 მიხილნა
3.3 იხილეს		იხილნეს	3.2 ვიხილნა
			3.3 იხილნა

შენ ჩუენ მიხილენ, თქუენ ჩუენ მიხილენ(ი)თ

მე თქუენ ვიხილენ; ჩუენ თქუენ ვიხილენ(ი)თ

მაშასადამე, II სერიის ფორმებში ყოველ სუბიექტურ პირს ორ-ორი ფორმა აქვს: ერთი — პირდ. ობიექტის მხ. რიცხვში შეწყობისას, მეორე — პირდ. ობიექტის მრ. რიცხვში შეწყობისას.)

107. ინვერსია. (გარდამავალ ზმნას III სერიის ფორმებში ინვერსია მოსდის, ე. ი. პირის ნიშანთა შენაცვლება. მოქმედი პირი (სუბიექტი) I და II სერიის ფორმებში სუბიექტური ნიშნებით არის გადმოცემული, რომლებიც ვ-ინის რიგისანია; III სერიაში კი — ობიექტურებით, რომლებიც მ-ანის რიგისანია: დავწერ, დავწერე, დამიწერიეს; ვადიდებ, ვადიდე, მიდიდიეის; ვიქმ, ვქმენ, მიქმნიეს და მისთ. ობიექტური ნიშნებით, რომლებიც III სერიაში მოქმედ პირს გამოხატავენ, ირიბი ობიექტის ნიშნებია, რაც უფრო ნათლად მე-3 პირის ფორმაში გამოჩნდება: და(3)-უწერიეს, (3)უდიდიეის, (3)უქმნიეს (ხანმეტი ძეგლების მიხედვით აქ იქნება: დახუწერიეს, ხუდიდიეის, ხუქმნიეს). აი ეს პირის ნიშნების ფუნქციის შეცვლა III სერიაში არის ინვერსია.)

108. პირის გამოხატვა ზმნაში და პირის ნიშანი. (პირი რომ იყოს გამოხატული ზმნის ფორმაში, აუცილებელი როდია, რომ სათანადო პირის ნიშანი იყოს შიგ. აუცილებელია მხოლოდ, რომ ფორმა განსხვავებული იყოს იმავე მწყრივის სხვა ფორმათაგან ბგერობლივ; მაგალითი: ვიხილე, იხილე, იხილა, ვიხილეთ, იხილეთ, იხილეს. ეს ფორმები ყველა განსხვავებულია ერთმანეთისაგან როგორც ფორმით (ბგერობლივ), ისე გრამატიკული შინაარსითაც. ყველა

მათგანს პირის ნიშანი აქვს გარდა მეორე პირისა (იხილე, იხილეთ). ძველად ამათაც ჰქონდა პირის ნიშანი: ჰიხილე, ჰიხილეთ (ხანმეტ ძეგლებში: ხიხილე, ხიხილეთ). ეს ნიშანი (ჰ) დაიკარგა, მაგრამ გრამატიკული მნიშვნელობა იგივე შერჩა, რაც წინათ ჰქონდა, რადგანაც ფორმა მინც განსხვავებული დარჩა სხვებისაგან.

ავიღოთ სხვა მაგალითი: მტკიცედ დეგ. აქ დ ე გ ფორმას პირის ნიშანი არა აქვს, მაგრამ უნუკველია, რომ იგია მე-2 პირის ბრძანებითი მხ. რიცხვისა. იგი გამორჩეულია უნიშნობით სხვა მსგავსი ფორმებისაგან: ვდეგ, სდეგ, ვდეგთ, სდეგთ, ესენი თხრობითი კილოს ფორმებია წყვეტილის მწკრივისა. არც ერთი მათგანი არ უღრის მნიშვნელობით დეგ ფორმას, რომელიც ბრძანებითია მე-2 პირისა, ს დ ე გ კი თხრობითი კილოს ფორმაა იმავე მე-2 პირისა წყვეტილში.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნას შეიძლება პირის ნიშანი არ ჰქონდეს, მაგრამ პირი მინც იყოს შიგ წარმოდგენილი.

109. ირიბ-ობიექტური პირის ასახვა ზმნაში. „სხდა“ ზმნა ერთ-პირიანია. ა ქვევის ნიშნის დართვით იგი ორ-პირიანი ხდება (და-ა-სხდა, მო-ა-სხდა), იქნეს ირიბ-ობიექტურ პირს: აღაგზნეს ცეცხლი და გარე-მოასხდეს მას (ლ. 22, 55). აქ ირიბ-ობიექტური ნიშანი ჰ დაკარგულია ხმოვნის წინ: გარე-მო(ჰ)ასხდეს. ასევე დაკარგულია ჰ დაჰაკეთა-ში: სულმან არაწმიდამან და(ჰ)აკუეთა იგი (მრ. 9, 20). და(ჰ)აკუეთა-ს გვერდით არის აგრეთვე დაჰაკუეთა: სულმან მან და აჰაკუეთა იგი (მრ. 9, 20 C). ამ ორ ფორმათაგან უფრო ძველია ა-ნიანი (დაჰაკუეთა). „მოქმნა“ ორ-პირიანი გარდამავალი ზმნაა: ამან (ფარნავაზ) მოქმნა ციხე წყლით კერძო (მოქც.), მაგრამ იქვეა სამ-პირიანი მოაქმნა (\*მოჰაქმნა): და ამან (არსოკ) ქალაქსა ზღუდენი მოაქმნა.

აქედან ჩანს, რომ ირიბ-ობიექტური პირის ასახვა ზმნაში მოითხოვს სათანადო პირის ნიშნის ჩასმას. მაგრამ ეს პირის ნიშანი შეიძლება დაიკარგოს ფონეტიკური ვითარების გამო.

### დრო და კილო

110. დროთა და კილოთა რაოდენობა. დრო სამია ქართულში: ეხლანდელი, წარსული და მომავალი. კილოც სამია: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. თხრობითი კილო ყველაზე უფრო ნათლად გამოხატავს დროს: დავსწერ (ეხლანდ.), დავსწერდ ან დავწერე (წარსული), დავწერო (მომავალი). თვითეულ სერიას თავისი კავშირებითი აქვს: დავსწერდე (I კავშ.), დავწერო (II კავშ.), დამეწეროს (III კავშ.).

111. საერთო ფორმები. თხრობით კილოსა და კავშირებითს საერთო ფორმები აქვთ: I მყოფადის ფორმა( თხრ. კ.) და I კავშირებითისა ერთი და იგივეა: „დავსწერდე“, საპირობის მიხედვით, თხრობითიც არის (მომავალი დროისა) და კავშირებითიც: „დავწერო“ აგრეთვე შეიძლება თხრობითი კილოს ფორმადაც გავიგოთ (II მყოფადი) და II კავშირებითის ფორმადაც. გააჩნია კონტექსტს.

## ასპექტი

112. ძველ ქართულში უპირისპირდება I სერიის ფორმები II სერიისას იმ მხრივ, რომ ასპექტიან ზმნებში I სერიის ფორმები უსრულ მოქმედებას გადმოსცემენ, II სერიისა კი—სრულს. ამ საკითხში ზმნისწინს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა; ერთოდა იგი ზმნას თუ არა, სულ ერთი იყო: I სერიის ფორმები უსრული იყო და II სერიისა—სრული.

ასპექტი ძველ ქართულში უღლების კატეგორიაა, ახალ ქართულში კი—წარმოქმნისა.

## აპტი

113. წარსულში ჩადენილი მოქმედება შეიძლება იყოს ნახული ან უნახვი (სხვანაირად: შესწრებული ან შეუსწრებელი). ნახულ (შესწრებულ) მოქმედებას ძველ ქართულში თავისი მწკრივი არა აქვს, უნახავს (ან შეუსწრებულს) კი აქვს: უქმნიეს, მოუკლავს, დაუწერიეს. ამათან შეპირისპირებით ფორმები: ქმნა, მოკლა, დაწერა ნახული აქტის ფორმებია (ანუ შესწრებული მოქმედებისა).

## ბზისობა

113ა. წარსულში მომხდარი ან ჩადენილი მოქმედება შეიძლება იყოს ერთგზისი ან მრავალგზისი. მრავალგზის მოქმედებას ძველ ქართულში ხოლმეობითები გამოხატავენ: აწმყოს ხოლმეობითი (მისცემენ), უწყვეტლის ხოლმეობითი (მისცემდის), II ხოლმეობითი (მისცის). მათთან შეპირისპირებისას წყვეტილის ფორმა ერთგზის მოქმედებას გამოხატავს (მისცა).

## თანამდებრობა

114. ორი მოქმედება შეიძლება ისეთი იყოს, რომ ერთი უსწრებდეს, მეორე კი მოსდევდეს.

სწრება-მოდევნა შეიძლება მოხდეს წარსულში ან მომავალში. ძველ ქართულს (და საზოგადოდ ქართულს) უწინარეის მოქმედება შეუძლია გამოხატოს მხოლოდ წარსულში. საამისოდ მას მოეპოვება მწკრივი, რომელიც II თურმეობითის სახელით არის ცნობილი: ექმნა, მოეკლა, დაეწერა. მოვიდა, რომელსა-იგი ორი ქანქარი მიეღო და ჰრქუა (მ. 25, 22); მოაქუნდა, რაჲ-იგი მოემზადა სულნელები (ლ. 24, 1).

## მწკრივი

115. მწკრივი რთული კატეგორიაა, რომელიც ერთდროულად შეიცავს რამდენსამე მარტივ კატეგორიას, მწკრივის ელემენტებად ცნობილს, უმეტესად დროსა და კილოს.

სამი მწკრივი პირ-ნაკლია: აწმყოს ხოლმეობითი და ორივე ბრძანებითი (I და II). ბრძანებითის მწკრივს საზოგადოდ აკლია 1-ლი პირის ფორმები მხოლ. რიცხვისა. რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, აქ კი შესაძლებელია ებრ-

დანოს 1-ლ პირსაც, მაგრამ, საკუთარი ფორმის უქონლობის გამო, როგორც ვთქვით, იგი კავშირებითისას იყენებს.

აწმყოს ხოლმეობითს, რომელიც აწმყოს ფუძეს იყენებს, აკლია 1-ლი და მე-2 სუბ. პირის ფორმები და მოეპოვება მხოლოდ მე-3 სუბ. პირის ფორმები: არნ — არიედ, წერნ — წერედ.

116. **სერიები.** ფორმათა წარმოების თვალსაზრისით და აგრეთვე გარდამავალ ზმანათა სინტაქსური ბუნების მიხედვით ძველი ქართული ენის მწკრივები (ისე, როგორც ახალი ქართულისა) სამ ჯგუფად იყოფა, რომელთაც სერიებს ვეძახით. არის I სერიის მწკრივები, II სერიისა და III სერიისა.

I სერიაში ექვსი მწკრივია, II-ში ხუთი, III-ში ოთხი, სულ 15 მწკრივი.

117. **მწკრივთა სახელების დარქმევისათვის.** თხრობითი კილოს შემცველ მწკრივებს თავ-თავისი სახელი აქვთ: აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი. რაც შეეხება თურმეობითებს, რომლებიც აგრეთვე თხრობით კილოს გამოხატავენ და III სერიას განეკუთვნებიან, მათ ასე ვნომრავთ; I თურმეობითი, II თურმეობითი.

თხრობითი კილოს შემცველია აგრეთვე ხოლმეობითები, რომლებიც ორია I სერიაში და თითო-თითო II-სა და III სერიაში. იმ თითო-თითოს ვნომრავთ სერიების მიხედვით: II ხოლმეობითი, III ხოლმეობითი. ხოლო I სერიაში რომ ორი ხოლმეობითია, მათ ვუწოდებთ სახელს იმის მიხედვით, თუ რომელი მწკრივის ფუძეს იყენებენ. ამიტომ გვაქვს აწმყოს ხოლმეობითი (იგი აწმყოს ფუძეს იყენებს) და უწყვეტლის ხოლმეობითი (იგი უწყვეტლის ფუძეს ეყრდნობა). რჩება ბრძანებითები და კავშირებითები, რომლებსაც სახელს ვუწოდებთ იმის მიხედვით, თუ რომელი სერიისაა: I სერიაში I ბრძანებითი გვაქვს, II სერიაში კი — II ბრძანებითი. მსგავსადვე I კავშირებითი I სერიის მწკრივია, ისე როგორც II კავშირებითი II სერიის მწკრივი და III კავშირებითი III სერიისა.

**ზენიზენა.** I-ისა და II კავშირებითის ფორმები ძველ ქართულში კავშირებითი კილოს გამოსახატავადაც იხმარებოდა და თხრობითისაც. ამიტომ შეიძლება და მათთვის გვეწოდებინა I თხრობით-კავშირებითი და II თხრობით-კავშირებითი. მაგრამ, რადგანაც მათ თანამედროვე ქართულში კავშირებითის მნიშვნელობა შერჩა და თხრობითისა კი არა, ამიტომ სჯობს მათ კავშირებითი ვუწოდოთ (I, II); მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მათ მყოფადის თხრობითი კილოს მნიშვნელობაც ჰქონდათ.

118. **მწკრივთა მნიშვნელობა.**

I ს ე რ ი ა

1. **აწმყო.** დრო ეხლანდელია, კილო თხრობითი: აღიღებს.
2. **აწმყოს ხოლმეობითი.** კილო თხრობითია, გამოხატავს მრავალგზის გამეორებულ მოქმედებას წარსულში, ან ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივია და მარადის ხდება: აღიღებნ.

3. უწყვეტელი. დრო წარსულია, კილო თხრობითი: ადიდებდა.
  4. უწყვეტლის ხოლმეობითი. დრო წარსულია, კილო თხრობითი. გამოხატავს მრავალგზის შესრულებულ მოქმედებას: ადიდებდის.
  5. I ბრძანებითი. დრო ესლანდელი ან მომავალია, კილო ბრძანებითი: ადიდებდინ.
  6. I კავშირებითი (I მყოფადი). დრო მომავალია, კილო თხრობითი ან კავშირებითი: ადიდებდეს.
- ასპექტიან ზმნებში I სერიის მწკრივთა ფორმები ყველა უსრული სახისაა.

## II სერია

1. წყვეტილი. დრო წარსულია, კილო თხრობითი: ადიდა.
  2. II ხოლმეობითი. დრო წარსულია, კილო თხრობითი. აღნიშნავს გამეორებულ მოქმედებას წარსულში, ან ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივია და მარადის ხდება: ადიდის. მოწმობა ძველიდან: ესე არს ბნელ და არა ნათელ ვითარცა-სახედ-იგი ივლტინ კაცი პირისაგან ლომისა და ემთხვის მას დათუ და შეეარდის იგი სახლსა და შეადგნის კელნი მისნი კედელსა და სცის მას გულმან (ამოს 5, 19). მოყვანილ ნაწყვეტში ივლტინ აწმყოს ხოლმეობითია, ხოლო სხვა ზმნათა ფორმები (ემთხვის, შეეარდის, შეადგნის, სცის) II ხოლმეობითია. სხვა მაგალითი: სნეულთა გამოუცხადიან სენი თვისი მკურნალთა და მიილიან კურნება და წარვიდიან დადიდებედ ღმერთსა სიხარულით (ი. თქრ. ცხორ. 43r—43v). ამ ნაწყვეტში „ადიდებედ“ არის აწმყოს ხოლმეობითის ფორმა, სხვა ზმნების ფორმები კი II ხოლმეობითია.
  3. II ბრძანებითი. დრო მომავალია, კილო ბრძანებითი: ადიდე.
  4. II კავშირებითი (II მყოფადი). დრო მომავალია, კილო თხრობითი ან კავშირებითი: ადიდოს.
- ასპექტიან ზმნებში ყველა ჩამოთვლილი მწკრივის ფორმები II სერიის სრული სახისაა.
5. შერეული კავშირებითი (შერ. მყოფადი). დრო მყოფადია, კილო თხრობითი ან კავშირებითი: ასპექტი კი უსრულია: ადიდოდის.

## III სერია

1. I თურმეობითი. დრო წარსულია, კილო თხრობითი, მოქმედება უნახავი: უდიდებდეს.
  2. II თურმეობითი. დრო წარსულია, კილო თხრობითი, მოქმედება უნახავი და ნასწრევი: უდიდა; კაცთა მათ რომელთა შეეპყრა იესუ, ეიცხევედეს მას და ჰსცემდეს (ლ. 22, 63).
  3. III ხოლმეობითი. დრო წარსულია, კილო თხრობითი, მოქმედება მრავალგზისი: ედიდის.
  4. III კავშირებითი. დრო წარსულია, კილო კავშირებითი: ედიდოს.
- ამგვარად, მწკრივების საერთო რიცხვია 15.

## წარმოქმნის კატეგორიები

## ბეზი და ორიენტაცია

119. **გეზი**. ძველ ქართულში, ისე როგორც ახალში, მრავალი ზმნა გამოხატავს მიმართულებას რომელიმე პუნქტისაკენ, რომელიც შეიძლება იყოს მალა ან დაბლა, შიგნით ან გარეთ, ზედაპირზე ან სიღრმეში, წინ ან უკან, გადაღმა ან გადმოდმა. ზმნას შეუძლია აღნიშნოს, როგორი პუნქტისაკენ არის მიმართული ზმნით გამოხატული მოქმედება: აღფრენა, შეფრენა, გარდაფრენა და სხვ. ეს არის **გეზი** (ანუ მიმართულება), რომელიც ზმნისწინის საშუალებით გამოიხატება.

120. **ორიენტაცია**. ზმნისწინის საშუალებით გადმოიცემა სხვა გრამატიკული კატეგორიაც, რომელიც ორიენტაციის სახელით არის ცნობილი. ორიენტაცია მიგვითითებს, თუ საით მიიმართება პირდაპირი ობიექტი (თუ ზმნა გარდამავალია) ან სუბიექტი (თუ ზმნა გარდაუვალია), აქეთ მიიმართება და 1-ლ პირს უახლოვდება, თუ იქეთ მიიმართება და შორდება 1-ლ პირს. ამის მიხედვით გვაქვს მახლოვებელი და მაშორებელი ორიენტაცია, ანუ სააქეთო და საიქეთო. სააქეთო ორიენტაციას გადმოგვცემს, პირველ ყოვლისა, ზმნისწინი **მო** (მოვიდა, მოიყვანა), საიქეთოს კი — **მი** (მივიდა, მიიყვანა). სხვა ზმნისწინები გამოხატავენ საიქეთო ორიენტაციას, მაგრამ თუ მათ დაერთო **მო**, მაშინ — სააქეთოს. აღ-ვიდა, წარ-ვიდა, შე-ვიდა, გან-ვიდა, გარდა-ვიდა — ყველა ესენი საიქეთო ორიენტაციას გვიჩვენებენ, ხოლო აღმო-ვიდა, წარმო-ვიდა, შემო-ვიდა, გამო-ვიდა, გარდამო-ვიდა და მისთ. — სააქეთო ორიენტაციას.

თუ ზმნა უზმნისწინოდ იხმარება, მას არც გეზის (მიმართულების) გამოხატვა შეუძლია და არც ორიენტაციისა, მაგ., წყევს, ზის, დგას, უყუარს.

121. **ზმნისწინები ძველ ქართულში**. ძველ ქართულში იხმარება შემდეგი ზმნისწინები, რომლებიც დალაგებულია ორიენტაციის მიხედვით:

საიქეთო: **მი** და **აღ** გან **შე** წარ **გარდა** შთა **უკუნ** წიაღ  
სააქეთო: **მო** დამო აღმო გამო **შემო** წარმო **გარდამო** შთამო უკუმო წიაღმო  
და აღნიშნავს მიმართულებას ზევიდან ქვევით, სადაც არა ვარ: დავიდა.  
**დამო** კი — იმავე მიმართულებას 1-ლი პირისაკენ, სადაც ვარ: დამოვიდა.  
დამოსდიოდეს ნაკადულნი ცრემლთანი თულთაგან მათთა (მოქც.).

**აღ** აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით: აღვიდა, **აღმო** კი — იმავე მიმართულებას 1-ლი პირისაკენ: აღმოვიდა.

**გან** აღნიშნავს მიმართულებას შიგნიდან გარეთ: განვიდა, **გამო** კი — იმავე მიმართულებას 1-ლი პირისაკენ: გამოვიდა. **გამო**-ში **ნ** არის დაკარგული მომდევნო **მ**-ანის გავლენით.

**შე** აღნიშნავს მიმართულებას გარედან შიგნით: შევიდა, **შემო** კი — იმავე მიმართულებას 1-ლი პირისაკენ: შემოვიდა.

**წარ** აღნიშნავს მიმართულებას აქედან იქეთ: წარვიდა, **წარმო** კი — მიმართულებას იქედან აქეთ: წარმოვიდა.

**გარდა** აღნიშნავს მიმართულებას რაიმე დაბრკოლების გადალახვით: გარდავიდა, **გარდამო** კი — იმავე მიმართულებას, მაგრამ 1-ლი პირისაკენ: გარდამოვიდა.

**შთა** აღნიშნავს ისეთ მოძრაობას, რომ ზევიდან ქვევით მიიმართებოდეს და ამავე დროს გარედან შიგნით: შთავიდა, **შთამო** კი — იმავე მიმართულებას, მაგრამ 1-ლი პირისაკენ: შთამოვიდა.

**შთა** მიღებულია **შდა**-საგან ნაწილობრივი ასიმილაციის გზით. თვით **შდა** კი წარმომდგარია **შე**-**და**-საგან. ამით აიხსნება, რომ ორივე ზმნისწინის მნიშვნელობა აქვს: გარედან შიგნით (**შე**) და ზევიდან ქვევით (**და**). მოგვიანო ხანის ძეგლებში **შთა** ზმნისწინის ნაცვლად ხშირად **ჩა** იხმარება.

**უკუნ** აღნიშნავს მოძრაობას მიბრუნებით: უკუნიქცა, **უკუმო** კი — მოძრაობას მიბრუნებით: უკუმოიქცა. **უკუნ** იგივე „უკუნან“ არის: ამოღებულია **ა** და მის წინ მდგომი **უ** უმარცვლოდვე რჩება. **უკუმო**-ში კი **ნ** დაკარგულია მომდევნო მანის გამო. **უკუნ** და **უკუმო** იშვიათი ზმნისწინებია: უკუნდგეს, უკუნიქცეს, უკუნსცა („დაუბრუნა“), ნუ უკუმოიქცევი („ნუ მიბრუნდება“).

**წიაღ** იხმარება წყალზე გადასვლის აღსანიშნავად: წყალი შეიძლება იყოს მდინარე (დიდი თუ მცირე), ტბა, ზღვა: წიაღვიდა იქით, სადაც არა ვარ, **წიაღმო** კი — იმავე მიმართულებას, მაგრამ 1-ლი პირისაკენ: წიაღმოვიდა. ეს ზმნისწინიც იშვიათად იხმარება: განაპო ზღუაჲ და წიაღიყვანნა ივინი (ფს. 77, 13).

**აღ** ზმნისწინის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ **ღ** იკარგება: აღვიარებ (ლ. 10, 21), მაგრამ აგრეთვე: ავიარებ (მ. 11, 25); აღკდა იგი ნავსა (მ. 8, 23 C), მაგრამ: იგი აკდა ნავსა (მრ. 4, 1 C); ატოცად (ლ. 1, 25 C) და მისთ..

122. **მიმართულება მე-2 პირისაკენ. მო** აღნიშნავს მიმართულებას 1-ლი პირისაკენ, **მი** კი — მიმართულებას მე-3 პირისაკენ: ჩუენდა მომართ ივავსა ამას იტყუ, ანუ ყოველთა მიმართ (ლ. 12, 41 C). რაც შეეხება მე-2 პირს, მას თავისი ზმნისწინი არა აქვს და სარგებლობს ან მე-3 პირის ზმნისწინს, ან 1-ლისას: ესე ყოველი მიგცე შენ (მ. 4, 9); მიგცე შენ კლიტენი სასუფვეელისა ცათადასანი (მ. 16, 19); მოგავოს შენ ცხადად (მ. 6, 4); მოგივოს და გრქუას თქუენ (ი. 10, 25); ნეტარ არს, რომელმან მიგავოს მისაგებელი შენი, რომელ შენ მომავე ჩუენ (ფს. 136, 8); რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მითცა მოგეწყოს თქუენ (მ. 7, 2); მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ (ი. 13, 34).

**მო** და **მი** ერთმანეთს ენაცვლებიან ერთსა და იმავე ადგილას: ვინ მოგცა შენ კელწიფებაჲ ესე (მ. 21, 23 DE), ვინ მიგცა შენ კელწიფებაჲ ესე (იქვე, C).

123. **ზმნისწინთა შედგენილობა.** საიქეთო მიმართულების ზმნისწინთაგან რთულია: გარდა, შთა, წიაღ. გარდა ასე დაიშლება: გარ-და; შთა, როგორც ვთქვით, ორი ზმნისწინისაგან არის წარმომდგარი (**შე**-**და**); წიაღ-ის პირველ ნაწილში წი შედის, რომელიც მიღებული ჩანს წყალ-საგან, ხოლო მეორე ნა-

წილად აღ არის. რაც შეეხება სააქეთო მიმართულებების ზმნისწინებს, მათ შორის მარტივია მხოლოდ მო, დანარჩენები ყველა გართულებულია მო-ს ღართვით.

124. **ორი და სამი ზმნისწინი ერთად.** მი ზმნისწინს შეიძლება მო დაერთოს. და მივიღოთ იქეთ და აქეთ მოძრაობის აღმნიშვნელი რთული ზმნისწინი: თქუენ მიერ მიმოფენია სიტყუა იგი უფლისაჲ (I თეს. 1, 8); მიმოვალ ურწყულთა ადგილთა (მ. 12, 43); მიმოიქცეოდა გარემო სოფლებსა მას (მრ. 6, 6). ხშირია, რომ მიმო-ს და ზმნისწინი ახლდეს კიდევ: ყოველნივე მიმოდაიბნიენეს და ევაგრე დგა მარტოჲ (შოი და ევ); სივლტოლაჲ და მიმოდამალვაჲ (მოქც); მოძულენი ჩუენნი მიმოდამიტაცებდეს ჩუენ (ფს. 43, 11); ანგელოზი უფლისაჲ გარდამოკდა შორის აზარიეთსა და მიმოდაყარა ალი იგი საჭუმისისა მისგან ცეცხლისაჲსა (დან. 3, 49); იწყო ქადაგებად და მიმოდადებად სიტყუსა მის (მრ. 1, 45).

125. **ზმნისწინის მეორეული მნიშვნელობა.** ზმნისწინის პირველადი მნიშვნელობა არის მიმართულებისა და ორიენტაციის აღნიშვნა, რაც კარგად ჩანს მათი ხმარებისას მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან. მაგრამ მრავალ შემთხვევაში ზმნისწინს დაკისრებული აქვს ახალი ზმნის წარმოება, ზმნისა, რომელსაც სხვა მნიშვნელობა აქვს. ასეთია, მაგალითად, აღმო-კუეთა და და-აკუეთა, გან-აგო და მი-აგო, მოკლა იგი შურდუღლითა და დაკლა იგი მახვლითა, დასცა იგი და მისცა მას იგი, მოიკითხა იგი და წარიკითხა იგი და მისთ..

126. **ზმნისწინის მაპერფექტივებელი ძალა.** ახალ ქართულში ზმნისწინს მაპერფექტივებელი ძალა აქვს, სრული ასპექტის საწარმოებლად ზმნისწინია გამოყენებული: ეწერ—დავწერ, ვაკეთებ—გავაკეთებ და მისთ.. ძველი ქართული ენის ძეგლების ენაში შეიმჩნევა, რომ ზმნისწინი იწყებს მაპერფექტივებელი ძალის მოპოვებას. ამის მაგალითია: ნუ შჯით, რაჲთა არა და ი ს ა ჯ ნ ე თ, რამეთუ რომლითა საშჯელითა შჯიდეთ, მითცა და ი ს ა ჯ ნ ე თ (მ. 7, 1—2)- აქ შჯით და შჯიდეთ უსრული ასპექტის ფორმებია, და ი ს ა ჯ ნ ე თ კი —სრულისა. ეს მხოლოდ დასაწყისია მოვლენისა, რომელიც შემდგომ თანდათან განვითარდა და ზმნათა მთელ სისტემას მოედო.

127. **ტმესი.** ტმესის სახელით აღინიშნება ზმნისწინის გათიშვა ზმნისაგან რაიმე სიტყვით (ან სიტყვებით), რომელიც (რომლებიც) ჩაისმის ზმნისწინსა და ზმნას შორის. მაგალითები: სამ გზის გამოუცხადა იესუ თავი თუსი მოწაფეთათუსთა, აღ-რაჲ-დგა მკუდრეთით, (ი. 21, 14); მო- ვინმე -უჭნა მას კაცი (მ. 19, 16); მო- თუ ვინმე -კუდეს უშვილოჲ (მ. 22, 24 C); მო- ნუ -ისთულიან ეკალთაჲ-გან ყორძენი (მ. 7, 16 C). აღ- ნუ ვინ -ანთის სანთელი და ქუენშე შედგის კვშირსა (მრ. 4, 21); მი- ვიეთმე -უგეს მწიგნობართა (ლ. 20, 39); აღ-რე-გუალე ზემოკერძო (ლ. 14, 10); შე-ვე ესევითარი -ჰგვანდა ჩუენდა მდღელთმოძღუარი (ებრ. 7, 26).

ტმესი გვხვდება ზმნის უპირო ფორმებთანაც: შე-რე-დგინებად მცირედ

(ლ. 5, 3); შე- თუმცა -საძლებელ იყო (გალატ. 4, 15); და-ვე-სჯილ არს (ჰრომ. 14, 23). გან-მე-ყოფილ არსა ქრისტე (I კორ. 1, 13), წარ- ლათუ -წირულ ვართ, არამედ არა განწირულება-გვჩს (II კორ. 4, 8); და- ლათუ -ვრდომილ ვართ, არამედ არა წარწყმედულ ვართ (II კორ. 4, 9).

აღრინდელ ძეგლებში ხშირია ტმესის ზმარების შემთხვევები, გვიანდლებში იგი უფრო ნაკლებად გვხვდება. მაგ., ძველი რედაქციის ტექსტში იკითხება: რომელმან ფრიად მიილო, არღარა ემატა, და რომელმან მცირედ, მას და- არაჲ -აკლდა (II კორ. 8, 15). იგივე წინადადება მე-11 საუკუნეში ნარედაქციე ტექსტში ასეა წარმოდგენილი: რომელმან ფრიად მიილო, არაჲ ემატა, და რომელმან მცირედ, არაჲ დააკლდა; ძველ რედაქციაში იკითხება: მცირედიცა იგი გან-ვე-ქარდეს (I კორ. 13, 10), მერმინდელში კი: მცირედიცა იგი განქარდესვე (CD). ასეთივე ვითარებაა აქაც: შე-უკუე-იმოსეთ (კოლას. 3, 12 AB), შეიმოსეთ უკუე (იქვე CD).

**შენიშვნა.** ნაცვალსახელი „არარაჲ“ შეიძლება გაიკვეთოს ვე ნაწილაკის ჩართვით: წინადაცუეთილებაჲ არარაჲ არს და წინადაცუეთილებაჲ არა-ვე-რაჲ არს (I კორ. 7, 19). ასე იკითხება ძველ (AB) რედაქციაში, მერმინდელში კი (CD-ში) არის: ... არარაჲვე არს; განჰმარტის ბლუარი არარასა ზედა და დამოჰკიდა ქუეყანაჲ არა-ვე-რასა ზედა (იობ 26, 7).

## ზ ვ ა რ ი

128. **გვართა რაოდენობა.** გვარი სამია ქართულში: მოქმედებითი (აქტივი), ვნებითი (პასივი) და საშუალი (მედიუმი).

ვნებითი გვარი ორნაირია: დინამიკური და სტატიკურა.

კარგად უპირისპირდება ერთმანეთს მოქმედებითისა და დინამიკური ვნებითის ფორმები. სტატიკური ვნებითისა და საშუალი გვარის ზმნებს კი ზოგი თავისებურება ახლავს.

მოიპოვება ისეთი ზმნებიც, რომლებიც ფორმის მიხედვით ერთ-ერთი გვარის რიგებში დგანან, მაგრამ საპირისპირო ფორმები აკლიათ და არსებითად უგვარონი არიან.

## მოქმედებითი გვარი

129. მოქმედებითი გვარისაა ზმნა, რომელიც გარდამავალია და პირდაპირი ობიექტი ეწყობა.

მოქმედებითი გვარის ზმნას შეიძლება ქცევის ნიშანი ჰქონდეს ფუძის წინ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი (§§ 143—145). ამას გარდა, ფუძის ბოლოს მას თემის ნიშანი აქვს, რაზედაც აგრეთვე ქვემოთ გვექნება საუბარი (§ 150—160).

მოქმედებითი გვარის ზმნა 2-პირიანია ან 3-პირიანი. 2-პირიანია: დაწერა (მან იგი), განჰკურნებ (შენ მას), განვტეხო (მე იგი) და მისთ.. სამ-პირიანია: მივეც (მე მას იგი), განუყავ (შენ მას იგი), მოჰკუეთა (მან მას იგი) და მისთ.

## 3560000 გვარი

## დინამიკური ვნებითი

130. **დინამიკური ვნებითის წარმოება.** ვნებითი გვარის ზმნა გარდაუვალია, იგი ერთ-პირიანია ან ორ-პირიანი.

დინამიკური ვნებითის მაწარმოებელია პრეფიქსი ან სუფიქსი. ამ ნიშანთა მიხედვით ვნებითი პრეფიქსიანია ან სუფიქსიანი. არის კიდევ მესამენაირი ვნებითი, რომელსაც საწარმოებლად არც პრეფიქსი აქვს და არც სუფიქსი, მაგრამ მისი ფორმები უღლების დროს ყველგან კარგად გარჩეულია სათანადო მოქმედებითის ფორმათაგან. მათ აღვნიშნავთ „უნიშნო ვნებითის“ სახელით.

131. **პრეფიქსიანი ვნებითი.** პრეფიქსიანი ვნებითის მაწარმოებელია ხმოვა-ნი ი ან ე, რომლებიც უშუალოდ დაესმის ზმნის ფუძეს წინ, ხოლო ამათ წინ და-იჭერს ადგილს პირის ნიშნები (ობიექტური ნიშნები ყველა, სუბიექტური კი 1-ლისა და მე-2 პირისა), ხოლო სულ წინ ზმნისწინი იქნება, თუკი ის ზმნას მოე-ბოვება. პრეფიქსი ი აწარმოებს ერთ-პირიან ფორმებს, რომელთაც მოქმედე-ბითში 2-პირიანი ფორმები შეესაბამება, ხოლო ე აწარმოებს 2-პირიან ფორმებს, რომელთაც მოქმედებითში 3-პირიანი ფორმა შეესაბამება. მაგალითები:

ი: მო-იკლა (იგი), დაიხატე (შენ), და-ვიმალე (მე); მო-იკლნეს (იგინი), დაი-ხატენით (თქვენ), და-ვიმალენით (ჩვენ).

ე: და-ეწერა (სიტყუაჲ ფიცარსა), მიეცა (წიგნი მას), მო-ეგო (იგი გონებასა). ყოველგვარი სამ-პირიანი ზმნა, როგორადაც უნდა იყოს იგი ნაწარმოები, ვნებითად მოქცევისას ე-ს მიიღებს: შესძინა (მან მას იგი) — შეეძინა (იგი მას); განუყო (მან მას იგი) — განეყო (იგი მას), განულო (მან მას კარი) — განელო (კარი მას). მაგალითი ერთი ფუძის ზმნის ფორმებზე: დაწერა (მან იგი) — დაი-წერა (იგი); მისწერა (მან მას წიგნი) — მიეწერა (წიგნი მას), დააწერა (მან ფი-ცარსა სიტყუაჲ) — დაეწერა (სიტყუაჲ ფიცარსა). საზოგადოდ, ვნებითად მოქცე-ვისას ზმნას ერთი პირი დააკლდება: სამ-პირიანი მოქმედებითი ორ-პირიანი ვნებითი გახდება (მისწერა — მიეწერა), და ორ-პირიანი მოქმედებითი — ერთ-პირიანი ვნებითი (დაწერა — დაიწერა).

132. **სუფიქსიანი ვნებითი.** სუფიქსიანი ვნებითი ძველ ქართულში ორი ნიშნითაა წარმოდგენილი, რომელთაგანაც ერთია ენ და მეორე დ. ამათგან ძვე-ლის-ძველია ენ, ხოლო დ ნ-საგან არის განვითარებული შემდეგში. ისინი უშუ-ალოდ ერთვიან ზმნის ფუძეს ბოლოში. სუფიქსიანი ზმნები უმეტესად ნასახელა-რი ზმნებია.

ვნებითის ნიშანი ენ- ეს ძველის-ძველი ნიშანი გარკვეულ ზმნებს შემორჩა, რომელთა ფუძის ბოლოკიდურებია: მ, ვ, დ, თ, კ, ს, ც, ღ, ხ. მაგალითები: დუმნა, და-; განცრუვნა, აღყუავნა; განდიდნა, დაყუდნა, გამოცხადნა, შემუფონთნა; გან-ქაპუკნა, დაგლახაკნა, განმწვსნა; განვრცნა, განმტყიცნა, განკაცნა; განლაღნა, შეწუხნა (შე-ლათუ-წუხნა მ. 14, 9) და მისთ..

ამავე წარმოებისა ჩანს გან-თე-ნა, რომლის **ნ** საშუალმა ქართულმა ფუძეში გადარიცხა, რის გამოც შემდეგში გათენდა გაკეთდა.

ამ ზმნებში ვნებითის მაწარმოებელი **ენ** სრულად თავს იჩენს მხოლოდ წყვეტილის 1-სა და მე-2 პირში (შევწუხენ, შესწუხენ, შევწუხენით, შესწუხენით) და II ბრძანებითის მე-2-სა და მე-3 პირში: შეწუხენ, შეწუხენით; შეწუხენინ; სხვაგან კი ხმოვანი **ე** ყველგან დაკარგულია მომდევნო ხმოვნის გავლენით და რჩება მხოლოდ **ნ**: შევწუხნები, შეწუხნებ და სხვ..

133. **ვნებითის ნიშანი დ.** როგორც ვთქვით, სუფიქსიანი ვნებითი უმეტესად სახელთაგან არის ნაწარმოები. სახელთაგან საამისოდ უმთავრესად ზედსართავებია გამოყენებული. მრავალ ზედსართავს ფუძის ბოლოკიდურად ნარნარა ბგერები (**ლ, რ**) მოუდის, რომელთა გავლენით ვნებითის ნიშანი **ნ** დ-ონად არის შეცვლილი უკვე ძველ ქართულში. ასეთი ზედსართავებია:

**ლ:** ბნელი-ი, ნათელი-ი, მართალი-ი, ახალი-ი, ძუელი-ი, ცოცხალი-ი, სნეული-ი, მალალი-ი, მდაბალი-ი, მხიარული-ი, კორციელი-ი და სხვ.. **რ:** ბერი-ი, ძლიერი-ი, ოკერი-ი, ძვრი-ი და სხვ..

ამათგან და მსგავსი ბოლოკიდურის მქონე ფუძეებისაგან ნაწარმოებ ზმნებში ძველსავე ქართულში **დ** არის ვნებითის საწარმოებლად: დაბნელდა, განნათლდა, განმართლდა, განახლდა, დაძულდა, განცოცხლდა, დასნეულდა, აღმალდა, დამდაბლდა, განმხიარულდა, განკორციელდა, დაბერდა, განძლიერდა, აღოკრდა და მისთ..

თუ სახელი იკუმშება, მისგან ზმნის საწარმოებლად შეკუმშული სახეა გამოყენებული: მართალი-ი — მართლ-ისა; გან-მართლ-და; მალალი-ი — მალლ-ისა; აღმალდა; ახალი-ი — ახლ-ისა; გან-ახლ-და და მისთ..

**ე-ზე** ფუძე-გათავებულ სახელებს ვნებითის წარმოებისას ეკვეცებათ **ე**: მწუნე, მწარე, მცირე და მოკლე სახელთაგან ვნებითი იქნება: განმწუნადა, განმმწარადა, აღმცირადა, შემოკლდა.

როგორც ვნახეთ, **დ** სუფიქსი მოუდის ნასახელარ ზმნებს, მაგრამ გვხვდება გამოწაკლისიც: არის რამდენიმე პირველადი ზმნა, რომლებიც ვნებითს **დ-ონით** აწარმოებენ; ეს ზმნებია: დაჰკსნა — დაჰკსნდა (დაჰკსნდეს ძარღუნი მკლავთა მისთანნი, ხანძ.), განტეხა — განტყდა (ნაწილობრივი ასიმილაციით, \*გან-ტხდა-ს ნაცვლად); განხეთქა — განხთქდა (შემდეგში განსთქდა), გამოაჩინა — გამოაჩნდა; დაავიწყა — დაავიწყდა.

134. **განსხვავება ენ სუფიქსიან ვნებითსა და დ-ონიან ვნებითს შორის.** ერთი განსხვავება თავს იჩენს სუფიქსიანი ვნებითის **ენ**-იან ფორმებსა და **დ-ონიან** ფორმებს შორის: წყვეტილის 1-ლისა და მე-2 პირის წარმოებას, აგრეთვე II ბრძანებითის მე-2 პირისას ახასიათებს **ენ**: შევწუხენ, შესწუხენ; შევწუხენით, შესწუხენით; შეწუხენ, შეწუხენით; **დ-ონიან**მა ფორმებმა კი წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში მიიღეს დაბოლოება **ი**: აღვმალდი, აღჰმალდი, აღმალდა, აღვმალდი, აღჰმალდი, აღმალდეს. ბრძ.: აღმალდი, აღმალდი; აღმალდინ, აღმალდდე.

135. **პრეფიქსისა და სუფიქსის მონაცვლეობა.** ერთისა და იმავე ფუძისაგან ზოგჯერ ვნებითი გვარი პრეფიქსითაც არის ნაწარმოები და სუფიქსითაც; მაგ., ჯრუჟ-პარხლის ოთხთავში იკითხება: დამტკიცენეს ყოველი სიტყუაჲ (მ. 18, 16), რომლის ბაღლად აღმისაში არის: დამტკიცოს ყოველი სიტყუაჲ. „საქმე მოციქულთა“—ს ძველ რედაქციაში იკითხება: განემტკიცენეს ფერჯნი მისნი და კოჳნი (3, 7), რომლის ბაღლად მერმინდელ რედაქციაში იკითხება: განუმტკიცენეს ფერჯნი მისნი და კოჳნი. შეიძლება ვისმე ეგონოს, რომ ამ ზმნათა დაბოლოება **ნეს** ერთი და იგივეაო, მაგრამ არა: განემტკიცენეს—ში **ნ** მრ. რიცხვის ნიშანია (მხ. რიცხვში იგი არ იქნება: განემტკიცა მას ფერჯი); განუმტკიცენეს—ში კი **ნ** ვნებითის ნიშანია. იგი მხოლოდითშიც იქნება: განუმტკიცნა მას ფერჯი.

პრეფიქსიანი ვნებითისა და სუფიქსიანი ვნებითის მონაცვლეობის მაგალითია ესეც: დედაკაცსა მას შეეშინა და ძწოდა (მრ. 5, 33), რომლის ნაცვლად სხვა რედაქციაში იკითხება: დედაკაცი იგი შეშინდა და ძწოდა. შეეშინა ორ-პირიანია (წარმოშობით), შეშინდა — ერთ-პირიანი. ასეთივე განსხვავებაა აქაც: გამოეცხადა (იგი მას) და გამოცხადნა (იგი).

136. **მესამე ტიპის ვნებითი (უნიშნო).** მესამენაირ ვნებითს არც პრეფიქსი აქვს საწარმოებლად და არც სუფიქსი, მაგრამ მისი ფორმები ყველგან გარჩეულია მოქმედებითი გვარის სათანადო ფორმებისაგან და არსად აღრევა არ ხდება. მათ ახასიათებს შინაგანი ხმოვანი ფუძეში, მაგრამ ეს ხმოვანიც მარტოდენ II სერიის ორ მწკრივში ჩანს, სხვაგან კი დაკარგულია მომდევნო ხმოვნის გამო, რომელიც ან პირის ნიშანია (შეიძლება პირის ნიშნის ხმოვანიც), ან მწკრივის ნიშანი. მწკრივები, რომლებშიც შინაგანი ხმოვნით ნაწარმოები ფუძე **ე**-ს გვიჩვენებს, არის წყვეტილი და II ბრძანებითი.

ამ ტიპის ვნებითს ეკუთვნის, პირველ ყოვლისა, ხმოვან-მონაცვლე ზმნები, ე. ი. ზმნები, რომლებიც მოქმედებითში I სერიის ფორმათთვის გვიჩვენებს **ე**-ს, II—სერიაში კი — **ი**-ს, როგორც, მაგ., მოვსდრეჟ — მოვდრიჟე. ამ ჯგუფის ზმნათაგან ვნებითში **ე**-ს ორიოდე მიიღებს პირველი თანხმოვნის შემდეგ: მოვდერკ, მოსდერკ, მაგრამ მოდრკა; მოვდერკით, მოსდერკით, მაგრამ მოდრკეს-ბრძ. მოდერკ, მოდერკით; მოდერკინ, მაგრამ მოდრკედ. როგორც აღვნიშნეთ, სხვა მწკრივებში ეს ფუძისეული **ე** დაიკარგება: მოდრკების, მოდრკეს და სხვ.

ამ ჯგუფის ზმნებია: შეეჰკრებ — შეეკრიბე, დავჰრეტ — დავშრიტე, მოვსწყუედ — მოვწყუდე, განვსწმედ — განვწმიდე. ამთგან „შეკრება“ ზმნა მრ-ში მოითხოვს პირდ. ობიექტს აქტივში, ზოლო პასივში — სუბიექტს, რომელიც შეიძლება მე-3 პირის მხოლოდითშიც იდგეს, თუ სუბიექტი კრებითია: შეკრბა (ერი), შეგკერბით, შეჰკერბით, შეკრბეს. „მოწყუედა“ ზმნა შეკუმშვიკისას ვნებითში კარგავს უმარცვლო **უ**-ს: მოწყუდეს (ივინი), მოვწყუდეთ, მოსწყუდეთ.

რაც შეეხება განწმენდა ზმნას, მისი ვნებითი ჩვეულებრივ მოსალოდნელი განწმენდების ფორმაც არის და ენ-იანიც: განწმენდების, განწმიდნა. აქედან ბრძ. მე-2 პირისა: განწმიდენ და პარალელურად განწმიდნი.

ამავე ჯგუფს ეკუთვნის სხვა ზმნებიც, რომელთაც, ამათ მსგავსად, წყვეტილსა და II ბრძ.-ში ე აქვთ ფუძეში, როგორცაა: აღდგების (გან-, წარ-), დაადგრების, განჰკრთების, მოკლდების, განტფების, დაშურების, დასცხრების, დაშდების (ნაწილობრივი ასიმილაციით დაშთების), წარუძღუების, კდების (მო-, გან-, შე-, გარდა-, წარ-, გარდმო-), განჭმების, დაჯდების, დასხდების და სხვ.

ასეთ ზმნათაგან ზოგმა უკვე ძველ ქართულშივე დაკარგა შინაგანი ხმოვანი წყვეტილსა და II ბრძ.-ში, სამაგიეროდ ბოლოში მიიღო o: მე და ვ შთი ეკალთა შორის ვარდისათა (მოქც.). ძველი ნორმების მიხედვით მოსალოდნელი იყო და ვ შე დ.

### სტატიკური ვნებითი

137. სტატიკური ვნებითის ზმნები მწკრივ-ნაკლი ზმნებია: ერთ ჯგუფს მოეპოვება მხოლოდ აწმყო და II სერიის მწკრივები, მეორე ჯგუფს კი I სერიის მწკრივები აქვს, მაგრამ II-ისა აკლია. სტატიკური ზმნები ყველა უზმნისწინაა, ამიტომ მათ მიმართულებისა ან ორიენტაციის გამოხატვა არ შეუძლიათ.

პირველი ჯგუფის სტატიკურებს აწმყოში ფუძის ბოლოს სუფიქსი აქვთ, რომელსაც ერთვის მე-3 პირის ნიშნები (ორსავე რიცხვში) და მრ. რიცხვის ნიშანი თ 1-ლსა და მე-2 პირში, ხოლო II სერიის ფორმათა წარმოებისას პრეფიქსიან ვნებითს ეკედლებიან და, რადგანაც ესენი 2-პირიანი ფორმებია (წარმოშობით მაინც), აქ მაწარმოებლად ე-ს გვიჩვენებენ. მაგ., ვჰგონიე—ვეგონე, ჰგონიე—ეგონე, ჰგონიეს—ეგონა, ვჰგონიეთ—ვეგონენით, ჰგონიეთ—ეგონენით, ჰგონიან—ეგონნეს. ამ ჯგუფის ზმნებია: ასმიეს — ესმა, ჰგიეს—ეგო, უჰყრიეს—ეჰყრა, ჰმოსიეს—ემოსა, უფლიეს—ეფლო, ჰფლიეს—ეფლა (სადა-იგი ეფლა გუამი წმ. რაყდენისი, ჯუანშერ, ქ. ცხ. I, 156), ჰრტყიეს—ერტყა (სარტყელი ტყავისაჲ ერტყა წელთა მისთა, მ. 3, 4); სტევიეს—ეტია (მტყუარი ვერღარა ეტია ნადინებსა მისსა, მატ. ქ., ქ. ცხ. I, 193); აცუიეს—ეტუა: ეცუა ჯაჰვ (მოქც.).

სტატიკური ვნებითის რიგებში დგანან სხვანაირი წარმოების ზმნებიც: ა) ავ-იანები: ჰრთავს—ერთო („ურეგია—ერია“): ვინაჲ ჰრთავს დუარძლი (მ. 13, 27); მათ თანა ერთო კაცი ერთი გოლიათი (ჯუანშერ, ქ. ცხ. I, 151), ჰკიდავს—ეკიდა (შთასადებელი იგი მას ჰკიდავენ, ი. 12, 6); ეკიდა მას თვთ ჯუარი თვისი (ი. 19, 7); სთრავს—ეთრო (ამათ სთრავს, საქმე 2, 15), თუალი უხილავს—თუალი ეხილა (ვარ. ეხილვა: აღდგა სავლე ქუეყანისა მისგან, თუალნი ზე ეხილნეს (ვარ. ზე ეხილვნეს) და ჰხედვიდა არარას (საქმე 9, 8). სძინავს—ეძინა, ჰლძძავს—ელძძა და მისთ..

ამავე ჯგუფს ეკედლება უთემისნიშნო აბს — ება (ვარიანტი: აბიეს — ება). არა ცუდად კრმალ აბს (პრომ. 13, 4); ამათ ძირ არა უბნ (ლ. 8, 13, შდრ. ძირნი არა დაებნეს და განჭმა, მრ. 4, 6), ადგს — ედგა (ედგა ეკლისა გვრგვნი, ი. 19, 5); რომელსა ლავჯნითა წყალი ზე ედგას (მრ. 14, 13).

138. **დებონენსი.** დებონენსის სახელით აღინიშნება ზმნა, რომელსაც ფორმა პასივისა აქვს და მნიშვნელობა აქტივისა. ასეთია, მაგ., იტყვს, რომელიც გარდამავალია და პირდაპირი ობიექტი ეწყობა: არა ვიცი, არცა უწყი, რას აეგე იტყვ შენ, (მრ. 14,68); ჩუენდა მომართ იტყვ იგავსა ამას, ანუ ყოველთა მიმართ (ლ. 12, 41); მართალსა იტყვ (ლ. 20, 21). დებონენსია აგრეთვე სამპირიანი ეტყვს: ეტყოდა მასს იტყუასა (მრ. 2, 2); იესუ ეტყოდა იგავსა ამას (ლ. 13, 6).

139. **ფორმით ორ-პირიანი, შინაარსით ერთ-პირიანი.** არის ზმნები, რომლებიც მორფოლოგიურად ორ-პირიანობას გვიჩვენებენ, მაგრამ ერთი სახელი ეწყობათ. ეს არის ზმნები, რომლებიც მნათობთა აღმოსვლა-დასვლას აღნიშნავენ: მზე რაჲ აღმოჰქდა, დასცხა (მ. 13, 6; მრ. 4, 6); ვითარ შემწუხრდებოდა და მზე დაჰვიდოდა (მრ. 1, 32); ვითარ დამწუხრდა, რაჲამს დაჰქდა მზე (იქვე, C).

140. **გამონაკლისი.** ე პრეფიქსი ვნებითი გვარის ორ-პირიან ზმნათა ნიშანია. მაგრამ „ძიება“ ზმნა გამონაკლისს შეადგენს იმ მხრივ, რომ მოქმედებითი გვარისა არის და პირიან ფორმათა საწარმოებლად კი ე-ს გვიჩვენებს: მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა (ი. 8, 50); ერი იგი ეძიებდა მას (ლ. 4, 42); ეძიებდა ნაყოფსა მისგან (ლ. 13, 6). ეს ზმნა იხმარებოდა აქტიურად სათავისო ქცევითაც (არს, რომელმან იძიოს და საჯოს, ი. 8, 50 C) და პასიურადაც: რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან (ლ. 12, 48).

#### საშუალი გვარი

141. საშუალ გვარს განეკუთვნება საკმაოდ დიდი რაოდენობა ზმნებისა, რომლებიც გარდაუვალნია და ამ მხრით ვნებითი გვარის ზმნებს ემსგავსებიან, მაგრამ ფორმით მოქმედებითი გვარის ზმნებს ეკედლებიან. მათი თავისებურების არის, რომ I სერიის ფორმები აქვთ და II-ისა და III-ისა კი არა. აქ შემოდის:

ა) ზმნები, რომელთაც თემის ნიშანი არა აქვთ, როგორცაა: ქუხს, დულს, ღირს, წუხს, ჯამს, წითს, უმძიმს, ახს, ჰკვრს (უკვრს), ჰმატს და სხვ..

ბ) თემის ნიშნიანები:

**ი:** ქრის, დის, რბის, ზის, ოხრის, კუნესის, ჰგლის, ჰსურის, სტკივის, ყუავის, ფუვის, ყივის, კივის, უხარის, შუენის.

**ავ:** ბრწყინავს, დრტუნავს, კსინავს, ფრინავს, ცურავს, ელავს, ჰშორავს, როკავს, სთნავს და სხვ..

**ობ (ებ):** ორგულობს (-ებს), სტრფიალობს (-ებს), ამპარტავნობს (-ებს), მეტყუელობს (-ებს), კელმწიფობს (-ებს) და სხვ..

**ოვი** (ეს თემის ნიშანი რთულია: **ოვ-ი**): ვლადოვი, ვშფოთოვი, ვცრემლოვი, ვმალლოვი და სხვ. ო-ს შემდეგ შეიძლება ვ დაიკარგოს და მივიღოთ: ვცრემლოვი.

ზოგი ზმნა დაირთავს ან არ დაირთავს თემის ნიშანს: დუმს და დუმის, ჰმატს და ჰმატის.

კარგი დაპირისპირებაა გვარებისა შემდეგ ზმნებში:

მოქმ.	ვნ.	საშ.
შეაძრწუნებს	შეძრწუნდების	ძრწის
შეაწუხებს	შეწუხნების	წუხს
აწითლებს	წითლდების	წითს

### ქ ც ე მ ა

142. მოქმედებითი გვარის ზმნას, ახალი ქართულის ზმნასავით, სამი ქცევა აქვს ძველ ქართულში: საარვისო, სათავისო და სასხვისო (სხვანაირად: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო). მათი ნიშნებიც იგივეა, რაც ახალ ქართულში. პირთა რაოდენობის მხრითაც იგივე ვითარებაა, რაც ახალ ქართულში; საარვისო ორ-პირიანია (უმეტესად) ან იშვიათად სამიანი, სათავისო ორ-პირიანია, სასხვისო კი — სამ-პირიანი. ქცევის ნიშნები უშუალოდ ერთვის ზმნის ფუძეს წინ. პირის ნიშნებს კი მათ წინ უკავიათ ადგილი. სულ წინ ზმნისწინია, თუ იგი ზმნას მოეპოვება.

143. **საარვისო ქცევა.** საარვისო ქცევას ან სულ არა აქვს ნიშანი, ან აქვს ხმოვანი ა. ძველის-ძველი ფონდის ზმნებს საარვისოს ქცევის ნიშნად არაფერი აქვთ და პირის ნიშნები უშუალოდ ერთვის ზმნის ფუძეს: გან-გკუეთე, გან-ჰკუეთე; და-გმაღე, და-ჰმაღე; და-გწერე, და-სწერე.

გარკვეულ რაოდენობას ძველი ზმნებისას, ნასახელარსა და ნაზმნარ ზმნებს, საარვისო ქცევის ნიშნად მოუღდის **ა**: ვადიდე, აღიდე, აღიდა; შე-ვამოკლე, შე-ამოკლე, შე-ამოკლა; აღ-ვადგინე, აღ-ადგინე, აღ-ადგინა; გან-ვამხიარულე, გან-ამხიარულე, გან-ამხიარულა და მისთ.

სამ-პირიანი საარვისო ქცევის ფორმა ქცევის ნიშნად **ა-ს** გულისხმობს, რომელიც მრავალ შემთხვევაში დაკარგულია; მაგ., შე **ჰ** ხ ე თ ქ ა და შე **ა** ხ ე თ

ქა—ორივე შეჰახეთქა-სავან არის მიღებული: პირველი (შეჰხეთქა) ქცევის ნიშნის ამოვარდნის გამო, მეორე კი (შეახეთქა) —ობიექტური ჰ-დაკარგვის გამო ხმოვნის წინ; მაგ., ნეტარ არს, რომელმან შეიპყრნეს ყრმანი შენი და შეჰხეთქნეს კლდესა (ფს. 136, 9). აქ სხვა რედაქციაში იკითხება შეახეთქნეს.

144. **სათავისო ქცევა.** სათავისო ქცევის ნიშანია **ი**, რომელიც თანაბრად მოუღდის იმ ზმნებსაც, რომელთაც საარვისოში ნული აქვთ, და იმათაც, რომელთაც საარვისო ა-ნით აქვთ ნაწარმოები. მაგალითები: შეე-იყარ, შე-იყარ, შე-იყრა; აღე-იღვინე, აღ-იღვინე, აღ-იღვინა; ვიდიღე, იდიღე, იდიდა (მან იგი) და მისთ..

მაგალითები: იცხე თავსა შენსა და დაიბანე პირი შენი (მ. 6, 17); მაშინ (ჰაბო) მოითხოვა წყალი და დაიბანა პირი თვისი და იცხოზეთი თავსა თვსსა (ჰაბო). მოყვანილ მაგალითებში „თავი“ ტანის ნაწილს აღნიშნავს, მაგრამ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელია, რომელთაც აგრეთვე ჩვეულებრივია სათავისო ქცევის ფორმათა ხმარება: მკურნალო, განიკურნე თავი შენი (ლ. 4, 23); გარდაივღე თავი შენი ამიერ ქუეყანად (მ. 4, 6); ნუუყუე მოიკლავს თავსა (ი. 8, 22); თქუენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თვსთა წინაშე კაცთა (ლ. 16, 15); რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს (მ. 23, 12).

სათავისო ქცევის ფორმასთან პირდ. ობიექტად იშვიათია 1-ლი და მე-2 პირი: არავინ დამიდგინა ჩუენ (მ. 20, 7); უყუეთუ შემკრას და მითრიოს (შუშ.); თრევით მოგითრიო (შუშ.).

ხშირია, რომ სათავისო ქცევის ფორმამ პირდაპირი ობიექტი დაკარგოს, მაგრამ სინტაქსური ძალა შეირჩინოს სუბიექტისთვის. ასეთია, მაგ., განიხარა სულმან ჩემმან (ლ. 1, 47); განიხარეს მოწაფეთა (ი. 20, 20); ყოველმან ერმან აღიმსთვის მისა ტაძარსა მას შინა სმენად სიტყუათა მისთა (ლ. 21, 38); აღიმღერნა ყრმამან მუცელსა მისსა (ლ. 1, 41 C); განიცინნა სარა გულსა თვსსა და თქუა (დაბ. 18, 12); დაიძინა, განიღძა და სხვ..

145. **სასხვისო ქცევა.** სასხვისო ქცევის მაწარმოებელია **ი** და **უ**: **ი** 1-ლსა და მე-2 ობიექტურ პირში, **უ** კი — მე-3 ობიექტურში. ეს ობიექტური პირი ირიბია. მაშასადამე, უფრო ზუსტი იქნება, რომ ვთქვათ: **ი** იხმარება მაშინ, თუ ფორმაში გამოხატულია 1-ლი ირიბ-ობიექტური პირი, ან მე-2 ირიბ-ობიექტური, **უ** კი მაშინ, როცა ფორმაში მე-3 ირიბ-ობიექტური პირია გამოხატული; მაგალითი: და-მიწერა (მან მე იგი), და-გიწერა (მან შენ იგი), და-უწერა (მან მას იგი); და-მიწერე (შენ მე იგი), და-უწერე (შენ მას იგი), და-გიწერე (მე შენ იგი), და-უწერე (მე მას იგი) და მისთ..

მაგალითი ტექსტიდან: და სწადოლა მისი, რათამცა აღისრულეს ნებაჲ თავისა თვისიჲ მის ზედა (სუსანა მ), ესე ბრძანებაჲ აღუსრულა ქრისტემან ნეტარსა გრიგოლს (ხანძ.). „აღასრულა“ საარვისოა. „აღისრულა“—სათავისო, ხოლო „აღუსრულა“ — სასხვისო.

**შენიშვნა.** „დაუწერა“ (მან მას იგი) და „დაუწერე“—ში (შენ მას იგი) დაკარგულია **ჰ** (დაჰუწერა, დაჰუწერე), ხოლო „დაუწერე“—ში (მე მას იგი) დაკარგულია **ვ** (1-ლი პირის სუბ. ნიშანი) და **ჰ** (მე-3 პირის ობ. ნიშანი).

რადგანაც **ი** სათავისოშიც გვხვდება ქცევის ნიშნად და სასხვისოშიც. იმის გამოსარკვევად, თუ რომელ ქცევასთან გვაქვს საქმე, საჭიროა ფორმა გადავიყვანოთ მე-3 ობიექტურ პირში და თუ იქ **ი** დარჩა, ქცევა სათავისო იქნება, და თუ **უ**-დ შეიცვალა, მაშინ სასხვისო. მაგალითი: დამიდგინა, დავიდგინა, დაიდგინა. მე-3 პირში **ი** დარჩა, მაშასადამე, ფორმა სათავისო ყოფილა; დამიდგინა, დავიდგინა, დაუდგინა. აქ კი ქცევა სასხვისოა, რადგანაც ეს ფორმები სამ-პირიანია და მე-3 პირი, რომელმაც **უ** მოითხოვა, ირიბია.

**შენიშვნა.** ჩ უ ე ნ ე ბ ა ზმნა ძველ ქართულში საარვისო ქცევის ფორმითაც იხმარება (მ ა ჩ უ ე ნ ა) და სასხვისოთიც (მ ი ჩ უ ე ნ ა), მაგრამ მათ შორის აზრობლივი განსხვავება არ არის. სახარების ენაში იგი ყოველთვის სასხვისო ქცევის ფორმით გვხვდება, „ქართლის მოქცევაში“ კი სამ-პირიანი საარვისოთიც (მ ა ჩ უ ე ნ ე მე, ღმერთო) და სასხვისოთიც (უ ჩ უ ე ნ ა მ ა ს ბორცვ).

146. **ქცევა ვნებითი გვარის ზმნაში.** ვნებითში გადაყვანა (კონვერსია) მოქმედებითი გვარის ზმნისა ასე ხდება: მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტური პირი დაიკარგება, პირდაპირ-ობიექტური პირი სუბიექტურად იქცევა, ხოლო ირიბ-ობიექტური პირი (თუ მოქმ. გვარის ზმნა სამ-პირიანია) თავის ადგილას დარჩება, მას არა მოუვა რა. ამიტომ ვნებითი გვარის ზმნის ფორმა ყოველთვის ერთ-პირით ნაკლებია სათანადო მოქმედებითისაზე: სამ-პირიანი მოქმედებითი ორ-პირიან ვნებითს ვაძლევს, ხოლო ორ-პირიანი მოქმედებითი — ერთ-პირიანს: დაუხატა (მან მას იგი)—დაეხატა (მას იგი), დახატა (მან იგი) — დაიხატა (იგი); მკურნალმან გა ნ უ ც ო ც ხ ლ ა დედასა სნეული ყრმად — გა ნ უ ც ო ც ხ ლ ა დედასა სნეული ყრმად; მკურნალმან გა ნ ა ც ო ც ხ ლ ა სნეული ყრმად — გა ნ ც ო ც ხ ლ დ ა სნეული ყრმად. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ, თუ მოქმედებითში კუთვნილებითი ურთიერთობა გამოხატულია პირად. ობიექტსა და ირიბს შორის, ვნებითში იგივე ურთიერთობა იქნება გამოხატული სუბიექტსა და ირიბს ობიექტს შორის. ამ წინადადებაში: განუცოცხლა მკურნალმან დედასა სნეული ყრმად „მკურნალმან“ სუბიექტია, „დედასა“ ირიბი ობიექტი, რომელსაც ეკუთვნის პირდაპირი ობიექტი („ყრმად“); ხოლო ზმნის ვნებითში გადაყვანისას (განუცოცხლად დედასა სნეული ყრმად) სუბიექტად „ყრმად“ გახდა, რომელიც ეკუთვნის „დედას“ (ირიბ ობიექტს). მაშასადამე, სამ-პირიან გარდამავალ ზმნასთან ირიბ ობიექტს ეკუთვნის პირდაპირი ობიექტი, ხოლო ზმნის მობრუნებისას და ვნებითში დასმისას ირიბ ობიექტს მიეკუთვნება სუბიექტი.

147. **ქცევა ნამდვილი და მოჩვენებითი.** ქცევის ფორმები გამოხატავენ კუთვნილება-დანიშნულებას, რომელიც სუბიექტურ პირსა და ობიექტურ პირს შორის (ან ობიექტურ პირებს შორის) არსებობს. ამ პირებს სათანადოდ ეწყობა სუბიექტი და ობიექტი (ან ობიექტები). კუთვნილება-დანიშნულების გამოვლენა ხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ ზმნას საპირისპირო ფორმები მოეპოვება რო-

გორც ფორმით, ისე ფუნქციით. მართო ფორმა არ არის საკმარისი, რომ ქცევაზე ვიმსჯელოთ. მაგ., „აქუნს“ ზმნას საარვისო ქცევის ნიშანი აქვს (ა-ქუნს), „იცის“ ზმნას — სათავისო ქცევისა (ი-ცის), ხოლო „უვის“ ზმნას — სასხვისოსი (უ-ვის). მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ქცევითი ფორმა, რადგანაც არც ერთ მათგანს არ მოეპოვება საპირისპირო ფორმები, განსხვავებული ფორმით და მნიშვნელობით. ამიტომ ყველა ესენი (ა-ქუნს, ი-ცის, უ-ვის) არსებითად უქცეო ფორმებია; მათ ფორმა აქვთ ამა თუ იმ ქცევისა, მაგრამ სათანადო შინაარსი არც ერთ მათგანს არ ახლავს. საანალიზოდ ავიღოთ განტევა („გაშვება“) ზმნა, რომელიც წყვეტილში ასეთ ფორმებს გვაძლევს: განმიტევა, განგიტევა, განუტევა („გამიშვა“, „გაგიშვა“, „გაუშვა“). ეს ფორმები სასხვისო ქცევის ფორმებია, მაგრამ მოჩვენებითი და არა ნამდვილი, რადგანაც სათანადო შინაარსს მოკლებულია საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო. თუ ავიღებთ ასეთ წინადადებას: აწ განმიტევე მონაჲ შენი, უფალო (ლ. 2, 29), ვნახავთ, რომ განმიტევე შეიცავს 1-ლ პირდაპირ-ობიექტურ პირს, თუმცა კი ფორმა აშკარად ირიბ-ობიექტურია, რადგანაც სათანადო მე-3 პირის ფორმა იქნება განუტევე, რომელიც ადიშური რედაქციის ტექსტში იკითხება: „აწ განუტევე მონაჲ შენი, უფალო“. ეს დაცელება ფორმისა და შინაარსისა იმიტომ მოხდა, რომ „განტევა“ ზმნას არ მოეპოვება საპირისპირო ფორმები, ამიტომ მისმა ფორმამ სასხვისო ქცევის შინაარსი დაკარგა და სხვა ზმნების საარვისოს გაუტოლდა.

ასეთივეა აგრეთვე „იხილა“ ზმნა, რომელსაც ფორმა სათავისოსი აქვს, მაგრამ მნიშვნელობა საარვისოსი, რის გამოც მას ადვილად უკეთდება ფორმები, რომლებიც 1-ლსა და მე-2 ობიექტურ პირს გვიჩვენებენ: მიხილა, გიხილა. მასასადამე, ეს ზმნაც მოჩვენებით არის სათავისო, შინაარსით კი საარვისოსა.

მოქმ. გვარის ზმნები I თურმეობითის ფორმებს სასხვისო ქცევის მიხედვით იკეთებენ, მაგრამ ქცევის გაგება მათ არ მოეპოვებათ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო. რაჲ ბოროტი უქმნიეს მაგას? (მ. 27, 23), — აქ „უქმნიეს“ სასხვისო ქცევის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ ქცევის გაგება არ ახლავს.

ზოგი მოქმედებითი ზმნის საარვისო ქცევის ფორმა სამ-პირიანია: ჰკითხა, სთხოვა, მოსთხოვა, ამათგან სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები ჩვეულებრივი წესით იწარმოება: იკითხა, ითხოვა; უკითხა, უთხოვა. მაგალითები: თქუნე წარვედით და იკითხეთ, რაჲ არს „წყალობაჲ მნებაჲს და არა მსხუერპლი“ (მ. 9, 13); შეკრიბნა ყოველნი მღვდელთ მოძღუარნი და მწიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან, სადა შობად არს ქრისტე (მ. 2, 4 C); ესე მიუტდა პილატეს და მოჰსთხოვნა ჯორცნი იესუსნი (მ. 27, 58 C); მოითხოვნა ჯორცნი იესუსნი (ლ. 23, 52 C); მოითხოვა წყალი (მ. 27, 24).

### კონტაქტი

148. **შუალობითი კონტაქტი.** შუალობითი კონტაქტის ფორმები იშვიათია ძველ ქართულში, მაგრამ მაინც გვხვდება. მისი მაწარმოებელია მარტივი ევ და რთული ი(ვ)-ებ. მარტივი ევ II სერიის ფორმებში ივ-ად გადაკეთდება, მისი

თანზომიანი (3) დაიკარგება ხმოვნის წინ და დარჩება **ი**. მაგ., თქუმა უშუალო კონტაქტის ფორმაა, შუალობითისა კი იქნება თქუმევა: ათქუმიასამ გზის: ვიჯმნი შენგან, ეშმაკო (მოქც.). უჯეროსა გუაქმნევდა ჩუენ ჰამანი (ესთერ, 8). რაც შეეხება რთულ (ივ-ებ) სუფიქსს, იგი I სერიის მწკრივებში ჩანს, II-ში კი ებ ჩამოშორდება. ივ სუფიქსის ვ ჩვეულებრივ იკარგება ხმოვნის წინ ორსავე სერიაში: მივალებიებ—მივალებიე (ნაცვლად ასეთი ფორმებისა: მივალებიებებ—მივალებიე). მაგალითები: ძმათა საჰმელი მოალებიის თავისა წინა (იოვ. და ეფთ. 70); სატრაპეზოს არა შეუშუს, არამედ კმელისა პურისა ჰამაჲ განუწყესის მას დღესა, ანუ ასნი მუტლი მოალეკიის (იქვე, 61).

გვხვდება აგრეთვე **ინ** აფიქსით ნაწარმოები შუალობითი კონტაქტის ფორმა: თაყუანის-აცემინნეს (აბიბ. ნეკრ. 191, 29).

## უ ლ ლ ე ბ ა

### მოქმედებითი ზვარი

149. რომ გავერკვეთ მოქმ. გვარის ზმნათა უღლების რაობაში, უნდა ვიცოდეთ თემა და თემის ნიშნები, სავრცობი, მწკრივის ნიშნები და პირდაპირი ობიექტის პირისა და რიცხვის ასახვა ზმნაში. პირდაპირი ობიექტის პირის ასახვა I სერიის მწკრივებს ეხება, მისი მრ. რიცხვის ასახვა კი — II სერიის მწკრივებს.

### თ ე მ ა

150. თემა ჰქვია პირიანი ზმნის იმ ნაწილს, რომელიც უცვლელად გასდევს ზმნას I სერიის ან II სერიის ყველა ფორმაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, თემა არის ზმნის ფუძე (უზმნისწინოდ), რომელიც უცვლელად მოეპოვება ზმნას I სერიის ან II სერიის ყველა ფორმაში. უცვლელად, ვთქვით, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას არ ვაქცევთ იმას, რომ ფუძე შეიძლება შეკუმშული იყოს და შეუკუმშავიც (გაშლილი). თემას (ფუძეს) კუმშავს თვით თემის ნიშანი, მე-3 პირის სუბიექტური ნიშანი (მხოლოდობითში თუ მრავლობითში) ან მწკრივის ნიშანი, რომლებიც ბოლოს მოერთვის ზმნის ფუძეს. რომ ფუძე შეკუმშული იყოს თემის ნიშნის გამო, ამისი მაგალითია შევი-პყრ-ობ (მაგრამ შევი-პყარ). მე-3 პირის სუბ. ნიშანი რომ კუმშავდეს ზმნის თემას, ამისი მაგალითია შეი-პყრ-ა, შეი-პყრ-ეს, მაგრამ მე შევი-პყარ, შენ შეი-პყარ. მწკრივის ნიშნის გამო რომ იკუმშებოდეს თემა, ამისი მაგალითია: შევი-პყრ-ი, შევი-პყრ-ა.

მოქმედებითი გვარის ზმნებს, რამდენიმეს გარდა, ერთი თემა აქვთ I სერიის მწკრივთა ფორმებში და სხვა თემა II სერიის მწკრივებისაში. ამ თემების შედა-

რება გვიჩვენებს, რომ II სერიის თემა მარტივია, I სერიისა კი — რთული. ამას გარდა, მოიპოვება ზმნები, რომელთაც ერთი და იგივე თემა აქვთ ორსავე სერიაში. ეს არის ერთ-თემიანი ზმნები.

ამას უნდა დავსძინოთ, რომ III სერიის მწკრივთა ფორმები ნაწარმოებია უმთავრესად I სერიის თემათაგან.

უპირო ზმნები (საწყისი და მიმღეობა) აგრეთვე I სერიის თემას ეყრდნობიან.

ი, ავ, ა, ევ, ევ, ევ, კვ, კვ, კვ, ლვ, ლვ, ლვ  
ერთ-თემიანი ზმნები

151. არის ზმნები, რომელთაც ერთი და იგივე თემა აქვთ ორსავე სერიაში; ასეთებია:

- ბანა-ა: განვპ-ბან — განვ-ბან-ე;
- გუემა-ა: ვპ-გუემ — ვ-გუემ-ე;
- კუეთა-ა: განვპ-კუეთ — განვ-კუეთ-ე;
- შე-მოსა-ა: შევპ-მოს — შევ-მოს-ე;
- ნაყა-ა: დავპ-ნაყ — დავ-ნაყ-ე;
- პოხა-ა: დავპ-პოხ — დავ-პოხ-ე;
- რაცხა-ა: აღვპ-რაცხ — აღვ-რაცხ-ე;
- რეკა-ა: დავპ-რეკ — დავპ-რეკ-ე;
- ხეთქა-ა: განვპ-ხეთქ — განვ-ხეთქ-ე;
- ხუეტა-ა: ვ-ხუეტ — ვ-ხუეტ-ე;
- ჯოცა-ა: წარვპ-ჯოც — წარვპ-ჯოც-ე;
- ტეხა-ა: განვს-ტეხ — განვ-ტეხ-ე;
- წერა-ა: დავს-წერ — დავ-წერ-ე;
- წყევლა-ა: ვ-წყევ — ვ-წყევ-ე;
- ძოვა-ა: ვ-ძოვ — ვ-ძოვ-ე;
- ჰამა-ა: ვ-ჰამ — ვ-ჰამ-ე და მისთ.

**ორ-თემიანი ზმნები**

152. ხმოვან-მონაცვლე ზმნები. ორ-თემიან ზმნათა განხილვისას პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ზმნები, რომელთაც თემები განსხვავებული აქვთ ხმოვანთა მონაცვლეობის მიხედვით. ეს არის ხმოვან-მონაცვლე ზმნები, რომლებიც I სერიის მწკრივთა ფორმებში ფუძის შიგნით გვიჩვენებენ ე ხმოვანს, II სერიის მწკრივთა ფორმებში კი ი ხმოვანს (ე—ი). ასეთი ზმნებია:

გუმერა-ა: უ-გუმერ — უ-გუმირ-ე;  
 ღრეკა-ა: მოვს-ღრეკ — მოვ-ღრიკ-ე;  
 კრება-ა: შევპ-კრებ — შევ-კრიბ-ე;  
 შრეტა-ა: დავ-შრეტ — დავ-შრიტ-ე;  
 წყმედა-ა: წარვს-წყმედ — წარვ-წყმიდ-ე;  
 წმედა-ა: განვს-წმედ — განვ-წმიდ-ე;  
 წყუედა-ა მოვს-წყუედ — მო-ვ-წყუიდ-ე და მისთ..  
 ამავე ჯგუფს განეკუთვნება ენ-ზე დაბოლოებული ზმნები:  
 მი-ფენა-ა: მივპ-ფენ — მივპ-ფინ-ე;  
 სმენა-ა: ვი-სმენ — ვი-სმინ-ე; შევა-სმენ — შევა-სმინ-ე და მისთ..

სხვა ორ-თემიანი ზმნები იმით განსხვავდება ერთ-თემიანთაგან და ხმოვან-მონაცვლე ზმნათაგან, რომ ისინი I სერიის მწკრივებში მიიღებენ თემის ნიშანს, რომელიც II სერიის მწკრივთა ფორმებში ჩამოშორდება მათ. თემის ნიშნებია: **ი, ავ, ამ, ებ, ევ, ემ, იბ, ივ.**

153. **თემის ნიშანი ი.** ეს თემის ნიშანი I სერიის მწკრივთა ფორმებში ხშირად კუმშავს ზმნის ფუძეს, რომელიც II სერიის მწკრივთა ფორმებში გაიშლება. ასეთი ზმნებია:

გურა-ა: მოვპ-გურ-ი — მოვპ-გუარ-ე;  
 ზრდა-ა: აღვპ-ზრდ-ი — აღვ-ზარდ-ე;  
 თხრა-ა: მოვს-თხრ-ი — მოვ-თხარ-ე;  
 და-სჯა-ა; დავპ-სჯ-ი — დავ-საჯ-ე;  
 ღუწა-ა: ვი-ღუწ-ი — ვი-ღუაწ-ე;  
 ყრა-ა: დავპ-ყრ-ი — დავ-ყარ-ე;  
 გამო-ცდა-ა: გამოვს-ცდ-ი — გამოვ-ცად-ე;  
 და-ჭრა-ა დავს-ჭრ-ი — დავ-ჭერ;  
 ჯდა-ა: განვპ-ჯდ-ი — განვ-ჯად-ე, გარდავი-ჯდ-ი — გარდავი-ჯად-ე;  
 კსნა-ა: აღვპ-კსნ-ი — აღვპ-კსენ;  
 კრწნა-ა: განვპ-კრწნ-ი — განვ-კრწენ;  
 ჯმნა-ა: ვი-ჯმნ-ი — ვი-ჯმენ.

არის, რა თქმა უნდა, ისეთი ზმნებიც, რომელთაც I სერიაში შენახული აქვთ ფუძის ხმოვანი. ასეთებია:

ნანა-ა: ვი-ნან-ი — ვი-ნან-ე;  
 განსყიდა-ა: განვპ-ყიდ-ი — განვ-ყიდ-ე;  
 ზადა-ა: ვპ-ხად-ი — ვპ-ხად-ე და მისთ..

აქვე შემოდის ზმნები, რომელთაც აწმყოში ფუძის ბოლოს **ნ** აქვთ, როგორც, მაგ., დევნა-ა: ვს-დვენ-ი — ვ-დვენ-ე; ყოვნა-ა: ვ-ყოვნ-ი — ვ-ყოვნ-ე.

154. **თემის ნიშანი ავ.** პირველ ყოვლისა უნდა მოვიყვანოთ ის ზმნები, რომელთაც I სერიაში ეკუთმება ფუძე, რომელიც წყვეტილის 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში გაიშლება, მაგრამ სხვაგან ისევე შეიკუმშება. ასეთებია:

- კლეა-ა: მოვპ-კლ-ავ — მოვ-კალ, მო-კლ-ა;  
 კრვა-ა: შევპ-კრ-ავ — შევ-კარ, შე-კრ-ა;  
 ფლეა-ა: დავპ-ფლ-ავ — დავპ-ფალ, დაპ-ფლ-ა;  
 ძრვა-ა: აღვს-ძრ-ავ — აღვ-ძარ, აღ-ძრ-ა;  
 კნვა-ა: დავპ-კნ-ავ — დავ-კან, და-კნ-ა;  
 კწვა-ა: დავპ-კწ-ავ — დავპ-კწამ, დაპ-კწმა და მისთ..  
 \*ზმნები, რომელთაც ფუძის ზმოვანი შენახული აქვთ ორსავე სერიაში:  
 კერვა-ა: განვპ-კერ-ავ — განვ-კერ-ე, გან-კერ-ა;  
 მალვა-ა: დავპ-მალ-ავ — დავ-მალ-ე, და-მალ-ა;  
 მარხვა-ა: ვი-მარხ-ავ — ვი-მარხ-ე, ი-მარხ-ა;  
 პარვა-ა: მოვი-პარ-ავ — მოვი-პარ-ე, მოი-პარ-ა;  
 ფუცვა-ა: ვ-ფუც-ავ — ვ-ფუც-ე, ფუც-ა;  
 წირვა-ა: შევს-წირ-ავ — შევ-წირ-ე, შე-წირ-ა და მისთ..  
 ამავე ჯგუფში შემოდის ნასახელარი ზმნები, როგორცაა:  
 ბეჭედი-: დავპ-ბეჭდ-ავ — დავპ-ბეჭდ-ე;  
 ზღუდე-: მოვპ-ზღუდე-ავ — მოვ-ზღუდე-ე;  
 ნერგი-: დავპ-ნერგ-ავ — დავპ-ნერგ-ე;  
 ხატი-: დავპ-ხატ-ავ — დავ-ხატ-ე;  
 ხერხი-: განვპ-ხერხ-ავ, განვ-ხერხ-ე და მისთ..

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ, თუ სახელი იკუმშება (ბეჭედი — ბეჭედ-ისა) ან იკვეცება (ზღუდე — ზღუდე-ისა), ზმნის ფუძისათვის გამოყენებულია შეკუმშული ან შეკვეცილი ფორმა სახელისა. არსებითად რომ ვთქვათ, სახელის ფუძეს კუმშავს ან კვეცს თემის ნიშანი.

155. **თემის ნიშანი ამ.** თემის ნიშანი **ამ** მოუღის მეტად მცირე რაოდენობის \*ზმნებს; სულ რაღაც თხუთმეტიოდე ზმნაა, რომელთაც ეს თემის ნიშანი აქვთ. ამ თემის ნიშანსაც შეუძლია ფუძე შეკუმშოს: განვირთხამ (ფუძე შეკუმშულია), მავრამ: განვირათხ (ფუძე გაშლილია).

ამ ჯგუფში შემოდის:

- ბმა-ა: შევა-ბ-ამ — შევ-ა-ბ;  
 დგმა-ა: (დავს-დგ-ამ — დავ-დგ-ი); დავა-დგ-ამ — დავა-დგ;  
 ნთქმა-ა: დავა-ნთქ-ამ — დავა-ნთქ;  
 თქუმა-ა: აღუ-თქუ-ამ — აღუ-თქუ;  
 რთუმა-ა: მივა-რთუ-ამ — მივა-რთუ;  
 რთხმა-ა: განვი-რთხ-ამ — განვი-რათხ;  
 რტყმა-ა: შევი-რტყ-ამ — შევი-რატყ (შევი-რტყ);  
 სლუმა-ა: შევ-სლ-ამ — შევ-სლ;  
 ცუმა-ა: შთავი-ცლ-ამ — შთავი-ცლ; ჭუარს-ვა-ცლ-ამ — ჭუარს-ვა-ცლ;  
 სხმა-ა: განვა-სხ-ამ — განვა-სხ;  
 ხუმა-ა: აღვი-ხლ-ამ — აღვი-ხლ-ენ<sup>1</sup>;

<sup>1</sup> ეს ზმნა პირდაპირ ობიექტს მრავლობით რიცხვში მოითხოვს: აღვიხლამ წიგნთა, აღვიხლენ წიგნნი.

156. **თემის ნიშანი ებ.** ებ-იანი ზმნები ყველაზე უფრო მრავალ-რიცხოვანია. ამ ჯგუფს ეკუთვნის როგორც პირველადი ზმნები, ისე ნასახელარი და ნაზმნარი ზმნები, როგორცაა:

ა) პირველადი ზმნები:

ბრძანება-ა: ვ-ბრძან-ებ — ვ-ბრძან-ე;

გება-ა: წარ-, მო-, მი-, გან-: განვა-გ-ებ — განვა-გ-ე, წარვა-გ-ებ — წარვა-გ-ე და სხვ..

გდება-ა: დავა-გდ-ებ — დავა-გდ-ე;

ესება-ა (აღ-, აღმო-): აღვა-ვს-ებ — აღვა-ვს-ე;

ქება-ა: ვა-ქ-ებ — ვა-ქ-ე;

შწნება-ა (შენება-ა): აღვა-შწნ-ებ — აღვა-შწნ-ე (აღვა-შენ-ებ — აღვა-შენ-ე);

წყება-ა: ვი-წყ-ებ — ვი-წყ-ე და სხვ..

ბ) ნასახელარი ზმნები:

მრავალ-ი (მრავლ-ისა): განვა-მრავლ-ებ — განვა-მრავლ-ე;

მტკიცე (მტკიც-ისა): დავა-მტკიც-ებ — დავა-მტკიც-ე;

მორჩილ-ი: დავი-მორჩილ-ებ — დავი-მორჩილ-ე და მისთ..

გ) ნაზმნარი ზმნები:

წარ-ვალ: წარვა-ვლინ-ებ — წარვა-ვლინ-ე;

აღვ-დეგ: აღვა-დგინ-ებ — აღვა-დგინ-ე;

მოვ-კუდე: მოვა-კუდინ-ებ — მოვა-კუდინ-ე;

მო-დრეკა-ა: მოვა-დრეკ-ი-ებ, მო-ვა-დრეკ-ი-ე (\*მოვადრეკივე) და მისთ..

157. **თემის ნიშანი ევ.** ეს ევ მოუღის ორ ზმნას, რომელთაც იგი ჩამოშორდება II სერიის მწკრივებში. ეს არის ვა-კურთხ-ევე — ვაკურთხ-ე, ა-კურთხ-ე, ა-კურთხ-ა და ვსძლევე — ვსძლე, სძლ-ე, სძლ-ო. სხვა ზმნები ზმოვან-მონაცვლეთა: ევ გადაწყვებათ II სერიის ფორმებში, მაგრამ ივ-ის სახით, თანაც ამ ივ-ისაგან მარტო ი რჩება. რადგანაც ივა, ივე და ივო ჯგუფებში ვ იკარგება; მაგალითები: განვა-ბნ-ევე, განვა-ბნ-ი(ვ)ე, განა-ბნ-ი(ვ)ე, განა-ბნ-ი(ვ)ა; მოვითრ-ევე — მოვითრ-ი(ვ)-ე; მოი-თრ-ი(ვ)-ა; გამოვითრ-ევე — გამო-ვითრ-ი(ვ)-ე; გამოითრ-ი(ვ)-ე, — გამოითრ-ი(ვ)-ა; მე გიცნი, რომელნი-ევე გამოვითრ-ი(ვ)ე (ი. 13, 18 C); მივა-ქც-ევე — მივა-ქც-ი(ვ)-ე, მია-ქც-ი(ვ)-ა, აღვა-მრღუ-ევე — აღ-ვა-მრღუ-ე. აღა-მრღუ-ა; შევა-მთხუ-ევე — შევამთხუ-ე, შეამთხუ-ა და მისთ..

158. **თემის ნიშანი ობ.** ამ ჯგუფში შემოღის შემდეგი ზმნები:

გან-კმობა-ა: განვა-კმ-ობ — განვა-კმ-ე;

მი-ყრდნობა-ა: მივა-ყრდნ-ობ — მივა-ყრდენ;

შეპყრობა-ა: შევი-პყრ-ობ — შევი-პყარ;

მითხრობა-ა: მი-უ-თხრ-ობ — მი-უ-თხარ;

ცნობა-ა: ვს-ცნ-ობ — ვ-ცან;

შობა-ა: ვ-შ-ობ — ვ-შეგ.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, I სერიაში ხშირად ფუძე შეკუმშულია: მივყარდნობ, შევიპყრობ, მიუთხრობ, ვსცნობ, ვშობ (\*ვშობ).

159. **თემის ნიშანი ემ.** ეს თემის ნიშანი მოუღდის ერთადერთ ფუძეს, რომელიც უზმნისწინოდაც იხმარება (იაკობ სცა ესავს პური) და ზმნისწინების დართვითაც: მი-ცემა, მო-ცემა, წარ-ცემა, გან-ცემა და სხვ.. ამ ზმნების თავისებურება ის არის, რომ წყვეტილის 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში (სათანადოდ ბრძანებითის მე-2-ისა და მე-3 პირის მხ. რიცხვში) საწინაო პირის ნიშნები ზმნის ფუძეს დაუკავშირდება ე ხმოვნის საშუალებით:

მი-ვეც (<\*მივჰეც), მი-ეც (<\*მიჰეც), მაგრამ: მი-ს-ცა (<მი-ჰცა). ბრძ. მიეც, მიეცინ (მრ. რ. მიეციოთ, მისცედ).

160. **თემის ნიშანი ოვ.** ეს თემის ნიშანიც ერთადერთ ფუძეს მოუღდის: ეს არის ყოფა ზმნა, რომელიც უზმნისწინოდაც იხმარება და ზმნისწინების დართვითაც: ვპყოფ, გან-ვპყოფ, შთა-ვპყოფ, და-ვპყოფ და მისთ.. ვპყოფ — ვყავ; პყავ, ყო. განვპყოფ, განვყავ, გან-პყავ, გან-ყო და მისთ..

**შენიშვნა.** თემის ნიშანი ოვ უკვე მკვდარია ძველსავე ქართულში, იგი შეხორცებულია ზმნასთან და II სერიაშიც გადაპყვება: ვ-ქსოვ — ვ-ქსოვე; ვს-თხოვ — ვს-თხოვე. მაგრამ უეჭველია, რომ ოვ ერთ დროს თემის ნიშანი იყო ძველი ქართულის მიხედვით ეს ზმნები ერთ-თემიანთა რიცგებშია გადასული.

### საზრცობი

161. I სერიის ოთხი მწკრივის საწარმოებლად საჭიროა თემის გავრცობა. ეს მწკრივებია: უწყვეტელი, I ბრძანებითი, უწყვეტლის ხოლმეობითი, I კავშირებითი (I მყოფადი). მასასადამე, გამორიცხულია აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი, რომელთაც საზრცობი არ უნდა; მაგ., აქებ-ს, აქებ-ნ. საზრცობი ორია: **დ** და **ოდ**. მოქმედებითი გვარის ზმნებს **დ** აქვთ, დინამიკური ვნებითისას კი **ოდ**. მაგალითები: და-ვსწერ-დ (უწყვ.), დასწერ-დ (I ბრძ.), დავსწერ-დ-ი (უწყ-ხოლმ.), დავსწერ-დ-ე (I კავშ. ანუ I მყოფ.); მაგალითი ვნებითი გვარის ზმნისა: დავიწერებ-ოდ-ე, დავიწერებ-ოდ-ე (უწყვეტ. და I ბრძანებითი), დავიწერებ-ოდ-ი (უწყვ. ხოლმ. და I კავშ. ანუ I მყოფ.).

(საშუალი გვარის ზმნათაგან ზოგს **დ** აქვს (მაგ., გოდებ-დ-ა და მისთ.), ზოგს კი — **ოდ**) (ტირ-ოდ-ა და მისთ.).

გამონაკლისის სახით რამდენიმე გარდამავალ ზმნას საზრცობად **ოდ** აქვს: ვიქმ — ვიქმ-ოდ-ე, ვიტყვ — ვიტყვ-ოდ-ე (ვეტყვ — ვეტყვ-ოდ-ე), ვიცი — ვიცი-ოდ-ე, უწყი — უწყ-ოდ-ე.

### I სერია

162. **მწკრივთა ნიშნები.** მწკრივთა ნიშნები საზოგადოდ სუფიქსებია. I სერიის მწკრივთაგან რაიმე განსაკუთრებული ნიშანი არ მოეპოვება **აწმყოსა** და **აწმყოს ხოლმეობითის**, მე-3 პირის ნიშნები უშუალოდ მოერთვის ზმნის ფუძეს: აქებ-ს, აქებ-ნ.

**უწყვეტლას** არაფერი აქვს ნიშნად, მას სავრცობი უშუალოდ დაერთვის ბოლოს, აგრეთვე მე-3 სუბ. პირის ნიშანიც: ვაქებდ, აქებდ, აქებდა. მრავლობით რიცხვში 1-ლი სუბ. პირის ფორმა და მე-2-ისა ასეა მოსალოდნელი: \*ვაქებდთ, \*აქებდთ, მაგრამ რადგანაც დთ ჯგუფის გამოთქმა ძნელია, ამიტომ 1-ლისა და მე-2 სუბ. პირის ფორმაში დთ ბგერებს შორის ვითარდება თანხმოვანთ გასაყარი **ი** და მიღებულია დთ: ვაქებდით, აქებდით (ასეთი ფორმების ნაცვლად: ვაქებდთ, აქებდთ). ეს თანხმოვნებს შორის განვითარებული **ი** შეიძლება მრავლობითიდან მხოლობითში გადმოვიდეს (ვაქებდ-ი, აქებდ-ი). თუ ფონეტიკურად განვითარებული **ი** სისტემებზე გატარებულია მხ. რიცხვშიც, მაშინ იგი შეიძლება მწკრივის ნიშნად გავიგოთ.

**უწყვეტლის ხოლმეობითის** ნიშანია **ი**, რომელიც ყველა პირში გასდევს ორსავე რიცხვში: ვაქებდი, აქებდი, აქებდის, ვაქებდით, აქებდით, აქებდიან.

**I ბრძანებითის** იგივე ფუძე აქვს, რაც უწყვეტელს, ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რომ მე-3 სუბ. პირის ფორმაში დნ ჯგუფის გამოთქმის სიძნელის გამო **ი** არის განვითარებული სავრცობის შემდეგ: შენ აქებდ, მაგრამ იგი აქებდინ (მღრ. იყავ, იყავნ, სადაც ნ უშუალოდ მოერთვის ზმნის ფუძეს).

**I კავშირებითის (I მყოფადის)** ნიშანია **ე**: ვაქებდე, აქებდე, აქებდეს. ამ მწკრივის მრ. რიცხვის მე-3 სუბ. პირში მოსალოდნელი ორი ე-საგან (აქებდე-ენ) ერთი იკარგება: აქებდენ.

163. **პირდაპირი ობიექტის ასახვა ორ-პირიან გარდამავალ ზმნაში.** მოქმედებითი გვარის ზმნები ყველა გარდამავალია, ორ-პირიანიცა და სამ-პირიანიც. იმათაც და ამათაც პირდ. ობიექტი ეწყობა, რომელიც ზმნის I სერიის ფორმებთან მიცემით ბრუნვაში დგას, II სერიის ფორმებთან კი — სახელობითში; მაგ., მოჰკლავს კაცი მ გ ე ლ ს ა, მოკლა კაცმან მ გ ე ლ ი. ეს პირდაპირი ობიექტი მოითხოვს, რომ სათანადო პირის ნიშანი იყოს წარმოდგენილი ზმნაში: და-მ-წერს (იგი მე), და-გ-წერს (იგი შენ), და-ს-წერს (იგი მას); და-მ-წერს ან და-გ-წერს (იგი ჩუენ), და-გ-წერს (იგი თქუენ), და-ს-წერს (იგი მათ).

პირის ნიშნის ხმარებას ერთგვარი სირთულე ახლავს მე-3 ობიექტურ პირში, რადგანაც აქ ძირითადი ნიშანია **ჰ**, რომელიც მომდევნო ბგერას ეგუება: ხმოვნის წინ იკარგება სულ, ცხრა თანხმოვნის წინ კი ს-დ გადაკეთდება. ეს თანხმოვნებია **ტ, დ, თ; წ, ძ, ც; ქ, ჯ, ჩ.** ამ თანხმოვნებით დაწყებულ ზმნებში, მასასადამე, ჰეს ნაცვლად გვაქვს სანი, ხოლო ხმოვნების წინ — არაფერი (იგულისხმება, რომ აქ **ჰ** არის დაკარგული). ამგვარად არის საქმის ვითარება მე-9 საუკუნისა და მომდევნო საუკუნეების ძეგლთა ენაში. რაც შეეხება უფრო ძველ ძეგლებს (ე. წ. ხანმეტსა და ჰემეტ ძეგლებს), აქ მე-3 პირის ობ. ნიშანი იქნება ყველგან **ხ** ან **ჰ** (ხანმეტებში **ხ**, ჰემეტებში **ჰ**). ოღონდ ჰემეტ ძეგლებში **ჰ** შეიძლება დაიკარგოს ხმოვნებისა და ზოგიერთი თანხმოვნების წინ, რადგანაც იგი სუსტი ბგერაა ქართულში.

სამ-პირიან ზმნებზე აქ არას ვამბობთ, რადგანაც მათ, პირდაპირ ობიექტთან ერთად, ირიბი ობიექტიც ეწყობათ. აქ გვინტერესებს ორ-პირიანი გარდამავალი ზმნები, რომელთაც ზმნის I სერიის მწკრივთა ფორმებთან პირდაპირი

ობიექტი მიცემითში შეეწყობა. საყურადღებოა, რომ პირდ. ობიექტი, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას II სერიის მწკრივთა ფორმებთან, თუ იგი მე-3 პირისაა, ზმნაში არ აისახება (იქ შეიძლება მისი რიცხვი აისახოს). მაგრამ I სერიაში იგი აისახება ზმნისწინიან ფორმებში თითქმის ყველგან, უზმნისწინობებში კი — არა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

პირის ნიშანი პირდ. ობიექტისა მე-3 ობ. პირში არის იგივე ნიშანი, რაც მე-2 სუბ. პირისა და მე-3 ირიბ-ობიექტური პირისა, ე. ი. **ჰ** ან მისი ბგერინაცვალი: ხმოვნების წინ არაფერი, ცხრა თანხმოვნის წინ კი **ხ** (ხანმეტსა და პაემეტ ძეგლებში **ხ** და **ჰ** შესაბამისად). მაგალითები: კლავს—მო-ჰ-კლავს, კრებს—შე-ჰ-კრებს, მკის—მო-ჰ-მკის, მუსრავს—შე-ჰ-მუსრავს, და-ჰ-მუსრავს, ფქავს—და-ჰ-ფქავს, ყრის—და-ჰ-ყრის, თლის—გამო-ს-თლის, თხზავს—შე-ს-თხზავს, წერს—და-ს-წერს, წირავს—შე-ს-წირავს, წნებს—და-ს-წნებს, წუთავს—შე-ს-წუთავს, და-ს-წუთავს, ჭამს—შე-ს-ჭამს (შე-ს-ჭამს) და მისთ; მაგ.: ყოველსა ჯორციელსა ჭ ა მ დ ე ს, და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შე შ ჰ ა მ დ ე ს (მოქც.); სნუღთა გა ნ ჰ კ უ რ ნ ე ბ დ ი თ, კეთროვანთა გა ნ ს წ მ ე დ დ ი თ, ეშმაკთა გა ნ ა ს ხ ე მ დ ი თ (მათ. 10, 8). აქ პირდ. ობიექტის ნიშანი ორ შემთხვევაში არის (გან-ჰ-კურნებდით, გან-ს-წმედდით), მესამეში კი არა (გან-ასხემდით), რადგანაც აქ ხმოვნით იწყება ზმნა და იგულისხმება, რომ მის წინ **ჰ** დაიკარგა (\*გან-ჰ-ასხემდით).

164. **ულღების ნიმუშები.** ორ-პირიან გარდამავალ ზმნათა უღლების გასათვალისწინებლად I სერიის მწკრივებში სანიმუშოდ აღებულია უთემისნიშნო და ხმოვან-მონაცვლე ზმნები (უზმნისწინოდ და ზმნისწინითურთ):

I ს ე რ ი ა

აწმყო (უზმნისწინო)	(ზმნისწინიანი)	(უზმნისწ.)	(ზმნისწ.)
მხ. 1.3 ვკრებ	შე- <u>ვ</u> კრებ	ვწერ	და-ვსწერ
2.3 ჰკრებ	შე-ჰკრებ	სწერ	და-სწერ
3.3 კრებს	შე-ჰკრებს	წერს	და-სწერს
მრ. 1.3 ვკრებთ	შე-ვკრებთ	ვწერთ	და-ვსწერთ
2.3 ჰკრებთ	შე-ჰკრებთ	სწერთ	და-სწერთ
3.3 კრებენ	შე-ჰკრებენ	წერენ	და-სწერენ

აწმყო ს ზ ლ მ ე ო ბ ი თ ი

მხ. 3.3 კრებს	შე-ჰკრებს	წერს	დასწერს
მრ. 3.3 კრებედ	შე-ჰკრებედ	წერედ	დასწერედ

### უწყვეტელი (სვხეობი, ი-ბინძოვნგამყაქი)

მხ. 1.3 ვკრებდ(ი)	შე-ვკრებდ(ი)	ვწერდ(ი)	და-ვსწერდ(ი)
2.3 ჰკრებდ(ი)	შე-ჰკრებდ(ი)	სწერდ(ი)	და-სწერდ(ი)
3.3 კრებდა	შე-ჰკრებდა	წერდა	და-სწერდა
მრ. 1.3 ვკრებდით	შე-ვკრებდით	ვწერდით	და-ვსწერდით
2.3 ჰკრებდით	შე-ჰკრებდით	სწერდით	და-სწერდით
3.3 კრებდეს	შე-ჰკრებდეს	წერდეს	და-სწერდეს

### უწყვეტლის ხოლმეობითი (ნიძნი - ი, სვხეობი)

მხ. 1.3 ვკრებდი	შე-ვკრებდი	ვწერდი	და-ვსწერდი
2.3 ჰკრებდი	შე-ჰკრებდი	სწერდი	და-სწერდი
3.3 კრებდის	შე-ჰკრებდის	წერდის	და-სწერდის
მრ. 1.3 ვკრებდით	შე-ვკრებდით	ვწერდით	და-ვსწერდით
2.3 ჰკრებდით	შე-ჰკრებდით	სწერდით	და-სწერდით
3.3 კრებდიან	შე-ჰკრებდიან	წერდიან	და-სწერდიან

### I ბრძანებითი (სვხეობი, ი-ბინძოვნგამყაქი)

მხ. 2.3 კრებდ(ი)	შე-ჰკრებდ(ი)	წერდ(ი)	და-სწერდ(ი)
3.3 კრებდინ	შე-ჰკრებდინ	წერდინ	და-სწერდინ
მრ. 2.3 კრებდით	შე-ჰკრებდით	წერდით	და-სწერდით
3.3 კრებდედ	შე-ჰკრებდედ	წერდედ	და-სწერდედ

### I კავშირებითი (I მყოფადი) (სვხეობი, ნიძნი - ე)

მხ. 1.3 ვკრებდე	შე-ვკრებდე	ვწერდე	და-ვსწერდე
2.3 ჰკრებდე	შე-ჰკრებდე	სწერდე	და-სწერდე
3.3 კრებდეს	შე-ჰკრებდეს	წერდეს	და-სწერდეს
მრ. 1.3 ვკრებდეთ	შე-ვკრებდეთ	ვწერდეთ	და-ვსწერდეთ
2.3 ჰკრებდეთ	შე-ჰკრებდეთ	სწერდეთ	და-სწერდეთ
3.3 კრებდენ	შე-ჰკრებდენ	წერდენ	და-სწერდენ

როგორც მაგალითებიდან ჩანს, უზმნისწინო ზმნების უღლებიასა მხოლოდ სუბიექტური ნიშანი იჩენს თავს მე-2 პირში (გარდა ბრძანებითისა, რომელსაც პირის ნიშანი არ უნდა). ხოლო უზმნისწინიანებში ობიექტური ნიშანი მე-3 პირისა მ ან მისი ბგერინაცვალი ს ყველა ფორმაში გასდევს, თუ ფორმაში მე-3 ობ. პირი იგულისხმება. მაგრამ, თუ ობიექტური პირი 1-ლია, ან მე-2, მაშინ ამათი ობიექტური ნიშნები იქნება: შენ მე დამწერ, მე შენ დავწერ და მისთ.

პირის ნიშანთა ხმარების თვალსაზრისით (ძირითადად 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში მე-3 ობიექტურთან მიმართებით) მოყვანილი ზმნების მსგავსად იუღლვის ყველა ორ-პირიანი გარდამავალი ზმნა, რომელსაც ფუძე თანხმოვნით ეწყება.

165. **გამონაკლისი.** ზოგიერთი ორ-პირიანი უზმნისწინო ზმნა I სერიის მწკრივთა ფორმებში პირდაპირი ობიექტის ნიშანს გვიჩვენებს. ეს ზმნებია: ჰგუემს, ჰპოევს, ჰყოფს (რთულ ზმნებშიც: უღებ-ჰყოფს, შეურაცხ-ჰყოფს და სხვ.), სტანჯავს, სცავს, სცნობს და სხვ..

ზოგი ზმნა ორსავე შემთხვევაში დაირთავს პირის ნიშანს (უზმნისწინოდაც და ზმნისწინის ხმარებისასაც): ჰკურნებს—განჰკურნებს, სღევნის—განსღევნის, სტყებნის — დასტყებნის და სხვ..

უღლების ნიმუშები:

I ს ე რ ი ა

**აწმყო**

მხ. 1.3 ვჰპოევებ <sup>1</sup>	ვჰყოფ	ვსცნობ
2.3 ჰპოევებ	ჰყოფ	სცნობ
3.3 ჰპოევებს	ჰყოფს	სცნობს
მრ. 1.3 ვჰპოევებთ	ვჰყოფთ	ვსცნობთ
2.3 ჰპოევებთ	ჰყოფთ	სცნობთ
3.3 ჰპოევებენ	ჰყოფენ	სცნობენ

**აწმყოს ხოლმეობითი**

მხ. 2.3 ჰპოევებნ	ჰყოფნ	სცნობნ
მრ. 3.3 ჰპოევებელ	ჰყოფელ	სცნობელ

**უწყვებელი**

მხ. 1.3 ვჰპოევებდ(ი)	ვჰყოფდ(ი)	ვსცნობდ(ი)
2.3 ჰპოევებდ(ი)	ჰყოფდ(ი)	სცნობდ(ი)
3.3 ჰპოევებდა	ჰყოფდა	სცნობდა
მრ. 1.3 ვჰპოევებდით	ვჰყოფდით	ვსცნობდით
2.3 ჰპოევებდით	ჰყოფდით	სცნობდით
3.3 ჰპოევებდეს	ჰყოფდეს	სცნობდეს

**უწყვებლის ხოლმეობითი**

მხ. 1.3 ვჰპოევებდი	ვჰყოფდი	ვსცნობდი
2.3 ჰპოევებდი	ჰყოფდი	სცნობდი
3.3 ჰპოევებდის	ჰყოფდის	სცნობდის
მრ. 1.3 ვჰპოევებდით	ვჰყოფდით	ვსცნობდით
2.3 ჰპოევებდით	ჰყოფდით	სცნობდით
3.3 ჰპოევებდიან	ჰყოფდიან	სცნობდიან

<sup>1</sup> ამ ზმნას ხშირად ეკარგება ფუძისეული ვ: ვჰპოევ, ჰპოევ, ჰპოევს და სხვ.. დაკარგვა შეიძლება ყველა მწკრივში მოხდეს ე და ი ხმოვნების წინ.

## I ბრძანებითი

მხ. 2.3	ჰპოვებდ(ი)	ჰყოფდ(ი)	სცნობდ(ი)
3.3	ჰპოვებდინ	ჰყოფდინ	სცნობდის
მრ. 2.3	ჰპოვებდით	ჰყოფდით	სცნობდით
3.3	ჰპოვებდედ	ჰყოფდედ	სცნობდედ

## I კავშირებითი (I მყოფადი)

მხ. 1.3	ვჰპოვებდე	ვჰყოფდე	ვსცნობდე
2.3	ჰპოვებდე	ჰყოფდე	სცნობდე
3.3	ჰპოვებდეს	ჰყოფდეს	სცნობდეს
მრ. 1.3	ვჰპოვებდეთ	ვჰყოფდეთ	ვსცნობდეთ
2.3	ჰპოვებდეთ	ჰყოფდეთ	სცნობდეთ
3.3	ჰპოვებდენ	ჰყოფდენ	სცნობდენ

166. ავ-იან და ამ-იან ზმნათა თავისებურება სავრცობიან მწკრივებში. იმ ზმნებს, რომელთაც თემის ნიშნად ავ და ამ აქვთ, უწყვეტლის 1-ლისა და მე-2 სუბ. პირის ფორმებში (სათანადოდ I ბრძანებითის ფორმებში) თემის ნიშნის ხმოვანი ა შეეცვლებათ ე-დ, ხოლო მე-3 სუბ. პირის ფორმებში ი-ნის საშუალებით დაუკავშირდება დ სავრცობს, რის გამოც წინამაგალი ხმოვანი, თემის ნიშნისა, ამოღებულ იქნება: ვკლავ, ჰკლავ, კლავს, ვკლევდ(ი), ჰკლევდ(ი), კლვიდა; შევაბემდ(ი), შეაბემდ(ი), შეაბმიდა. მე-3 სუბ. პირში ამგვარად მიღებული ფუძე გადადის უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის (I მყოფადის) ყველა სუბ. პირში: ვკვლიდი, ვკვლიდე, შევაბმიდი, შევაბმიდე და სხვ..

167. უღლების ნიმუშები. თემის ნიშნები ავ, ამ

## I ს ე რ ი ა

## აწმყო

მხ. 1.3	ვკლავ	ვჰფარავ	ვსტანჯავ	შევირტყამ
2.3	ჰკლავ	ჰფარავ	სტანჯავ	შეირტყამ
3.3	კლავს	ჰფარავს	სტანჯავს	შეირტყამს
მრ. 1.3	ვკლავთ	ვჰფარავთ	ვსტანჯავთ	შევირტყამთ
2.3	ჰკლავთ	ჰფარავთ	სტანჯავთ	შეირტყამთ
3.3	კლვენ	ჰფარვენ	სტანჯვენ	შეირტყვენ

## აწმყო ხოლმეობითი

მხ. 3.3	კლავნ	ჰფარავნ	სტანჯავნ	შეირტყამნ
მრ. 3.3	კლვედ.	ჰფარვედ	სტანჯვედ	შეირტყამედ

**უწყებელი**

მხ. 1.3	ვკლევდ(ი)	ვჰფარევდ(ი)	ვსტანჯევდ(ი)	შევირტყემდ(ი)
2.3	ჰკლევდ(ი)	ჰფარევდ(ი)	სტანჯევდ(ი)	შეირტყემდ(ი)
3.3	კლვიდა	ჰფარვიდა	სტანჯვიდა	შეირტყმიდა
მრ. 1.3.	ვკლევდით	ვჰფარევდით	ვსტანჯევდით	შევირტყემდით
2.3	ჰკლევდით	ჰფარევდით	სტანჯევდით	შეირტყემდით
3.3	კლვიდეს	ჰფარვიდეს	სტანჯვიდეს	შეირტყმიდეს

**უწყებელის ხოლმეობითი**

მხ. 1.3	ვკლვიდი	ვჰფარვიდი	ვსტანჯვიდი	შევირტყმიდი
2.3	ჰკლვიდი	ჰფარვიდი	სტანჯვიდი	შეირტყმიდი
3.3	კლვიდის	ჰფარვიდის	სტანჯვიდის	შეირტყმიდის
მრ. 1.3	ვკლვიდით	ვჰფარვიდით	ვსტანჯვიდით	შევირტყმიდით
2.3	ჰკლვიდით	ჰფარვიდით	სტანჯვიდით	შეირტყმიდით
3.3	კლვიდიან	ჰფარვიდიან	სტანჯვიდიან	შეირტყმიდიან

**I ბრძანებითი**

მხ. 2.3	კლევდ(ი)	ჰფარევდ(ი)	სტანჯევდ(ი)	შეირტყემდ(ი)
3.3	კლევდინ	ჰფარევდინ	სტანჯევდინ	შეირტყემდინ
მრ. 2.3	კლევდით	ჰფარევდით	სტანჯევდით	შეირტყემდით
3.3	კლვიდედ	ჰფარვიდედ	სტანჯვიდედ	შეირტყმიდედ

**I კავშირებითი (I მყოფადი)**

მხ. 1.3	ვკლვიდე	ვჰფარვიდე	ვსტანჯვიდე	შევირტყმიდე
2.3	ჰკლვიდე	ჰფარვიდე	სტანჯვიდე	შეირტყმიდე
3.3	კლვიდეს	ჰფარვიდეს	სტანჯვიდეს	შეირტყმიდეს
მრ. 1.3	ვკლვიდეთ	ვჰფარვიდეთ	ვსტანჯვიდეთ	შევირტყმიდეთ
2.3	ჰკლვიდეთ	ჰფარვიდეთ	სტანჯვიდეთ	შეირტყმიდეთ
3.3	კლვიდენ	ჰფარვიდენ	სტანჯვიდენ	შეირტყმიდენ

**168. უღლების ნიმუშები. თემის ნიშნები ი, ებ, ობ**

**I ს ე რ ი ა**

**აწმყო**

მხ. 1.3	გამოსცდი	ვადიღებ	შევიპყრობ
2.3	გამოსცი	ადიღებ	შეიპყრობ
3.3	გამოსცდის	ადიღებს	შეიპყრობს

მრ. 1.3 გამოვსცლით	ვადიდებთ	შევიპყრობთ
2.3 გამოსცლით	ადიდებთ	შეიპყრობთ
3.3 გამოსცლიან	ადიდებენ	შეიპყრობენ

**აწმყოს ხოლმეობითი**

მხ. 3.3 გამოსცლინ	ადიდებნ	შეიპყრობნ
მრ. 3.3 გამოსცლიედ	ადიდებედ	შეიპყრობედ

**უწყვებელი**

მხ. 1.3 გამოვსცლიდ(ი)	ვადიდებდ(ი)	შევიპყრობდ(ი)
2.3 გამოსცლიდ(ი)	ადიდებდ(ი)	შეიპყრობდ(ი)
3.3 გამოსცლიდა	ადიდებდა	შეიპყრობდა
მრ. 1.3 გამოვსცლიდით	ვადიდებდით	შევიპყრობდით
2.3 გამოსცლიდით	ადიდებდით	შეიპყრობდით
3.3 გამოსცლიდეს	ადიდებდეს	შეიპყრობდეს

**უწყვეტლის ხოლმეობითი**

მხ. 1.3 გამოვსცლიდი	ვადიდებდი	შევიპყრობდი
2.3 გამოსცლიდი	ადიდებდი	შეიპყრობდი
3.3 გამოსცლიდის	ადიდებდის	შეიპყრობდის
მრ. 1.3 გამოვსცლიდით	ვადიდებდით	შევიპყრობდით
2.3 გამოსცლიდით	ადიდებდით	შეიპყრობდით
3.3 გამოსცლიდიან	ადიდებდიან	შეიპყრობდიან

**I ბრძანებითი**

მხ. 2.3 გამოსცლიდ(ი)	ადიდებდ(ი)	შეიპყრობდ(ი)
3.3 გამოსცლიდინ	ადიდებდინ	შეიპყრობდინ
მრ. 2.3 გამოსცლიდით	ადიდებდით	შეიპყრობდით
3.3 გამოსცლიდედ	ადიდებდედ	შეიპყრობდედ

**I კავშირებითი (I მყოფადი)**

მხ. 1.3 გამოვსცლიდე	ვადიდებდე	შევიპყრობდე
2.3 გამოსცლიდე	ადიდებდე	შეიპყრობდე
3.3 გამოსცლიდეს	ადიდებდეს	შეიპყრობდეს
მრ. 1.3 გამოვსცლიდეთ	ვადიდებდეთ	შევიპყრობდეთ
2.3 გამოსცლიდეთ	ადიდებდეთ	შეიპყრობდეთ
3.3 გამოსცლიდენ	ადიდებდენ	შეიპყრობდენ

169. უღლების ნიშნები. თემის ნიშნები ევ, ემ. ევ-იან ზმნათაგან აქ მოყვანილია განვაბნევ, რომელსაც თემის ნიშანი ევ კი არ ჩამოშორდება II სერიის ფორმებში, არამედ გადაჰყვება ხმოვნის შეცვლით: ევ—ივ. მაგრამ ამ ივ-ისაგან მხოლოდ ი რჩება, რადგანაც ივე, ივა და ივო კომპლექსებში ვ იკარგება.

**აწმყო**

მხ. 1.3 განვაბნევ	1.3.3 მივსცემ
2.3 განაბნევ	2.3.3 მისცემ
3.3 განაბნევს	3.3.3 მისცემს
მრ. 1.3 განვაბნევთ	1.3.3 მივსცემთ
2.3 განაბნევთ	2.3.3 მისცემთ
3.3 განაბნევენ	3.3.3 მისცემენ

**აწმყოს ხოლმეობითი**

მხ. 3.3 განაბნევს	3.3.3 მისცემს
მრ. 3.3 განაბნევენ	3.3.3 მისცემენ

**უწყვეთელი**

მხ. 1.3 განვაბნევდ(ი)	1.3.3 მივსცემდ(ი)
2.3 განაბნევდ(ი)	2.3.3 მისცემდ(ი)
3.3 განაბნევდა	3.3.3 მისცემდა
მრ. 1.3 განვაბნევდით	1.3.3 მივსცემდით
2.3 განაბნევდით	2.3.3 მისცემდით
3.3 განაბნევდეს	3.3.3 მისცემდეს

**უწყვეთლის ხოლმეობითი**

მხ. 1.3 განვაბნევდი	1.3.3 მივსცემდი
2.3 განაბნევდი	2.3.3 მისცემდი
3.3 განაბნევდის	3.3.3 მისცემდის
მრ. 1.3 განვაბნევდით	1.3.3 მივსცემდით
2.3 განაბნევდით	2.3.3 მისცემდით
3.3 განაბნევდიან	3.3.3 მისცემდიან

**I ბრძანებითი**

მხ. 2.3 განაბნევდ(ი)	2.3.3 მისცემდ(ი)
3.3 განაბნევდინ	3.3.3 მისცემდინ
მრ. 2.3 განაბნევდით	2.3.3 მისცემდით
3.3 განაბნევდედ	3.3.3 მისცემდედ

## I კავშირებითი (I მყოფადი)

მხ. 1.3 განვაბნევედე	1.3.3 მივსცემდე
2.3 განაბნევედე	2.3.3 მისცემდე
3.3 განაბნევედეს	3.3.3 მისცემდეს
მრ. 1.3 განვაბნევედეთ	1.3.3 მივსცემდეთ
2.3 განაბნევედეთ	2.3.3 მისცემდეთ
3.3 განაბნევედენ	3.3.3 მისცემდენ

## II ს ე რ ი ა

170. **მწკრივთა ნიშნები.** II სერიაში ხუთი მწკრივია: წყვეტილი; II ხოლმეობითი, II ბრძანებითი, II კავშირებითი და შერეული კავშირებითი:

**წყვეტილის** ნიშანია ნული (ე. ი. არაფერი) და ე. ამ მწკრივში რომ ზმნას ნიშანი არა ჰქონდეს, ამისი მაგალითებია: შევიპყარ, შევკარ, მოვკალ, შთავიცუ და სხვ. მიაქციეთ ყურადღება: ამ ზმნებს (უკანასკნელის გარდა) ფუძე I სერიის მწკრივებში შეკუმშული ჰქონდათ და აქ კი გაეშლებათ: შევი-პყარ-ობ — შევი-პყარ, შევპ-კარ-ავ — შევ-კარ, მოვპ-კალ-ავ — მოვ-კალ და მისთ.. გაშლა ხდება 1-სა და მე-2 სუბ. პირში, სხვაგან ისევ შეიკუმშება.

ე რომ ჰქონდეს წყვეტილს ნიშნად, ამისი მაგალითებია: დაწერ-ე, შევკერ-ე, შევკრიბ-ე, აღვზარდ-ე, აღვაგვ-ე და სხვანი. ეს ე მესამე სუბ. პირში მოეკვეცება: მან დაწერ-ა, მან შეკერ-ა, მან შეკრიბ-ა და მისთ.. რაკი მხოლ. რიცხვში იკვეცება, უნდა ვიფიქროთ, რომ მრავლობითშიც იკვეცება: დაწერ-ეს (ამის ნაცვლად: დაწერე-ეს).

მხ. რიცხვის მე-3 სუბ. პირის ნიშნად ზმნას წყვეტილში მოუღის ა ან ო. ა მოუღის ზმნათა დიდ უმეტესობას: დაწერა, შეკრიბა, აღზარდა, აკურთხა, განაზნა, დაკლა, შეკრა, უბრძანა, შეიპყრა და მისთ., ხოლო ო მოუღის უმეტესად ერთ-თანხმოვანი ფუძის მქონე ზმნებს<sup>1</sup> და სხვათაც. მაგ., აქო, აღავო (მია-, დაა-), აღალო (შეა-, გამოა-), მოილო (გან-, წარ-, შე-), შეახო, განაპო, დაალო, შეაგბო, დაანთო, აღავსო, ყო (გან-, შთა-, მი-) და მისთ.. ეს ო-ც ადგადაკეთდება, თუ ზმნასთან შეწყობილია ნ-არიან მრავლობითში დასმული პირდაპირი ობიექტი: აღავო სახლი — აღავნა სახლნი, შეახო კელი — შეახნა კელნი, აღავსო სარწყული — აღავსნა სარწყულნი და მისთ..

II ხოლმეობითის ნიშანია ი: შევიპყრი, შევკრიბი, აღვზარდი, აღვაგვი და სხვ.

II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს ეყრდნობა.

II კავშირებითის (II მყოფადის) ნიშანია ა, ე ან ო.

ა არის იმ შემთხვევაში, თუ წყვეტილი უნიშნოა: შევიპყარ — შევიპყრა, მოვკალ — მოვკლა, შევკარ — შევკრა, შთავიცუ — შთავიცუა და მისთ..

<sup>1</sup> მიცემა ზმნასაც ფუძედ ერთი თანხმოვანი აქვს, მაგრამ მას წყვეტილის მე-3 პირში ა მოუღის: მი-ს-ც-ა.

ე მოუღის ც ფუძის ზმნებს: მივსცე, დავსცე და მისთ. და აგრეთვე ვშვე და დავიციე ზმნებს.

ო მოუღის დანარჩენ ზმნებს: დავწერო, შევკერო, შევკრიბო, აღვზარდო, აღვავსო და სხვ.. ამ ნიშანთაგან ა და ო იმ შემთხვევაში აქვს II კავშირებითს (ანუ II მყოფადს), თუ მასთან შეწყობილი პირდ. ობიექტი მხოლოდით რიცხვში დგას. ხოლო, თუ იგი ნ-არიან მრავლობითში დგას, მაშინ ზმნაში პირდ. ობიექტის მრავლ. რიცხვის აღმნიშვნელი ნ გაჩნდება და ა ნიშანიცა და ო-ცედ გადაკეთდება; მაგ., შევიპყრა იგი — შევიპყრნე ივინი, აღვზარდო იგი — აღვზარდნე ივინი და მისთ..

ის ზმნები, რომელთაც კუმშვადი ფუძის ბოლოკიდურად ნ აქვთ, II კავშირებითში ე-ს გვიჩვენებენ: რამთა ვქმნე, განვხრწნე, განვრყუნე და მისთ.. რომელმან ტაძარი იგი ღმრთისაჲ გა ნ ხ რ წ ე ს, გა ნ რ ყ უ ნ ე ს ივინცა ღმერთმან (I კორ. 3, 17).

**შერეულ კავშირებითზე** ქვემოთ იქნება საუბარი (§ 178).

171. **ორ-ორი ფორმა.** მოქმედებითი გვარის ზმნას II სერიის მწკრივთა ფორმებში ორ-ორი ფორმა აქვს: ერთი—პირდ. ობიექტის მხ. რიცხვში შეწყობისას, მეორე—პირდ. ობიექტის მრ. რიცხვში შეწყობისას. თუ ზმნა შეწყობილია ნ-არიან მრავლობითში დაყენებულ სახელთან, მაშინ მასში თავს იჩენს პირდ. ობიექტის მრ. რიცხვის აღმნიშვნელი ენ. თუ ამ ენ-ს მოსდევს ხმოვანი, იგი იკუმშება და რჩება ნ.

**უღლების ნიმუშები. წყვეტილი.**

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლოდითშია (იგი)

მხ. 1.3 მოვკალ	დავწერე	აღვავსე
2.3 მოჰკალ	დასწერე	აღავსე
3.3 მოკლა	დაწერა	აღავსო
მრ. 1.3 მოვკალთ	დავწერეთ	აღვავსეთ
2.3 მოჰკალთ	დასწერეთ	აღავსეთ
3.3 მოკლეს	დაწერეს	აღავსეს

ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (ივინი)

მხ. 1.3 მოვკლენ	დავწერენ	აღვავსენ
2.3 მოჰკლენ	დასწერენ	აღავსენ
3.3 მოკლნა	დაწერნა	აღავსნა
მრ. 1.3 მოვკლენ(ით)	დავწერენ(ით)	აღვავსენ(ით)
2.3 მოჰკლენ(ით)	დასწერენ(ით)	აღავსენ(ით)
3.3 მოკლნეს	დაწერნეს	აღავსნეს

**II ხოლმეობითი**

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლოდითშია (იგი)

მხ. 1.3 მოვკლი	დავწერი	აღვავსი
2.3 მოჰკლი	დასწერი	აღავსი
3.3 მოკლის	დაწერის	აღავსის

მრ. 1.3 მოვკლით	დავწერთ	აღვავსით
2.3 მოჰკლით	დასწერთ	აღავსით
3.3 მოკლიან	დაწერიან	აღავსიან

## ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მწ. 1.3 მოვკლნი	დავწერნი	აღვავსნი
2.3 მოჰკლნი	დასწერნი	აღავსნი
3.3 მოკლნის	დაწერნის	აღავსნის
მრ. 1.3 მოვკლნით	დავწერნით	აღვავსნით
2.3 მოჰკლნით	დასწერნით	აღავსნით
3.3 მოკლნიან	დაწერნიან	აღავსნიან

**შენიშვნა.** II ხოლმეობითის ფორმები ზოგჯერ გამოყენებულია ბრძანების-თვისაც, მაგრამ ამ შემთხვევაში თხრობითსა და ბრძანებითს შორის ფორმალურ-განსხვავება არ არის: სუბიექტური ნიშანი ბრძანებითის ფორმასაც უნდა; ამისი მაგალითებია: სამ გზის წელიწადსა დღესასწაული ჰყვით ჩემი (გამოსლ. 23, 14); უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით იგი (გამოსლ. 1, 16).

## II ბრძანებითი

## ა) პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (იგი)

მხ. 2.3 მოკალ	დაწერე	აღავსე
3.3 მოკალნ	დაწერენ	აღავსენ
მრ. 2.3 მოკალთ	დაწერეთ	აღავსეთ
3.3 მოკალედ	დაწერედ	აღავსედ

## ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ. 2.3 მოკლენ	დაწერენ	აღავსენ
3.3 მოკლენინ	დაწერენინ	აღავსენინ
მრ. 2.3 მოკლენ(ი)თ	დაწერენ(ი)თ	აღავსენ(ი)თ
3.3 მოკლენედ	დაწერენედ	აღავსენედ

## II კავშირებითი (II მყოფადი)

## ა) პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (იგი)

მხ. 1.3 მოვკლა	დავწერო	აღვავსო
2.3 მოჰკლა	დასწერო	აღავსო
3.3 მოკლას	დაწეროს	აღავსოს

მრ. 1.3 მოვკლათ	დავწეროთ	აღვავსოთ
2.3 მოჰკლათ	დასწეროთ	აღავსოთ
3.3 მოკლან	დაწერიონ	აღავსონ

ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ. 1.3 მოვკლნე	დავწერნე	აღვავსნე
2.3 მოჰკლნე	დასწერნე	აღავსნე
3.3 მოკლნეს	დაწერნეს	აღავსნეს
მრ. 1.3 მოვკლნეთ	დავწერნეთ	აღვავსნეთ
2.3 მოჰკლნეთ	დასწერნეთ	აღავსნეთ
3.3 მოკლნენ	დაწერნენ	აღავსნენ

172. **ევ სუფიქსიან ზმნათა თავისებურება.** ევ სუფიქსიანი ზმნები („ავაჟრთხევ“ და „გჰსლევ“ ზმნების გარდა)<sup>1</sup> II სერიის მწკრივებში ივ-ად გადაიკეთებენ სუფიქსს, მაგრამ ვ ჩვეულებრივ იკარგება და რჩება ი: განვაბნევე — განვაბნიე, განაბნიე, განაბნია და შემდგომი (ამათ ნაცვლად: განვაბნივე, განაბნივე, განაბნივა). ეს ვ არ ჩანს არც მაშინ, როცა ზმნასთან შეწყობილი პირდ. ობიექტი ნ-არიან მრავლობითშია: განვაბნიენ, განაბნიენ, განაბნინა და შემდგომი. მაგ., გ ა რ დ ა მ ო ს თ ხ ი ნ ა ძლიერნი საყდართაგან (ლ. 1, 52); ქ ა რ მ ა ნ გ ა ნ ა ქ რ ი ნ ე ს იგინი და ნიავ-ქარმან გ ა ნ ა ბ ნ ი ნ ე ს იგინი (ეს. 41, 16).

173. **ობ-იან ზმნათა თავისებურება.** ზოგი ზმნა, რომელთაც თემის ნიშნად ობ მოუღდის, II სერიის მწკრივებში ფუძის ბოლოს მიიღებს ვ-ს, რომელიც იკარგება ო-ს წინ: შევამკობ — შევამკვე, შეამკვე, შეამკო, შევამკვეთ, შეამკვეთ, შეამკვეს; შევამკო იგი — შევამკენე, იგინი. ამგვარად იუღვლის: შევამთობ — შევამთვე, დავადნობ — დავადნვე, დავალტობ — დავალტვე, განვაგრძობ — განვაგრძვე (განვაგრძვენ სიტყუანი ჩემნი, იგავნი 1, 24), განვაკრთობ — განვაკრთვე (განვაკრთვენ, ეს. 42, 14), დავაცხრობ — დავაცხრვე და სხვ.

174. **სამ-პირიანი ზმნები.** სამ-პირიან ზმნას ორი ობიექტი ეწყობა: პირდაპირი და ირიბი. როგორც ვნახეთ, პირდაპირი ობიექტის მე-3 პირი II სერიის ფორმებში სრულებით არ აისახება, I სერიის ფორმებში კი — გარკვეულ შემთხვევებში. რაც შეეხება ირიბ ობიექტს, მისი პირი ყოველთვის აისახება I სერიის მწკრივითა ფორმებშიცა და II სერიის მწკრივებისაშიც. მისი ნიშანი იგივეა, რაც პირდაპირისა ვნახეთ I სერიაში, ე. ი. ჰ ა ნ მისი ბგერინაცვალი: ხმოვნების წინ არაფერი (ივარაუდება, რომ ჰ დაიკარგა), ცხრა თანხმოვნის წინ კი — ს. ასეთი ზმნებია:

ჰკითხავს (იგი მას მას) — ჰკითხა (მან მას იგი), დამოჰკიდებს — დამოჰკიდა, შეჰვედრებს — შეჰვედრა, მიჰყიდის — მიჰყიდა, წარჰკეთეს — წარჰკეთა, სთხოვს

<sup>1</sup> ამ ზმნებს ევ სუფიქსი ჩამოსცილდება II სერიის ფორმებში: აჟურთხევს — აჟურთხა, სსლევს — სსლო.

(იგი მას მას) — სთხოვა (მან მას იგი), დასდებს (იგი მას ჯელსა) — დასდვა (მან მას ჯელი), დასწერს (იგი მას ჭუარსა) — დასწერა (მან მას ჭუარი) და მისთ..

II სერიის მწკრივთა ფორმებში შეიძლება სამივე პირი აისახოს სამ-პირიანი ზმნისა. ამისი მაგალითია: „მივსცენ“, რომელიც ასე დაიწლება: მი-ვ-ს-ც-ენ. ამათგან მი ზმნისწინია, ვ 1-ლი სუბიექტ. პირის ნიშანი, ს მე-3 ირ.-ობიექტური პირის ნიშანი, ც ფუძე ზმნისა, ხოლო ენ პირდ. ობიექტის მრ. რიცხვის ნიშანი. მაშასადამე, სუბიექტისა და ირიბი ობიექტისა პირი აღინიშნა, ხოლო პირდ. ობიექტისა — რიცხვი.

### 175. უღლების ნიმუშები.

#### წყვეტილი

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (იგი)

მხ.	1.3.3 აღვკვიდე	მივპყიდე	დავსწერე <sup>1</sup>	მივეც <sup>2</sup> ,
	2.3.3 აღვკვიდე	მიპყიდე	დასწერე	მიეც (*მიპყე)
	3.3.3 აღვკვიდა	მიპყიდა	დასწერა	მისცა
მრ.	1.3.3 აღვკვიდეთ	მივპყიდეთ	დავსწერეთ	მივეც(ო)თ
	2.3.3 აღვკვიდეთ	მიპყიდეთ	დასწერეთ	მიეც(ო)თ
	3.3.3 აღვკვიდეს	მიპყიდეს	დასწერეს	მისცეს

ბ) პირდ. ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ.	1.3.3 აღვკვიდენ	მივპყიდენ	დავსწერენ	მივსცენ
	2.3.3 აღვკვიდენ	მიპყიდენ	დასწერენ	მისცენ
	3.3.3 აღვკვიდნა	მიპყიდნა	დასწერნა	მისცნა
მრ.	1.3.3 აღვკვიდენ(ო)თ	მივპყიდენ(ო)თ	დავსწერენ(ო)თ	მივსცენ(ო)თ
	2.3.3 აღვკვიდენ(ო)თ	მიპყიდენ(ო)თ	დასწერენ(ო)თ	მისცენ(ო)თ
	3.3.3 აღვკვიდენეს	მიპყიდენეს	დასწერენეს	მისცენეს

#### II ხოლობითითი

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (იგი)

მხ.	1.3.3 აღვკვიდი	მივპყიდი	დავსწერი	მივსცი
	2.3.3 აღვკვიდი	მიპყიდი	დასწერი	მისცი
	3.3.3 აღვკვიდის	მიპყიდის	დასწერის	მისცის
მრ.	1.3.3 აღვკვიდით	მივპყიდით	დავსწერით	მივსციით
	2.3.3 აღვკვიდით	მიპყიდით	დასწერით	მისციით
	3.3.3 აღვკვიდიან	მიპყიდიან	დასწერიან	მისციან

<sup>1</sup> დავწერე (მე იგი) ორ-პირიანია, დავსწერე (მე მას იგი) — სამ-პირიანი (დავსწერე მე მას ჭუარი).

<sup>2</sup> ჰემეტ ტექსტებში იქნება მიპყეც, ხოლო ხანმეტებში — მიხუეც.

ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ.	1.3.3	აღვჰკიდნი	მივჰკიდნი	დავსწერნი	მივსცნი
	2.3.3	აღჰკიდნი	მიჰკიდნი	დასწერნი	მისცნი
	3.3.3	აღჰკიდნის	მიჰკიდნის	დასწერნის	მისცნის
მრ.	1.3.3	აღვჰკიდნით	მივჰკიდნით	დავსწერნით	მივსცნით
	2.3.3	აღჰკიდნით	მიჰკიდნით	დასწერნით	მისცნით
	3.3.3	აღჰკიდნიან	მიჰკიდნიან	დასწერნიან	მისცნიან

II ბრძანებითი. ამ მწკრივის ფორმები საესებით ემთხვევა წყვეტილის შესთანაღო ფორმებს მე-2 პირში: აღჰკიდე, მიჰკიდე, დასწერე, მიეც.

II კავშირებითი (II მყოფადი)

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითშია (იგო)

მხ.	1.3.3	აღვჰკიდლო	მივჰკიდლო	დავსწერო	მივსცე
	2.3.3	აღჰკიდლო	მიჰკიდლო	დასწერო	მისცე
	3.3.3	აღჰკიდლოს	მიჰკიდლოს	დასწეროს	მისცეს
მრ.	1.3.3	აღვჰკიდლოთ	მივჰკიდლოთ	დავსწეროთ	მივსცეთ
	2.3.3.	აღჰკიდლოთ	მიჰკიდლოთ	დასწეროთ	მისცეთ
	3.3.3	აღჰკიდლონ	მიჰკიდლონ	დასწერონ	მისცენ

ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ.	1.3.3	აღვჰკიდნე	მივჰკიდნე	დავსწერნე	მივსცნე
	2.3.3	აღჰკიდნე	მიჰკიდნე	დასწერნე	მისცნე
	3.3.3	აღჰკიდნეს	მიჰკიდნეს	დასწერნეს	მისცნეს
მრ.	1.3.3	აღვჰკიდნეთ	მივჰკიდნეთ	დავსწერნეთ	მივსცნეთ
	2.3.3	აღჰკიდნეთ	მიჰკიდნეთ	დასწერნეთ	მისცნეთ
	3.3.3	აღჰკიდნენ	მიჰკიდნენ	დასწერნენ	მისცნენ

176. ძველის-ძველი კონსტრუქციის ზმნები. მოიპოვება რიგი ზმნებისა, რომელთაც ორი სახელი ეწყობა, სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, მაგრამ უღლუბის მიხედვით იგინი სამ-პირიანებს ეტოლებიან: მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანს გვიჩვენებენ II სერიის ფორმებში. ასეთია შემდეგი ზმნები: დაჰბადა (მან იგი), აღჰმართა, დაჰფლა, დაჰმარხა, დაჰწერა, დაჰბეჭდა, დას-თესა, დაჰკმა და სხვ. რომ ეს ზმნები წარმოშობით სამ-პირიანებია, ამას ადასტურებს ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება მათგან: ვნებითი მათ ე-თი აქვთ ნაწარმოები, როგორც ჩვეულებრივ სამ-პირიან ზმნებს: დაჰბადა — დაებადა (შაბათი კაცისათეს დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათეს, მრ. 2, 27), აღჰმარ-თა — აღემართა (აღდგა მკვლეული ჩემი და აღემართა, დაბ. 37, 7), დასთესა—

დაეთესა (რომელ-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს, მ. 13, 22), და(3)ას-რულა — დაესრულა და მისთ.. ამიტომ არავითარი ეჭვი არ არის, რომ დაჰბადა ტიპის ზმნებს, რომლებიც ძველ ქართულში მარტო ორ სახელს შეიწყობენ, ძველის-ძველად სამი სახელი ეწყობოდა; ამათგან ერთი (სახელდობრ ირიბი ობიექტი) შემდეგ დაჰკარგვიათ, მაგრამ ფორმა ძველი შერჩენიათ.

### 177. უღლების ნიშნები.

#### II ს ე რ ი ა

##### წვეტილი

###### ა) პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (იგი)

მხ.	1.(3).3 დავჰბადე <sup>1</sup>	აღვჰმართე <sup>1</sup>	დავსთესე <sup>1</sup>
	2.(3).3 დაჰბადე	აღჰმართე	დასთესე
	3.(3).3 დაჰბადა	აღჰმართა	დასთესა
მრ.	1.(3).3 დავჰბადეთ	აღვჰმართეთ	დავსთესეთ
	2.(3).3 დაჰბადეთ	აღჰმართეთ	დასთესეთ
	3.(3).3 დაჰბადეს	აღჰმართეს	დასთესეს

###### ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ.	1.(3).3 დავჰბადენ	აღვჰმართენ	დავსთესენ
	2.(3).3 დაჰბადენ	აღჰმართენ	დასთესენ
	3.(3).3 დაჰბადენა	აღჰმართენა	დასთესენა
მრ.	1.(3).3 დავჰბადენ(ი)თ	აღვჰმართენ(ი)თ	დავსთესენ(ი)თ
	2.(3).3 დაჰბადენ(ი)თ	აღჰმართენ(ი)თ	დასთესენ(ი)თ
	3.(3).3 დაჰბადენეს	აღჰმართენეს	დასთესენეს

II ხოლმეობითში იქნება: დავჰბადი, დავჰბადნი; აღვჰმართი, აღვჰმართნი; დავსთესი, დავსთესნი და შემდგ. II ბრძანებითის ფორმები დაემთხვევა წყვეტილისას, ხოლო II კავშირებითის (II მყოფადის) ფორმები იქნება: დავჰბადო, დავჰბადნი; აღვჰმართო, აღვჰმართნი; დავსთესო, დავსთესნი და შემდგომი.

178. **შერეული კავშირებითი (შერეული მყოფადი).** შერეული კავშირებითი (ანუ **შერეული მყოფადი**) მეტად თავისებური მწყრივია. იგი იწარმოება II სერის ფუძისაგან, მაგრამ ამ ფუძეს დაერთვის **ოდ** სავრცობი, რომელიც აღებულია I სერიისაგან. სინტაქსური კავშირის თვალსაზრისით შერეული კავშირებითი (შერეული მყოფადი) II სერიის მწყრივებთან არის: გარდამავალ ზმნასთან სუბიექტი მოთხრობითშია და პირდაპირი ობიექტი — სახელობითში, ხოლო ერთი მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით იგი I სერიის მწყრივებთან

<sup>1</sup> ჰემეტ ძველში ამათ ნაცვლად იქნება დაჰბადე, აღჰმართე, დაჰსთესე, ხოლო ხან-მეტში — დახუბადე, აღხუმართე, დახუთესე.

დგას: ასპექტიანი ზმნები ამ მწკრივში უსრული ასპექტისანი არიან, როგორც საზოგადოდ I სერიის მწკრივებში; მაგალითი: რაათა მღღელმან შეწიროდის. მსხუერპლი, რაათა მღღელმან შეწიროდის მსხუერპლნი, რაათა მღღელმან შეწიროდიან მსხუერპლნი.

**უღლების ნიმუშები.**

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (იგი)

მხ. 1.3 შეეწიროდი	განვებნიოდი	დავიბანოდი
2.3 შესწიროდი	განაბნიოდი	დაიბანოდი
3.3 შეწიროდის.	განაბნიოდის	დაიბანოდის
მრ. 1.3 შეეწიროდით	განვებნიოდით	დავიბანოდით
2.3 შესწიროდით	განაბნიოდით	დაიბანოდით
3.3 შეწიროდიან	განაბნიოდიან	დაიბანოდიან

ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ. 1.3 შეეწიროდი	განვებნიოდი	დავიბანოდი
2.3 შესწიროდი	განაბნიოდი	დაიბანოდი
3.3 შეწიროდის	განაბნიოდის	დაიბანოდის
მრ. 1.3 შეეწიროდით	განვებნიოდით	დავიბანოდით
2.3 შესწიროდით	განაბნიოდით	დაიბანოდით
3.3 შეწიროდიან	განაბნიოდიან	დაიბანოდიან

მოწმობა ძეგლებიდან: და შვიდენ ყოველსა ჟამსა ერსა ამას და ყოველი სიტყუაჲ მძიმჴ მოგართოდინა შენ და სიტყუაჲ ადვილი განსაჯოდინა მათ და აღგიმციროდინა და შეგეწეოდინა შენ (გამოსლ. 18, 22); განიძუარცოდინა სამოსელი მათი, რომლითა-იგი ჰმსახურებდეს მათ, და დადვოდინა იგი საჯდომელსა მას წმიდათასა და შეი მოსოდინა სამოსელი სხუაჲ (ეზეკ. 44, 19); უბიწონი შეწიროდიან (ეზეკ. 43, 25); საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა, რომელთა მისცოდინა მას ნაყოფი ჟამთა მათთა (მ. 21, 41 C); რაათა წარავლინოდის იგინი ჯადაგებად (მრ. 3, 14 C).

III სერია

179. **მწკრივთა წარმოება.** III სერიაში ოთხი მწკრივია: I თურმეობითი, II თურმეობითი, III ხოლმეობითი და III კავშირებითი.

III სერიის მწკრივთა ფორმებს გარდამავალი ზმნებისას ინვერსია ახასიათებს, ე. ი. სუბიექტურ პირთა ნიშნების შეცვლა ირიბ-ობიექტურ პირთა ნიშნებით და პირდაპირ-ობიექტურ პირთა ნიშნების შეცვლა სუბიექტური ნიშნებით (§ 107). ეს ნიშნავს: თუ I-ისა და II სერიის მწკრივთა ფორმებში სუბიექტური პირები სუბიექტური ნიშნებით გადმოიცემა და ობიექტური პირები ობიექტური ნიშნებით, III სერიის მწკრივთა ფორმებში სუბიექტური პირე-

ბი ირიბ-ობიექტური ნიშნებით გამოიხატება, ხოლო პირდაპირ-ობიექტური პირები—სუბიექტური ნიშნებით; ამის შესაბამისად სუბიექტი მიცემითში გადადგება, ხოლო პირდაპირი ობიექტი — სახელობითში; მაგ., მე შე-ვიპყრობ ტრედსა, მე შე-ვიპყარ ტრედი, მე შე-მიპყრიეს ტრედი; შენ და-სწერ წიგნსა, შენ და-სწერე წიგნი, შენ და-გიწერიეს წიგნი; იგი მო-ჰკლავს ირემსა, მან მო-კლა ირემი, მას მო-(ჰ)უკლავ-ს ირემი და მისთ..

III სერიის მწკრივებში სუბიექტურ პირთა მრავლობითი რიცხვის ფორმები ემთხვევა მხოლოდითი რიცხვის ფორმებს; განსხვავებაა მხოლოდ 1-ლი პირის მხოლოდითსა და ინკლუზიურ ფორმებს შორის: მე დამიწერიეს, ჩუენ დავწერიეს.

I თურმეობითი. ეს მწკრივი სასხვისო ქცევის მიხედვით არის ნაწარმოები, მაგრამ ქცევის გაგება არ ახლავს, რადგანაც საპირისპირო ფორმები აკლია. ავ და ამ-იანი ზმნები შეინახავენ ამ თემის ნიშნებს I თურმეობითში, მაგ, მი-ხილ-ავ-ს, გიხილ-ავ-ს, (ჰ)უხილ-ავ-ს. მი-თქუ-ამ-ს, გი-თქუ-ამ-ს (ჰ)უ-თქუ-ამ-ს და მისთ.. ნეტარ არიან, რომელთა არა უ ხ ი ლ ა ვ და ვპრწმენე (ი. 20, 29). სხვა ზმნები კი მიიღებენ იე სუფიქსს, რომელიც სტატიკურ ზმნათათვის არის დამახასიათებელი აწყყომი.

სხვა მწკრივები (II თურმ., III ხოლმ. და III კავშ.) ნაწარმოებია ე-ნიანი ვნებითი გვარის ზმნათა უღლებების კვალობაზე.

II თურმეობითი. ეს მწკრივი ფუძის წინ მიიღებს ე პრეფიქსს, ხოლო მრავლობით რიცხვში ჩაისვამს ნ ინფიქსს: დამეწერა—დამეწერნეს, დამეხატა—დამეხატნეს და მისთ..

III ხოლმეობითი. ეს მწკრივი თავში მიიღებს ე-ს, ხოლო ბოლოში ი-ს: მე-ებრძანის. ამ მწკრივის ფორმები იშვიათად გვხვდება.

III კავშირებითი. ეს მწკრივი თავში მიიღებს ე-ს და ბოლოში ა-ს ან ო-ს იმის მიხედვით, თუ როგორ აწარმოებს ზმნა II კავშირებითს. მაგალითები: ეწეროს, ეთქუას. „ცემა“ ზმნა აქ მიიღებს ე-ს: მიმეცეს.

## 180. უღლების ნიმუშები.

### I თურმეობითი

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლოდითშია (იგი)

მხ.	1.3. დამიწერიეს	მომიკლავს	მითქუამს
	2.3 დავიწერიეს	მოგიკლავს	გითქუამს
	3.3 დაუწერიეს	მოუკლავს	უთქუამს
მრ.	ინკ. დავწერიეს	მოგვკლავს	გვთქუამს
	ექს. დამიწერიეს	მომიკლავს	მითქუამს
	2.3 დავიწერიეს	მოგიკლავს	გითქუამს
	3.3 დაუწერიეს	მოუკლავს	უთქუამს

ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ.	1.3 დამიწერიან	მომიკლვან	მითქუმან
	2.3 დაგიწერიან	მოგიკლვან	გითქუმან
	3.3 დაუწერიან	მოუკლვან	უთქუმან
მრ.	ინკ. დაგვწერიან	მოგვკლვან	გვთქუმან
	ექს. დამიწერიან	მომიკლვან	მითქუმან
	2.3 დაგიწერიან	მოგიკლვან	გითქუმან
	3.3 დაუწერიან	მოუკლვან	უთქუმან

შებრუნებული წყობით: დაუწერიე (მას მე), დაუწერიე (მას შენ), დაუწერიეს; დაუწერიეთ, დაუწერიეთ, დაუწერიან (ისტორიულად ესენი ასეთი ფორმებისგანაა მიღებული: დავპუწერიე, დაპუწერიე, დაპუწერიეს; დავპუწერიეთ, დაპუწერიეთ, დაპუწერიან).

გვხვდება ამათ პარალელურად ფორმები, რომელთაც ხოლმეობითის გაგება აქვთ: შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიეღ (მ. 25, 26).

II თურმეობითი

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (იგი)

მხ.	1.3 დამეწერა	მომეკლა	მეთქუა
	2.3 დაგეწერა	მოგეკლა	გეთქუა
	3.3 დაეწერა	მოეკლა	ეთქუა
მრ.	ინკ. დაგუეწერა	ზოგუეკლა	გუეთქუა
	ექს. დამეწერა	მომეკლა	მეთქუა
	2.3 დაგეწერა	მოგეკლა	გეთქუა
	3.3 დაეწერა	მოეკლა	ეთქუა

ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ.	1.3 დამეწერნეს	მომეკლნეს	მეთქუნეს
	2.3 დაგეწერნეს	მოგეკლნეს	გეთქუნეს
	3.3 დაეწერნეს	მოეკლნეს	ეთქუნეს
მრ.	ინკ. დაგუეწერნეს	მოგუეკლნეს	გუეთქუნეს
	ექს. დამეწერნეს	მომეკლნეს	მეთქუნეს
	2.3 დაგეწერნეს	მოგეკლნეს	გეთქუნეს
	3.3 დაეწერნეს	მოეკლნეს	ეთქუნეს

III ხოლმეობითი

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (იგი)

მხ.	1.3 დამეწერის	მომეკლის	მეთქვს
	2.3 დაგეწერის	მოგეკლის	გეთქვს
	3.3 დაეწერის	მოეკლის	ეთქვს

მრ. ინკ. დაგუეწერის	მოგუეკლის	გუეთქუს
ექს. დამეწერის	მომეკლის	მეთქუს
2.3 დაგეწერის	მოგეკლის	გეთქუს
3.3 დაეწერის	მოეკლის	ეთქუს

ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ. 1.3 დამეწერნიან	მომეკლნიან	მეთქუნნიან
2.3 დაგეწერნიან	მოგეკლნიან	გეთქუნნიან
3.3 დაეწერნიან	მოეკლნიან	ეთქუნნიან
მრ. ინკ. დაგუეწერნიან	მოგუეკლნიან	გუეთქუნნიან
ექს. დამეწერნიან	მომეკლნიან	მეთქუნნიან
2.3 დაგეწერნიან	მოგეკლნიან	გეთქუნნიან
3.3 დაეწერნიან	მოეკლნიან	ეთქუნნიან

### III კავშირებითი

ა) პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითშია (იგი)

მხ. 1.3 დამეწეროს	მომეკლას	მეთქუას
2.3 დაგეწეროს	მოგეკლას	გეთქუას
3.3 დაეწეროს	მოეკლას	ეთქუას
მრ. ინკ. დაგუეწეროს	მოგუეკლას	გუეთქუას.
ექს. დამეწეროს	მომეკლას	მეთქუას
2.3 დაგეწეროს	მოგეკლას	გეთქუას,
3.3 დაეწეროს	მოეკლას	ეთქუას

ბ) პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (იგინი)

მხ. 1.3 დამეწერნენ	მომეკლნენ	მეთქუნენ
2.3 დაგეწერნენ	მოგეკლნენ	გეთქუნენ
3.3 დაეწერნენ	მოეკლნენ	ეთქუნენ
მრ. ინკ. დაგუეწერნენ	მოგუეკლნენ	გუეთქუნენ
ექს. დამეწერნენ	მომეკლნენ	მეთქუნენ
2.3 დაგეწერნენ	მოგეკლნენ	გეთქუნენ
3.3 დაეწერნენ	მოეკლნენ	ეთქუნენ

### ვნეებითი გვარი

#### დინამიკური ვნეებითი

#### პრეფიქსიანი ვნეებითი

181. თემის ნიშანი. დინამიკური ვნეებითი გვარის ზმნებს საკუთარი თემის ნიშანი არ მოეპოვებათ. ზოგ მათგანს თემის ნიშანი აქტივიდან პასივში გადაჰყ-

ვება, სახელდობრ: ავ, ამ, ებ, ევ, ემ, ობ, ოფ. ამასთანავე ავ და ამ-იან ზმნებს აწმყოს ი ნიშნის დართვისას თემის ნიშნის ხმოვანი ა დაეკარგებათ შეკუმშვის გამო და დარჩებათ ვ და მ: დავჰმალავ — დავიმაღვი, დავსდგამ — დავიდგმი, ხოლო ოდ სავრცობის დართვისას ავიანებს ჩვეულებრივ ეს ვ-ც დაეკარგებათ: დავიმაღ(ვ)ოდე.

ი-ნიანი ზმნები თემის ნიშნად მიიღებენ ებ-ს, რის გამოც ეს ი დაიკარგება-ამას გარდა, თუ ზმნას ფუძე შეკუმშული ჰქონდა მოქმედებითში, ვნებითში გა-ეშლება: დავჰსჯი—დავისაჯები, აღვჰზრდი—აღვიზარდები, გამოვსციდი—გამო-ვიცადები და მისთ..

უთემისნიშნო ზმნები ვნებითში თემის ნიშნად მიიღებენ ებ-ს (დავსწერ—დავიწერ-ებ-ი), ოლონდ ის უთემისნიშნო ზმნები, რომლებიც ხმოვან-მონაცვლე-ებია, ამ ებ-ს დაირთავენ II სერიის ფუძეზე: მივჰფენ—მივჰფინენ—მიე-ფინ-ებ-ის; დავსწენ—დავწინებ—დაიწინებ-ის. ამათში არ შემოდის ის ევ-იანი ზმნები, რომელთაც ევ ივ-ად გადაუყეთდება II სერიის მწკრივთა ფორ-მებში; მაგ., მივაქც-ევ—მივაქც-ი(ვ)-ე—მივიქც-ევ-ი და მისთ..

ებ მოუღდის თემის ნიშნად აგრეთვე სუფიქსიანსა და უნიშნო ვნებითს: შევეწუხნ-ებ-ი, განვახლდ-ებ-ი, განვტფ-ებ-ი.

უნდა დავსძინოთ კიდევ, რომ ებ-იან, ობ-იან და ოფ-იან ზმნებს შეიძლე-ბა დაერთოს კიდევ ვ: ვჰგმობ — ვიგმობვი, ვჰყოფ—ვიყოფვი, მივაგებებ—მივე-გებვი (მივეგებებვის-ს ნაცვლად) და მისთ.. სავრცობიან მწკრივებში ეს ვ შეიძ-ლება დაიკარგოს მომდევნო ო-ს გამო: ვიგმობოდე, ვიყოფოდე, მივეგებოდე და მისთ..

ყველა ტიპის დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებს (პრეფიქსიანებს, სუფიქ-სიანებს, უნიშნობებს) სავრცობად აქვთ ოდ.

## 182. მწკრივთა ნიშნები.

**აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი.** ამათი ნიშანი ყველა ზმნაში ი არის: დავჰს-ჯი — დავისაჯებ-ი, დავსწერ — დავიწერებ-ი, გამოვსციდი—გამოვიცადები, დავჰ-კლავ—დავიკლვ-ი. დავანთქამ—დავინთქმ-ი, ვადიდებ—ვიდიდებ-ი, ვაკურ-თნევ—ვიკურთხევ-ი, განვჰყოფ—განვიყოფვ-ი, ვჰგმობ—ვიგმობვ-ი, განვატ-ფობ—განვტფებ-ი და მისთ.. აწმყოს ხოლმეობითის მაგალითებია: დაისაჯებინ, დაიწერებინ და მისთ.

**უწვევტელი და I ბრძანებითი.** ამათი ნიშანია ე: დავიწერებოდ-ე, დავისაჯე-ბოდ-ე, განვტფებოდ-ე და მისთ..

I ბრძ. მე-3 პირისა: დაიწერებოდენ, დაისაჯებოდენ, განტფებოდენ და მისთ..

**უწვევტლის ხოლმეობითი.** ამისი ნიშანია ი: დავიწერებოდ-ი, დაიწერე-ბოდ-ი, დაიწერებოდ-ის, დავისაჯებოდ-ი, განვტფებოდ-ი და მისთ.

**I კავშირებითი (I მყოფადი).** ამისი ნიშანია აგრეთვე ი: დავიწერებოდ-ი, და-ვისაჯებოდ-ი, განვტფებოდ-ი. რადგანაც უწვევტლის ხოლმეობითსა და I კავ-შირებითს (ანუ I მყოფადს) მწკრივის ნიშანი ერთი და იგივე აქვთ, ამიტომ ამა-თი ფორმები სავსებით ერთნაირია. იმის გარჩევაში, თუ რომელი მწკრივისაა

ფორმა, გვეშვლის კონტექსტი. მხოლოდ მოგვიანო ხანის ძეგლებში I მყოფადში (I კავშირებითში) მრავლ. რიცხვის მე-3 პირში **ოდიან** დაბოლოების ნაცვლად ჩნდება **ოდინ**, რის გამოც განსხვავება იჩენს თავს ორი მწკრივის უღლებაში: უწყვეტლის ხოლმეობითს აქვს **ოდიან** დაბოლოება, I კავშირებითს (ანუ I მყოფადს) კი — **ოდინ**: ჯუარი ერთი გინა ხატი ერთი ესუენის (სენაკთა შინა), რაჟა-თა, რაჟამს ილოცვიდენ მათ წინაშე, თაყუანის-სცემდენ და ე მ თ ხ უ ე ო დ ი ნ (იოვ. და ეფთ. 81); საკელრომსა წესი ესრეთ გაეწესა, რაათა საჰმელსა არა იქ მო დ ი ნ (იქვე, 96, 1).

### უღლების ნიმუშები

### I ს გ რ ი ა

#### 183. პრეფიქსიანი ვნებითი.

##### აწმყო

	1-პირიანი	2-პირ.	1-პირიანი	2-პირ.
მხ. 1. დავიწერები	დავე	—	დავიხატვი	დავე
2 დავიწერები	დაე	—	დაიხატვი	დაე
3 დავიწერების	დაე	—	დაიხატვის	დაე
მრ. 1 დავიწერებით	დავე	—	დავიხატვით	დავე
2 დავიწერებით	დაე	—	დაიხატვით	დაე
3 დავიწერებთან	დაე	—	დაიხატვიან	დაე

##### აწმყოს ხოლმეობითი

მხ. 3 დავიწერებინ	დაე	—	დაიხატვინ	დაე
მრ. 3 დავიწერებიედ	დაე	—	დაიხატვიედ	დაე

##### უწყვეთელი

მხ. 1 დავიწერებოდე	დავე	—	დავიხატ(ვ)ოდე	დავე
2 დავიწერებოდე	დაე	—	დაიხატ(ვ)ოდე	დაე
3 დავიწერებოდა	დაე	—	დაიხატ(ვ)ოდა	დაე
მრ. 1 დავიწერებოდეთ	დავე	—	დავიხატ(ვ)ოდეთ	დავე
2 დავიწერებოდეთ	დაე	—	დაიხატ(ვ)ოდეთ	დაე
3 დავიწერებოდეს	დაე	—	დაიხატ(ვ)ოდეს	დაე

#### უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი (I მყოფადი)

	1-პირიანი	2-პირ.		1-პირიანი	2-პირ.
მხ. 1 დავიწერებოდი	დავე	—	მრ. 1 დავიწერებოდით	დავე	—
2 დავიწერებოდი	დაე	—	2 დავიწერებოდით	დაე	—
3 დავიწერებოდის	დაე	—	3 დავიწერებოდითან	დაე	—

მოგვიანო ხანის ძეგლებში I კავშირებითის (I მყოფადის) მრ. რიცხვის მე-3 პირის ფორმაა დაიწერებოღინ, დაე—. ასეთი ფორმების სათავე X საუკუნის ძეგლებშია. საერთოდ, ასეთი ფორმები დამახასიათებელია ოდ საერცობიან ზმნათათვის: ყოველნი რომელნი თ ა ნ ა-წ ა რ ჰ ვ ი დ ო დ ი ნ, დაწუნენ მის ზედა (იერ. 19,8); რაათა გ უ ე ს მ ო დ ი ნ სწავლანი და საღმრთონი საქმენი და შრომანი მისნი (ზარზმ.); რაათა ი ყ ო ფ ო დ ი ნ მის თანა (ილარ. ქართ.); რომელნი მ ო მ ე ა ხ ლ ე ბ ო დ ი ნ (ლევიტ. 10, 3).

**I ბრძანებითი**

	1-პირიანი	2-პირ.	1-პირიანი	2-პირ.
მხ. 2 დაიწერებოდე	დაე	—	დაიხატ(ვ)ოდე	დაე
3 დაიწერებოდენ	დაე	—	დაიხატ(ვ)ოდენ	დაე
მრ. 2 დაიწერებოდეთ	დაე	—	დაიხატ(ვ)ოდეთ	დაე
3 დაიწერებოდედ	დაე	—	დაიხატ(ვ)ოდედ	დაე

**II სერია**

184. საფუძველი ენ აფიქსის გაჩენისა პრეფიქსიანი ვნებითის II სერიის მწკრივთა ფორმების მრავლობით რიცხვში. ვნებითი გვარის ზმნა მოქმედებითი გვარის მობრუნებული (კონვერსიული) სახეა (§ 146). მოქმ. გვარის ზმნებს II სერიის მწკრივებში ორ-ორი ფორმა აქვთ: ერთი პირდაპირი ობიექტის მხოლოდობითში შეწყობისას, მეორე იმავე პირდაპირი ობიექტის ნარიან მრავლობითში შეწყობისას. ზმნის გადაყვანისას ვნებითში პირდაპირ-ობიექტური პირი სუბიექტური ხდება. ამიტომ ამ სუბიექტურ პირს მრავლობითის ნიშანი ენ მოქმედებითიდან ვნებითში გადაჰყვება. მაგალითი:

მოქმედებითი	ვნებითი
მხ. 3.1 დამწერა	1 დავიწერე
3.2 დაგწერა	2 დაიწერე
3.3 დაწერა	3 დაიწერა
მრ. ინკ. დაგუწერნა (*დაგუწერენა)	1 დავიწერენით
ექს. დამწერნა (*დამწერენა)	
3.2 დაგწერნა (*დაგწერენა)	2 დაიწერენით
3.3 დაწერნა (*დაწერენა)	3 დაიწერნეს

მოქმ. გვარის პირდაპირ-ობიექტურ პირებს მხოლოდობითში ენ არა აქვთ (დამწერა, დაგწერა, დაწერა). არა აქვთ იგი არც სუბიექტურ პირებს ვნებითში (დავიწერე, დაიწერე, დაიწერა). მაგრამ, როცა პირდაპირ-ობიექტური პირი ნარიან მრავლობითშია, ზმნას ენ აფიქსი უჩნდება (დაგუწერნა, დამწერნა, დაგწერნა, დაწერნა), რომელიც უნდა გადაჰყვეს სუბიექტურ პირებს ვნებითში მრ. რიცხვის წარმოებისას (დავიწერენით, დაიწერენით, დაიწერნეს).

## 185. უღლების ნიმუშები.

## წვეტილი

	1-პირიანი	2-პირ.	1-პირიანი	2-პირ.
მს.	1 დავიწერე	დავე —	დავიხატე	დავე —
	2 დაიწერე	დაე —	დაიხატე	დაე —
	3 დაიწერა	დაე —	დაიხატა	დაე —
მრ.	1 დავიწერენით	დავე —	დავიხატენით	დავე —
	2 დაიწერენით	დაე —	დაიხატენით	დაე —
	3 დაიწერნეს	დაე —	დაიხატნეს	დაე —

## II ხოლმეობითი

	1-პირიანი	2-პირ.	1-პირიანი	2-პირ.
მს.	1 დავიწერი	დავე —	დავიხატი	დავე —
	2 დაიწერი	დაე —	დაიხატი	დაე —
	3 დაიწერის	დაე —	დაიხატის	დაე —
მრ.	1 დავიწერნით	დავე —	დავიხატნით	დავე —
	2 დაიწერნით	დაე —	დაიხატნით	დაე —
	3 დაიწერნიან	დაე —	დაიხატნიან	დაე —

## III ბრძანებითი

	1-პირიანი	2-პირ.	1-პირიანი	2-პირ.
მს.	2 დაიწერე	დაე —	დაიხატე	დაე —
	3 დაიწერენ	დაე —	დაიხატენ	დაე —
მრ.	2 დაიწერენით	დაე —	დაიხატენით	დაე —
	3 დაიწერნედ	დაე —	დაიხატნედ	დაე —

## II კავშირებითი (II მყოფადი)

	1-პირიანი	2-პირ.	1-პირიანი	2-პირ.
მს.	1 დავიწერო	დავე —	დავიხატო	დავე —
	2 დაიწერო	დაე —	დაიხატო	დაე —
	3 დაიწეროს	დაე —	დაიხატოს	დაე —
მრ.	1 დავიწერნეთ	დავე —	დავიხატნეთ	დავე —
	2 დაიწერნეთ	დაე —	დაიხატნეთ	დაე —
	3 დაიწერნენ	დაე —	დაიხატნენ	დაე —

III ს ე რ ი ა

186. მესამე სერიაში ცალკ-ცალკეა განსახილველი ერთ-პირიანი და ორ-პირიანი ზმნები

ა) ერთ-პირიანი ზმნები

I თურმეობითი

მხ. 1	დაწერილ ვარ	დახატულ ვარ
2	„ ხარ	„ ხარ
3	„ არს	„ არს
მრ. 1	„ ვართ	„ ვართ
2	„ ხართ	„ ხართ
3	„ არიან	„ არიან

II თურმეობითი

მხ. 1	დაწერილ ვიყავ	დახატულ ვიყავ
2	„ იყავ	„ იყავ
3	„ იყო	„ იყო
მრ. 1	„ ვიყვენით	„ ვიყვენით
2	„ იყვენით	„ იყვენით
3	„ იყვნეს	„ იყვნეს

III კავშირებითი

მხ. 1	დაწერილ ვიყო	დახატულ ვიყო
2	„ იყო	„ იყო
3	„ იყოს	„ იყოს
მრ. 1	„ ვიყვნეთ	„ ვიყვნეთ
2	„ იყვნეთ	„ იყვნეთ
3	„ იყვნენ	„ იყვნენ

ბ) ორ-პირიანი ზმნები

ორ-პირიანი ზმნების ფორმები III სერიის მწკრივებში იშვიათად გვხვდება. მათი წარმოება ასეთია: I თურმეობითში მიიღებს იე სუფიქსს.

I თურმეობითი

მხ. 1.3	შეკმთხუევიე	დავსწერიე
2.3	შეკმთხუევიე	დასწერიე
3.3	შეკმთხუევიეს	დასწერიეს

მრ. 1.3 შევჰმთხუევიეთ	დავსწერიეთ
2.3 შეჰმთხუევიეთ	დასწერიეთ
3.3 შეჰმთხუევიან	დასწერიან

## II თურმეობითი

მხ. 1.3 შევჰმთხუე(ვ)ოდე	დავსწეროდე
2.3 შეჰმთხუე(ვ)ოდე	დასწეროდე
3.3 შეჰმთხუე(ვ)ოდა	დასწეროდა
მრ. 1.3 შევჰმთხუე(ვ)ოდეთ	დავსწეროდეთ
2.3 შეჰმთხუე(ვ)ოდეთ	დასწეროდეთ
3.3 შეჰმთხუე(ვ)ოდეს	დასწეროდეს

## III კავშირებითი

მხ. 1.3 შევჰმთხუე(ვ)ოდი	დავსწეროდი
2.3 შეჰმთხუე(ვ)ოდი	დასწეროდი
3.3 შეჰმთხუე(ვ)ოდის	დასწეროდის
მრ. 1.3 შევჰმთხუე(ვ)ოდით	დავსწეროდით
2.3 შეჰმთხუე(ვ)ოდით	დასწეროდით
3.3 შეჰმთხუე(ვ)ოდიან	დასწეროდეიან

ობიექტური წყობით: მომცემიეს, მოგცემიეს, მისცემიეს. ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რად შეჰმთხუეოდა ძმასა ამას (ზარზ.). აქ „შეჰმთხუეოდა“ თხრობითი კილოს ფორმაა (II თურმეობითისა), ნაცვლად III კავშირებითისა (შეჰმთხუეოდის), რაც მცა ნაწილაკის გამოა (თუ-მცა).

## სუფიქსიანი ვნებითი

187. სუფიქსიანი ვნებითის ნიშნები. სუფიქსიანი ვნებითს აწარმოებს ენ ან დ, რომელიც ნ-საგან არის წარმომდგარი. ენ სუფიქსი კარგავს ე ხმოვანს, თუ მას მოსდევს ხმოვანი (პირის ნიშანი, თემის ნიშანი, მწკრივის ნიშანი თუ ოდ სავრცობი); მაგ., შევწუხნები (\*შევწუხნ-ენ-ებ-ი), შევწუხენ, მაგრამ: შეწუხნა, შევწუხენ; დავგლაზაკენ, დავმდაბლდი (ფს. 37, 7), — აქ ორივე ზმნა სუფიქსიანია, რომელთაგანაც ერთი ენ-იანია, მეორე — დ-ონიანი; დავყრუვდი, დავმდაბლდი, დავდუმენ მე კეთილთაგან და სალმოზანი ჩემნი განმიახლდეს (ფს. 38, 3), — აქ კი სამი ზმნა დ-ონიანია. (დავყრუვდი, დავმდაბლდი, განმიახლდეს), ერთი — ენ-იანი (დავდუმენ).

188. უღლების ნიმუშები.

I ს ე რ ი ა

აწმყო

მხ. 1 განვკაცნები	შევწუნები	განვახლდები
2 განჰკაცნები	შესწუნები	განახლდები
3 განკაცნების	შეწუნების	განახლდების
მრ. 1 განვკაცნებით	შევწუნებით	განვახლდებით
2 განჰკაცნებით	შესწუნებით	განახლდებით
3 განკაცნებიან	შეწუნებიან	განახლდებიან

აწმყოს ხოლმეობითი

მხ. 3 განკაცნებინ	შეწუნებინ	განახლდებინ
მრ. 3 განკაცნებიედ	შეწუნებიედ	განახლდებიედ

უწყვეტელი

მხ. 1 განვკაცნებოდე	შევწუნებოდე	განვახლდებოდე
2 განჰკაცნებოდე	შესწუნებოდე	განახლდებოდე
3 განკაცნებოდა	შეწუნებოდა	განახლდებოდა
მრ. 1 განვკაცნებოდეთ	შევწუნებოდეთ	განვახლდებოდეთ
2 განჰკაცნებოდეთ	შესწუნებოდეთ	განახლდებოდეთ
3 განკაცნებოდეს	შეწუნებოდეს	განახლდებოდეს

I უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი (I მყოფადი)

მხ. 1 განვკაცნებოდი	შევწუნებოდი	განვახლდებოდი
2 განჰკაცნებოდი	შესწუნებოდი	განახლდებოდი
3 განკაცნებოდი	შეწუნებოდი	განახლდებოდი
მრ. 1 განვკაცნებოდი	შევწუნებოდი	განვახლდებოდი
2 განჰკაცნებოდი	შესწუნებოდი	განახლდებოდი
3 განკაცნებოდიან	შეწუნებოდიან	განახლდებოდიან

აქაც მრ. რიცხვის მე-3 პირის ფორმაში მოგვიანო ხანის ძეგლებში I კავშირებითის (ანუ I მყოფადის) საწარმოებლად **ოდინ** დაბოლოების ნაცვლად არის **ოდინ**: განკაცნებოდინ, შეწუნებოდინ, განახლდებოდინ და მისთ..

I ბრძანებითი

მხ. 2 განკაცნებოდე	შეწუნებოდე	განახლდებოდე
3 განკაცნებოდენ	შეწუნებოდენ	განახლდებოდენ

მრ. 2	განკაცნებოდეთ	შეწუნებოდეთ	განახლდებოდეთ
3	განკაცნებოდელ	შეწუნებოდელ	განახლდებოდელ

## II ს ე რ ი ა

189. II სერიის მწკრივთა წარმოებიდან აღსანიშნავია, რომ ვნებითის ენ სუფიქსი თავს იჩენს მხოლოდ წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში და მის მსგავსად ნაწარმოებ II ბრძანებითში, სხვაგან კი ყველგან მისი ხმოვანი ე ამოღებულია მომდევნო ხმოვნის გამო, რომელიც პირის ნიშანია ან მწკრივისა. დ-ონიანი ვნებითი კი წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში მწკრივის ნიშნად მიიღებს ი-ს.

## უღლების ნიმუშები

## წყვიტილი

მხ. 1	განკაცენ	შევწუნენ	განვახლდი
2	განჰკაცენ	შესწუნენ	განახლდი
3	განკაცნა	შეწუნნა	განახლდა
მრ. 1	განკაცენ(ი)თ	შევწუნენ(ი)თ	განვახლდით
2	განჰკაცენ(ი)თ	შესწუნენ(ი)თ	განახლდით
3	განკაცნეს	შეწუნნეს	განახლდეს

## II ხოლმეობითი

მხ. 1	განკაცნი	შევწუნნი	განვახლდი
2	განჰკაცნი	შესწუნნი	განახლდი
3	განკაცნის	შეწუნნის	განახლდის
მრ. 1	განკაცნით	შევწუნნით	განვახლდით
2	განჰკაცნით	შესწუნნით	განახლდით
3	განკაცნიან	შეწუნნიან	განახლდიან

## II ბრძანებითი

მხ. 2	განკაცენ	შეწუნენ	განახლდი
3	განკაცენინ	შეწუნენინ	განახლდინ
მრ. 2	განკაცენ(ი)თ	შეწუნენ(ი)თ	განახლდით
3	განკაცნედ	შეწუნნედ	განახლდედ

## II კავშირებითი (II მყოფადი)

მხ. 1	განკაცენე	შევწუნენე	განვახლდე
2	განჰკაცენე	შესწუნენე	განახლდე
3	განკაცნესე	შეწუნნესე	განახლდესე

მრ. 1	განვკაცნეთ	შევწუხნეთ	განვახლდეთ
2	განჰკაცნეთ	შესწუხნეთ	განახლდეთ
3	განკაცნენ	შეწუხნენ	განახლდენ

როგორც მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, **ღ-ონიანი** ვნებითის წყვეტილისა და **II ხოლმეობითის** 1-ლისა და მე-2 პირის ფორმები ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ მათი გარჩევა ხერხდება კონტექსტის საშუალებით.

### III სერია

190. III სერიაში აქაც ცალკ-ცალკეა განსახილველი ერთ-პირიანი და ორ-პირიანი ზმნები.

ა) ერთ-პირიანი ფორმები

#### I თურმეობითი

მხ. 1	განკაცებულ ვარ	შეწუხებულ ვარ	განახლებულ ვარ
2	„ ხარ	„ ხარ	„ ხარ
3	„ არს	„ არს	„ არს
მრ. 1	„ ვართ	„ ვართ	„ ვართ
2	„ ხართ	„ ხართ	„ ხართ
3	„ არიან	„ არიან	„ არიან

#### II თურმეობითი

მხ. 1	განკაცებულ ვიყავ	შეწუხებულ ვიყავ	განახლებულ ვიყავ
2	„ იყავ	„ იყავ	„ იყავ
3	„ იყო	„ იყო	„ იყო
მრ. 1	„ ვიყვენით	„ ვიყვენით	„ ვიყვენით
2	„ იყვენით	„ იყვენით	„ იყვენით
3	„ იყვნეს	„ იყვნეს	„ იყვნეს

#### III კავშირებითი

მხ. 1	განკაცებულ ვიყო	შეწუხებულ ვიყო	განახლებულ ვიყო
2	„ იყო	„ იყო	„ იყო
3	„ იყოს	„ იყოს	„ იყოს
მრ. 1	„ ვიყვნეთ	„ ვიყვნეთ	„ ვიყვნეთ
2	„ იყვნეთ	„ იყვნეთ	„ იყვნეთ
3	„ იყვნენ	„ იყვნენ	„ იყვნენ

ბ) ორ-პირიანი ფორმები

დამავიწყდების, დამავიწყდა, დამვიწყებებს. **I თურმ.** დამვიწყებებს იგი, დამვიწყებთან იგინი, **II თურმ.** დამვიწყებოდა, **III კავშ.** დამვიწყებოდის; რომელთა დაჰვიწყებებს უფალი (იოზ 8, 13).

## უნიშნო ვნებითი

### 191. უღლების ნიმუშები.

#### I ს ტ რ ი ა

#### აწმყო

მხ.	1 მოვკუდები	აღვდგები	დავადგრები
	2 მოჰკუდები	აღსდგები	დაადგრები
	3 მოკუდების	აღდგების	დაადგრების
მრ.	1 მოვკუდებით	აღვდგებით	დავადგრებით
	2 მოჰკუდებით	აღსდგებით	დაადგრებით
	3 მოკუდებიან	აღდგებიან	დაადგრებიან

#### აწმყოს ხოლმეობითი

მხ.	3 მოკუდებინ	აღდგებინ	დაადგრებინ
მრ.	3 მოკუდებიედ	აღდგებიედ	დაადგრებიედ

#### უწყვებელი

მხ.	1 მოვკუდებოდე	აღვდგებოდე	დავადგრებოდე
	2 მოჰკუდებოდე	აღსდგებოდე	დაადგრებოდე
	3 მოკუდებოდა	აღდგებოდა	დაადგრებოდა
მრ.	1 მოვკუდებოდეთ	აღვდგებოდეთ	დავადგრებოდეთ
	2 მოჰკუდებოდეთ	აღსდგებოდეთ	დაადგრებოდეთ
	3 მოკუდებოდეს	აღდგებოდეს	დაადგრებოდეს

#### უწყვებელის ხოლმეობითი და I კავშირებითი (I მყოფადი)

მხ.	1 მოვკუდებოდი	აღვდგებოდი	დავადგრებოდი
	2 მოჰკუდებოდი	აღსდგებოდი	დაადგრებოდი
	3 მოკუდებოდის	აღდგებოდის	დაადგრებოდის
მრ.	1 მოვკუდებოდით	აღვდგებოდით	დავადგრებოდით
	2 მოჰკუდებოდით	აღსდგებოდით	დაადგრებოდით
	3 მოკუდებოდიან	აღდგებოდიან	დაადგრებოდიან

მოგვიანო ხანის ძეგლებში I კავშირებითის (I მყოფადის) მე-3 პირის მრ. რიცხვის გამოსახატავად **ოდინ** დაბოლოების ნაცვლად ხშირია **ოდინ**: მოკუდებოდინ, აღდგებოდინ, დაადგრებოდინ.

**I ბრძანებითი**

მხ. 2 მოკუდებოდე	აღღებოდე	დაადგრებოდე
3 მოკუდებოდენ	აღღებოდენ	დაადგრებოდენ
მრ. 2 მოკუდებოდეთ	აღღებოდეთ	დაადგრებოდეთ
3 მოკუდებოდედ	აღღებოდედ	დაადგრებოდედ

**II ს გ რ ი ა**

**წყვებითი**

მხ. 1 მოვკუედ	აღვღეგ	დავადგერ
2 მოჰკუედ	აღსღეგ	დაადგერ
3 მოკუდა	აღღგა	დაადგრა
მრ. 1 მოვკუედით	აღვღეგით	დავადგერით
2 მოჰკუედით	აღსღეგით	დაადგერით
3 მოკუდეს	აღღგეს	დაადგრეს

**II. ხოლმეობითი**

მხ. 1 მოვკუდი	აღვღგი	დავადგრი
2 მოჰკუდი	აღსღგი	დაადგრი
3 მოკუდის	აღღგის	დაადგრის
მრ. 1 მოვკუდით	აღვღგით	დავადგრით
2 მოჰკუდით	აღსღგით	დაადგრით
3 მოკუდიან	აღღგიან	დაადგრიან

**II. ბრძანებითი**

მხ. 2 მოკუედ	აღღეგ	დაადგერ
3 მოკუედინ	აღღეგინ	დაადგერინ
მრ. 2 მოკუედით	აღღეგით	დაადგერით
3 მოკუედედ	აღღგედ	დაადგრედ

**II კავშირებითი (II მყოფადი)**

მხ. 1 მოვკუდე	აღვღგე	დავადგრე
2 მოჰკუდე	აღსღგე	დაადგრე
3 მოკუდეს	აღღგეს	დაადგრეს
მრ. 1 მოვკუდეთ	აღვღგეთ	დავადგრეთ
2 მოჰკუდეთ	აღსღგეთ	დაადგრეთ
3 მოკუდენ	აღღგენ	დაადგრენ

## III ს ე რ ი ა

ა) ერთ-პირიანი ფორმები

## I თურმეობითი

მხ.	1	მომკუდარ	ვარ	აღდგომილ	ვარ	დადგრომილ	ვარ
	2	„	ხარ	„	ხარ	„	ხარ
	3	„	არს	„	არს	„	არს
მრ.	1	„	ვართ	„	ვართ	„	ვართ
	2	„	ხართ	„	ხართ	„	ხართ
	3	„	არიან	„	არიან	„	არიან

## II თურმეობითი

მხ.	1	მომკუდარ	ვიყავ	აღდგომილ	ვიყავ	დადგრომილ	ვიყავ
	2	„	იყავ	„	იყავ	„	იყავ
	3	„	იყო	„	იყო	„	იყო
მრ.	1	„	ვიყვენით	„	ვიყვენით	„	ვიყვენით
	2	„	იყვენით	„	იყვენით	„	იყვენით
	3	„	იყვნეს	„	იყვნეს	„	იყვნეს

## III კავშირებითი

მხ.	1	მომკუდარ	ვიყო	აღდგომილ	ვიყო	დადგრომილ	ვიყო
	2	„	იყო	„	იყო	„	იყო
	3	„	იყოს	„	იყოს	„	იყოს
მრ.	1	„	ვიყვნეთ	„	ვიყვნეთ	„	ვიყვნეთ
	2	„	იყვნეთ	„	იყვნეთ	„	იყვნეთ
	3	„	იყვნენ	„	იყვნენ	„	იყვნენ

ბ) ორ-პირიანი ფორმები

მოუკუდების (იგი მას), მოუკუდა (იგი მას), მოჰკუდომიეს (იგი მას). მოჰკუდომიეს, მოჰკუდომოდა, მოჰკუდომოდის.

## სტატიკური ვნებითი

192. სტატიკური ვნებითი გვარის ზმნები ცოტაა ძველ ქართულში. მათი თავისებურება ის არის, რომ ისინი მწკრივ-ნაკლი ზმნებია: I სერიის. მწკრივ-თავან მათ მოეპოვებათ მხოლოდ აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი, ხოლო II სერიის მწკრივები ეწარმოებათ ე-ნიანი ვნებითის კვალობაზე.

ზოგ მათგანს გაგება ერთი პირისა აქვს, თუმცა წარმოშობით ყველანი 2-პირიანია, რაც იქედანაც ჩანს, რომ II სერიის მწკრივთა ფორმებს ე-თი იკეთებენ. ეს ზმნები I სერიის მწკრივებში იხმარებიან ამა თუ იმ ქცევის ფორმით, მაგრამ ქცევის გაგება არა აქვთ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო.

იეს დაბოლოება მოგვიანო ხანის ძეგლებში ხშირად ია-ს სახით არის წარმოდგენილი: ჰგონია, უპყრია, ჰმოსია და მისთ..

I ს ე რ ი ა

აწმყო

ა) სუბიექტური წყობით

მხ.	1.3 ეპგონიე	ეპკიდავ		
	2.3 ჰგონიე	ჰკიდავ		
	3.3 ჰგონიეს	ჰკიდავს	სთრავს	სძინავს.
მრ.	1.3 ეპგონიეთ	ეპკიდავთ		
	2.3 ჰგონიეთ	ჰკიდავთ		
	3.3 ჰგონიან	ჰკიდავან		

ბ) ობიექტური წყობით

მხ.	3.1 მგონიეს	მკიდავს	მთრავს	მძინავს
	3.2 გგონიეს	გკიდავს	გთრავს	გძინავს
	3.3 ჰგონიეს	ჰკიდავს	სთრავს	სძინავს
მრ.	ინკ. გუგუნიეს	გუკიდავს	გუთრავს	გუძინავს.
	ექს. მგონიეს	მკიდავს	მთრავს	მძინავს
	3.2 გგონიეს	გკიდავს	გთრავს	გძინავს
	3.3 ჰგონიეს	ჰკიდავს	სთრავს	სძინავს.

II ს ე რ ი ა

წყვეტილი

ა) სუბიექტური წყობით

მხ.	1.3 ეეგონე	ეეკილე		
	2.3 ეგონე	ეკილე		
	3.3 ეგონა	ეკილა	ეთრო <sup>1</sup>	ეძინა
მრ.	1.3 ეეგონენით	ეეკილენით		
	2.3 ეგონენით	ეკილენით		
	3.3 ეგონნეს	ეკილნეს	ეთრო	ეძინა

<sup>1</sup> გვხვდება აგრეთვე „სთროლა“ (უწყვ.): სთროლა მთრავლობითა მით სიფრთხილისათჳს (სინ. მრ. 188, 32).

## ბ) ობიექტური წყობით

მხ.	3.1 მეგონა	მეკიდა	მეთრო	მეძინა
	3.2 გეგონა	გეკიდა	გეთრო	გეძინა
	3.3 ეგონა	ეკიდა	ეთრო	ეძინა
მრ.	ინკ. გუეგონა	გუეკიდა	გუეთრო	გუეძინა
	ექს. მეგონა	მეკიდა	მეთრო	მეძინა
	3.2 გეგონა	გეკიდა	გეთრო	გეძინა
	3.3 ეგონა	ეკიდა	ეთრო	ეძინა

## II კავშ. (II მყოფ.)

## ა) სუბიექტური წყობით

მხ.	1.3 ვეგონო	ვეკილო		
	2.3 ეგონო	ეკილო		
	3.3 ეგონოს	ეკილოს	ეთროს	ეძინოს
მრ.	1.3 ვეგონნეთ	ვეკიდნეთ		
	2.3 ეგონნეთ	ეკიდნეთ		
	3.3 ეგონნენ	ეკიდნენ		

## ბ) ობიექტური წყობით

მხ.	3.1 მეგონოს	მეკილოს	მეთროს	მეძინოს
	3.2 გეგონოს	გეკილოს	გეთროს	გეძინოს
	3.3 ეგონოს	ეკილოს	ეთროს	ეძინოს
მრ.	ინკ. გუეგონოს	გუეკილოს	გუეთროს	გუეძინოს
	ექს. მეგონოს	მეკილოს	მეთროს	მეძინოს
	3.2 გეგონოს	გეკილოს	გეთროს	გეძინოს
	3.3 ეგონოს	ეკილოს	ეთროს	ეძინოს

გინა თუ გუეძინოს, გინა თუ გუელძძოს (I თეს. 5, 10).

193. **მვედიეს.** ველ ფუძისაგან ნაწარმოებია სტატიკური ზმნა მვედიეს (იგი მე), გვედიეს (იგი შენ), ჰვედიეს (იგი მას), მვედიან (იგინი მე). მვედიეს—ჩაბარებული მაქვს, მყავს, გვედიეს—ჩაბარებული გაქვს, გყავს. აწმყოში ჩვეულებრივია იეს დაბოლოების ნაცვლად ია: მამაო, გვედიოა ვეფროსინე, და ჩუენი (ხანძ.) გვედიოა — გებარებოდეს); ჩემდა მსგავსად ესენი გვედიოან, შვილო, რომელთა გულს-მოდგინედ მსახურებაჲ ჩემი თავს-იდვეს (ხანძ.). ამ ფუძისაგან არის ნაწარმოები ვედრი („ჩანაბარები“) და ამისაგან—ვედრებაჲ.

**საშუალი გვარი**

194. **თემის ნიშანი.** საშუალი გვარის ზმნებს თემის ნიშანი ზოგი საზიარო აქვთ მოქმედებითი გვარის ზმნებთან (ი, ავ, ებ, ობ), ზოგ საშუალ ზმნას თემის ნიშანი არა აქვს, რაც აგრეთვე მოქმ. გვარის ზმნებშიც გვხვდება. მაგრამ საშუალ ზმნებს აქვთ საკუთარი თემის ნიშანიც, რომელიც მხოლოდ მათ ახასიათებს. ეს არის რთული ოვი (ოვ-ი): ვმალლოვი, ვცრემლოვი, ვპეროვი და მისთ. ამისი ვ ჩვეულებრივ იკარგება ოდ სავრცობის წინ: ცრემლო(ვ)ოდა.

საშუალი ზმნები მხოლოდ I სერიის მწკრივითა ფორმებს აწარმოებენ. II სერიისა და III სერიის ფორმები აკლიათ-

**ულლების ნიმუშები.**

**I სერია**

**აწმყო**

მხ. 1 ვბრწყინავ	ვკუნესი	ვცრემლოვი
2 ჰბრწყინავ	ჰკუნესი	სცრემლოვი
3 ბრწყინავს	კუნესის	ცრემლოვის
მრ. 1 ვბრწყინავთ	ვკუნესით	ვცრემლოვით
2 ჰბრწყინავთ	ჰკუნესით	სცრემლოვით
3 ბრწყინვენ	კუნესიან	ცრემლოვიან

**აწმყოს ხოლმეობითი**

მხ. 3 ბრწყინავნ	კუნესინ	ცრემლოვინ
მრ. 3 ბრწყინვედ	კუნესიედ	ცრემლოვიედ

**უწვებელი**

მხ. 1 ვბრწყინვედ(ი)	ვკუნესოდე	ვცრემლოოდე
2 ჰბრწყინვედ(ი)	ჰკუნესოდე	სცრემლოოდე
3 ბრწყინვიდა	კუნესოდა	ცრემლოოდა
მრ. 1 ვბრწყინვედით	ვკუნესოდეთ	ვცრემლოოდეთ
2 ჰბრწყინვედით	ჰკუნესოდეთ	სცრემლოოდეთ
3 ბრწყინვიდეს	კუნესოდეს	ცრემლოოდეს

**უწვებელის ხოლმეობითი**

მხ. 1. ვბრწყინვიდი	ვკუნესოდი	ვცრემლოოდი
2 ჰბრწყინვიდი	ჰკუნესოდი	სცრემლოოდი
3 ბრწყინვიდის	კუნესოდის	ცრემლოოდის

მრ. 1 ვბრწყინვილით	ვკუნესოდით	ვცრემლოოდით
2 ჰბრწყინვილით	ჰკუნესოდით	სცრემლოოდით
3 ბრწყინვილიან	კუნესოდთან	ცრემლოოდთან

## I ბრძანებითი

მხ. 2 ბრწყინვედ(ი)	კუნესოდე	ცრემლოოდე
3 ბრწყინვედინ	კუნესოდენ	ცრემლოოდენ
მრ. 2 ბრწყინვიდეთ	კუნესოდეთ	ცრემლოოდეთ
3 ბრწყინვიდედ	კუნესოდედ	ცრემლოოდედ

## I კავშირებითი (I მყოფალი)

მხ. 1 ვბრწყინვიდე	„ვკუნესი“ და „ვცრემლოვი“ I კავშირებითში
2 ჰბრწყინვიდე	(I მყოფადში) ისე იუღვლის, როგორც უწყვეტ-
3 ბრწყინვიდეღს	ლის ხოლმეობითში, მხოლოდ მერმინდელი ხანის
მრ. 1 ვბრწყინვიდეთ	ძეგლებში მრ. რიცხვის მე-3 პირში <b>ოდთან</b> დაბო-
2 ჰბრწყინვიდეთ	ლოების ნაცვლად ხშირია <b>ოდინ</b> .
3 ბრწყინვიდედენ	

## აწმყო

ა) სუბიექტური წყობით		ბ) ობიექტური წყობით	
მხ. 1.3 უყუარ	ვსძულ	3.1 მიყუარს	მძულს.
2.3 უყუარ	სძულ	3.2 გიყუარს	გძულს.
3.3 უყუარს	სძულს	3.3 უყუარს	სძულს.
მრ. 1.3 უყუართ	ვსძულთ	ინკ. გყუარს	გუძულს.
2.3 უყუართ	სძულთ	ექს. მიყუარს	მძულს
3.3 უყუარან	სძულან	3.2 გიყუარს	გძულს
		3.3 უყუარს	სძულს

სტატიკური და სამუალი გვარის ზმნები ძველ ქართულში მეშველ ზმნას არ მიიღებენ, როგორც ეს არის ახალ ქართულში, მაგ., მგონიე — მგონიხარ, გგონიე — გგონივარ; რაოდენმე უფროას მიყუართ თქვენ, უმცირეს გიყუარ მე (II კორ. 12, 15). ახალ ქართულზე რომ ვთარგმნით ეს წინადადება, შემდეგს მივიღებთ: რამდენადაც უფრო მიყვარხართ თქვენ, იმდენად უფრო მცირედ გიყვარვარ მე.

195. **გუაღე**. ძველ ქართულში მოიპოვება მეტად თავისებური ზმნა, რომელიც მხოლოდ რიცხვის მიხედვით იცვლება. ეს ზმნაა **გუაღე**, რომელიც მხოლოდ ბრძანებითი კილოს ფორმით გვხვდება. იგი უზმნისწინოდაც იხმარება (**გუაღე**, ვიღოდე მშუდობით, ლ. 7, 50) და სხვადასხვა ზმნისწინის დართვითაც: აღგუაღე, აღმოგუაღე, განგუაღე, მიგუაღე, წარგუაღე და სხვ. მოწმობა ძეგლებიდან: მეგობარო, აღმოგუაღე ზემო კერძო, ლ. 14, 10 E (იგივე ადგილი C-ში: მეგობარო, აღ-რე-გუაღე ზემო კერძო); მიგუაღე და უჩუენე თავი შენი მღდელსა (მრ. 1, 44 C); ლაზარე, აღდეგ და გამოგუაღე (ი. 11, 43 C); განგუა-

ლე, განგუაღე, კაცი ეგე მოსისხლჳ და საეჳ უსჯულოებითა (II მეფ. 16, 7); წარგუაღეთ ჩემგან, წყუელნო, ცეცხლსა მას საუკუნესა (მ. 25, 41 C); მოგუაღეთ, შევიდეთ ჩუენ გაღგაღად (I მეფ. 11, 10).

### რთული ზმნები

196. ძველ ქართულში მოიპოვება ზმნები, რომელთაც რთული ეწოდებოდათ მათი შედგენილობის გამო. ესენია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სახელი და ზმნა, ან ზმნიზედა და ზმნა, რომელთაგანაც სახელი რომელიმე ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო იუღლება ზმნა, რომელიც ყოველთვის უზმნისწინაა. სახელის ბრუნვათაგან შეიძლება იყოს წრფელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი.

სახელით, რომ ვამბობთ, შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, საწყისი, გასუბსტანტივებული პირიანი ზმნაც კი. ზმნათაგან შეიძლება იყოს გარდამავალიცა და გარდაუვალიც; ზმნები იხმარება ზოგი საარვისო ქცევის ფორმით, ზოგი საარვისო და სასხვისოთი, ზოგი კი სათავისოთი. გვარის მიხედვით ზმნები უმეტესად მოქმედებითია, იშვიათად ვნებითიც ან საშუალი.

რთული ზმნის საუღლებელ ნაწილად უმთავრესად შემდეგი ზმნები იხმარება: ყოფაჲ, ცემაჲ, ღებაჲ, დებაჲ, გებაჲ, დგმაჲ, კლვაჲ, წიფებაჲ, თქუმაჲ, პურობაჲ, ცუმაჲ და სხვ. ამათგან ყველაზე ხშირად რთული ზმნის საწარმოებლად იხმარება ყოფაჲ.

**ყოფა** ზმნისაგან გვაქვს: ამბორს-უყო, ბრძოლა-უყო, გზა-უყო, გულისკმა-ყო, ზრახვა-ყო, თულ-უყო, ივარ-ყო, მზა-უყო, მზირ-უყო, მიზეზ-ყო, სიტყუა-ყო, უვარ-ყო, უგუღებელს-ყო, შეურაცხ-ყო, შებმა-უყო, ძიება-ყო, წამ-უყო, წმიდა-ყო, წყალობა-ყო, კელ-ყო, კმა-ყო და სხვ..

197. **პირთა რაოდენობის საკითხი რთულ ზმნებში.** რთულ ზმნებში შემავალი სახელი წარმოშობით ხშირად პირდაპირი ობიექტია, მაგრამ იგი ზმნასთან შერწყმისას აღარ არის ობიექტი და ამის გამო რთული ზმნა ერთი პირით ნაკლებია, ვიდრე ცალკე აღებული მასში შემავალი ზმნა. მაგ., **ყო** ორ-პირიანია (ყო მან იგი), მაგრამ **კმა-ყო** ერთ-პირიანია (კმა-ყო მან); **უყო** სამ-პირიანი (უყო მან მას იგი), მაგრამ **კმა-უყო** ორ პირიანია (კმა-უყო მან მას); ცალკე აღებული **სცა** სამ-პირიანია (მაგ., იაკობ სცა ესავს პური, დაბ. 25, 34), მაგრამ **ნათელსცა**—ორ-პირიანი (მან მას). პირდაპირ ობექტს მიიღებს ისეთი რთული ზმნა, რომელსაც სახელად ზედსართავი აქვს ან მიმღეობა: შეურაცხ-ყო (მან იგი), უგუღებელს-ყო (მან იგი), წმიდა-ყო (მან იგი), მზა-უყო (მან მას იგი) და მისთ., ან ისეთი ზმნები, რომელთა სახელი წარმოშობით ირიბი ობიექტია, როგორც მაგ., თავს-იდვა და ჭუარს-აცუა.

198. **სახელის ბრუნვის ფორმა რთულ ზმნებში.** რადგანაც მრავალ შემთხვევაში რთული ზმნის პირველი ნაწილი წარმოშობით პირდაპირი ობიექტია, ხოლო პირდაპირი ობიექტი ბრუნვა-ცვალებადი სახელია, ამიტომ შეიძლება ამ სახელს

I სერიის მწკრივის ფორმებთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი აღმოაჩნდეს, იგი მას შეეზორცოს და II სერიის მწკრივებშიც გადაჰყვეს. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ამბორის-ყოფა (ამბოვრის-ყოფა), რომლის სახელს ბრუნვის ნიშანი **ხ** პირველი სერიიდან მეორეშიც გადაჰყვება: ამბორს-უყოფს, ამბორს-უყო. მოწმობა: დედაკაცი ვინმე ამბორს-უყოფდა ფერკთა მისთა (ლ. 7, 38; ამბოვრს-უყოფდა E); რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი! და მეყსეულად მოუჭდა (იულა) იესუს და ჰრქუა: „გიხაროდენ, მოძღუარ!“ და ამბორს-უყო მას (მ. 26, 48—49).

დავიმოწმოთ ზოგიერთი სხვა რთული ზმნაც:

გზა-უყო: გზა-უყავთ მას, რომელი-იგი ამაღლდა დასავალით (ფს. 67, 5 ო). ამის ნაცვლად **ტ**-ში სხვა რთული ზმნა იკითხება: გზა-იციოთ მას, რომელი-იგი ზის დასავალით.

გულისკმა-ყო: გულისკმა-ყო იესუ ზაკულეზა იგი მათი (მ. 22, 18); რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისკმა-ჰყოფდინ (მ. 24, 15 C).

თავ-უყო: თავ-უყავთ მამასა და დედასა (მ. 15, 4 C); რომელმან თავ-ჰყო მამასა თვისსა (მ. 15, 6 C). ამათ ნაცვლად DE-ში სხვა რთული ზმნა იკითხება: პატრივეც მამასა შენსა და დედასა შენსა (მ. 15, 4); რომელმან არა პატრივს-ცეს მამასა თვისსა (მ. 15, 6).

თულ-უყო („თვლით ანიშნა“): თულ-უყოფდეს (თულს-უყოფდეს C) მამასა მისსა (ლ. 1, 62); თულ-უყვნა მას სიმონ-პეტრე (ი. 13, 24 C). ამის ბაღდად DE-ში მისი სინონიმი სხვა რთული ზმნა ნახმარი: წამ-უყვნა მას სიმონ-პეტრე.

მზირ-უყო: მზირ-უყვეს მას და მიავლინნეს მზირნი ორგულნი (ლ. 20, 20). მზა-უყო: ჰეროდე ესმასა შობისა მისისასა მზა-უყო პური მთავართა მისთა (მრ. 6, 21); აჰა ესერა პური ჩემი მზამ-იყოფიეს (მ. 22, 4).

უღებ-ყოფა („არად ჩაღდება“): მათ უღებ-უყვეს (მ. 22, 5).

შეურაცხ-ყოფა: ჰეროდე შეურაცხ-ყოფი იგი (ლ. 23, 11); (ფარისეველნი) ვეცხლის მოყუარე იყვნეს და შეურაცხ-ჰყოფდეს მას (ლ. 16, 14).

199. **ცემა-ე**: თაყუანის-ცემა (თაყუანის-ცემა, თაყუანის ცემა), ნათლის-ცემა, პატივის-ცემა, გზის-ცემა, ნუგეშინის-ცემა.

თაყუანის-ცემა: რათა მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე მას (მ. 2, 8); თაყუანის-ცე მამასა შენსა (მ. 6, 6); უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-ჰსცე (ლ. 4, 8). ამ ზმნას მოეპოვება **ი**-ნიანი ვნებითი: თაყუანის-იციემებს.

ნათლის-ცემა: აწ მე ნათელ-გცემ თქვენ წყლითა (მ. 3, 11). ამ ზმნის სახელი ხშირად მიცემითში დგას: აჰა იგი ნათელს-სცემს (ი. 3, 26 C); ნათელს-სცემდით (მ. 28, 19 C).

ნუგეშინის-ცემა: პირველ ნაწილად ამ რთულ ზმნას აქვს გასუბსტანტივებული ზმნის პირიანი ფორმა აკრძალვითი კილოსი „ნუგეშინის“: რათამცა ნუგეშინის-სცეს მათ ძმისა მათისათვის (ი. 11, 19 C).

პატივის-ცემა: ერი ესე ბავითა მათითა პატივ-მცემს მე (მ. 15, 8); რომელმან პატივ-სცეს ძესა, მან პატივ-სცეს მამასა (ი. 5, 23).

200. **ღებაა:** ნათლის-ღებაა, ყურად-ღებაა, მუცლად-ღებაა.

ნათლის-ღებაა: ნათელს-იღებდეს მისგან იორდანესა ზედა (მ. 3, 6); ნათელ-იღებდეს (ნათელს-იღებდეს C) მისგან იორდანესა მდინარესა (მრ. 1, 5); მოვიდა იესუ და ნათელ-ილო მოვანესგან იორდანესა (მრ. 1, 9). ნათელ-სცა—მონათლა, ნათელ-ილო — მონათლა.

მუცლად-ღებაა („დაოროსულება“): შენ მუცლად-ილო და ჰშეე ძმ (ლ. 1, 31).

ყურად-ღებაა: ყურად-იღე ლოცვისა ჩემისაა (ფს. 16, 1).

201. **გებაა:** სიტყუს-გებაა: ესრცთ სიტყუას-უგება მღღელთ-მოძღუარსა (ი. 18, 22);

შურის-გებაა: ღმერთმან არა-მე ყოსა შურის-გებაა რჩეულთა მისთაა (ლ. 18, 7).

202. **ღებაა.** თავს-ღებაა: ვიდრემღე თავს-ვიღებდღე თქუენსა? (მ. 17, 17).

თუ პირდაპირი ობიექტი მრ. რიცხვშია, **ღება-**ს ენაცვლება **სხმაა:** მან უძღურებანი ჩუენნი თავს-ისხნა. აქ „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით არის ნახმარი.

სახელის-ღებაა: თუალს-უყოფდეს მამასა მისსა, რადი უნდეს სახელის-ღებად-მისა (ლ. 1, 62).

203. **სხვადასხვა.**

**სულთ-თქუმაა** („ამოიხრვა“): აღიხილნა (იესუ) ზეცად, სულთ-ითქუნა და ჰრქუა მას (მრ. 7, 34).

**კაცის-კვდაა:** ნუ კაც-ჰკლავ (მრ. 10, 19); არა კაც-ჰკლა (მ. 5, 21).

**ინაქის-ღვამაა:** ინაქ-იღვმიდენ აბრაჰამის თანა (მ. 8, 11); ინაქ-იღვა ათორმეტთა მოწაფეთა თანა (მ. 26, 20 C).

**ჭუარს-ცუმაა:** სადა-იგი ჭუარს-აცუეს იესუ (ი. 19, 20); ჭუარს-აცუ, ჭუარს-აცუ ეგე! (ი. 19, 6); ჭუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი (მ. 27, 38).

204. აქამომღე ვიხილადით ზმნებს, რომლებიც გარდამავალია ან ნახევრად-გარდამავალი. ქვემოთ გარდაუვალი ზმნებიც ვნახოთ.

**ჭერ-არს, ჭერ-იყო:** არა ჭერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა შენ იგი ცოლად (მ. 14, 4); არა ჭერ-იყო შენდაცა, რადთამცა შეიწყალე მოყუასი იგი შენი? (მ. 18, 33).

**ჭერ-მიჩს** — საჭიროდ მიმჩინა, ჭერ-მიჩნდა — საჭიროდ მიმჩნდა. **სირცხულ-უჩნს:** არარაჲ სირცხულ-უჩნდა (ებრ. 11, 16); კრულებამ ესე ჩემი არა სირცხულ-უჩნდა (II ტიმ. 1, 16).

205 **ძეს.** ეს ზმნა ცალკეც იხმარება (აჲა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს, მ. 3, 10), მაგრამ უფრო ხშირად იგი რთული ზმნის მეორე ნაწილად გვხვდება, ამ შემთხვევაში მას უძღვის ხმოვანი, რომელიც კუმშავს მას და რჩება **ძს**, რომელიც შერწყმის გზით **ც-**ს გვაძღვეს. ამგვარად მიღებულია რთული ზმნა **ზარ-მაც** (\*ზარ-მაცს), რომელიც „მეზარება“ს ნიშნავს: ზარ-მაც, ზარ-გაც, ზარ-აც (მეზარება, გეზარება, ეზარება). ერთ-პირიან **ძეს** ზმნას წყვეტილში **იღვა** ენაცვ-

ლება, ხოლო ორ-პირიან მიც და მაც-ს კი — ორ-პირიანივე მედვა (ზარ-მედვა, ზარ-გედვა, ზარ-ედვა — მეზარებოდა, გეზარებოდა, ეზარებოდა). ამგვარადვეა ნაწარმოები ზედა-მაც („მმართვეს“) და თანა-მაც (ესეც „მმართვეს“): ზედა მაც, ზედა-გაც, ზედა-აც; თანა-მაც, თანა-გაც, თანა-აც. წყვეტილის ფორმაა ზედა-მედვა, თანა-მედვა. აქედან II კავშირებითის (II მყოფადის) ფორმაა ზედა-მედვას, თანა-მედვას.

ძალ-მიც ამას ნიშნავს: „შემიძლია“. წყვეტილში მას შეენაცვლება ძალ-მედვა („შემეძლო“), ძალ-გედვა, ძალ-ედვა.

206. **წიფება.** ეს ზმნა იხმარება როგორც აქტიურად, ისე პასიურად: აქტიურად სათავისო ქცევის ფორმით, პასიურად კი—ორ-პირიანი ვნებითის ფორმით: ჰეროდე ჰემტერა მას და უნდა მოკლვამ მისი და ვერ კელს-იწიფებდა (მრ. 6, 19 C). (ვერარაა კელ-იწიფა DE).

კელ-მეწიფების („უფლება მაქვს“, „შემიძლია“), კელ-გეწიფების, კელ-ეწიფების: ვერ კელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებდა (მ. 7, 18); კელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად (მ. 9, 15). „კელ-მეწიფების“ ფორმაში „კელი“ წარმოშობით სუბიექტია, ხოლო კელ-იწიფა—ში იგივე „კელი“ წარმოშობით პირდ. ობიექტია.

207. **I სერიაში მარტივი ზმნა, II-ში რთული.** ზოგიერთი ზმნა I სერიის მწკრივებში მარტივ ფორმას გვაძლევს, II სერიაში კი—რთულს. ასეთებია: ღაღადებს — ღაღად-ყო: განუტევე ესე, რამეთუ ღაღადებს და შეგვდგს ჩუენ (მ. 15, 23); საფლავებსა და მათა გარე იქცევი და ღაღადებნ (მრ. 5, 5); ღაღადებდეს და იტყოდეს (ლ. 23, 21); და ღათუ ესენი ღუმენ, ქვანი ღაღადებდენ ვე (ლ. 19, 40); იხილა შფოთი და ტირილი და ღაღადებამ ფრადი (მრ. 5, 38); დადგა იესუ, ღაღად-ყო და თქუა (ი. 7, 37); ღაღად-ვეს ყოველმან სიმრავლემან (ლ. 23, 18).

ზრახავს — ზრახვა-ყო: რამსა ჰზრახავთ გულთა თქუენთა (მ. 16, 8); მიერ დლითგან ზრახვიდეს, ვითარმცა მოკლეს იგი (ი. 11, 53 C); ზრახვა-ყვეს მისთვის, რამთა წარწყმიდონ იგი (მრ. 3, 6); ზრახვა-ყვეს მისთვის, რამთა სიტყუთა საფრკჳ უგონ მას (მ. 22, 15).

კმობს—კმა-ყო: იხილეს რამ მღდელთ მოძღუართა მათ ყმები იგი, რომელ კმობდა ტაძარსა მას შინა (მ. 21, 15 C); მეცხრესა ოდენ ჟამსა კმა-ყო იესუს კმითა დიდითა და თქუა (მ. 27, 46).

უვარებს — უვარ-ყო: ვითარცა ყოველნი უვარებდეს, თქუა პეტრე (ლ. 8, 45); მერმეცა უვარ-ყო პეტრე ფიცით (მ. 26, 72).

თანაბრად გვხვდება რთულიცა და მარტივიც: იცოდეს ღმერთი და არა ღმრთებერ აღიდებდეს, გინამადლსცემდეს (პრომ. 1, 21 AB. იგივე ადგილი CD-ში ასე იკითხება: იცოდეს ღმერთი და არა ღმრთებერ აღიდებდეს მას, გინა ჰმადლობდეს).

208. უღლების ნიმუშები: შეურაცხ-ვპყოფ (ორ-პირიანი ზმნა, პირდაპირ-ობიექტიანი), თაყუანის-ვსცემ (ორ-პირიანი ზმნა, ირიბ-ობიექტიანი!).

ა) სუბიექტური წყობით.

**აწმყო**

მხ.	1.3	შეურაცხ-ვპყოფ	თაყუანის-ვსცემ
	2.3	„ -პყოფ	„ -სცემ
	3.3	„ -პყოფს	„ -სცემს
მრ.	1.3	„ -ვპყოფთ	„ -ვსცემთ
	2.3	„ -პყოფთ	„ -სცემთ
	3.3	„ -პყოფენ	„ -სცემენ

**წვეტილი**

მხ.	1.3	შეურაცხ-ვეყვ	თაყუანის-ვეც
	2.3	„ -პყავ	„ -ეც
	3.3	„ -ყო	„ -სცა
მრ.	1.3	„ -ვეყვთ	„ -ვეციოთ
	2.3	„ -პყავთ	„ -ეციოთ
	3.3	„ -ყვეს	„ -სცეს

ბ) ობიექტური წყობით

**აწმყო**

მხ.	3.1	ზარ-მაც <sup>2</sup>	თანა-მაც	ძალ-მიც
	3.2	„ -გაც	„ -გაც	„ -გიც
	3.3	„ -აც	„ -აც	„ -შც
მრ.	ინკ.	„ -გუაც	„ -გუაც	„ -გუიც (-გვც)
	ექს.	„ -მაც	„ -მაც	„ -მიც
	3.2	„ -გაც	„ -გაც	„ -გიც
	3.3	„ -აც	„ -აც	„ -შც

**წვეტილი**

მხ.	3.1	ზარ-მედვა	თანა-მედვა	ძალ-მედვა
	3.2	„ -გედვა	„ -გედვა	„ -გედვა
	3.3	„ -ედვა	„ -ედვა	„ -ედვა
მრ.	ინკ.	„ -გუედვა	„ -გუედვა	„ -გუედვა
	ექს.	„ -მედვა	„ -მედვა	„ -მედვა
	3.2	„ -გედვა	„ -გედვა	„ -გედვა
	3.3	„ -ედვა	„ -ედვა	„ -ედვა

<sup>1</sup> მოგვეყვს მხოლოდ ზოგიერთი მწკრივის ფორმები.

<sup>2</sup> „ზარ-მაც“ ზმნა არსებითად ერთ-პირიანია.

### მონაცვლეობა

209. მონაცვლეებს ვეძახით ისეთ ზმნებს, რომლებიც ერთნია ლექსიკური მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავდებიან ხმარების თვალსაზრისით. ძველ ქართულში მონაცვლეობა ხდება რიცხვისა, მწკრივისა და ქცევის მიხედვით: ერთი ზმნა იხმარება მხოლოდ ერთ რიცხვში, მეორე — მრავლობითში; ან კიდევ ერთი ზმნა იხმარება ზოგ მწკრივში, მეორე კი — სხვა მწკრივებში. ზოგი ზმნა მონაცვლეა ორივე კატეგორიის მიხედვით: რიცხვისა და მწკრივისაც. არის მონაცვლეობა ქცევის მიხედვითაც.

რიცხვში მონაცვლეობა ხდება სუბიექტური პირის მიხედვით ან პირდაპირ-ობიექტური პირისა. გარდაუვალი ზმნები მონაცვლეობენ სუბიექტური პირის რიცხვის მიხედვით, გარდამავალი კი — პირდაპირ-ობიექტური პირის რიცხვის მიხედვით. ამასთანავე, თუ პირდაპირი ობიექტი მრავლ. რიცხვშია და ზმნა II სერიის მწკრივში, აუცილებელია, რომ ზმნაში ობიექტის რიცხვი აისახოს (ენ/ნ): აღვიღე ქვა — აღვიხუნე ქვანი; აღიღო ქვა — აღიხუნა ქვანი.

რიცხვიო, რომ ვამბობთ, იგულისხმება მხოლოდითი და ნ-არიანი მრავლობითი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ზმნა, რომელიც მრავლობითი რიცხვისთვისაა განკუთვნილი, შეიძლება მხოლოდითი რიცხვის მე-3 პირის ფორმითაც იხმარებოდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მასთან შეწყობილი სახელი კოლექტიურია (მაგ., „ერი“, „გუნდი“, „სიმრავლე“).

### მონაცვლეობა რიცხვის მიხედვით

210. მონაცვლეობა სუბიექტური პირის რიცხვის მიხედვით

ვ||სხ-ენ. მხოლოდითში იხმარება ვ ფუძე სასხვისო ქცევის ფორმით: მივისნ („მყავს“) ითქმის ადამიანზე, უფრო კი უახლოეს ნათესავზე: მივის მამა, დედა, და, ძმა, შვილი, ძმ, ასული; ქმარი, ცოლი. მეზობელი; მოწაფე, მრავლობითში კი სხ-ენ („მყვანან“) სასხვისო ქცევიდან: მისხენ (მამა, დედა, ძმანი, დანი); მისხენ ხუთნი ძმანი (ლ. 16, 28).

ზი||სხედ. მხოლოდითში იხმარება ზი (ვზი, ჰზი, ზის), მრავლობითში კი სხედ: ვსხედო, ჰსხედო, სხედან (დისიმილაციით სხედან-ის ნაცვლად). აწმყოსა მხოლ. რიცხვის მე-3 პირის ფორმაა სხედს (სხედს ერი). აწმყოს ხოლმეობითის ფორმაა: ზინ, სხენედ (დისიმილაციით სხედედ-ის ნაცვლად).

ჯედ||სხედ. მხოლოდითში იხმარება ჯედ (ჯვედ, შჯედ, ჯდა), მრავლობითში — სხედ: ვსხედით, ჰსხედით, სხედეს; მე-3 პირის მხოლ. რიცხვის ფორმაა სხდა (სხდა ერი).

აწმყო	წყვეტილი	II კავშ. (II მყოფ.)
მხ. 1 ვჯდები	დავჯედ	დავჯდე
2 სჯდები (შჯდები)	დასჯედ (დაშჯედ)	დასჯდე (დაშჯდე)
3 ჯდების  სხდების	დაჯდა  დასხდა	დაჯდეს  დასხდეს

მრ. 1 ვსხდებით	დავსხდლით	დავსხდეთ
2 ჰსხდებით	დაჰსხდლით	დაჰსხდეთ
3 სხდებიან	დასხდეს	დასხდენ

**შთავრდომა||შთაცვნა:** მხოლობითში იხმარება ვრდომა, მრავლობითში — ცვნა: მრავალ გზის შთ ა ვ ა რ დ ის იგი ცეცხლსა (მ. 17, 15); ბრმაჲ ბრმასა თუ წინა-უძღვნ, შესცთიან და ორნივე მთხრებლსა შთ ა ც ვ ე ი ა ნ (მ. 15, 14).

**211. მონაცვლეობა პირდაპირ-ობიექტური პირის რიცხვის მიხედვით.**

**ღ-ება||სუ-მა.** ეს ფუძეები უზმნისწინოდ არ იხმარება. ზმნისწინიანი ფორმების მაგალითებია: აღ-იღებს — აღ-იხუამს, აღილო — აღიხუნა; მოიღებს — მოიხუამს, მოილო — მოიხუნა, შე-იღებს — შე-იხუამს; შეილო — შეიხუნა; წარ-უღებს — წარუხუამს, წარ-ულო — წარ-უხუნა; აღ-ალო — აღ-ახუნა; აღალო პირი, აღახუნა ბაგენი (ბაგენი ჩემნი აღახუნენ, ფს. 50, 17), გან-ალო — გან-ახუნა: განალო კარი, განახუნა კარნი.

მოღებაჲ წიგნისაჲ — მოხუმაჲ წიგნთაჲ განღებაჲ კარისაჲ, განხუმაჲ კართაჲ. თუ ზმნას ვნებითში გადავიყვანთ, მონაცვლეობა იქნება სუბიექტური პირის რიცხვის მიხედვით: განმელო კარი, განმეხუნეს კარნი.

**გღ-ება||სხ-მა, შე-გღ-ება, შე-სხ-მა.** შე მ ა გ დ ე ს საპყრობილესა ცუდად; შემსხნეს საპყრობილესა ცუდად (საქმე 16, 37); გან ა გ დ ე ს იგი გარე-შე საყურძენსა მას (მრ. 12, 8 C) — გან ა ს ხ ნ ე ს იგინი.

**სუ-მა||სხ-მა, და-სუ-მა||და-სხ-მა.** რომ შევცვალოთ წინადადება „და ვ ს უ ა იგი საყდართა შენთა“ (ფს. 131, 11) იმგვარად, რომ „იგი“-ს ნაცვლად „იგინი“ ჩავსვათ, ამას მივიღებთ: და ვ ს ხ ნ ე იგინი საყდართა შენთა; ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის და ვ ს ხ ნ ე მტერნი შენნი ქუეშე ფერჯთა შენთა (მ. 22, 44).

„დასხმა“ ითქმის სამოსელზედაც, რომელიც გაგებულია, როგორც კოლექტიური სახელი: და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცვ მის თანა და და ა ს ხ ე ს სამოსელი მას ზედა, და დაჯდა იესუ მას ზედა (მ. 21, 7); და მ ის ხ ე ნ საკედარსა, და მე თვთ წარვიდე (იოვ. და ეფთ.). და მ ის ხ ე ნ საკედარსა = შემიკაზმე საკედარი (ცხენი, ჯორი, ვირი).

**ღ-ება||სხ-მა.** ეს ზმნები უპირატესად ზმნისწინებით იხმარება: დაღება — დასხმა, შთაღება — შთასხმა, შეღება — შესხმა და მისთ. დაღვა იგი, დასხნა იგინი. დაღვა საზღვარი, დასხნა საზღვარი. სამ-პირიან დასღვა-ს სამ-პირიანივე და ა ს ხ ნ ა შეენაცვლება: დასღვა მას კელი, და ა ს ხ ნ ა მას კელნი; კათალიკოზმან საუბისკოპოსოსას მის კელთა დასხმაჲ ეპისკოპოსად არა ინების (ხანძ.).

**გან-ღ-ება||გან-სხ-მა.** განაძო კაცი, განასხა ერი, განასხნა იგინი. გამოაძო იგი, გამოასხნა იგინი. ურჩთა განასხმიდა, რამეთუ ობიზელი ბერი ერთი იტყორდა, ვითარმედ სიჰაბუქესა ჩემსა სამ გზის ობიზით განძებულ ვიქმენ მამისა გრიგოლისგან (ხანძ.).

გდ-ება||ყრ-ა, და-გდ-ება||და-ყრ-ა. ოთხთავში იკითხება: მან და ა გ დ ო ფიჩუ თუსი (მრ. 10, 50 C), ხოლო სხვაგან ეს იკითხება: და და ყ ა რ ნ ა კა-პარჭნი თუსნი ეშმაკმან (სინ. მრ. 224, 6).

მონაცვლეობა რიცხვის მიხედვით ხდება აგრეთვე I სერიის მწკრივებში (აღვილებ ქვასა, აღვიხუამ ქვათა) და სახელზმნებშიც: აღებაჲ ქვისაჲ, აღხუმაჲ ქვათაჲ; ქვაჲ აღებული. ქვანი აღხუმულნი და მისთ..

### მონაცვლეობა მწკრივის მიხედვით

212. ვარ ზმნას I სერიის მწკრივთაგან აქვს მხოლოდ აწმყო და აწმყოს ხოლ-მეობითი, II და III სერიის მწკრივებში მას ენაცვლება „ყოფა“ ზმნის ვნებითი გვარის ფორმები, რომელთაც გვარის გავება დაკარგული აქვთ, თუმცა კი ვნე-ბითის ფორმა შენახული აქვთ, რაც ჩანს მრავლ. რიცხვში.

აწმყო	აწმყ. ხოლმ.	წყვეტ.	II კავშ. (II მყოფ.)
მხ. 1 ვარ(ი)	—	ვიყავ	ვიყო
2 ხარ(ი)	—	იყავ	იყო
3 არს	არს	იყო	იყოს
მრ. 1 ვართ	—	ვიყვენით	ვიყვენეთ
2 ხართ	—	იყვენით	იყვენეთ
3 არიან	არიედ	იყვენეს	იყვენენ

I თურმ.	II თურმ.	III კავშ.
მხ. 1 ყოფილ ვარ	ყოფილ ვიყავ	ყოფილ ვიყო
2 „ ხარ	„ იყავ	„ იყო
3 „ არს	„ იყო	„ იყოს
მრ. 1 „ ვართ	„ ვიყვენით	„ ვიყვენეთ
2 „ ხართ	„ იყვენით	„ იყვენეთ
3 „ არიან	„ იყვენეს	„ იყვენენ

არცა იყო, არცა არს, არცა ყოფად არს (სინ. მრ. 43, 3).

ზი ფუძის ზმნა რიცხვის მიხედვითაც არის მონაცვლე და მწკრივის მიხედ-ვითაც.

აწმყო	აწმყ. ხოლმ.	წყვეტ.	II კავშ. (II მყოფ.)
მხ. 1 ვზი	—	ვჯედ	ვჯდე
2 ჰზი	—	ჰჯედ (მჯედ)	ჰჯდე (მჯდე)
3 ზის  სხედს	ზინ	ჯდა  სხდა	ჯდეს  სხდეს
მრ. 1 ვსხედთ	—	ვსხედით	ვსხედეთ
2 ჰსხედთ	—	ჰსხედით	ჰსხედეთ
3 სხენან	სხენედ	სხედეს	სხედენ

კაცი ჯდა, ერი სხდა; ჯდომაჲ კაცისაჲ, სხდომაჲ ერისაჲ; კაცი მჯდომარჲ, ერი მსხდომარჲ.

**სხ** ფუძის ზმნები სხვადასხვა ზმნას ენაცვლება: მივის—მისხენ, მესუა — მესხნეს; დასუა — დასხნა; დაღვა — დასხნა, დასღვა — დაასხნა. განაგლო — განასხნა, განაძო — განასხნა.

**ვალ|ველ, ვიდ.** ეს ზმნები იხმარება უზმნისწინოდაც, მაგრამ უფრო ხშირად უზმნისწინები ახლავს: მივალ, მოვალ, შევალ, გარდავალ და სხვ..

I სერიის მწკრივთაგან **ვალ** ზმნას აქვს მხოლოდ აწმყო და აწმყოს ხოლ-მეობითი, II სერიაში მას **ველ, ვიდ** ენაცვლება. **ვიდ** I სერიის სავტრობიან მწკრივებშიც იხმარება: ვიდოდა, ვიდოდის.

III სერიის ფორმები ნაწარმოებია მიმლეობის საშუალებით: მოსრულ ვარ, მოსრულ ვიყავ, მოსრულ ვიყო.

	აწმყო	აწმყ. ხოლმ.	წვეტილი	II ხოლმ.	II კავშ. (II მყოფ.)
მხ. 1	მი-ვალ	-	მი-ველ	მი-ვიდი	მი-ვიდე
2	„ -ხუალ	-	„-ხუედ	„-ხუდი	„-ხუდე
3	„ -ვალს	მი-ვალს	„-ვიდა	„-ვიდის	„-ვიდეს
მრ. 1	„ -ვალთ	-	„-ვედით	„-ვიდით	„-ვიდეთ
2	„ -ხუალთ	-	„-ხუედით	„-ხუდით	„-ხუდეთ
3	„ -ვლენ	მი-ვლედ	„-ვიდეს	„-ვიდიან	„-ვიდენ
	(„-ვლენან)	(მი-ვლენედ)			

**იტყვს** ზმნა ორ-პირიანია (იტყვს იგი სიტყუასა). მას მხოლოდ I სერიის ფორმები აქვს (იტყვს, იტყოდა, იტყოდის და სხ.). II და III სერიაში მას ორ-პირიანი **თქუა** ენაცვლება (თქუა, თქვს, თქუას და სხ.; უთქუამს, ეთქუა და სხ.), ხოლო

**ეტყვს** ზმნა სამ-პირიანია (ეტყვს იგი მას სიტყუასა). ამასაც მხოლოდ I სერიის ფორმები აქვს, II სერიაში მას სამ-პირიანივე **ჰრქუა** (ან **უთხრა**) ენაცვლება, ხოლო III სერიის ფორმები აკლია (III სერიაში საზოგადოდ სამპირიანი ფორმები ზმნას არ მოეპოვება).

**ვ|სუ|სხ-ენ.** ამათგან **ვ** და **სუ** მხოლოდითი რიცხვის ფუძეებია, **სხ** კი — მრავლობითისა. **ვ** ფუძის ზმნა რიცხვის მიხედვითაც არის მონაცვლე და მწკრივის მიხედვითაც. რიცხვის მიხედვით მონაცვლეობა ზემოთ არის ნაჩვენები (§ 210). აქ კი ვნახოთ მონაცვლეობა მწკრივის მიხედვით.

I სერიაში **ვ** ფუძისაგან ნაწარმოებია (სასხვისო ქვევის ფორმით) აწმყო და აწმყოს ხოლმ.: მივის, გივის, უვის (სხვა მწკრივები აკლია), ხოლო II სერიის მწკრივებში **სუ** ენაცვლება მას: მესუა, გესუა, ესუა; მესუას, გესუას, ესუას და სხ.. იყო ვინმე კაცი მდაბიო და ეს უ ა მას ცოლი და ეს ს ნ ე ს შეილნი (ხანძ.); ხუთ ქმარ გ ე ს ხ ნ ე ს, და რომელი აწ გ ი ვ ი ს, არა ქმარი შენი არს (ი. 4, 18).

ეს უ ა და ეს ხ ნ ე ს ვნებითი გვარის ზმნებია (წარმოების მიხედვით) და გარდაუვალი. ისინი ენაცვლებიან ერთმანეთს სუბ. პირის რიცხვის მიხედვით.

ამავე ზმნათა ფუძეებისაგან გვაქვს ზმნისწინიანი გარდამავალი ზმნები

დასუა და დასხა, რომლებიც მონაცვლეობენ პირდაპირ-ობიექტური პირის რიცხვის მიხედვით.

**ძეს** ზმნას იღვა ენაცვლება II სერიის მწკრივებში. ეს ზმნა ერთ-პირიანია (აპა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს, მ. 3, 10). მაგრამ უფრო ხშირად ორ-პირიანი ფორმა იხმარება (აპა ეგერა დირე გიც თუალსა შესსა. მ. 7, 4 C). **გიც** ფორმა მიღებულია **გიძს** ფორმისაგან **ძს** ჯგუფის შერწყმის გამო: მიც, გიც, უც — ყველა ორ-პირიანია, რომელთაც II სერიის მწკრივებში ორ-პირიანივე მედვა, გედვა, ედვა ენაცვლება შესაბამისად. ამიტომ გვაქვს: ძალ-მიც („შემიძლია“) — ძალ-მედვა, ძალ-გიც — ძალ-გედვა, ძალ-უც — ძალ-ედვა; თანა-მაც (\*თანა-მაცს „მმართვეს“) — თანა-მედვა, თანა-გაც — თანა-გედვა, თანა-აც — თანა-ედვა; ზედა-მაც („მმართვეს“) — ზედა-მედვა; ზარ-მაც („მეზარება“), ზარ-გაც, ზარ-აც (ნ. კიდევ § 205).

### მონაცვლეობა ძმების მიხედვით

213. ძველ ქართულში ზმნები რა ქცევითაც იუღლებიან I სერიის მწკრივებში, იმ ქცევითვე იუღლებიან II-ისაშიც: ა-ქებს — ა-ქო, ი-მარხავს — ი-მარხა, მი-უ-გებს — მი-უ-გო და სხვ. მაგრამ არის რიგი ზმნებისა, რომლებიც I სერიაში ერთი ქცევით იხმარება, II სერიაში კი — სხვა ქცევით.

ერთი ამათვანია **ქნა** ზმნა, რომელიც საარვისო ქცევით იუღლება II სერიაში, I-ში კი — სათავისოთი. ამასთანავე სათავისოს ნიშანი **ი** კუმშავს ფუძეს და თანხმოვანთა თავმოყრის გამო უკანასკნელი თანხმოვანი იკარგება: ვქმენ, ჰქმენ, ქმნა: ქმნა მას შინა საწნეხელი (მ. 21, 33); საქმჴ კეთილი ქმნა ჩემდა მომართ (მ. 26, 10); მაგრამ: ვიქმ, იქმ, იქმს (იქმ არის აწმყოს ხოლომობით): მამა ჩემი იქმს და მეცა ვიქმ (ი. 5, 17). ამგვარად მიღებული ფუძე გადადის სავრცობიან მწკრივებში: ვიქმოდე, ვიქმოდი.

შემდეგი ზმნები კი — პირუკუ: I სერიის ფორმებს საარვისო ქცევით აწარმოებენ, II სერიისას კი — სათავისოთი.

ზრახავს — იზრახა: ნუ წინაფარ ჰზრახავთ, რასა იტყოდით (მრ. 13, 11);

ამას რა ზრახვიდა გულსა თვისსა (მ. 1, 20); იზრახა ფართლად განტევებად იგი (მ. 1, 19). სხუაზრახვა არაა იზრახოთ (გალატ. 5, 10).

ზრუნავს — იზრუნა: ნუ ჰზრუნავთ ხელისა, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისა (მ. 6, 34); არავინ მაქუს სხუაერთგულ, რომელმან-მცა თქუნეთს გულითად იზრუნა (ფილიპ. 2, 20).

დრტუნავს — იდრტუნა: დრტუნვიდე ს მისთვის ჰურიანი იგი (ი. 6, 41); იდრტუნეს ღმრთისა და თქუნეს (ფს. 77, 19).

ქუხს — იქუხა: ქუხდა უფალი ცით გამო (ფს. 17, 14); უფალი აღმაღლდა ცათა შინა და იქუხა (გალობაჲ 3, 10).

ვაჭრობს — ივაჭრა: ვაჭრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდე (ლ. 19, 13); რამთა უწყოდის, რამ-იგი ივაჭრეს (ლ. 19, 15). I სერიაშიც გვხვდება ი-ნიანი ფორმა: დაემშენით, ივაჭრობდით მას შინა (დაბ. 34, 10).

ყვიის ზმნა გარდაუვალია: ყვიის ქათამი — ყვივა ქათამი (ეს ნიშნავს: „ყვიის მა-  
მალი“ — „იყივლა მამალმა“): მეყსეულად ქათამი ყვივა (მ. 26, 74). აქ  
წყვეტილის ფორმა (ზმნა გარდაუვალია). ამ ფორმის გვერდით დადასტუ-  
რებულია აგრეთვე III კავშირებითის ფორმა ეყივნოს (ვარიანტია  
ეყივლოს): გეტყვ შენ, პეტრე, არღარა ეყივნოს (ვარ.  
ეყივლოს) ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ გზის უფარ-მყო მე, ვითარ-  
მედ არა მიცი მე (ლ. 22, 34). ეს ფორმა გვაგვარაუდებინებს, რომ წყვე-  
ტილის ფორმა მისგან იქნება იყივნა (იყივლა). მაშასადამე, გვაქვს  
ფორმები: ყვიის ქათამი — იყივნა (იყივლა) ქათამმან (ნახევრად გარდამა-  
ვალი ზმნა), უყივნიეს (უყივლიეს) ქათამსა, ეყივნა (ეყივლა) ქათამსა, ეყივ-  
ნოს (ეყივლოს) ქათამსა. აქედან ცხადია, რომ ეს ზმნა იმგვარივეა, როგორც  
ზრუნავს — იზრუნა. „ყვიის ქათამი“ — „ყვივა ქათამი“ ძველის-ძველი  
ფორმაა, ხოლო „ყვიის ქათამი“ — „იყივნა (იყივლა) ქათამმან“ — შემდ-  
გომი ხანისა. ეს არის მაგალითი მედიოაქტიური ზმნებისა, რომლებიც  
მეტად გავრცელებულია ახალ ქართულში.

### უნდაობითი ფორმები

214. ძველ ქართულში მოიპოვება ზმნათა ფორმები, რომელთაც შეიძლება  
უნდაობითი ეწოდოს, რადგანაც გამოხატავენ მოქმედებას, რომელიც უნდა მოხ-  
დეს (მომავალში), ან უნდა მომხდარიყო (წარსულში). საამისოდ იხმარება ზმნის  
საწყისი, რომელიც დაისმის ვითარებით ბრუნვაში და მეშველ არს ზმნასთან  
ერთად გამოხატავს, რაც უნდა მოხდეს, ხოლო იყო-სთან ერთად გამოხატავს, თუ  
რა უნდა მომხდარიყო. მაგალითი: (პეროდე) შეკრიბნა ყოველნი მდღელთ  
მოდღუარნი და მწიგნობარნი ერისანი და ჰკითხვიდა მათ: სადა შობად არს  
ქრისტე (მ. 2, 4). ეს ნიშნავს: სად უნდა იშვეს ქრისტე. ხოლო თუ არს ზმნის  
ნაცლად იყო იქნება (სადა შობად იყო ქრისტე), მაშინ ასეთ მნიშვნელობას  
მივიღებთ: სად უნდა შობილ იყო ქრისტე; მოსიკუდილ იყო იესუ (ი. 11, 51);

ზოგ შემთხვევაში არს ზმნიანი საწყისი ვითარებით ბრუნვაში მომავლის  
გაგებას შეიცავს და შეიძლება მყოფადის მაგივრობაც გასწიოს: არა ხოლო თუ  
აღდგა, არამედ აღ-ცა-დგა და აღ-ცა-მალღებად არს (სინ. მრ. 153, 30); აწ რო-  
მელსა-მე ჟამსა ყოფად არს საქმე ესე? (სინ. მრ. 157, 9); არცა იყო, არცა არს,  
არცა ყოფად არს (სინ. მრ. 43, 3).

ქალკე აღებული საწყისი მოქმედებით გვარსაც ეკუთვნის და ვნებითსაც,  
მაგრამ უნდაობით ფორმებში ყოველთვის ვნებითი იგულისხმება: (მი გვ ბ ე-  
ბ ა დ ვ ა რ თ (სინ. მრ. 78, 21) — უნდა მივეგებნეთ; შემდგომად სამისა დღისა  
ნინევეს დაქცევად არს (სინ. მრ. 107, 33) — სამი დღის შემდგომ ნინევე უნდა და-  
იქცეს; აღ-ცა-მალღებად არს (სინ. მრ. 153, 30) — კიდევ უნდა ამაღლდეს; ძმ  
კაცისაჲ მი ცე მ ა დ ა რ ს ჯ უ ა რ - ც უ მ ა დ (მ. 26, 2) — უნდა მიეცეს და მისთ..  
ს ლ ვ ა ზ მ ნ ა (მი-, მო-, შე-, გან- და სხვ.) უგვარო ზმნაა და ეს მას არ ეხება: ესე  
არს წინაჲსწარმეტყუელი, რომელი მოსლვად იყო სოფლად (ი. 6, 14 C). შიშუ-  
ველიცა გამოხუედ დედის მუცლით, შიშუველიცა წარსლვად ხარ (სინ. მრ.  
221, 8).

## სახელზმნა

სახელზმნა ორგვარია: საწყისი და მიმღობა..

### საწყისი

215. საწყისის ნიშანია **ა**, რომელიც დაერთვის ზმნის აწმყო ს თემას. ეს **ა** კუმშავს **ავ** და **ამ**-იან ზმნებს: ვჭუარავ — ფარავამ, აღუთქუამ — აღუთქუამ-მ და მისთ., ხოლო **ი**-ნიან ზმნებს მოჰკვეცს ამ **ი**-ს და, თუ ზმნის ფუძე შეკუმშული იყო, **ა**-ს დართვისას შეკუმშულივე დარჩება: აღვჭზრდი — აღზრდ-ა-მ, დავჰსჯი — დასჯ-ა-მ, განვჰკვდი — განკვდ-ა-მ და მისთ.. სხვა თემის ნიშნებს არა მოუვით რა; ვადიდებ — დიდებ-ა-მ, ვაკურთხევ — კურთხევ-ა-მ; განვაბნევ — განბნევ-ა-მ, განვაკმობ — განკმობ-ა-მ, მოესცემ — მიცემ-ა-მ, განვყოფ — განყოფ-ა-მ და მისთ..

216. ზოგჯერ საწყისის **ა** ზმნას ერთვის არა უშუალოდ, არამედ რაიმე ინფიქსის საშუალებით; ეს ინფიქსებია: **ნ, ომ, ოლ**.

ა) **ნ-არიანი საწყისი**. ნ-არის ჩართვა ახასიათებს ვ-ინზე გათავებულ ზმნის ფუძეებს; ბოვნ-ა-მ, დატვენ-ა-მ, შეწვენ-ა-მ, ძოვნ-ა-მ, წოვნ-ა-მ და მისთ..

ბ) **ომ-იანი საწყისი**. ომ ინფიქსი ახასიათებს გარდაუვალ ზმნებს: დგ-ომ-ა-მ (აღ-, შე-, და-), დადგრ-ომ-ა-მ, დაერდ-ომ-ა-მ, განცხრ-ომ-ა-მ, ჯღ-ომ-ა-მ, სხდ-ომ-ა-მ, ზღდ-ომ-ა-მ, შურ-ომ-ა-მ და სხვ..

გ) **ოლ-იანი საწყისი**. ასეთებია: ჰბრძავს — ბრძ-ოლ-ა-მ; წევს — წ-ოლ-ა-მ (\*წვ-ოლ-ა-ს ნაცვლად); მოსპ-ოლ-ვ-ა-მ გვიჩვენებს ორმაგ სუფიქსს (**ოლ-ავ**). უკანასკნელის **ა** ამოღებულია საწყისის **ა**-ს მიერ.

დ) **ს-ანიანი საწყისი**. ორიოდ ზმნა საწყისის საწარმოებლად წინიდან მიიღებს **ს**-ანს: რბის — ს-რბ-ა-მ, ვალ-ს — ს-ლვ-ა-მ (გადასმულია ვ ავიან ზმნათა ანალოგიით; უნდა იყოს წესით ს-ვლ-ა-მ), ს-ყიდ-ა-მ, გან-ს-ყიდ-ა-მ (და ვითარცა არარაჲ აქუნდა მას, რამცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან განსყიდაჲ ცოლისაჲ და შვილთა მისთაჲ, მ. 18, 25). ეს **ს** პირიან ფორმებშიც არის გადასული: ანუ არა ორი სირი ერთის დანგის განსყიდების (მ. 10, 29).

217. **საწყისის ილ-იანი ფორმები**. ძველ ქართულში მოიპოვება ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც საწყისის მაწარმოებლად აქვთ **ილ** სუფიქსი. ასეთებია: ტირს (ტირის) — ტირ-ილ-ი, დულს — დულ-ილ-ი, ქუსს — ქუს-ილ-ი დუმს — დუმ-ილ-ი, მტკივის — ტკივ-ილ-ი, მწყურის — წყურ-ილ-ი (წყურვ-ილ-ი), მძინავს — ძინ-ილ-ი (\*ძინ-ილ-ი-ს ნაცვლად), მღვძავს — ღვძ-ილ-ი; ყივის — ყივ-ილ-ი და სხვ..

218. **სი თავსართიანი საწყისი**. თუ **სი** თავსართი ერთვის ზმნას, მას კიდევ უნდა სუფიქსი **ილ** (**სი—ილ**), **ულ** (**სი—ულ**) ან **ოლ** (**სი—ოლ**).

**სი—ილ**: სი-მშ-ილ-ი (შიმშილი), სი-კუდ-ილ-ი, სი-რბ-ილ-ი (სრბ-ა-ს პარალელურად), სი-ორძ-ილ-ი, სი-ბორგ-ილ-ი, სი-ყმ-ილ-ი და სხვ..

**სი—ულ:** სი-ხარ-ულ-ი, სი-ყუარ-ულ-ი, სი-ნან-ულ-ი, სი-ქად-ულ-ი.

**სი—ოლ:** ა-ი-ვლტ-ოლ-ა-ა.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, **ა** სუფიქსი აწარმოებს საწყისებს გარდამავალი ზმნებისგან, მათვე ემატება **ნ**-არიანი საწყისი, ხოლო დანარჩენი აფიქსები (**ომ, ოლ, ილ, ს** და **სი**) გარდაუვალი ზმნების საწყისის მაწარმოებლებია.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებსა და ვნებითისას ერთი და იგივე საწყისი აქვთ; მაგ., **წ** **ე რ ა მ** საწყისია როგორც **ვ წ ე რ** ზმნისა, ისე **ვ ი წ ე რ ე ბ ი**-სა; **მ ა ლ ვ ა მ** საწყისია **ვ მ ა ლ ა ვ** და **ვ ი მ ა ლ ვ ი** ზმნებისა, **შ ე წ უ ხ ე ბ ა მ** საწყისია მოქმედებითი **შ ე ვ ა წ უ ხ ე ბ** ზმნისა და ვნებითი **შ ე ვ წ უ ხ ე ბ ი**-საც.

## მიმღეობა

219. **მოქმედებითი გვარის მიმღეობა.** მოქმედებითი გვარის ზმნა, ვნებითი გვარის ზმნისაგან განსხვავებით, ერთ მიმღეობას აწარმოებს, რომელსაც დროული გაგება არ ახლავს. იგი იწარმოება უმეტესად **მ—ელ** პრეფიქს-სუფიქსით. ამასთანავე **ელ** სუფიქსს შეუძლია ამოიღოს წინამავალი ფუძის ხმოვანი ინიან ზმნებში და შეკუმშოს იგი (ვზრდი — მ-ზრდ-ელ-ი, ფუძეა **ზარდ**), ხოლო **ავ**-იან და **ამ**-იან ზმნებში ამოიღებს თემის ნიშნის ხმოვანს: ვჭფარავ — მ-ფარველ-ი, შევსწირავ — შე-მ-წირ-ველ-ი, აღუთქუამ — აღ-მ-თქუ-მ-ელ-ი. სხვა თემის ნიშნებს არა მოუვათ რა: ვბრძანებ — მ-ბრძანებ-ელ-ი, ვკმობ — მ-კმობ-ელ-ი, ვიპყრობ — მ-პყრობ-ელ-ი, მივსცემ — მი-მ-ცემ-ელ-ი, ვჰყოფ — მ-ყოფ-ელ-ი და სხვ..

ზოგ შემთხვევაში **მ** პრეფიქსის ნაცვლად არის **მა**. ეს მაშინ, თუ ზმნას საარვისო ქცევა ნაწარმოები აქვს **ა**-თი: ვადიდებ — მა-დიდებ-ელ-ი, აღვავსებ — აღ-მა-ვსებ-ელ-ი, აღ-ვადგინებ — აღ-მა-დგინებ-ელ-ი, აღ-ვაშენებ — აღ-მა-შენებ-ელ-ი და მისთ.

ამას უნდა დავსძინოთ, რომ, თუ გარდამავალი ზმნა საარვისო ქცევაში გვიჩვენებს **ე** ხმოვანს (რაც იშვიათია), შეიძლება ამ ხმოვანმა მიმღეობაშიც იჩინოს თავი: ეძიებს — მე-ძიებ-ელ-ი.

ის მიმღეობანი, რომელნიც ხელობას აღნიშნავენ, ნაწარმოებია **მ—არ** (დისიმილაციით **მ—ალ**) აფიქსების საშუალებით: ვხატავ — მ-ხატვ-არ-ი, ვს-თესავ — მ-თესვ-არ-ი, ვ-ღებავ — მ-ღებვ-არ-ი, ვ-წერ — მ-წერ-ალ-ი, ვ-ჩხრეკ — მ-ჩხრეკ-ალ-ი, ვ-კურნ-ებ — მ-კურნ-ალ-ი (თემატური ნიშნის შეკვეცით), ვკერავ — მ-კერვ-ალ-ი და სხვ.. ამგვარადვეა ნაწარმოები მ-გმობ-არ-ი და მა-ცხოვ-არ-ი (ა-ცხოვ-ნ-ებს — მა-ცხოვ-არ-ი).

ორი ზმნის მიმღეობა გამოწვევის შეადგენს იმ მხრივ, რომ ხელობის სახელი ნაწარმოებია **მ—ულ** პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით, თანაც ისე, რომ სუფიქსი **ულ** არ კუმშავს ზმნის ფუძეს: მ-საჯ-ულ-ი და მ-ზარდ-ულ-ი.

**მო—ულ** აფიქსებით ნაწარმოებია რამდენიმე მიმღეობა: მო-ქად-ულ-ი, მო-

საჯ-ულ-ი<sup>1</sup>, მო-ციქ-ულ-ი. უკანასკნელი ნაწარმოებია „ვეციქუ“ ზმნისაგან (ეფეს. 6, 20), რომელშიც უ უმარცვლოა და მიმღეობის ფორმაში იკარგება უ ხმოვნის წინ („ვეციქუ“ ამას ნიშნავს: „გმოციქულობ“). განმარტოებით დგას მო-მკ-ალ-ი (მკის—მომკალი).

220. პრეფიქსიანისა და სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა მიმღეობა. ვნებითი გვარის მიმღეობა ძველ ქართულში სამგვარია: ორი წართქმითი და ერთი უკუთქმითი. ის ორი წართქმითი მიმღეობა ერთმანეთისაგან განსხვავდება დროის მიხედვით: ერთია წარსული დროისა (მაგ., აღზრდილი), მეორე — მომავლისა (მაგ., აღსაზრდელი). მაგრამ ეს „წარსული“ და „მომავალი“ არსებითად თანამდევრობის კატეგორიაა, და არა დროისა; ერთია ნ ა ს წ რ ე ვ ი, მეორე მ ო მ დ ე ე ვ ნ ო ი მ ზმნის დროსთან შეფარდებით, რომელიც ნახმარია ვნებით-მიმღეობიან წინადადებაში, მაგ., მივგუჟარე მოძღუარსა აღზრდილი ყრმად და მივგუჟარე მოძღუარსა აღსაზრდელი ყრმად; პირველ მაგალითში აღზრდა უძღვის მიგვრას, მეორე მაგალითში კი მოსდევს მას<sup>2</sup>. ვნებითი გვარის მიმღეობანი იწარმოება საზოგადოდ საწყისისაგან, რომელიც საერთოა ორივე გვარის ზმნისათვის, მოქმედებითისა და ვნებითისა. გამოწვევის წარმოადგენს უნიშნო ვნებითის მიმღეობის წარმოება.

221. ნასწრევ-დროიანი მიმღეობა. ვნებითი გვარის ზმნათა ნასწრევ-დროიანი მიმღეობა იწარმოება ულ და ილ სუფიქსების საშუალებით. ულ მოუღის ავ, ამ, ებ, ევ, ემ-იან ზმნებს, ილ კი—ერთ-თემიანებს, ორ-თემიანთაგან ხმოვან-მონაცვლეებსა და ი, ობ, ოფ-იანებს. ორსავე სუფიქსს შეუძლია ამოიღოს წინამავალი ხმოვანი: ულ-ს თემის ნიშნისა, ილ-ს კი — ფუძის ხმოვნისა.

სუფიქსი ულ. ეს სუფიქსი ამოიღებს ავ და ამ-იან ზმნებში თემის ნიშნის ხმოვანს. თანაც ავ-იან ზმნებში თემის ნიშნის ვ, უშუალოდ მოხვედრილი უნის წინ, დაიკარგება და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქო ულ უშუალოდ ერთოდეს ზმნის ფუძეს, მაგ. და-ხატ-ვაჲ—და-ხატ-ულ-ი (\*დახატვულის ნაცვლად), და-მალ-ვ-აჲ — და-მალ-ულ-ი (\*დამალვულის ნაცვლად) და მისთ.. შე-ბმად — შე-ბმ-ულ-ი, აღ-თქუმა-ჲ — აღ-თქუმ-ულ-ი და მისთ.. აღ-ვსებაჲ — აღ-ვსებ-ულ-ი, აღ-შენებაჲ — აღ-შენებ-ულ-ი და მისთ..

ევ-იან ზმნებს ულ-ის დართვისას დაეკარგებათ ვ და თემის ნიშნისაგან მარტო ე დარჩება: კურთხევაჲ — კურთხე-ულ-ი, განბნევაჲ — განბნე-ულ-ი და მისთ..

მიცემაჲ — მიცემ-ულ-ი, დაცემაჲ — დაცემ-ულ-ი და მისთ..

გამონაკლისია: და-წუვაჲ — და-მ-წუ-არ-ი და მოსრვაჲ (მოისრა) — მო-მ-სრა-ლი (ლ. 4, 18).

„მოზღუდვა“ ზმნის ვნებითი გვარის ნასწრევ-დროიანი მიმღეობა ნაწარმოებები აქვს ილ-ის საშუალებით: მოზღუდვილ-ი.

სუფიქსი ილ. მაგალითები; დაწერაჲ — დაწერ-ილ-ი, განტეხაჲ — განტეხ-

<sup>1</sup> მსაჯული სხვა და მოსაჯული — სხვა. მოსაჯული ნიშნავს მომჩივანს.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. მეორე გამოცემა. 1973, § 583.

ილ-ი, გან-დრეკ-აჲ — გან-დრეკ-ილ-ი, განწმედაჲ — განწმედ-ილ-ი, გან-ზრდაჲ — განზრდ-ილ-ი, დასჯაჲ — და-სჯ-ილ-ი და მისთ. და-ლტობაჲ — დალტობ-ილი, და-მკობაჲ — და-მკობ-ილ-ი და მისთ. განყოფაჲ — გან-ყოფ-ილ-ი, და-ყოფაჲ — და-ყოფ-ილ-ი და მისთ.. თავისებურ მ—ე წარმოებას გვიჩვენებს მწე (ვინც ეწევა, ვინც ეხმარება) და მრე (ვინც ერევა). მათ კვალს მიჰყვება გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები მძლე (ვინც სძლევს). წარწყმედა-საგან ნაწარმოებია წარწყმედ-ილ-იცა და წარწყმედ-ულ-იც.

222. მომღვენო დროისა და უკუთქმითი მიმღეობა. რაც შეეხება მომღვენო დროისა და უკუთქმით მიმღეობას, მათ სუფიქსი ერთნაირი აქვთ, ხოლო განსხვავდებიან პრეფიქსის მიხედვით. საერთო სუფიქსი იგივეა, რაც სათანადო მოქმედებითი ზმნის მიმღეობისა; ამიტომ მოქმ. გვარის მიმღეობა, ვნებითი გვარის მომღვენო დროის მიმღეობა და ვნებითი გვარისავე უკუთქმითი მიმღეობა ერთნაირ სუფიქსებს გვიჩვენებენ, განსხვავება კი პრეფიქსის მიხედვით არის დამყარებული: მომღვენო დროის მიმღეობის პრეფიქსია **სა**, ხოლო უარყოფითი ვნებითის მაწარმოებელია პრეფიქსი **უ**. ამიტომ გვაქვს: მ-ბან-ელ-ი, უ-ბან-ელ-ი, სა-ბან-ელ-ი; მა-ქებ-ელ-ი, სა-ქებ-ელ-ი, უ-ქებ-ელ-ი; მა-კურთხევ-ელ-ი, საკურთხევ-ელ-ი, უ-კურთხევ-ელ-ი; და-მ-სჯ-ელ-ი, და-სა-სჯ-ელ-ი, და-უ-სჯ-ელ-ი; გან-მ-ყოფ-ელ-ი, გან-სა-ყოფ-ელ-ი, გან-უ-ყოფ-ელ-ი, მი-მცემ-ელ-ი, მი-სა-ცემ-ელ-ი, მი-უ-ცემ-ელ-ი და მისთ..

223. უნიშნო ვნებითის მიმღეობა. უნიშნო ვნებითის ზმნათა მიმღეობის მაწარმოებელია პრეფიქს-სუფიქსი მ—არ (რე-გამორეულ ფუძეებში დისიმილაციით მ—ალ): დავქენ — და-მ-ქენ-არ-ი, მოგუყედ — მო-მ-კუდ-არ-ი, და-ვჯედ — და-მ-ჯედ-არ-ი, მოვეყმ — მო-მ-ყმ-არ-ი, გან-ვტეფ — გან-მ-ტეფ-არ-ი, დადნა — და-მ-დნ-არ-ი და მისთ.. გამოწაკლისს წარმოადგენს: დალბა — და-მ-პ-ალ-ი (ნაცვლად ამისა: \*და-მ-ლბ-არ-ი).

არის პარალელური წარმოებაც საწყისისაგან: აღდგომაჲ — აღდგომილი, დაერდომაჲ — დაერდომ-ილ-ი, დაშთომაჲ — და-შთ-ომ-ილ-ი, დაჯდომაჲ — და-ჯდ-ომ-ილ-ი. ამავე ტიპისაა: დაწოლაჲ — და-წოლ-ილ-ი.

განძლომასა და დაშურომას მა—არ აფიქსებით აქვთ ნაწარმოები მიმღეობა: განძელ — გან-მა-ძლ-არ-ი, დაეშუერ — და-მა-შურ-ალ-ი (დისიმილაციით).

224. ვნებითი გვარის ზმნათა პრეფიქსიანი მიმღეობა. მაწარმოებელია პრეფიქსი **ნა**, რომელიც უმეტესად უზმნისწინო ზმნათა ფუძეებს დაერთვის: ნა-ბანი, ნა-გოზი, ნა-გუმ-ი, ნა-კუთ-ი, ნა-ტეხ-ი, ნა-ყოფ-ი, ნა-შობ-ი, ნა-ცვალ-ი, ნა-შრომ-ი და მისთ. მაგ., და წარიყვანა იგინი მასვე ჟამსა ლამისასა და გან-ბანა იგინი ნაგუმეთა მათგან (საქმე 16, 33).

ზმნისწინიანი მიმღეობის მაგალითებია: და-ნა-ხეთქ-ი (ლ. 16, 26), მო-ნა-გებ-ი (აქუნდა მონაგები ფრიად, მრ. 10, 22), შე-ნა-კრებ-ი და მისთ..

ავ-იან და ამ-იან ზმნებში, **ნა** პრეფიქსის დართვისას, **ავ** და **ამ** შეიცვლება **ე**ვ-ად და **ემ**-ად: ნა-მალ-ეე-ი, ნა-მარხ-ეე-ი, ნა-მუსრ-ეე-ი, ნა-პარ-ეე-ი, აღ-ნა-

თქემ-ი და მისთ.. ავ დარჩება იმ შემთხვევაში, თუ ფუძეშია ე: ნა-ტყუენ-ავ-ი (ნატყუენავსა და ნაძარცუევსა მტერთასა, II მეფ. 23, 10).

ამგვარად ნაწარმოები მიმღობანი არსებით სახელეს ეკედლებიან. შეიძლება ამას დავსძინოთ, რომ ამგვარადვეა ნაწარმოები „მგელ“ სახელისაგან ნა-მგლ-ევ-ი (მგლისაგან კბილ-გაკრული).

ავ-იან ზმნებს მიეკედლა ამ შემთხვევაში გავ ფუძის ზმნა (განვჰგვი, განვ-გავე): ნაგევი („ნაგავი“).

ეშინის ზმნის მიმღობაა მოშიში.

225. **სტატიკურ ზმნათა მიმღობა.** სტატიკურ ზმნათა იმ ნაწილს, რომელსაც აწმყოში იეს დაბოლოება აქვს (უპყრიეს და მისთ.), მიმღობის ფორმები არ მოეპოვება.

ის ზმნები კი, რომელთაც თემის ნიშნად ავ აქვთ (სძინავს და მისთ.), მიმღობას აწარმოებენ მ—არ-ე და მო—ე აფიქსების საშუალებით.

მ—არ-ე: ჰ-ღვძ-ავ-ს — მ-ღვძ-არ-ე-მ, ს-ძინ-ავ-ს — მ-ძინ-არ-ე-მ („წიგნის კითხვისას მძინარე და ზღაპრობასა მღვძარე“).

ამგვარადვეა ნაწარმოები მო-წაფ-ე-მ, რომლის ფუძე წაფ დიალექტური სახეობაა სალიტერატურო წავ-ისა, რომელიც ს-წავ-ება-სა და ს-წავ-ლა-შია დასატურებული.

ამავე მო—ე აფიქსებს მიიღებს ვნებ. გვარის ზმნები ეწყალის, იწამების (იწამა) და ავიწყდების: მო-წყალ-ე-მ, მო-წამ-ე-მ, მო-ვიწყ-ე-მ.

„სთრავს“ ზმნის მიმღობაა მ-თრე-ალ-ი (დისიმილაციით \*მთრე-არ-ის ნაცვლად).

226. **საშუალი გვარის ზმნათა მიმღობა.** საშუალი გვარის ზმნათა მიმღობის მაწარმოებლებია: მ—ან, მ—არ (მ—ალ): მ—არ-ე (მ—ალ-ე), მო—ე.

მ—ან: მ-სუქ-ან-ი (მ-სუქ-ან-ე), მ-სივ-ან-ი, მ-ტიკვ-ან-ი.

მ—არ: (მ—ალ): ყვრის — მ-ყვრ-ალ-ი; ტირს — მ-ტირ-ალ-ი.

მ—არ-ე (მ—ალ-ე): დუმს—მ-დუმ-არ-ე-მ (ვარ. მ-დუმ-არ-ი), დულს — მ-დულ-არ-ე-მ, წუხს—მ-წუხ-არ-ე-მ, ს-ცონის — მ-ცონ-არ-ე-მ ბრწყინავს — მ-ბრწყინ-ვ-ალ-ე-მ. გამონაკლისია ელავს — ელვ-არ-ე-მ (მოსალოდნელი იყო მე-ელვ-არ-ე-მ).

მო—ე: უ-ყუარ-ს — მო-ყუარ-ე-მ, ს-ძულ-ს — მო-ძულ-ე-მ, ს-ძავ-ს — მო-ძავ-ე-მ, ს-ცალ-ს — მო-ცალ-ე-მ.

არის აგრეთვე მო—ედ პრეფიქს-სუფიქსი, რომლის საშუალებით ნაწარმოებია გარდაუვალი ზმნისაგან მო-რბ-ედ-ი (შესულია რთულ „წინა-მორბედ“-ში) და გარდამავალისაგან მო-ქმ-ედ-ი (შე-).

აღსანიშნავია, რომ სტატიკურისა და ზოგი სხვა ვნებითი გვარის ზმნის მიმღობათა თავისებურება ის არის, რომ მათში წარმოდგენილია არა სუბიექტური პირი, არამედ ირიბ-ობიექტური: მოყუარე არის ის, ვისაც უყუარს (და არა ის, ვინც უყუარს, ან რაც უყუარს), მძინარე არის ის, ვისაც სძინავს, მთრავალი არის ის, ვისაც სთრავს, მოწყალე არის ის, ვისაც ეწყალის, მოვიწყე არის ის, ვისაც ავიწყდება. მაგრამ მოწამე არის ის, ვინც იწამა, ვინც აწამეს.

## უ ლ ე ტ რ ე ბ ი

### ზმნიზედა

227. **ადგილის ზმნიზედა:** სადა, სადა-იგი, აქა, იქი, მანდა, მუნ, ზე, ქუე, წინა, უკუანა, მგუარდლ, შუეა, შოვრის (შორის), შინაგან, ვინაჲ, ვიდრე, მარჯულ, მარცხლ, ამიერ, მაგიერ, იმიერ, დაქუე, მართლუქუნ, გარე, გარეშე, ზენათგან და სხე.

ორიოდე მაგალითი ძეგლებიდან: ზე აღდგა მკუდარი იგი (ლ. 7, 15 C); ვერ ეძლო ზე აღხილვად ყოვლითურთ (ლ. 13, 11); ვიცი ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ, ხოლო თქუენ არა იცით, ვინაჲ მოვედ და ვიდრე ვალ (ი. 8, 14); წინა და უკუანა და მგუარდლ კილოზისა ღმრთისაჲსა (II მეფ. 6, 4).

**ღრის ზმნიზედა:** ოდეს, ოდეს-იგი, რაჲამს, აწ, გუშინ, დღეს, ხვალე, ზეგე, ძოღან, ზამთრის („ზამთარში“), ზაფხულის („ზაფხულში“), ამიერთგან, არასადა („არაოდეს“), არლა, მარადლე (მარადლ, მარადის), მწუხრი, დილეულ, სამხრის, უკუანაჲსკენელ, ხვალისაგან, შემდგომად, წუთსწუთ.

კურნებათა აღვასრულებ დღეს და ხვალე და ზეგე აღვესრულები (ლ. 13, 32).

**ვითარების ზმნიზედა:** ვითარ, ვითარ-იგი (ვითარ-ეგე, ვითარ-ესე), ვითარ-ცა-იგი, ესოდენ (ესთენ), ესრე, ესრტ (ესრეთ), ეგრე, ეგრტ (ეგრეთ), მართლ, ფრიად, ძნიად, მრგულიად, მართლიად, მძაფრიად, მდუმრიად, მაგრიად, ზედამს-ზედა, მყის, ბერძლ, მკედრ, მკუეთრ, ჯეკმა, ზოგად, პირს-პირ (პირისპირ).

ზმნიზედისაგან შეიძლება ზედსართავი ვაწარმოოთ: „წინა“ და „უკუანა“ ზმნიზედებია, მაგრამ „წინა-ჲ“ და „უკუანა-ჲ“—ზედსართავები: ესრტთ იყენენ წინანი უკუანა და უკუანანი—წინა (მ. 20, 16). აქ „უკუანანი“ და „წინანი“ მრ. რიცხვში დაყენებული ქვემდებარებია, ხოლო უკუანა და წინა შედგენილი შემასვენლის სახელადი ნაწილებია.

სახელი, გაორკეცებით დასმული ვითარებითში, ვითარების ზმნიზედაა: ასოდ-ასოდ, ზვნად-ზვნად, გუნდად-გუნდად, ბანაკად-ბანაკად და მისთ.

ზოგი ზმნიზედა თანდებულადაც არის გამოყენებული.

### თანდებული

228. თანდებული ძველ ქართულში შეიძლება იყოს წინდებულიცა და უკუდებულიც. უმეტესობა თანდებულებისა უკუდებულია. არის ზოგიერთი თანდებული, რომლებიც თავშიც დაესმის სახელს და ბოლოშიც (ე. ი. წინდებულიც არის და უკუდებულიც). ამას გარდა, ზოგიერთი თანდებული ორ ბრუნვას დაერთვის (მაგ., გან).

კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ თანდებულები ზედა, თანა და წინაშე შეიწ-

ყობენ ნათესაობითის ფორმას ან მიცემითისას იმის მიხედვით, ვინ ჯგუფის სახელებთან (ე. ი. ადამიანის სახელებთან) არის რომელიმე მათგანი ნახმარი თუ რა ჯგუფის სახელებთან (ე. ი. ნივთის სახელებთან). ვინ ჯგუფის სახელები იხმარება ნათესაობითის ფორმით, რა ჯგუფის სახელები კი — მიცემითის ფორმით. მაგრამ ეს ზოგადი კანონი ზოგჯერ დარღვეულია.

ბრუნვათაგან სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი არავითარ თანდებულს არ მიიღებენ, დანარჩენი ბრუნვების ფორმებთან კი თანდებული ჩვეულებრივია. ეს ბრუნვებია: წრფელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მიმართულებითი, მოქმედებითი და ვითარებითი. ქვემოთ მაგალითებში მოყვანილი იქნება სახელთა მხოლოდითი რიცხვის ფორმები, რადგანაც თანაირ მრავლობითში ბრუნვებს განსხვავებული ფორმები არ მოეპოვება.

229. **თანდებული წრფელობითთან:** წყაროებრ, პირუტყყუებრ. ებრ კვეცავს. წინამავალ ხმოვანს: მამებრ. იხმარება ნათესაობითთანაც.

### 230. თანდებულები მიცემითი ბრუნვის ფორმასთან.

**ზედა.** მიცემითის ფორმას უმთავრესად რა ჯგუფის სახელთაგან მოითხოვს: გზასა ზედა, ზღუასა ზედა, კლდესა ზედა, თივასა ზედა, საკურთხეველსა ზედა, საყდარსა ზედა და მისთ. იგი იხმარება აგრეთვე ნათესაობით ბრუნვის ფორმასთანაც (§ 231).

**თანა.** იხმარება უმთავრესად რა ჯგუფის სახელებთან: საფლავსა თანა, მთასა თანა, წყაროსა თანა, ზღუასა თანა, წყალსა თანა. იხმარება ნათესაობითთანაც (§ 231).

**შორის.** წინდებულადაც იხმარება და უკუდებულადაც: შორის თესლებსა (ეზეკ. 16, 18), თესლებსა შორის (ეზეკ. 29, 12).

**შინა:** ბნელსა შინა, ნათელსა შინა, გულსა შინა, დაბასა შინა, მას დღესა შინა, ეზოსა შინა, ზღუასა შინა და სხვ..

**წინაშე** (ნ. § 231).

**ქუეშე.** ცხედარსა ქუეშე (მრ. 14, 21).

**გარე.** წინდებულიც არის და უკუდებულიც: ველსა გარე, გარე ქალაქსა.

**გარეშე.** წინდებულია: გარეშე ეზოსა, გარეშე ქალაქსა.

### 231. თანდებულები ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან.

**-თხს.** ეს „თხს“ მხოლოდ უკუდებულია და მარტოოდენ ნათესაობითის ფორმას დაერთვის (გავრცობილს): კაცისათხს, მოყუსისათხს, დედისათხს, მაგრამ: იაკობისთხს, ამისთხს. ეს „თხს“ საერთოდ უშუალოდ დაერთვის ნათესაობითის ფორმას, მაგრამ შეიძლება მათ შუა ჩაისვას ვე ნაწილაკი: ყოვლისავეთხს საქმისა (მ. 18, 19).

**-გან:** ერისაგან, მოყუსისაგან, დედისაგან, იაკობისგან, ამისგან (ეგვივე გან იხმარება მოქმედებითის ფორმასთანაც). იგი მხოლოდ უკუდებულია.

**-ებრ:** ძალისებრ, შეწვევისებრ, მისებრ, ამისებრ. ესეც უკუდებულია. (ნ. §229).

**ზე.** აღნიშნავს დროს: მრავალნი კეთროვანნი იყვნეს ელი ს ე ს ზე წინამსწარმეტყუელისა (ლ. 4, 27 C). „ელისეს ზე“ ამას ნინშავს: ელისეს დროს. ეს „ზე“ უკუდებულია.

**თვნიერ.** უპირატესად წინდებულია: თვნიერ ფიცისა, თვნიერ სისხლისა, თვნიერ ყრმებისა და დედებისა (მ. 14, 21) და მისთ.. იშვიათად უკუდებულადაც იხმარება: ამისა თვნიერ (ებრ. 12, 14 AB=რომლისა თვნიერ, იქვე CD).

**თანა.** იგი უკუდებულია და უპირატესად ადამიანის აღმნიშვნელ სახელთან იხმარება: მე არცა ერთი ბრალო ვპოვე ამის თანა (ი. 18, 38, ნათქვამია იესოზე); მამისა თანა, აბრაჰამის თანა, ქმრისა თვისისა თანა, სიძისა თანა, იხმარება მიცემითის ფორმასთანაც.

**წინაშე.** უპირატესად წინდებულია. წინაშე მთავრისა, წინაშე უფლისა, წინაშე მამისა, წინაშე ძისა კაცისა და მისთ.. იხმარება მიცემითთანაც: წინაშე საკუთხეველსა, წინაშე დაბასა მაგას, წინაშე საფლავსა მას, წინაშე ტაძარსა მას. (როგორც მაგალითებიდან ჩანს, იგი იხმარება ნათესაობითში ვინ ჯგუფის სახელებთან, მიცემითში კი—რა ჯგუფის სახელებთან, მაგრამ ეს წესი ყველგან მტკიცედ გატარებული არ არის).

სახარების ენაში დადასტურებულია „წინაშე“ თანდებულის ხმარება პირის ნაცვალსახელებთან როგორც წინდებულად ისე უკუდებულად: ჩემ წინაშე და წინაშე ჩემსა, შენ წინაშე და წინაშე შენსა, მის წინაშე და წინაშე მისსა, თქვენ წინაშე და წინაშე თქვენსა, მათ წინაშე და წინაშე მათსა. შექდეგ დასმისას „წინაშე“ ნათესაობითს მოითხოვს, როგორც ამას გვიჩვენებს „ჩემ წინაშე“, ხოლო წინ დასმისას — მიცემითს, როგორც ამაზე მიუთითებს „წინაშე მისსა“ და „წინაშე მათსა“. რადგანაც პირის ნაცვალსახელები არ იბრუნვის, ამიტომ მათ მაგივრობას ეწევა სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელი: ჩემი, შენი, ჩუენი, თქუენი. ეს მაგივრობა ვრცელდება მე-3 პირზედაც: მისი, მათი (მიც. მისსა, მათსა).

ამათ მსგავსად გაკეთებულია: წინაშე ყოველთასა (მრ. 2, 12).

**მდე.** მეფისამდე, ვერძისამდე, ხვალისამდე, დღისამდე, უკუნისამდე, მიუფლისამდე. მიგლახაკისამდე და სხვ. იხმარება ვითარებითთანაც (6).

**წილ.** მისი მნიშვნელობა „მაგივრად“. უკუდებულია: თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ (მ. 5, 38).

**მიერ.** უკუდებულია: მის მიერ, მამისა მიერ, უფლისა ჩუენისა მიერ. იხმარება მოქმედებითთანაც.

**ზედა.** უმთავრესად უკუდებულია და იხმარება ადამიანის აღმნიშვნელ სახელთან: იესუჟს ზედა, მის ზედა, ყრმისა ზედა.

### 232. თანდებული მიმართულებით ბრუნვასთან.

**მიმართ, მომართ:** ღმრთისა მიმართ, მისა მიმართ, მათა მიმართ, ჩემდა მომართ, ჩუენდა მომართ, შენდა მიმართ, თქუენდა მიმართ.

### 233. თანდებულები მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან.

**ურო:** ძირითურთ, ცხედრითურთ, მოწაფითურთ, ყოვლითურთ, ნავლლითურთ და მისთ..

**გან:** დასაბამითგან, იდაყვთგან, სიყრმიტგან, სიჭაბუკით ჩემითგან, დედის მუც-

ლით მისითგან და მისთ., იხმარება აგრეთვე ნათესაობითთანაც (ნ.).

**გამო. გარდამო:** ნავით გამო, ღრუბლით გამო; ცით გარდამო.

**კერძო:** მარცხენით კერძო. იხმარება ვითარებითთანაც: ზღუად კერძო.

**მიერ.** იხმარება წინდებულად მოქმედებით ბრუნვაში დასმულ ნაწევრით განსაზღვრულ სახელთან, მაგრამ ისე, რომ ნაწევარი იგულისხმება მხოლოდ, ფაქტობრივ კი არ მოიპოვება; მაგ., მიერ მითი (იმ მთიდან), მიერ ნავით (იმ ნავიდან), მიერ ტაძრით (იმ ტაძრიდან), მიერ სახლით (იმ სახლიდარ) და მისთ..

ღროის აღმნიშვნელი სახელები (ღღე, ყამი) ბოლოს მიიღებენ კიდევ გან უკუდებულს: მიერ ღღითგან (იმ ღღიდან), მიერ ყამითგან (იმ საათიდან). მიერ იხმარება ნათესაობითთანაც (ნ.).

### 234. თანდებულები ვითარებითი ბრუნვის ფორმასთან.

**მდე (მღის):** ცაღმდე (ნუ ცაღმდე აჰმალღები, მ. 11, 23); ღღემღდე, სიკუღდი(ღ)ღმდე, აღსღვამღდე, ქათმის ყვიღმდე, ჯოჯოხეთაღმდე და მისთ.. იხმარება ნათესაობითთანაც (ნ.).

**მდე(მღის)** თანდებულ-ღართულ სახელს შეიძლება დაერთოს კიდევ წინიდან მი ან მო თანდებული: აჰა იყო (შენ) დაღუმებულ და ვერ იტყოდი მი ღღემღდის, რომელსა ესე იყოს (ღ. 1, 20 C); დაარღვეთ, დაარღვეთ მისაფუღვღღამდე მისა (ფს. 136, 7); სისხლითგან აბელის მართლისათ მისისხღამდე ზაქარიასა (მ. 23, 35 C); მოსრა სეტყუამან ყოველსა ქუეყანასა ეგვბტისასა კაცითგან მიპირუტყუამდე (გამოს. 9, 25); მიმტკონანებაღმდე და სიბერეღმდე ნუღამაღებ მე (ფს. 70, 18); დავეყენე მოაქაღმდე (პრომ. 1, 13); დამარბეთ შუღლი წლითი-წლად მიერ ღღითგან მოღღემღდე (გამოს. 13, 10); კნინითგან მიღღღამდე (იერ. 42, 1); მოაქაღღემდე (ბარუქ 1, 13); ვიდრე მოაქაქამაღმდე (I მეფ. 5, 5).

**მო** და **მი** ზემორე მოყვანილ მაგალითებში წინდებულია. მაგრამ იგივე **მი** და **მო** ჩვეულებრივია უკუდებულადაც ნაცვალსახელებთან: ჩემდამო გაღობღეს, რომელნი სუმიღეს ღვნოსა, ზოლო მე ვილოცევღ შენდამი (ფს. 68, 13—14).

## აკვშირი

235. მეურთებელ კავშირთგან აღსანიშნავია მაჯგუფებელი და: მამა და ძმ, ცოლი და ასული, ცაღ და ქუეყანაღ; პეტრე და იაკობ და იოვანეღ და მისთ..

უარყოფით წინადადებაში:

**არა...** **არცა:** მიხედენით მღრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯესა მათსა (მ. 6, 26); არცა ჭამდა და არცა სუმიღდა (ღ. 7, 33); არცა მე მიცით, არცა მამაღ ჩემი (ი. 8, 19).

**ნუ, ნუცა:** ნუ მიიღებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა (მ. 10, 9); ნუ ჰხადი მეგობართა შენთა, ნუცა ძმათა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა, ნუცა მოძმეთა შენთა მღღღართა (ღ. 14, 12).

**მაცალკევებელი:** ანუ, ანუ თუ: ვინ ცოდა: ამან ანუ მშობელთა ამისთა? (ი. 9,2); ჯერ-არსა ხარკისა მიცემაჲ კეისარსა ანუ არა? (მ. 22,17); რომელმან დაუტევოს სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამა ანუ დედა ანუ ცოლი ანუ შვილი ანუ ქუეყანაჲ (მ. 19,29); მეფენი ქუეყანისანი ვითვან მიიღებენ ხარკსა ანუ ზუერსა მათსა: შვილთაგან ანუ უცხოთაგან (მ. 17, 25); პირითა ორისა ანუ სამისა მოწამისადათა დემეტრიოსს ყოველი სიტყუაჲ (მ.18,16); იყოს-მე ვინ თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძმ თვის პურსა, ქვაჲ ნუ მისცეს მას? ანუ თუ თევზსა სთხოვდეს, გუელი ნუ მისცესა მას (მ. 7,9—10 C).

**გინა, გინა თუ:** იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ანუ-ს (ანუ თუ-ს): რომელსა უყუარდეს ძმ თვის გინა ასული თვისი (მ. 10,37); არავინ არს, რომელმან დაუტევოს სახლი გინა ძმანი გინა დანი გინა დედა გინა მამა გინა ცოლი გინა შვილი გინა აგარაკი (მრ. 10,29). მსგავსი წინადადება ზემოთ ანუ-თი არის გამართული. აჰა ესერა აჰა არს ქრისტე, გინა თუ ეგერა (მრ. 13,21 C); იყიდე, რაჲ გვკმდეს ღლესასწაულსა ამას, გინა თუ გლახაკთა რაჲ მიცემად (ი. 13,29).

**გარნა, გარნა თუ:** არარაჲ გუაქუს, გარნა ხუთი კუეზაჲ პური და ორი თევზი (მ. 14,17); არავინ იცის ძმ, გარნა მამამან, და არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან (მ. 11,27); არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა თვისსა სოფელსა (მ. 13,57); სხუაჲ ნავი არა იყო მუნ, გარნა ერთი იგი ხოლო (ი. 6,22); ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო (მრ. 5,36); ღმერთმან ცოდვილთაჲ არა ისმინის, გარნა თუ ღმრთის მსახურ ვინმე იყოს და ნებასა მისსა ჰყოფდეს, მისი ისმინოს (ი. 9,31 C); მპარავი სხუად არა მოვიდეს, გარნა თუ იპაროს (ი. 10,10 C).

### მაპირისპირებელი კავშირები

**ზოლო:** და მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად და დაიშთენეს ზღუასა მას შინა, ხოლო მწყემსნი იგი მათნი ივლტოდეს (მრ. 5 13-14).

**არამედ:** არა უქმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა (მრ. 2,17).

### 236. მაქვემდებარებელი კავშირები.

ა) ადგილისა: სადა, სადა-იგი: ქარი, სადა უნებს, ქრის (ი. 3, 8 C); ცათა შინა, სადა-იგი მპარავი არა მიეხების (ლ. 12,33).

ბ) დროისა: ოდეს, ოდეს-იგი, რაჲამს (რაჲამს, რაჲაჲამს), რაჲა: და ოდეს განთენა, მოუწოდა მოწაფეთა თვისთა (ლ. 6, 13); რომელ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშობა მას და მისთანათა (ლ. 6: 3); რაჲამს შეხვდოდით სახლსა, მოიკითხეთ იგი (მ. 10,12 C); შე-რაჲა-ხვდეთ სახლსა მას, მოიკითხეთ იგი (იქვე, DE); ესე რაჲა თქუა, უჩუენნა მათ კელნი და ფერკნი (ლ. 24, 40); შე-რაჲა-მწუხრდა, მარტოჲ იყო მუნ (მ. 14,23).

გ) მიზეზისა: რამეთუ („რადგანაც“): აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჲლისა, რამეთუ მოწყდეს ყოველნი,

რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა (მ. 2,20).

რამეთუ-ს ზოგჯერ „რომ“ კავშირის მნიშვნელობა აქვს: მე გეტყვ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე (მ. 16,18).

დ) მიზნისა: რამათ, და: მითხაროთ მე, რამათა მეცა მივიღე და თაყუნის-ესცე მას (მ. 2,8); არქუ ქვათა ამათ, რამათა პურ იქმნენ (მ. 4,3). მიზნის კავშირია აგრეთვე იშვიათად და-ც: რამ გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი (მ. 26,15); ვინ გნებავს ორთაგანი, და მიგიტეო თქუენ (მ. 27,17); სადა გნებავს, და მზა-გიყოთ შენ ჭამად ვნებაჲ ესე (მ. 26,17); რამ გნებავს ჩემგან, და გიყო თქუენ (მრ. 10,36) და მისთ..

ე) პირობისა: თუ, უკუეთუ: თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ (მ. 17,4); თუ არა დაგბანო, არა გაქუნდეს ჩემ თანა ნაწილი (ი. 13,8 C); გცეს თუ ვინმე მარჯუენესა ყურიმალსა, მიუპყარ მას ერთეკროძეცა (მ.5,39); იხილო თუ შიშული, შემოსე იგი (ეს. 58,7); უკუეთუ განგუსახამ ჩუენ, მიბრძანე მისლვად კოლტსა იმას ღორთასა (მ. 8,31); უკუეთუ არა იდაყუთგან დაიბანნიან კელნი, არა ჭამიან (მრ. 7,3). ხშირია, რომ ოთხთავის DE რედაქციის ტექსტში „უკუეთუ“ იკითხებოდეს, აღიშური ოთხთავის სათანადო აღგილას კი — „თუ“: უკუეთუ შესწირვიდე შენ შესაწირავსა შენსა (მ. 5,23 DE) = შე-თუ-სწირვიდე შესაწირავსა შენსა (იქვე, C); უკუეთუ მარჯუენს კელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი (მ. 5,30) = და თუ მარჯუენე კელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი (იქვე, C); უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ (მ. 21,21) = გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ (იქვე, C).

თუ-ს იშვიათად „რომ“ კავშირის მნიშვნელობა აქვს: არავის ასმიეს, თუ აღვინმე უხილნა თუალნი ბრმისანი (ი. 9,32 C).

ღათუ („თუმცა“, „კიდევაც რომ“): და უნდა ღათუ მისი მოკლვაჲ (მ. 14,5); და ღათუ ესენი ღუმენ, ქვანი ღალადებდენვე (ლ. 19,40); რომელსა ჰრწმენს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხონდესვე (ი. 11,25).

## ნაწილაკი

237. კითხვითი ნაწილაკებია: ა, -მე.

ა: გესმისა, რასა ესენი იტყვან (მ. 21, 16); სიმონ, გძინავსა (მრ. 14, 37); შენ ხარა ქრისტე; არას ჰზრუნავა; არას მიუგება? მივცეთა, ანუ არა? შენ ჩემდა მოხულა? და მისთ..

მე. ეს კითხვითი ნაწილაკი შეიძლება მაშინაც იყოს, თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვაა: ვის-მე კელ-ეწიფების ცხორებად (მ. 19,25); ვიდრე-მე ეგულეების ამას წარსლვად (ი. 7,35); უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რამათა-მე დაიშარლოს? (მ. 15,13). არა-მე ორნივე ჯურღმულსა შთაცვენ (ლ. 6,39).

ხშირია, რომ წინადადებაში ორივე კითხვითი ნაწილაკი იყოს, ჯერ -მე და მერმე -ა: არა-მე აღანთოსა სანთელი (ლ. 15,8); არა-მე მოვიდესა დღესასწაულსა (მ. 11,56); არა-მე ათორმეტნი თქუენ გამოგორჩიენა (ი. 6,70); პოვოს -მეა სარწმუნოებაჲ ქუეყანასა ზედა (ლ. 18,8) და მისთ..

ამ ნაწილაკს განუსაზღვრელობის შინაარსიც აქვს (ამაზე ცოტა ქვემოთ, § 240).

238. მიმართებითი ნაწილაკები. ჩვენებითი ნაცვალსახელები **ესე, ეგე, იგი** ნაწილაკებადაც არის გამოყენებული. ამ შემთხვევაში ისინი უცვალბებელი სიტყვებია: არც ბრუნვის მიხედვით იცვლებიან, არც რიცხვისა. სამაგიეროდ, მათ მიმართება აქვთ პირთან: პირველთან (**ესე**), მეორესთან (**ეგე**) ან მესამესთან (**იგი**). მაგალითები:

ა) მიმართება 1-ლ პირთან (**ესე**): ვითარცა-ესე მე გიყავ თქუენ, ეგრევე თქუენცა ჰყოფდით (ი. 13,15); რასა-ესე მე ვიქმ, აწ არა უწყი (ი. 13,7 C); რაჲ არს, რომელი-ესე მესმის შენთვის? (ლ. 16,2); რომელნი-ესე მომცენ მე (ი. 17,24).

ბ) მიმართება მე-2 პირთან (**ეგე**): არა ვიცი, არცა უწყი, რასა-ეგე იტყუ შენ (მრ. 14,68); თქუენ გეტყუ, რომელთა-ეგე გესმის (ლ. 6,27); რომელ-ეგე მოიშხადე, ვისა იყოს? (ლ. 13,20); მე გიცნი, რომელნი-ეგე გამოვირჩიენ (13,18 C).

გ) მიმართება მე-3 პირთან (**იგი**): რაჲ-იგი, რასა-იგი, რაჟამს-იგი, ოდეს-იგი, სადა-იგი, ვიდრე-იგი და სხ.. რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუაჲ-და ორი (მ. 25, 17); არა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით (მ. 12,3); ჰრქუა მათ რომელნი-იგი შეუდგეს მას (მ. 8, 10).

ამ ნაწილაკთა მნიშვნელობა იგივეა, რაც **ცა** ნაწილაკისა, მაგრამ ხშირია, რომ ისინი **ცა**-დართულ სიტყვასაც ერთოდენ: ვითარცა-იგი, რომელიცა-იგი, რომელმანცა-იგი, რომელსაცა-იგი, სადაცა-იგი და მისთ..

### 239. დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკები.

**ჰე.** დადასტურებითი ნაწილაკია: ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ (ი. 21, 15).

**არა, არა თუ, ვერ, ნუ.** ესენი უარყოფითი ნაწილაკებია. ამათგან „არა“ უარყოფს მარტივად, „ვერ“ შეუძლებელ მოქმედებას გულისხმობს, „ნუ“ კრძალავს მოქმედებას. მოქმედებას კრძალავს აგრეთვე „არა“ II კავშირებითის ფორმასთან ხმარებისას.

**არა, არა თუ:** არა არს აქა; სხუაჲ ნავი არა იყო მუნ (ი. 6,22); არა იპარო; შაბათი კაცისათჳს დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათჳს (მრ. 2,27).

**ვერ:** ვერ პოვეს იგი (ლ. 2, 45); თავისა თჳსისა ვერ ძალ-უც ცხოვნებად (მ. 27, 42); ვერ კელ-ეწიფების კეთილისა სიტყუად (მ. 12, 34).

**ნუ.** იგი დაერთვის ზმნის აწმყოს ფორმას ან აწმყოს ხოლმეობითისას და აწარმოებს აკრძალვით კილოს: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა ჰსწამებ (მ. 10, 19); ნუ ცადმდე აჰმალდე (მ. 11,23); ნუ მგუემ მე; ნუ მტანჯავ; ნუ გარდამოვალნ; ნუ გიკუზრ და მისთ.

ამ **ნუ**-ს შეიძლება ერთოდეს ნაცვალსახელები **ვინ, რაჲ** (ნუვინ, ნურაჲ) ან ნაწილაკები (ნუცა, ნუუკუე, ნულარა).

### 240. სხვა ნაწილაკები.

**ცა.** მნიშვნელობით დაახლოებით უდრის „აგრეთვე“-ს. იხმარება ყოველგვარ სიტყვასთან, პირიან ზმნასთანაც კი: ესეცა, ამანცა, ამასცა, რომელმანცა,

აქაცა, ეგრეცა, ვერცა, ვიდრეცა, იგიცა, პეტრეცა, განუკრდებოდაცა და მისთ.. მოწმობა ძეგლებიდან: მო-ცა-მიძულეს მეცა და მამაცა ჩემი (ი. 15, 24); სადაცა მე ვიყო, იგინიცა იყენენ ჩემ თანა (ი. 17, 24); მიგ-დედე შენ, ვიდრეცა ხვდოდი (მ. 8, 19); ბრმა იგი და ყრუ იტყოდა და ჰხედვიდაცა (მ. 12, 22).

**ცა-ღართულ** სიტყვას შეიძლება კიდევ ღაერთოს მისი სინონიმი **ესე, ეგე** ან **იგი**: ვითარცა-იგი, რომელიცა-იგი, რომელმანცა-იგი, რომელსაცა-იგი, სა-დაცა-იგი და მისთ.. შდრ. მეყსეულად წარვიდა, რ ო მ ე ლ მ ა ნ-იგი ხუთი ქან-ქარი მიიღო (მ. 25, 16) და: ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რ ო მ ე ლ მ ა ნ-ცა-ი გ ი ჰხადა მას (ლ. 7, 39). შდრ. ითქუას, რომელ-ესე ყო ამანცა საკსენე-ბელად მაგისა (მ. 26, 13 C) და იგივე ადგილი DE-ში: ითქუმოდის, რომელ-ცა-ესე ყო საკსენებლად მაგისა. თუ სახელს ახლავს უკუღებული, **ცა** შეიძლე-ბა ღაერთოს თვით სახელს ან უკუღებულს: მრავალსაცა ზედა ცრუ არს (ლ. 16, 10), მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს (იქვე). შეადარე აგრეთვე: მივიქ-ცე სახიდ ჩემდა, ვინადაც გამოვედ (მ. 12,44) და იგივე ნაწყვეტი C-ში: მივიქ-ცე სახიდ ჩემდა, ვინადაცა-იგი გამოვედ.

**ვე.** ამ ნაწილას ძველ ქართულში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ახალში. ახ-ლისაგან განსხვავებით, იგი ძველ ქართულში შეიძლება ზმნასაც ღაერთოს: იგივე, მანვე, მასვე (მასვე სახლსა), მისგანვე, მიოვე, ყოველივე, ყოველ-მანვე, ყოველსავე, ათნივე, ქვანი ღალადებდენვე, იყოვე, სწყუროდისვე, მო-ვე-ელოს და მისთ..

**მე.** განუსაზღვრელობის ნაწილაკია: იგი ღაერთვის კითხვით ნაცვალსახელს ან ზმნიზედს და აქცევს მას განუსაზღვრელად: ვინმე, რამე, რომელიმე, ოდესმე: მდიდარი ვინმე მორბიოდა მისა (მრ. 10, 17); ჩუენებამ რამე იხილა (ლ. 1, 22); იხოვდა რასმე მისგან (მ. 20, 20); რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ ალებად რამესამე სახლისაგან თვისისა (მ. 24,17); რომელიმე დავარდა გზასა ზედა (მრ. 13, 4); გამოიღო ნაყო-ფი და ყო რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოც-და ათი (მ. 13, 23); რომელთამე სცეს, რომელნიმე მოწყუდნეს. რომელ-თამე ქვაბ დაჰკრიბეს (მ. 21, 35); თქუენ არცა კმაბ მისი გესმა სადამე და არცა ხატი მისი იხილეთ (ი. 5, 37); თქუენ არასადა კმაბ მისი გესმა (იქვე, C). „სადამე“ აქ ნიშნავს „ოდესმე“, ხოლო „არასადა“ ნიშნავს „არასოდეს“. ნუ ზრუნავთ, ვითარმე ანუ რასამე იტყოდით (მ. 10, 19 C). **მე** ნაწილაკი კითხვითიც არის (ნ. ზემოთ § 237).

**უკუე.** ნიშნავს: მართლაც, მამასადამე: ვითარ უკუე აწ ჰხედავს (ი. 9, 19); შენ უკუე ხარ ძმ ღმრთისა (ლ. 22, 70); ევედრენით უკუე უფალსა სამკა-ლისასა (ლ. 10, 2).

**ნუ, ნუჟკუე** („ნუთუ“): მო- ნუ -ისთულიან ეკალთაგან ყურძენი? (მ. 7, 16 C). იგივე ადგილი ED-ში: ნუჟკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი?

**ღა.** ნიშნავს: „კიდევ“, „ჯერ კიდევ“: მოართუა მას სხუადა ხუთი ქანქარი (მ. 25,20); უფროხლა შფოთი იქმნების (მ. 27, 24); ვიდრე იგი შორს-

ლა იყო (ლ. 15, 20); ვიდრე იყოლა იგი გალილევას (ლ. 24, 6) — ვიდრე ჯერ კიდევ გალილეაში იყო.

**მებრ** („სრულებით“): დაგუავიწყდა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ (ხანდ.). იგი იხმარება უფრო უარყოფით წინადადებაში: ვითარმე წიგნი იცის ამან, რამეთუ უსწავიეს მებრ არა (ი. 7, 15 C).

**სამე** („მაშასადამე“, „კი“, „მართლაც“): აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შეილნი (მ. 17, 26); პირი სამე ცისამ იციე გამოცდად (მ. 16, 3); აჰა, ვითარ სამე უყუარდა იგი (ი. 11, 36).

**ძი** („თუ“, „აბა“ ΠΗ, же): სძინავს-ძი ანუ ჰლძავს (ხანდ.); ისუნებნ, იფქლი-სამ-ძი არს ანუ ქრთილისამ (სახისმ.); გამოვიდეს ზილვად, რამ-ძი არს, რომელ-იგი იქმნა (მრ. 5, 14); აცადეთ, ვიხილოთ, მო-ძი-ვიდეს ელია გან-რინებად მაგისა (მ. 27, 40 C); ვინ-ძი იყოს უდიდეს შორის მათსა (ლ. 9, 46); განივდებდეს მას ზედა წილსა, ვინ-ძი რამ აღილოს (მრ. 15, 24).

**უბე** (მიღებულია „უტევე“-საგან): უბე მოკუდეს (შუშ.) — დაე მოკვდეს.

**ო.** ეს ნაწილაკი სხვათა ნათქვამს გადმოგვეცემს (იგია ე. წ. სხვათა სიტყვის **ო**): მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალდა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო (მ. 27, 63); მრავალნი იტყოდესცა, ვითარმედ მოკუდაო (მრ. 9, 26 C); მო- ვინმე -უტდეს მას ჟამსა შინა სადუკეველნი, რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღდგომად არა არსო (ლ. 20, 27); ესრე მრქუა, ვითარმედ: განმიტევე მე, რამეთუ შესაწირავი უყოფიეს ნათესავთა ჩემთაო და კაცი მოუვლინებიეს ძმათა ჩემთაო, რამათა მივიდევო. აწ, თუ მიპოვნიეს მადლი წინაშე შენსა, მივიდევო და ვიხილნე ძმანი ჩემნიო (I მეფ. 20, 29).

**მცა.** ეს ნაწილაკი იხმარება თხრობით-კილოიან ზმნასთან და გამოხატავს სურვილს ან ნატვრას: უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ შენცა და იგიცა! (შუშ.); (პილატე) მოითხოვა წყალი და დაიბანა კელნი და თქუა: უბრალომცა ვარ მე სისხლისაგან მაგისისა! (მ. 27, 24). „უბრალომცა ვარ“ ნიშნავს: უბრალო ვიყო; ჰვიანმცა უკუნისამდე! მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი! და მისთ..

**მცა** ნაწილაკის სინტაქსური ძალის შესახებ ნ. § 282.

# ს ი ნ ტ ა ქ ს ი

## სუბიექტი და ობიექტი

241. **სუბიექტის ბრუნვა.** სუბიექტი (ანუ ქვემდებარე) შეიძლება იდგეს სახელობითში, მოთხრობითში ან მიცემითში. რომელ მათგანში უნდა იდგეს იგი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელია ზმნა პირის მიხედვით, ან როგორია იგი გარდამავლობის მიხედვით.

პირზე რომ ვმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს ზმნის ფორმა, რომელთანაც შეწყობილია სუბიექტი, 1-ლი პირისაა იგი, მე-2 პირისა, თუ მე-3-ისა. ხოლო გარდამავლობაზე რომ ვმსჯელობთ, იმას ვაქცევთ ყურადღებას, გარდამავალია ზმნა თუ გარდაუვალი.

242. **სუბიექტი 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებთან.** ზმნათა 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებს ეწყობა ნაცვალსახელები: მხოლობითში **მე** და **შენ**, მრავლობითში კი **ჩვენ** და **თქვენ**. ეს ისეთი ნაცვალსახელებია, რომელთაც ქვემდებარის ბრუნვებში (სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში) ერთნაირი ფორმები აქვთ. ამიტომ, როგორიც უნდა იყოს ზმნა, გარდამავალი თუ გარდაუვალი, და რომელი სერიის მწკრივშიც უნდა იდგეს იგი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, სათანადო ნაცვალსახელი ყველგან ერთი და იმავე ფორმით იქნება წარმოდგენილი.

### მაგალითი გარდამავალი ზმნისა

სერია

I. მე მოვკლავ	შენ მოკლავ	ჩვენ მოვკვლავთ	თქვენ მოკვლავთ
II. „ მოვკვალ	„ მოკვალ	„ მოვკვალთ	„ მოკვალთ
III. „ მომიკლავს	„ მოვიკლავს	ინკ. მოგვკლავს	„ მოვიკლავს
		ექს. მომიკლავს	

### მაგალითი გარდაუვალი ზმნისა

სერია

I. მე წარვალ	შენ წარხუალ	ჩვენ წარვალთ	თქვენ წარხუალთ
II. „ წარვედ	„ წარხუედ	„ წარვედით	„ წარხუედით
III. „ წარსრულ ვარ	„ წარსრულ ხარ	„ წარსრულ ვართ	„ წარსრულ ხართ

243. პირდაპირი ობიექტი 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებთან. როგორც ვთქვით, ნაცვალსახელები მე და შენ, ერთი მხრით, და ჩუენ და თქუენ, მეორე მხრით, ერთსა და იმავე ფორმას გვიჩვენებს სახელობითსა და მიცემითში. რომლებიც პირდაპირი ობიექტის ბრუნვებია. ამიტომ რომელ სერიაშიც უნდა იდგეს გარდამავალი ზმნა, აღნიშნული ნაცვალსახელები ყველგან ერთნაირად იქნება წარმოდგენილი.

სერია

I. მე მომკლავს მწუხარებაა, შენ მოგკლავს მწუხარებაა, ჩუენ მოგუკლავს (მომკლავს) მწუხარებაა, თქუენ მოგკლავს მწუხარებაა.

II. მე მომკლა მწუხარებამან, შენ მოგკლა მწუხარებამან, ჩუენ მოგუკლნა (მომკლნა) მწუხარებამან, თქუენ მოგკლნა მწუხარებამან.

III. მე მოუკლავ მწუხარებასა, შენ მოუკლავ მწუხარებასა, ჩუენ მოუკლავთ მწუხარებასა, თქუენ მოუკლავთ მწუხარებასა.

244. ირიბი ობიექტი 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებთან. ირიბი ობიექტის ბრუნვაა მიცემითი. რაკი 1-ლისა და მე-2 პირის ნაცვალსახელებს იგივე ფორმა აქვთ ამ ბრუნვაში, რაც სახელობითსა და მოთხრობითში, ამიტომ ირიბი ობიექტადაც იგივე მე, შენ, ჩუენ, თქუენ იქნება. მაგ., მე მომცემს მამაა ჩემი წიგნსა, მე მომცა მამამან ჩემმან წიგნი; შენ მოგცემს მამაა შენი წიგნსა, შენ მოგცა მამამან შენმან წიგნი; ჩუენ მოგუცემს (მომცემს) მამაა ჩუენი წიგნსა, ჩუენ მოგუცა (მომცა) მამამან ჩუენმან წიგნი; თქუენ მოგცემს მამაა თქუენი წიგნსა; თქუენ მოგცა მამამან თქუენმან წიგნი.

აქედან ჩანს, რომ პირის ნაცვალსახელები მე, შენ, ჩუენ, თქუენ, როგორი მნიშვნელობითაც უნდა იყოს ნახმარი (სუბიექტისა, პირდაპირი ობიექტისა თუ ირიბი ობიექტისა), ყველგან ერთი და იმავე ფორმით იქნება წარმოდგენილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაცვალსახელები მე, შენ, ჩუენ, თქუენ წინადადებაში შეიძლება იყოს სუბიექტიც, პირდაპირი ობიექტიც და ირიბი ობიექტიც იმის მიხედვით, თუ ზმნის როგორ პირთან არის შეწყობილი: სუბიექტურთან, პირდაპირ-ობიექტურთან თუ ირიბ-ობიექტურთან.

245. სუბიექტი გარდამავალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან. გარდამავალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან შეწყობილი სუბიექტი (ანუ ქვემდებარე) ბრუნვა-ცვალებადია: I სერიის მწკრივთა ფორმებთან იგი სახელობითში იდგას, II სერიის მწკრივთა ფორმებთან — მოთხრობითში, ხოლო III სერიის მწკრივთა ფორმებთან — მიცემითში. მაგალითი: მგელი შეშჰამს ცხოვარსა, მგელმან შეშჰამა ცხოვარი, მგელს შეუშჰამის ცხოვარი; მხატვარი დახატავს ირემსა, მხატვარმან დახატა ირემი, მხატვარსა დაუხატავს ირემი.

246. პირდაპირი ობიექტის ბრუნვები ზმნის მე-3 პირის ფორმასთან. პირდაპირი ობიექტი შეიძლება მხოლოდ გარდამავალ ზმნას ჰქონდეს. იგიც ბრუნვა-ცვალებადია, ოღონდ, სუბიექტისაგან განსხვავებით, მე-3 პირის ფორმებთან შეწყობილ პირდაპირ ობიექტს მხოლოდ ორი ბრუნვა აქვს განკუთვნილი: მიცემითი და სახელობითი: I სერიის მწკრივთა ფორმებთან პირდაპირი ობიექტი მიცემითში დგას, II-ისა და III სერიის მწკრივთა ფორმებთან კი — სახელობითში. მაგალითი: მგელი შეშკამს ცხოვარსა, მგელმან შეშკამა ცხოვარი, მგელსა შეუშკამეს ცხოვარი; მხატვარი დაჰხატავს ირემსა, მხატვარმან დახატა ირემი, მხატვარსა დაუხატავს ირემი.

247. ირიბი ობიექტის ბრუნვა ზმნის მე-3 პირის ფორმასთან. ირიბი ობიექტი შეიძლება გარდამავალ ზმნასაც ჰქონდეს და გარდაუვალსაც. როგორც უნდა იყოს ზმნა, გარდამავალი თუ გარდაუვალი, მის მე-3 პირთან შეწყობილი ირიბი ობიექტი ბრუნვა-უცვალბელია, იგი ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას. ამ შემთხვევაში გარდაუვალი ზმნა ორ-პირიანია, გარდამავალი კი — სამ-პირიანი. მაგალითები:

ა) ირიბი ობიექტი გარდაუვალ ზმნასთან: ჰგონიეს იგი მას, ეგონა იგი მას; განურისხნების იგი ძმასა თვისა, განურისხნა იგი ძმასა თვისა.  
 ბ) ირიბი ობიექტი გარდამავალ ზმნასთან: ჰკითხავს იგი ძმასა ამბავსა; ჰკითხა მან ძმასა ამბავი; უთხრა მას ყოველივე ბრალი (მრ. 5, 33); რაღვესთხოო მას (მრ. 6, 24 C).

248. ბრუნვა-ცვალბადი წევრები წინადადებებისა. ზემორე თქმულის მიხედვით ჩანს, რომ გარდამავალ ზმნასთან წინადადების ორი წევრი ბრუნვა-ცვალბადია — სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი: ზმნის მე-3 პირის ფორმასთან შეწყობისას სუბიექტი შეიძლება იყოს სახელობითში, მოთხრობითში ან მიცემითში, ხოლო პირდაპირი ობიექტი — მიცემითში ან სახელობითში. მაშასადამე, სახელობითსა და მიცემითში შეიძლება იყოს სუბიექტიცა და პირდაპირი ობიექტიც, მაგრამ არსად მათი დამთხვევა და აღრევა არ ხდება. ეს იმიტომ, რომ, თუ სუბიექტი სახელობითშია, პირდაპირი ობიექტი მიცემითშია (მხატვარი დაჰხატავს ირემსა) და, თუ სუბიექტი მიცემითშია, პირდაპირი ობიექტი სახელობითშია (მხატვარსა დაუხატავს ირემი).

249. ობიექტების დამთხვევა ბრუნვაში. წინადადების წევრთა დამთხვევა შეიძლება მოხდეს მიცემით ბრუნვაში, მაგრამ მხოლოდ ობიექტებისა, ე. ი. პირდაპირისა და ირიბისა, და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ გარდამავალი ზმნის ფორმა I სერიისაა; ამისი მაგალითია: ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძმ თვის პურსა, ქვაღნუ მისცეს მას? (მ. 7, 9). აქ მოყვანილ დამოკიდებულ წინადადებაში რომელსა ირიბი ობიექტია, პურსა — პირდაპირი, მათი ბრუნვა კი ერთი და იგივეა — მიცემითი (რომელსა, პურსა). ასეთივე მაგალითია აგრეთვე შემდეგიც: მივსცემ ძმასა ჩემსა წიგნსა, სადაც ირიბი ობიექტიც (ძმასა) და პირდაპირიც (წიგნსა) — ორივე მიცე-

მითში დგას. საკმარისია გადავიყვანოთ ზმნა II სერიის რომელსამე მწკრივში, რომ პირდაპირი ობიექტი სახელობითში დადგეს და ობიექტების ბრუნვაში დამთხვევა აღარ იყოს: მივეც ძ მ ა ს ა ჩემსა წ ი გ ნ ი.

250. **გარდაუვალი ზმნის სუბიექტი.** გარდაუვალი ზმნის მე-3 სუბ. პირის ფორმასთან შეწყობისას სუბიექტი ყოველთვის სახელობითში დგას, ერთ-პირიან ზმნასთანაც და ორ-პირიანთანაც, I სერიაშიც, II-შიც და III-შიც. მაგალითი: ყრმაჲ წარვალს, ყრმაჲ წარვიდა, ყრმაჲ წარსრულ არს; მოუკლებს მას ყრმაჲ, მოუკლა მას ყრმაჲ, მოჰკლომიეს მას ყრმაჲ.

### ბრუნვათა ფუნქციები საზოგადოდ

251. **წრფელობითი.** წრფელობითი ძველის-ძველი სახელობითია, რომელსაც დაერთო ნაწევარი და ნაწევრის სახელთან შერწყმის გამო წარმოიშვა სახელობითი ბრუნვა. მიუხედავად ამისა, წრფელობითს შერჩა ზოგი რამ ძველი ვითარებიდან.

ა) პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში იგი ქვემდებარის ბრუნვა რიცხვით სახელთან: იყო კ ა ც ე რ თ იერუსალჴმს (ლ. 2, 25 C); მოვალს დედა კ ა ც ე რ თ სამარიათ ვსებად წყლის (ი. 4, 7 C); აჰა ო რ კ ა ც ზედა-მონადგეს მათ სამოსლითა ელვარჴთა (ლ. 24, 4 ხანმ.).

ბ) წრფელობითი იხმარება ქვემდებარედ „წოდება“ ზმნასთან: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს (მ. 21, 13; ეს. 56, 7), მუნ ეწოდოს მათ შვილ ღმრთის ცხოველის (პრომ. 9, 26).

გ) წრფელობითი ბრუნვის ფორმა ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია აგრეთვე პირდაპირი ობიექტის გადმოსაცემად: გკითხო მეცა თქუენ სიტყუა ერთ (მ. 21, 24 C); ვქმნეთ აქა სამ ტალავარ (მრ. 9, 5); აღდგენ ცრუ წინაწარმეტყუელნი და სცენ სასწაულე ბ დიდ დანიშებ (მ. 24, 24 C).

დ) წრფელობითის ფორმა სახელისა იხმარება შედგენილი შემასმენლის ნაწილად: ცეცხლი არა ღმერთ არს, ამით რამეთუ ცეცხლი კაცმან ალაგზნის და კაცმანვე დაშრიტის, რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა, ამისთვის ღმერთ არა არს ცეცხლი (ევსტ.); უეჭუელი სარწმუნოებაჲ საუნჯე დიდ არს მორწმუნეთათჳს (ჰაბო); თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა (მ. 21, 13); რაჲთა იყოს ჩემ მიერი ჰჴ ჰე და არაჲ — არა (II კორ. 1, 17). აქ „ჰჴ“ ნაწილაკი არსებითად არის გამოყენებული და სახელობითშია დასმული (იგი ქვემდებარეა), ხოლო „ჰე“ წრფელობითში დგას (იგი შედგენილი შემასმენლის ნაწილია); ესე მეყო მეგზა ცხორების (ფს. 118, 56); იქმნა იგი ძეგლ მარლის (დაბ. 19, 26); და ვიყო მე თქუენდა მამა და თქუენ იყვნეთ ჩემდა ძეებ და ასულეებ (II კორ. 6, 18).

ამით აიხსნება, რომ ფრანც ცორელმა ამ ბრუნვას შემასმენლობითი (der Prädikativ) უწოდა.

ე) წრფელობითი ბრუნვის ფორმა დროის გამომხატველ სახელთან, რომე-

ლიც რაოდენობითი რიცხვითი სახელით არის განსაზღვრული, გამოხატავს ხანგრძლივობას. წინადადებაში იგი ღროის გარემოებაა: ვიყავ მის თანა ა თ ხ უ თ მე ტ დღე (გალატ. 1, 18); ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე (მ. 12, 40); იმარხვიდა ორ მე ო ც დღე და ორ მე ო ც ღამე (მ. 4, 2); იფარვიდა თავსა თვისსა ხ უ თ თ თ უ ე (ლ. 1, 24).

ხანგრძლივობასვე გამოხატავს დღე ყოველ (მთელ დღეს) ამ წინადადებაში: რადასათვის სდგათ თქუენ აქა დღე ყოველ უქმაჲ? (მ. 20, 6).

ვ) წრფელობითი იხმარება ოდენ ნაწილაკის ხმარებისას რაოდენობით რიცხვით სახელთან: იყო ბეთანია მახლობელ იერუსალჴმსა ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან (ი. 11, 18); დასხდა კაცები იგი რიცხვთ ვითარ ხუთ ათას ოდენ (ი. 6, 10); იყო ვითარ ექუს ჟამ ოდენ (ლ. 23, 44 C); არა შორს იყვნეს ქუეყანასა, არამედ ორას წყრთა ოდენ (ი. 21, 8).

ზ) წრფელობითი იხმარება გზის-დართულ რიცხვით სახელებთან: ჯერობის გამოსახატავად: ერთ გზის, ორ გზის, სამ გზის, შუდ გზის და მისთ.: დღეს ღამესა ამას ვიდრე ქათმისა ორ გზის ყვიღმდე სამ გზის უფარ მყო მე (მრ. 14, 30 C). ასეთივეა აგრეთვე მრავალ გზის.

252. **სახელობითი.** სახელობითი ბრუნვა იხმარება:

ა) სუბიექტის გადმოსაცემად გარდამავალი ზმნის სამივე სერიის მწკრივთა ფორმებთან შეწყობისას (§ 250).

ბ) სუბიექტის გადმოსაცემად გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმებთან შეწყობისას (§ 245).

გ) პირდ. ობიექტის გადმოსაცემად გარდამავალი ზმნის II და III სერიის ფორმებთან შეწყობისას (§ 246).

სახელობითი გამოყენებულია ხშირად შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის გადმოსაცემადაც, განსაკუთრებით მოგვიანო ხანის ძეგლებში.

253. **მოთხრობითი.** ეს ბრუნვა მხოლოდ ერთი ფუნქციის მქონეა: იგი გამოხატავს სუბიექტს გარდამავალი ზმნის II სერიის ფორმებთან შეწყობისას: კ ა ც მ ა ნ დაკლა, დ ე დ ა მ ა ნ თქუა, ძ მ ა მ ა ნ ჰკითხა და მისთ..

254. **მიცემითი.** მიცემითი იხმარება:

ა) სუბიექტის გადმოსაცემად გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმებთან შეწყობისას (§ 245).

ბ) პირდაპირი ობიექტის გადმოსაცემად გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმებთან შეწყობისას (§ 246).

გ) ირიბი ობიექტის გადმოსაცემად გარდაუვალისა და გარდამავალი ზმნების ყოველგვარ ფორმასთან შეწყობისას (§ 247).

დ) ადგილის გარემოების აღსანიშნავად: ქორწილი იყო კ ა ნ ა ს გალილე-ადასასა (ი. 2, 1); დაშთა იესუ ყრმაჲ იერუსალჴმს (ლ. 2, 43); მოვიდა მ ც ხ ე თ ა ს; დაემკვდრა ტ ფ ი ლ ი ს ს და მისთ..

ე) ღროის გარემოების აღსანიშნავად: პირველსა ჟამსა, მესამესა დღესა,

მენტუტესა თთუესა; წარვიდოდა იესუ ღღესა შაბათსა ყანობირსა მათსა (მ. 12, 1). აქ ღღესა შაბათსა დროის გარემოებაა, ყანობირსა კი — ადგილისა.

255. **ნათესაობითი.** აქვს რამდენიმე ფუნქცია:

ა) აღნიშნავს კუთვნილებას: სახლი მამისა ჩემისაჲ, სისხლი კაცისაჲ, რქაჲ ირმისაჲ, მატყლი ცხოვარისაჲ და მისთ..

ბ) აღნიშნავს მასალას, რომლისგანაც გაკეთებულია სახელით აღნიშნული საგანი: სახლი ძელისაჲ, ბეჭედი ოქროჲსაჲ, საყურჭ ვეცხლისაჲ, სარტყელი ტყავისაჲ და მისთ..

გ) აღნიშნავს, თუ რისგან ან ვისგან შედგება სახელით აღნიშნული საგანი: გუნდი მგალობელთაჲ, კოლტი ღორთაჲ, არეჭ თხათაჲ, კრებული კაცთაჲ და მისთ..

დ) გაუვრცობელი ნათ. ბრუნვის ფორმა იხმარება „განსყიდა“ ზმნასთან: ანუ არა ორი სირი ერთის დანგის განსყიდების (მ. 10, 29); აგრეთვე ზოგჯერ „უნებს“ („უნდა“) და მსგავსი შინაარსის ზმნებთანაც (როგორცაა: ჰნებავს, სწადის, ჰსურის), უმეტესად კი მათ საწყისთან შეწყობისას: გულსკმა-ყო იესუ, რამეთუ უნდაკითხვის (ი. 16, 19); რომელსა უნდეს სესხების შენგან, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა მისგან (მ. 5, 42); ქორწინების უნებ (I ტიმ, 5, 11); არა უნდაკურთხევის (ფს. 108, 17); უკუეთუ ვისმე არა უნდეს საქმის, ნუცალა ჰამნ! (II თეს, 3, 10); მისცეს მას ძმარი, ნავლითა შეზავებული, და მი-რაჲ-ილო, არა უნდასუმის (მ. 27, 34); უკუეთუ ვისმე ევისკოპოსობის უნდეს (I ტიმ. 3, 1); ნუუკუე თქუენცა გნებავს წარსლვის (ი. 6, 67).

საერთოდ კი „უნდა“, „უნდეს“ და მსგავს ზმნებთან სახელი შეწყობილია სახელობითი ბრუნვის ფორმით.

ე) ნათესაობითი იხმარება „შინება“ ზმნასთან: ღმრთისა არა მეშინის (ლ. 18, 4); გუეშინის ერისა ამის (მ. 21, 26). ზოგჯერ იგი იხმარება გან-დართულ ნათესაობითან: ეშინოდა ერისა მისგან (მ. 14, 5).

256. **მიმართულებითი.** ამ ბრუნვას ერთად-ერთი დანიშნულება აქვს: აღნიშნოს მიმართულება რაიმე საგნისადმი: წარვიდა მისა, წარავლინა მათა, შეწირა უფლისა და მისთ.: მიგუალე ჭინჭელისა და ჰბაძევდ, ჰ მეღგარო (სახის მ.).

257. **მოქმედებითი.**

ა) აღნიშნავს საქურველს: ბზჭ იგი დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა (მ. 3, 12); ქვითა იცემნ თავსა თვსსა (მრ. 5, 5); ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ (რაათა არა დათრგუნონ C) ფერკითა მათითა (მ. 7, 6); სიღედრი სიმონისი შეპყრობილ იყო სიცხითა დიდითა (ლ. 4, 38); უბანელითა კელითა ჰამდეს პურსა

(მრ. 7, 2); ყოველთა რომელთა აღიღონ მახული, მ ა ხ ვ ლ ი თ ა ც ა წ ა რ წ ყ მ დ ე ნ მ (მ. 26, 52).

რადგანაც თ-ანიანი მრავლობითი მკვეთრად ვერ გამოხატავს მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციას, ჩვეულებრივია, რომ ებ-იანი მრავლობითი იყოს გამოყენებული: მახვლებითა და წათებითა (მ. 26, 47).

ბ) აღნიშნავს პუნქტს, საიდანაც გამოდის რაიმე ან ვინმე: იესუ მოიქცა ი ო რ დ ა ნ ი თ (ლ. 4, 1); კმაჰ ჰ რ ა მ ა მ ა თ ის მა ტ ი რ ი ლ ის სა და გოდებისა (მ. 2, 18); მრავალი ერი შეუდგა მას გა ლ ი ლ ე ა მ თ და ჰ უ რ ი ა ს ტ ა ნ ი თ (მრ. 3, 7), წარვიდა ტფილისით.

გ) გაუვრცობელი მოქმედებითი იხმარება გარემოების მნიშვნელობით (აღგ. გარემოებისა და ვითარებისა): იხილნა ორნი ანგელოზნი, მსხდომარენი ერთი თ ა ვ ი თ და ერთი ფ ე რ კ ი თ (ი. 20, 12); მეყსეულად ს ი ხ ა რ უ ლ ი თ მიიღის იგი (მ. 13, 20); რაჟამს ისმინიან, ს ი ხ ა რ უ ლ ი თ შეიწყნარიან სი-ტყუაჲ იგი (ლ. 8, 13); და იყო იგი ბნელსა შინა მ ა რ ხ ვ ი თ და ლ ო ც ვ ი თ და ტ ი რ ი ლ ი თ (მუშ.). თუ სახელს განსაზღვრება ახლავს, მაშინ გავრცობილად ფორმა იხმარება: იგინი მოიქცეს იერუსალჴმდ ს ი ხ ა რ უ ლ ი თ ა დ ი ღ ი თ ა (ლ. 24, 52).

დ) გაუვრცობელი მოქმედებითის ფორმა იხმარება „ხადა“ ზმნასთან: მ ა მ თ ნუვის ჰხადით თქვენ ქუეყანასა ზედა (მ. 23, 9); ხადოდეს ბარნაბას დ ი ო ს კ ე რ პ ი თ და პავლეს — ე რ მ ი თ (საქმე 14, 12).

ე) ისეთ გამოთქმებში, სადაც მოქმედებითს მოსდევს იმავე სახელის ვითარებითი, მოქმედებითის დაბოლოებაა ითი: დ ღ ი თ ი დღედ, ქ ა ლ ა ქ ი თ ი ქ ა ლ ა ქ ა დ, წ ლ ი თ ი წ ლ ა დ და მისთ..

### 258. ვითარებითი.

ა) იხმარება მიმართულების ან მიწვნის პუნქტის აღსანიშნავად: განიყვანა ერი თვისი უ და ბ ნ ო დ (ფს. 135, 16); მოვიდეს ბეთბაგედ და ბეთანიად (მ. 21, 1); მაშინ ჰეროდეს წარავლინნა (მოგუნი) ბეთლემდ (მ. 2, 8); რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდედ მთად (მრ. 13, 14); წარვიდა მთად იგი ხოლო მარტოჲ (ი. 6, 15); აღვიდეს ანგელოზნი იგი ზ ე ც ა დ (ლ. 2, 15).

ბ) ვითარებითში დასმული საწყისი გამოხატავს მიზანს: მოვიდოდეს წ ა რ -ტ ა ც ე ბ ა დ მისა (ი. 6, 15); გამოვიდა მთესვარი თ ე ს ვ ა დ (მ. 4, 3); მოვიდა მარიამ მაგდალენელი და სხუაჲ იგი მარიამ ხ ი ლ ვ ა დ საფლავისა მის (მ. 28, 1); ნუ ჰკონებთ, ვითარმედ მოვედ დ ა კ ს ნ ა დ სჯულისა (მ. 5, 17); აწ ესერა გექიბენ შენ შე ბ ე ყ რ ო ბ ა დ, ტ ა ნ ჯ ვ ა დ და გუ ე მ ა დ (ჰაბო).

გ) „გარდაქცევა“ ზმნა მოითხოვს ვითარებითს: რომელმან გარდაქცინა ლოდოანნი ტ ბ ა დ წყალთა და მათაა მწუერვალნი — წ ყ ა რ ო ე ბ ა დ წყალთა (ფს. 113, 8).

დ) შედგენილი შემასმენლის გამოსახტავად ძველ ქართულში წრფელობითია განკუთვნილი (ზოგჯერ, განსაკუთრებით მოგვიანო ხანის ძეგლების ენაში, სახელობითიც), მაგრამ ამავე მიზნით ზოგჯერ ვითარებითის ფორმაც არის გამოყენებული: თქვენ გიყოფიეს იგი (სახლი ჩემი) ქ უ ა ბ ა ვ ა ზ ა კ თ ა (მ. 21,

13), მაგრამ აგრეთვე: თქვენ ჰყავთ იგი ქუაბად ავაზაკთა (ლ. 19, 46); ვიყო მე მათა ღმერთ და იგინი იყვნენ ჩემდა ერთად (II კორ. 6, 16). ჩვეულებრივია აგრეთვე, რომ პირველი სახელიც ვითარებითში იყოს: ვიყო მე თქვენდა ღმერთად და იგინი იყვნენ ჩემდა ერთად (იერ. 7, 23); შღრ. წყალი იგი, რომელ ღვინო იქმნა (ი. 2, 9) და სადა-იგი ქმნა წყალი ღვინოდ (ი. 4, 46).

ე) ვითარებითში დასმული ზედსართავი საზოგადოდ გამოხატავს ვითარების გარემოებას: კეთილად თქუა.

ვითარებითში დასმული არსებითი გამოხატავს გარდაქცევითს დამატებას: კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიზო ერთად (მ. 27, 51); მე დავდეგ მეუფედ (ფს. 2, 6); დადგინებულ ვარ მე ქადაგად და მოციქულად და ნოქღურად წარმართთა (II ტიმ. 1,11); სპასალარად თორნიკ განაჩინეს (იოანე და ეფთ.).

ვითარებითის ფუნქციების გამოსახტავად ჩვეულებრივია ამ ბრუნვის ებ-იანი მრავლობითის ფორმა: დაჭრენით საკნისნი თქუენნი კრმლად და მანგლები თქუენი ლახურებად (იოველ 3, 10); დაშჭრიდენ კრმლებსა მათსა საკნისებად და ლახურებსა მათსა — მანგლებად (მიქ. 4, 3).

259. **წოდებითი.** ამ ბრუნვას ერთად-ერთი ფუნქცია აქვს; იგი გამოხატავს მიმართვას, რომელსაც შეიძლება განსაზღვრება ახლდეს: სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი? (I კორ. 15, 55); ამიერთვან, ძმანო ჩემნო საყუარელნო, მტკივი იყვენით და შეურყეველ (I კორ. 15, 58).

წოდებითის ფორმა შეიძლება გაძლიერებულ იქნეს მიმართვის შ-თი, რომელიც სახელის წინ დაისმის: შ დედაკაცო, დიდ არს სარწმუნოებაჲ ეგე შენი (მ. 15, 28); ემსგავსე შენ სამყართა ზეცისათა, შ წმიდაო, თაყუანის-ვსცემთ ქუაბსა მაგას დიდებულსა, შ უხრწნელო! (ფილიპე. ბეთლემის საგალობელი).

**შენიშვნა.** წოდებითის ნაცვლად მიმართვის გადმოსაცემად ნათარგმნ ძეგლში შეიძლება ზოგჯერ სახელობითი ბრუნვის ფორმაც შეგვხედეს, განსაკუთრებით, თუ სახელს ახლავს ნაწევარი ეგე: იხარებდ, ბერწი ეგე, რომელი არა შობდ (გალატ. 4,27); და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ეგე იუდაასი (მ. 2, 6); ნუ საკლევლებსა და მსხუერპლებსა შემოპწირევდით ჩემდა ორმეოცსა წელსა უდაბნოსა მას შინა, სახლი ეგე ისრაჴლისაჲ (საქმე 7, 42) (ვარიანტი: სახლო ისრაჴლისაო); სული ეგე არა-წმიდაჲ, განვედ კაცისა მაგისგან (მრ. 5, 8) (ვარიანტი: სული არა-წმიდაო, განვედ მაგის კაცისაგან C).

### უფროობითი ხარისხის ფორმათა სინტაქსური ქალა

260. უფროობითი ხარისხის ფორმები (გრძელიცა და მოკლეც) სახელს მოითხოვენ მიცემითში ან ნათესაობითში.

ა) მიცემითის მაგალითებია: რავდენ უმჯობეს არს კაცი საცხოვარსა (მ. 12, 12 D); ჭეშმარიტად (ჭეროლიადა) ლომისა ძუვისა

ლეკუსა უფიცხლს არს (სინ. მრ. 210, 22); რაა უსუბუქეს არს განსუენებასა კაცისასა ამის სოფლისა ზრუნვათა და შფოთთაგან (მ. სწ.); კაცთა ხილული სმენილსა უფროას სარწმუნოდ შეპრაცხიან (სინ. მრ. 33, 12); აწ რამე უსასტიკეას არს ზღუასა (სინ. მრ. 220, 29).

ბ) ნათესაობითის მაგალითებია: არა არს მოწაფე უფროას მოძღვრისა თვისისა, არცა მონაჲ უფროას უფლისა თვისისა (მ. 10, 24); რაოდენ უმჯობეს არს კაცი საცხოვრისა (მ. 12, 12 E); უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი უფროას ღვინისა (ქება 1, 1); თაფლისა უტკბომესსა და უსარგებლესსა იტყოდა (სინ. მრ. 86,7); სული უფროას არს საზრდელისა (მ. 6, 25); იყოს უკუანაჲსკენელი საცთური უძვრეს პირველისა (მ. 27, 64); უმწარეს ნავდლისა ჰპოვო და უმახვლეს მახვლისა ორპირისა (ივავ. 5, 4); ცხოველ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ და მწე და უმკუთელეს უფროას ყოვლისა მახვლისა ორპირისა (ებრ. 4, 12); უპირადეს მრავლისა ეამისა (I ეზრა, 6, 14); უფროას ოცისა ლიტრისა (იოვ. და ეფთ.); არარაჲ უმოლხინესი პირველის გიორგისა (იოვ. და ეფთ.).

შემდეგ და შემდეგ ნათესაობითის ხმარება სჭარბობს მიცემითისას.

უფროობითი ხარისხის ფორმა 1-ლისა და მე-2 პირის ნაცვალსახელთაგან მოითხოვს -სა დაბოლოვებიან ფორმებს (ჩემსა, შენსა, ჩუენსა, თქუენსა); მამაჲ ჩემი უფროას ჩემსა არს (ი. 14, 28); აჲ ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა (მრ. 1, 7); უპირადეს ჩემსა არს (ი. 1, 30); უპატიოსნესი შენსა (ლ. 14, 8); უკუეთუ იყოს შენსა უხუცე (მ. ცხ.). ივივეა მე-3 პირის ნაცვალსახელთანაც; არს სხუაჲ უსაშინელესი-ლა ამისსა (მ. ცხ.); შენ ეცინი კირჩხიბსა და სიბრძნე შენი უმრუდეს მისსა არს (მ. სწ.); უმცირესი იგი უფროას მისსა არს (მ. 11, 11); ვიპოვენი უუბადრუკეს მათსა (მ. სწ.).

სა-დართულ ფორმას მოითხოვს უფროობითი ხარისხის ფორმა აგრეთვე თ-ანიან მრავლობითში დასმულ ზოგიერთ სახელთან: მამაჲ ჩემი უფროას ყოველთასა არს (ი. 12, 29); ქუთრივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა (ლ. 21, 3); და კუალად წარავლინნა სხუანი მონანი, უმრავლესნი პირველთასა. (მ. 21, 36); იქმენ უქუემოეს ყოველთა კაცთასა (მ. სწ.); უკუეთუ ამას ხოლო ცხოვრებასა ქრისტესსა მოსაჲ ვართ, უსაწყალობელეს ყოველთა კაცთასა ვართ (I კორ. 15, 19).

## შეთანხმების საკითხები

### შეთანხმება რიცხვში

261. ჩუენ და თქუენ ნაცვალსახელები პირდაპირ ობიექტად. ნაცვალსახელები ჩუენ და თქუენ არა მარტო მაშინ შეიწყობენ ზმნას მრავლობითში, როცა ისინი სუბიექტის ფუნქციით არიან ნახმარი (მაგ., ჩუენ წარვედით, თქუენ წარბუედით, ჩუენ დავწერეთ, თქუენ დასწერეთ და მისთ.), არამედ მაშინაც, როცა მათ პირდაპირი ობიექტის მნიშვნელობა აქვთ და გარდამავალი ზმნა

II სერიის მწკრივის ფორმით არის ნახმარი, მაგ., არავინ დამიდგინა ჩუენ (მ. 20, 7). აქ რომ „ჩუენ“ სიტყვის ნაცვლად ყოფილიყო „მე“, მაშინ წინადადება ასე გაიმართებოდა: არავინ დამიდგინა მე. ასეთივე მაგალითია: უფალო, მიქსენ ჩუენ, რამეთუ წავრწყმდებით (მ. 8, 25). აქაც რომ „ჩუენ“ სიტყვის ნაცვლად „მე“ ყოფილიყო, წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: უფალო, მიქსენ მე, რამეთუ წავრწყმდები. მსგავსივე მაგალითებია: ქრისტემან შემოყუარანა ჩუენ (ეფეს. 5, 2); უკუეთუ უარ-ყოთ, მანცა უარ-მყენეს ჩუენ (II ტიმ. 2, 12) და მისთ..

მოწმობა „თქუენ“ ნაცვალსახელისათვის: რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მან მე შემოწყნაროს (მ. 10, 40); რომელმან თქუენ შეურაცხ-გყენეს, მან მე შეურაცხ-მყოს (ლ. 10, 16); არა გიცნი თქუენ (მ. 25, 12. „ვიცი“ ზმნა II ხოლმეობითის ფორმა წარმოშობით); გპოვნეს თქუენ მძინარენი (მრ. 13, 36); მე შეგიყუარენ თქუენ (ი. 13, 34) და მისთ..

262. **ნ-არიან მრავლობითში დაყენებული სახელი.** ნ-არიან მრავლობითში დაყენებული სახელი (სუბიექტი თუ პირდაპირი ობიექტი) ითანხმებს ზმნას რიცხვში, ხოლო ებ-იანში დაყენებული—ჩვეულებრივ არა: შენ შეჰმუსრენ თავნი ვეშაპთანი წყალთა შინა (ფს. 73, 13), მაგრამ იქვე: შენ შეჰმუსრეთ თავები ვეშაპისა მის (ფს. 73, 14). აქ ისიც არის საყურადღებო, რომ მსაზღვრელი საზღვრულს პირველ შემთხვევაში ეთანხმება რიცხვში (თავნი ვეშაპთანი), ხოლო მეორე შემთხვევაში—არა (თავები ვეშაპისა მის).

263. **ორი ან მეტი სახელი პირდაპირ ობიექტად.** თუ შერწყმულ წინადადებაში ორი (ან მეტი) პირდ. ობიექტია სახელობით ბრუნვაში, ზმნა ისე შეეწყობა მათ, როგორც ნ-არიან მრავლობითში დასმულ ერთ სახელს: ზენან შჯულის მწერალი და აპოლო ადრე წარმოგზავნენ (ტიტე 3, 13); წარიყვანა იესუ პეტრე და იაკობ და ძმა მისი (მ. 17, 1).

264. **მოხედნა.** „მოხედვა“ ზმნას პირდაპირი ობიექტი არ ეწყობა, მაგრამ მისი ფორმები II სერიის ზმნათა მწკრივებში ზოგჯერ პირდ. ობიექტის ნიშანს გვიჩვენებენ, რაც იმის მომასწავებელია, რომ ამ ზმნას ძველის-ძველად პირდ. ობიექტი ეწყობოდა მრ. რიცხვში (თუალნი?): კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაჴლისა, რამეთუ მოხედნა (მოჰხედა DE) და ყო ქსნაჲ ერისა თვისაჲ (ლ. 1, 68 C). მსგავსი ფორმა „განიცინა“ და „უხეტქნა“.

265. **ებ-იან მრავლობითში დასმული სახელი სუბიექტად.** ებ-იან მრავლობითში დასმულ სუბიექტს ჩვეულებრივ არ ეთანხმება ზმნა რიცხვში: მშულდები ძლიერთაჲ მოუძლურდა; აჰა ესერა გუნდები მოვალს ქუეყანით შორით (იერ. 4, 16 ოშკი); ნუუკუე სახლებ არა გიდგს ჰამად და სუმაღ? (I კორ. 11, 28); სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები (მ. 24, 28). უკანასკნელი წინადადების „ორბები“ ებ-იან მრავლობითშია, ზმნა „შეკრბეს“ კი—მხოლობითში (შეკრბეს=შეიკრიბება, ზმნის ფორმა II მყოფადისა). „ორბი“—

რომ **ნ-არიან** მრავლობითში მდგარიყო, ზმნა მას შეეწყობოდა რიცხვში და წინადადება ასე გაიმართებოდა: სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბენ ორბნი<sup>1</sup>.

**266. ებ-იან მრავლობითში დაყენებული სახელი პირდაპირ ობიექტად.** ებ-იან მრავლობითში დაყენებული პირდაპირი ობიექტი ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში. ამისი მაგალითებია: მშულდები შემუსრა და ფარები მათი დაწუთა ცეცხლთა (ფს. 45, 10); შეეწირო შენდა ზუარაკები და ვაცები (ფს. 65, 15); მოპვარეს მას ეშმაკეულები მრავალი (მ. 8, 16); წარმოიღეთ ჰორლები და შთაიკუთ ჯაჭუები თქუენი (იერ. 46, 4). აქ რომ **ნ-არიან** მრავლობითში ყოფილიყო „ჰორლები“ და „ჯაჭუები“, წინადადება ასე გაიმართებოდა: წარმოიხუენთ ჰოროლნი და შთაიკუენთ ჯაჭუნი თქუენნი.

**267. ებ-იან მრავლობითში დასმული საზღვრული.** ებ-იან მრავლობითში დაყენებული სახელი, რომელიც საზღვრულის ფუნქციით არის აღჭურვილი, ვერც მსაზღვრელს ითანხმებს რიცხვში, სულ ერთია, არის ეს მსაზღვრელი ატრიბუტული თუ მართული. ამისი მაგალითებია: სულები იგი უკეთური (საქმე 19, 13); ტბები კეთილი (საქმე, 28, 7); მამებსა არა მცირედსა (საქმე 17, 12), მოსრა ვენაგები მათი (ფს. 104, 33); მშულდები ძლიერთაჲ; მთავრები ქალაქისაჲ (საქმე 25,23); მისცა მათ სოფლები წარმართთაჲ (ფს. 104,44); რემაკები აქლემთაჲ (ეს. 60, 6), ნათესავები ისრაელისაჲ (ფს. 77, 55), სხუაცა ნავეები, რომელი იყო მის თანა (მრ. 4, 36) და მისთ.. გვხვდება იშვიათად რიცხვში შეთანხმებაც: შთადვა მათ შინა თუალები პატიოსნები (ბალავ.); ვაცები ჭრელება (დაბ. 30, 35).

**268. ებ-იანი მრავლობითი და რიცხვში მონაცვლე ზმნები.** რიცხვში მონაცვლე ზმნებია შთადგება (მხ.) და შთათხევა (მრ.). ამიტომ გვაქვს: ცხენები და მკედრები შთასთხინა ზლუასა (გალობა 1, 1). აქ ეს სახელები რომ **ნ-არიან** მრავლობითში მდგარიყვნენ, ზმნა მიიღებდა ობიექტის მრ. რიცხვის ნიშანს და წინადადება ასე გაიმართებოდა: ცხენნი და მკედარნი შთასთხინა ზლუასა. ასეთივე მაგალითია: დასხეს მძორები მონათა შენთაჲ (ფს. 78, 2) („დასხეს“ და არა „დადგეს“, რადგანაც „მძორები“ მრ. რიცხვის ფორმაა); განასხა სულები იგი უკეთური (მ. 8, 16). მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ებ-იან მრავლობითში დაყენებულ სახელს (პირდაპირ ობიექტს) რიცხვში მონაცვლეთაგან ის ზმნა შეეწყობა, რომელიც მრავლობითი რიცხვისთვისაა განკუთვნილი.

**269. კოლექტიური სახელი სუბიექტად და ზმნა.** სუბიექტად წარმოდგენილი კოლექტიური სახელი ხშირად მრავლობითში შეიწყობს ზმნას: რაყამს უყუე ი ხ ი ლ ე ს იგი ერმან მან, შე შ ფ ო თ ნ ე ს ფრიალ (სინ. მრ. 250, 26);

<sup>1</sup> „ორბი“ უმეფლეს ქართულში აღნიშნავდა არწივს. ზემოთ მოყვანილი წინადადება რომ დღევანდელ ქართულზე ვთარგმნოთ, გვექნება: სადაც მძორი იქნება, იქ არწივები შეიკრებიან.

და გ უ ე ს ხ ნ ე ს ჩუენ ზედა ერი მრავალი სარკინოზთაჲ (სინ. მრ. 267, 11); ღ ა ღ ა დ-ყ ე ე ს ყოველმან სიმრაველმან (ლ. 23, 18); სასტიკად ჰ ბ რ ძ ო დ ე ს მას სარკინოზთა ერი (ჰაბო). მაგრამ ამასთანავე ერთად უნდა ვიცოდეთ, რომ კოლექტიურ სახელთან ჩვეულებრივია აგრეთვე მხ. რიცხვის ფორმა ზმნისა. მის დე ე დ ა მას ერი მრავალი (მ. 4, 25); გვაქვს, ერთი მხრით: ყოველმან ერმან იხილეს იგი (მრ. 9, 15), მეორე მხრით: იხილა იგი ერმან მან (მრ. 6, 33). რიცხვში მონაცვლე ზმნათაგან კოლექტიურ სახელს ეწყობა ის, რომელიც მრავლობითისთვისაა განკუთვნილი, სულ ერთია, კოლექტიური სახელი სუბიექტია, თუ პირდ. ობიექტი: დ ა ს ხ დ ა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად (I თეს. 10, 7); გ ა ნ ა ს ხ ა ერი იგი ტაძრისაგან.

270. სახელი წრფელობითში, ზმნა მრავლობითში. ნ-არიან მრავლობითში სუბიექტად დასმული სახელი მსაზღვრელსაც შეიწყობს რიცხვში და ზმნასაც; მაგ., ძმანი ჩემნი არიან აქა; ძმანი ჩემნი აღდგეს და წარვიდეს; ძმანი ჩემნი ამას იქმოდეს; ძმათა ჩემთა თქუეს და მისთ.. მაგრამ ამასთანავე ერთად გვხვდება, რომ სახელი წრფელობითში იდგეს და ზმნა მრავლობითში. ამის კარგი მაგალითია კერპების დახასიათება ფსალმუნში: კერპნი წარმართთანი ოქროჲსანი და ვეცხლისანი, ქმულნი ჳელთა კაცთანი: პირ აღდგს და არა იტყვან; თ უ-ა ღ ა ს ხ ე ნ და არა ხედვენ; ყ უ რ ა ს ხ ე ნ და არა ესმის; ც ხ ჯ რ ა ს ხ ე ნ და არა იყნოსენ; ჳ ე ღ ა ს ხ ე ნ და არა იქმან; ფ ე რ ჳ ა ს ხ ე ნ და არა ვლენან; არცალა კმობენ კორჯითა მათითა (ფს. 113, 12—15). აქ „აღდგს“ და „ასხენ“ რიცხვში მონაცვლე ზმნებია, რომლებიც გადმოგვცემენ „აქუს“ ზმნის მნიშვნელობას. პირი ერთი აქვს კაცს და ამიტომ „აღდგს“ არის, ხოლო დანარჩენებთან „ასხენ“ არის, ცხვირთანაც კი, მაგრამ „ცხვირი“ აქ ნესტოებს აღნიშნავს, როგორც ბერძ. *ῥίνας*, რომელიც მრ. რიცხვის ფორმით ხმარებისას ნესტოებსაც აღნიშნავს: *ῥίνας ἔχουσα*. აქ ჩამოთვლილი სახელები (პირის გარდა) აღნიშნავენ საგნებს, რომლებიც წყვილ-წყვილი აქვს ადამიანს: თუალნი, ყურნი, ცხვრნი (ნესტოების მნიშვნელობით), ჳელნი, ფერჯნი. ყველა ესენი მოყვანილ ადგილას წრფელობითი ბრუნვის ფორმით არის მოცემული (თუალ, ყურ, ცხვრ, ჳელ, ფერჯ), რაც საერთოა ორსავე რიცხვში, ზმნა კი — მრავლობითისა (ასხენ). ამ შემთხვევაში მრ. რიცხვის გავება არა სახელის ფორმით არის მოცემული, არამედ ზმნისა. ამის ერთგვარი ანალოგია გვაქვს ნაწევრიანი სახელის მრ.-ში დასმისას: კაცი ესე, კაცი ეგე, კაცი იგი, რომლებიც მრავლობითში ასეთ ფორმებს გვაძლევენ: კაცი ესე, კაცი ეგე, კაცი იგი, სადაც მრ. რიცხვის გავებას მარტო სახელი იძლევა, ნაწევარი კი—არა.

მსგავსი ვითარებაა აქაც: თ უ ა ღ ა რ ი ა ნ მათა და ვერ ჰხედვენ, ყ უ რ ა რ ი ა ნ მათა და არა ესმის (იერ. 5, 29); სხუაცა ც ხ ო ვ ა რ ა რ ი ა ნ ჩემნი, რომელ არა არიან ამის ბაქისანი (ი. 10, 16 C); მესმბს, რამეთუ წ ვ ა ღ ე ბ ა რაჲმე თქუენ შორის ა რ ი ა ნ (I კორ. 11, 18).

მოყვანილ მაგალითებში ზმნა ყველგან გარდაუვალაა (ასხენ, არიან), მაგრამ მსგავსი ვითარება გარდამავალ ზმნასთანაც დასტურდება: და დაგიყენე

თქვენ, რაათა არა ის ხნეთ ქმარ (რუთ 1, 13); თუ ალ აგნა ცოლმან ეგვბტელისა უფლისა თვისამან იოსებს (დაბ. 39, 7). მოყვანილ შაგალითებში „არა ისხნეთ ქმარ“ ამას ნიშნავს: არ შეირთოთ ქმრები, ხოლო „თუ ალ აგნა იოსებს“ — ამას: თვალები მიაპყრო იოსებს; ასეთივე მაგალითია აგრეთვე შემდეგი: შვილი ვის ხენ და აღზარდენ და მათ შურა ცხ-მყევს მე (ეს, 1, 2).

271. უკუქცევითი ნაცვალსახელის შეწყობა სახელთან და ზმნასთან რიცხვში. მრავლობითში დასმული უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი იწყობს რიცხვში კუთვნილებით ნაცვალსახელსა და ზმნას; ითქმის: თავი ჩემი, თავი შენი, თავი თვისი, მაგრამ თავნი ჩუენნი, თავნი თქუენნი, თავნი თვისნი: დაცვენით თავნი თქუენნი ყოვლისაგან ანგაპრებისა (ლ. 12, 15); უჩუენენით თავნი თქუენნი მლდელთა (ლ. 17, 14); რომელნი ესვენ თავთა თვისთა (ლ. 18, 9); თქუენ ნუ პირქუამთ თავთა თქუენთა მოძლუარს (მ. 23, 8 C).

მაგრამ, თუ საჭიროა მოქმედებითი ბრუნვის ფორმა, მრავლობითი რიცხვის ნაცვალად მხოლობითის ფორმა იხმარება: ნუ ჰვონებთ და იტყვთ თავით თვისით (მ. 3, 9).

### მსაზღვრელ-საზღვრული

სახელის განსაზღვრება შეიძლება ნაწევრით, ატრიბუტული სახელით და მართული სახელით.

272. ნაწევრიანი სახელი. ნაწევარი საზოგადოდ მოსდევს სახელს: კაცი ესე, კაცი ეგე, კაცი იგი. ასეთი რიგი დარღვეულია იმ შემთხვევაში, თუ სახელს განსაზღვრება ახლავს წინ. მაშინ ნაწევარი გადმოსმის და წინ დაუდგება სახელს: ერი იგი, მაგრამ: ყოველი იგი ერი მიჰსდევდა მას (მრ. 2, 13); ვეცხლმან მან შენმან (ლ. 19, 18), მაგრამ: შენმან მან ვეცხლმან (ლ. 19, 16). ასეთივეა აგრეთვე: ყოველი იგი განმსყიდელი; ველური ეგე ზეთისხილი (ჰაბო); დიდსა მას მდინარესა (ჰაბო); შენსა მაგას უფლებასა (ეესტ.); ახლისა ამის მოწამისაჲ (ჰაბო) და მისთ..

273. მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელი. ზედსართავი, მსაზღვრელად გამოყენებული, საზღვრულს შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს. უძველეს ძეგლებში ჰარბობს მოდევნების (ე. ი. შემდეგ დასმის) შემთხვევები. მაგ., „დიდი“ ხშირად იხმარება ოთხთავის ეხანში. როგორც ი. იმნაი-შვილის „სიმფონია-ლექსიკონიდან“ ჩანს, „დიდი“ ნახმარია შემდეგი სახელების შემდეგ: დანახეთქი დიდი, დაყულებაჲ დიდი, მთხრებლი დიდი, ნათელი დიდი, სასწაულები დიდი, სიხარულსა დიდსა, სიცხისაგან დიდსა, ქარისაგან დიდსა, შიში დიდი. წინააღსწარმეტყუელი დიდი, ჰირი დიდი, ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ, განკურვებითა დიდითა, ნესტვთა დიდითა, სიცხითა დიდითა, სისხლითა დიდითა, შიშითა დიდითა, ძალითა დიდითა, კმითა დიდითა, რტონი დიდნი.

„კეთილი“ უმეტესად მოსდევს საზღვრულს: გულითა კეთილითა, თესლი

კეთილი, მისაცემელი კეთილი, მწყემსი კეთილი, ნაყოფი კეთილი, საქმე კეთილი, საწყაული კეთილი, ხემან კეთილმან, ქუეყანასა კეთილსა, ნიჭისა კეთილისა, ქვითა კეთილითა, თესლნი იგი კეთილნი და სხვ.. მაგრამ ამასთანავე ერთად იგი წინაც გვხვდება: კეთილი ნაწილი, კეთილი ღვინო, კეთილი კაცი, კეთილი მარგალიტი, კეთილი ნიჭი, კეთილსა მარგალიტსა, კეთილსა საქმისათვის. კეთილისაგან საუნჯისა, კეთილო მონაო. აი როგორ არის გამართული წინადადება ერთ ადგილას ოთხთავში: კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღოს კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღოს ბოროტი (მ. 12, 35). მოყვანილ წინადადებაში „კეთილი“ და „ბოროტი“ არსებითი სახელის მნიშვნელობითაც არის ნახმარი და ზედსართავისაც. როგორც ზედსართავი, „კეთილი“ და „ბოროტი“ მიუძღვის საზღვრულს.

სხვა მაგალითები „ახალსა“ და „ძველზე“: არავინ დაადგის სადგემელი ახალი უმურყნველი სამოსელსა ძუელსა (მ. 9, 16), არცა შთაასხიან ღვინო ახალი თხიერთა ძუელთა, რამთა არა განხეთქნეს თხიერნი იგი ღვინომან ახალმან. არამედ შთაასხიან ღვინო ახალი თხიერთა ახალთა (მ. 9, 17). აქ ყველგან მსაზღვრელი მოსდევს. იგივე ფრაზა მეორდება მარკოზის თავში (2, 22) და ლუკასში (5, 37—38), მაგრამ იოვანეს თავში იკითხება: ყოველმან კაცმან კეთილი ღვინო პირველად წარმოდგის (ი. 2, 10). ასეთია აგრეთვე: არავინ სუამნ ძუელსა ღვინოსა (ლ. 3, 39), სადაც მსაზღვრელი უძღვის საზღვრულს. სხვა მაგალითები „ახალ“-ზე: მოძღურება ახალი, სამარჯ ახალი, საფლავი ახალი, მცნება ახალი, მაგრამ ამასთანავე: ახალსა სამარესა, სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა ე.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ სახარების ენაში მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილის საკითხში დიდად ჭარბობს შემთხვევები, სადაც მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს.

სხვა ძეგლებში, როგორცაა წამება შუშანიკისი, ევსტათი მცხეთელისა და ჰაბო ტფილელისა, ვითარება სხვაგვარია: ამ ძეგლებში, თუ არ სჭარბობს მსაზღვრელის წინ დასმა, არც ჩამოუვარდება შებრუნებულ რიგს. აქ გვხვდება როგორც ცრემლითა მწართა, ისე მწართა ცრემლითა (შუშ.), ლუაწლსა დიდსა და დიდსა ლუაწლსა (შუშ.), დიდითა დიდებითა და სარწმუნოებითა დიდითა (ევსტ.), შუენიერი მონასტერი და მონასტერი შუენიერი (იოვ. და ეფთ.), ქალაქსა მას დიდსა და დიდსა მას ქალაქსა (ჰაბო).

274. **რიცხვითი სახელი მსაზღვრელად.** რაოდენობითი რიცხვითი სახელი სინტაქსურად ისე მიდის, როგორც ზედსართავი სახელი: იგი შეიწყობს სახელს მხოლოდობით რიცხვში; სამისათვის აგზასა (ჰაბო); ხუთი პური და ორი თევზი; ასი დრაჰკანი; ასი ცხოვარი (მ. 18, 11); ექუსი წელი ციხესა მას აღასრულა (შუშ.); ვითარ იქმნა იგი ათის წლის (ხანდ.); ვითარცა იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე და მისთ..

თუ საზღვრული სახელი ნარიან მრავლობით რიცხვში დგას, რიცხვითი

სახელიც მრავლობითში დაუდგება: შეემთხვნეს მას, ორნი კაცნი (მ. 8, 28); მეგობარო, მეავსხენ მე სამნი პურნი (ლ. 11, 5).

რაც შეეხება ადგილს, რაოდენობითი რიცხვითი სახელი თითქმის ყოველთვის წინ უდგას საზღვრულს: ეჩუენა პირველად მარიამს მაგდანელსა, რომლისაგან განსრულ იყო შუდი ეშმაკი (მრ. 6, 9); მარიამ: რომელსა ერქუა მაგდანელი, რომლისგან განსრულ იყვნეს შუდნი ეშმაკნი (ლ. 8, 2) (ვარიანტი: ეშმაკნი შუდნი D).

275. **ნაცვალსახელი მსაზღვრელად.** კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი, შენი, მისი, ჩუენი, თქუენი, მათი, თუი) ჩუეულებრივ მოსდევს საზღვრულს: მამა ჩემი; დედა შენი, სახლი მისი, პური ჩუენი, ქალაქი თქუენი, ვენაჯი მათი, ასული თუი და მისთ..

ყოველი კი უძღვის საზღვრულს: ყოველი ერი, ყოველი სიტყუაჲ, ყოველმან ხემან და მისთ.. დროის გარემოების გადმოსაცემად „ყოველი“ მოსდევს საზღვრულს: დღე ყოველ (მთელ დღეს), ღამე ყოველ (მთელ ღამეს).

276. **არსებითი სახელი მსაზღვრელად.** მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელი დაისმის ნათესაობით ბრუნვაში. ეს ნათესაობითში დაყენებული მსაზღვრელი შეიძლება უძღოდეს საზღვრულს და შეიძლება მოსდევდეს მას. თუ მოსდევს, მაშინ იგი ეთანხმდება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, რის შედეგადაც წარმოიშობა ორმაგი ბრუნვები: ნათესაობით-წრფელობითი, ნათესაობით-სახელობითი, ნათესაობით-მოთხრობითი და სხვა. ამის მიხედვით გვაქვს: მდოგუსა მარცუალი (მრ. 4, 31; მსაზღვრელი უძღვის) და მარცუალი მდოგუსა-ჲ (მ. 17, 20; მსაზღვრელი მოსდევს და შეთანხმებულია მათან ბრუნვაში). სახარების ენაში დიდად ჭარბობს შემთხვევები, რომ მსაზღვრელი მოსდევდეს საზღვრულს.

წინაშე სპარსთა მეფისა (შუშ., მსაზღვრელი უძღვის), იჳმნა მეფისაგან სპარსთაჲსა (შუშ., მსაზღვრელი მოსდევს), ქართლისა მთავარნი (ეგსტ.), მთავარნი ქართლისანი (ეგსტ.).

„მდოგუსა-ჲ“ ზემო მოყვანილ მაგალითში („მარცუალი მდოგუსაჲ“) წარმოადგენს ორმაგ ბრუნვას, ნათესაობით-სახელობითს (მდოგუსა-ჲ“). ხოლო ამ მაგალითში „მთავარნი ქართლისანი“ მეორე სიტყუა („ქართლისა-ნი“) მრ. რიცხვის ნათესაობით-სახელობითია. ამ შემთხვევაში მსაზღვრელი („ქართლისანი“) ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში.

277. **ორი და მეტი მსაზღვრელი ნათესაობითის ფორმით.** ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში: სისხლი ვაცთაჲ. თუ მსაზღვრელი ორი, უძველეს ძეგლებში ორივე ეთანხმება (სისხლი ვაცთაჲ და კუროთაჲ), მაგრამ შემდეგი ხანის ძეგლებში — მარტო მეორე: სისხლი ვაცთა და კუროთაჲ (ებრ. 10, 4 CD); მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილოჲ (მ. 11, 39). თუ მსაზღვრელი სამია, მოგვიანო ხანის ძეგლებში საზ-

ღვრულს მესამე ეთანხმება: ღმერთი მშუდობისა, სიხარულისა და კაცთმოყუარებისა იყავნ თქუენ თანა (ხანძ.)

278. **კომპოზიტიური სახის მსაზღვრელ-საზღვრული.** მოიპოვება რიგი მსაზღვრელ-საზღვრულებისა, რომლებიც კომპოზიტებია ან კომპოზიტს უახლოვდებიან. მსაზღვრელი უძღვის საზღვრულს და მას საერთოები ხმოვანი არა აქვს; ასეთებია: ღმრთის მშობელი, ღმრთის მეტყუელი, ღმრთის მოყუარე, ერის მთავარი, ერის თავი, ერის კაცი, ნათლის მცემელი, ქველის მოქმედი, ეზოას მოძღვარი, სჯულის მეცნიერი, ზეთის ხილი, დის წული, ძის ცოლი, ისრის პირი, დანაკის კული, მამათ მთავარი, კაცთ მოყუარე და მისთ..

279. **დანართი.** საკუთარი სახელის მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელი და მასთან ბრუნვაში შეთანხმებული დანართია. დანართი ჩვეულებრივ მოსდევს საკუთარ სახელს. დანართის მაგალითებია: ესაია წიხაღწარმეტყუელი, იოვანე წინამორბედი, პავლე მოციქული, კირიონ კათალიკოზი, დავით ეპისკოპოსი, ქსართან ხუცესი, გაბრიელ მღვდელი, ვახტანგ მეფეჲ, დემეტრე ვპატოსი, ვარსკენ პიტიახში, უსტამ ციხის თავი, ალექსანდრე მქედელი, სუმონ მოგვ, დიოს კერპი, მცხეთა ქალაქი და მისთ.. დანართიანი სახელის ბრუნების შესახებ ნ. § 52.

### სხვადასხვა

280. **თანდებული ორ სახელთან.** თუ თანდებული ორ სახელს ან სამს განეკუთვნება, იგი დაისმება ერთ მათგანთან, ჩვეულებრივ პირველთან.

**ურთ:** შევიდა ფარაო ეტლებითურთ და მქედრებით შუეა ზღუასა (გალოზა 1, 19).

**გან:** და მიეცნეთ თქუენ მამა-დედათაგან და ძმათა და მეგობართა (ლ. 21, 16); სახლისაგან და ტომისა დავითისა (ლ. 1, 27); შიშისაგან და მოლოდებისა (ლ. 21, 26).

**ოჯ:** ფიცისა მისთვის და მის თანა მენიჯეთა (მრ. 6, 26); იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთათვცა და უკეთურთა (ლ. 6, 35); რომელი შფოთისათვის და კაცის-კლეისა შეგდებულ იყო საპყრობილესა (ლ. 23, 25); მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვს და სიმართლისა და საშჯელისა (ი. 16, 8; C-ში ამის ნაცვლად იკითხება: იგი მოვიდეს და ამხილოს სოფელს, ცოდვითათვს და სიმართლისათვს და სასჯელისათვს, ე. ი. აქ ყველა სახელს აქვს დართული „თვის“).

**ზედა:** მიმოხუალთ ზღუასა ზედა და კმელსა (მ. 23, 15).

**წინაშე:** მეფეთა წინაშე და მთავართა (ლ. 21, 12).

**წილ:** სახიობისა წილ და ქნარისა (სინ. მრ. 32, 20).

281. **თანდებულის ადგილი განსაზღვრულ სახელთან.** თუ სახელს მოსდევს მსაზღვრელი, თანდებული შეიძლება დაისვას ან საზღვრულის შემდეგ, ან მსა-

ზღვრების შემდეგ. ამისი მაგალითია: ვითარ განწოვრებულ არიან ცანი ქუე-  
ყანისაგან, ეგრე განწოვრებულ არიან გზანი ჩემნი გზათაგან თქუენთა და  
ზრახვანი ჩემნი ზრახვათა თქუენთაგან (ეს. 55, 9). აქ პირველ შემთხვე-  
ვაში **გან** ერთვის საზღვრულს (გზათაგან თქუენთა), მეორე შემთხვევაში კი —  
მსაზღვრელს (ზრახვათა თქუენთაგან)

282. **მცა ნაწილაკის თავისებურება.** ამ ნაწილაკის თავისებურება ის არის,  
რომ იგი ვერ იგუებს წინადადებაში შემავალი ზმნის ფორმას კავშირე-  
ბითში და უთუოდ უნდა გადააყენოს იგი თხრობით კილოში. „რათა“ კავში-  
რი კავშირებითს მოითხოვს, როგორც, მაგ., აქ: და ვითარ განთენა, ზრახვა-  
ყვეს ყოველთა მდღელთ მოძღუართა და მოხუცებულთა იესუსსთვს, რათა  
მოკლან იგი (მ. 27, 1), ასევე იკითხება სხვაგანაც: ხოლო მდღელთ მოძღუარნი  
იგი და ყოველი კრებული ეძიებდეს იესუსსთვს მოწამესა, რათამოკლან  
იგი, და არა ჰპოებდეს (მრ. 14, 55), ხოლო აღიშურ ვერსიაში სათანადო აღ-  
გილას სწერია: ...რათამოკლან იგი, და ვერ ჰპოებდეს. „მოკლ-  
ან“ კავშირებითის ფორმაა, „მოკლეს“ კი — თხრობითისა, რაც იმით არის გა-  
მოწვეული, რომ წინადადებაში **მცა** ნაწილაკი გაჩნდა. ასეთივე ვითარებაა სხვა-  
განაც: მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე არს, ვინათგან მელიან მე და  
არარაა აქუს, რათაჲ ჰამონ (მრ. 8, 2). ამის პირისპირ აღიშის ოთხთავში  
იკითხება:... არარაა აქუს, რათამოკლან იგი. მაშასადამე, ასე: რათაჲ ჰამონ  
და რათამოკლან იგი; რათა მოკლან და რათამოკლან იგი. სხვა მაგალითები:  
ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?  
(შუშ.); არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა შენ იგი ცოლად (მ. 14, 4); ძმარ  
მიქელ, გენება, რათამოკლან დიდისა იოვანე ზედაზნელისა ცხოვრებაა აღწერე  
და მიუძღუანე თქუენსა მას უდაბნოსა (ზედაზნ.); ვინ არს, რომელსამცა უდაბ-  
ნოსა ზედა პური დაგებული ედგა და იგი ქვასა ჰამდა! (სინ. მრ. 240, 37).

**მცა** ნაწილაკის გავლენა ვრცელდება შერწყმული წინადადების რამდენი-  
მე ზმნაზე: ნუ შემემთხუევიან მე ეგე ყოფად, ვითარმცა დაგიტევე შენ  
დამივიტეც და წარვედ სახიდ ჩემდა (რუთ 1, 16).

283. **პირობით-შედევობითი წინადადება.** თუ რთულ ქვეწყობილ წინადა-  
დებაში მოცემულია პირობა და მისი შედეგი, ორსავე წინადადებაში (მთავარ-  
შიც და დამოკიდებულშიც) ჩუუტლებრივია **მცა** ნაწილაკის ხმარება. დამოკი-  
დებულ წინადადებაში იხმარება „უკუეთუმცა“ (ან „თუმცა“). მაგალითები:  
უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაი იგი ჩემი (ი. 11, 21) — აქ  
რომ ყოფილიყავ, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა; ესე უკუეთუმცა იყო წინაწარ-  
მეტყუელი, უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას (ლ. 7, 39) —  
ეს რომ წინასწარმეტყუელი იყოს, ეცოდინებოდა, ვინ და როგორი დედაკაცი ეხე-  
ბა მას. აღიშის ოთხთავში უკანასკნელი წინადადება ასეა წარმოდგენილი: ესე  
თუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, რაბამი დედაკაცი შეეხების მას:  
შე- თუმცა -საძლებელ იყო, თუაღნიმცა თქუენნი აღმოიქადენით და მომცე-  
ნით მე (გალატ 4, 15); უკუეთუმცა მე მიცოდეთ, მამაეცამცა ჩემი იცოდეთ

(ი. 8, 19); უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა ეამსა მპარავი მოსლვად არს, იღუპებდამცა (მ. 24, 43); ვინმცა მცნა მე ფრთენი ვითარცა ტრედისანი, აღ-მცა-ვეფრინდი, ავიმალე, განვეშორე, მი-მცა-ვედ და განვისუნენ უღაბნოს (ფს. 54, 7—8); უკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხევდ, განგიმარტეთმცა; და, უკუეთუმცა ჩუენ გუკითხევდ, მივიგეთმცა (იოვ. და ეფთ); უკუეთუმცა გიყუარდი მე, გიხაროდამცა (ი. 14, 28).

#### 284. სახელის შეთანხმება დამოკიდებული წინადადების ზმნასთან.

თუ სახელს ახლავს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება და შემდეგ მოდის მთავარი წინადადება, ეს სახელი ეთანხმება დამოკიდებული წინადადების ზმნას და არა მთავრისას, სულ ერთია, სუბიექტია სახელი თუ ობიექტი: ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას (მ. 3, 10); ითქმის: სანადირომან შეიპყრას, მაგრამ სანადირობა რომელ დაარწყუეს, შეიპყრას ფერტი მათი (ფს. 34, 8); იესუ ქრისტე დამესა რომელსა მიეცემოდა, მოიღო პური (I კორ. 11, 23); მამაა შენი რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგავოს შენ ცხადად (მ. 6, 4); ყოველთა სიტყუათა რომელთა გეტყოდი შენ, დაიმარხენ გულსა შენსა და ყურითა შენითა ისმინენ (ეზექ. 3, 10); კაცთა მათ რომელთა შეეპყრა იესუ, ეკიცხევდეს მას და ჰსცემდეს (ლ. 22, 63); კაცსა რომელსა ჰრქვან იესუ, თიჯაა შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა (ი. 9, 11); ყოველი წული რომელი შეენ ებრაელთა, მდინარესა შთასთხევდით (გამოს. 1, 22).

